

# სხანი უმკობელი

თებერვალი 2010 №57  
ფასი 5 ლარი

## ისტორიები

### რუსულან მირზიკაშვილი ლევან ასაბაშვილი

ნიმე ლომაძე

## ბრძოლა თავისუფლებისთვის

ნიმე ჯაფარიშვილი

## ინტერვიუები

### არსენი რობინსკი, რუსული „მემორიალი“

ნიმე ბაქიშვილი

## ჯეიმზ ქართარი

კახა თოლორდიაშვილი

## ანალიზი

### ქართული კინოიდუდის პრობლემები

ნიმე ქანდავა

## საქართველო

### ჯვარცმა

პაატა ქურდიანი

## ესეი

### ნეოლიბერალიზმის კრიტიკა

ირაკლი კაკაბაძე

## საესკროპტი

### საზღვრები

## საავტორო

### რაფიკა

ლევან ბერძენიშვილი

## დოკუმენტური პროზა

### სხვევის ქვეყანა

სანდრო ნავერიანი

## ლიტერატურა

ოსინი მანდელშტამი

ერეკლე დვისიანი

ოლესია თავაძე

ნუზარ ზაზანაშვილი

ISSN 1512-2220



9 771512 222006

მუტი დამ  
ცხოვრებისათვის



ჯეოსანი

# BlackBerry®



BlackBerry® BOLD™ 9000 smartphone

BlackBerry, RIM, Research In Motion, SureType, SurePress და სხვა დაცემული საყარო ნიშნები, სახელები და ლოგოები ნაშრომდენს Research In Motion Limited - ის სააქციონას და ხელისაწილებელიდან გამოიყენებს აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. გამოიყენებს Research In Motion Limited - ის ლიცენზიით.



**გარეკანზე:** რუსუდან მირზიკაშვილი, ლევან ასაბაშვილი  
**ფოტო:** დავით მესხი

# სხალი შოკოლადი

N57, თიბაჩიკალი 2010

**მთავარი რედაქტორი:**  
ნინო ლომაძე

**აღმასრულებელი რედაქტორები:**  
ნინო ჯაფიაშვილი, სალომე კიკალეიშვილი

**არტ-რედაქტორი:** გიორგი ნადირაძე  
**რედაქტორ-სტილისტი:** ნინო სვანიძე  
**ჰორაქტორი:** ნინო საითიძე

**ნომერზე მუშაობდნენ:** დავით ბუხრიკიძე, ანა კორძია-სამადაშვილი, კახა თოლორდავა, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, სანდრო ნავერიანი, სალომე კიკალეიშვილი, ნინო ჯაფიაშვილი, ნინო ძანძავა, ირაკლი კაკაბაძე, კლაუდია რუმი, გიორგი გვახარია, დავით მაკარიძე, შოთა გაგარინი, გიგი გულედანი

**ფოტო:** დავით მესხი, ლევან ხერხეულიძე, ქეთო ცაავა, მარიკა ქოჩიაშვილი  
**ილუსტრაციები:** მარიამ ზაღდასტანიშვილი, მაია სუმბაძე

**დიზაინი:** თორნიკე ლორთქიფანიძე

**საზოგადოებასთან ურთიერთობა:**  
ლელა შუბითიძე

**სარეკლამო გაყიდვები:** შალვა ჩუბინიძე  
**დისტრიბუცია:** ზვიად შენგელია  
**გამომცემელი:** შორენა შავერდაშვილი

**გამომცემლობა:**  
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326  
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

**სხვა გამომცემები:** ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელეები.

**სტამბა:** შპს „სეზანი“, თბილისი, წერეთლის გამზ. 140, ტელ.: 357002

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან © "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

- 6 რედაქტორის წერილი
- 8 ჩვენი ავტორები
- კომოხილები** 10 უბრალოების ძიებაში კიბერნეტიკულსა და მექანიკურს შორის **დავით ჩიხლაძე**
- 12 ხინკალი და კოკეტობა **დავით ჩიხლაძე**
- 14 მონოდები პოეზიად **დავით ჩიხლაძე**
- 16 ბანქოს თამაში მეცნიერულად... ანუ უფასოდ მიჯაჭვული „პრომეთე“ **დავით ბუხრიკიძე**
- იმოგზაურე საქართველოში** 20 ყელის ტბა **სანდრო ნავერიანი**
- ისტორიები** 24 რუსუდან მირზიკაშვილი და ლევან ასაბაშვილი რაზე ფიქრობს ურბან რეაქტორი **ნინო ლომაძე**
- 32 ბრძოლა თავისუფლებისთვის **ნინო ჯაფიაშვილი**
- ინტერვიუები** 40 არსენი როგინსკი: რუსეთში არ არსებობს პოლიტიკური სივრცე **ნინო ბეჩიშვილი**
- 44 ინტერვიუ ჯეიმზ ქართერთან **კახა თოლორდავა**
- ფოტოპროექტი** 48 პატარა ქალაქში **დავით მესხი**
- ანალიზი** 56 ქართული კინოინდუსტრიის პრობლემები **ნინო ძანძავა**
- სპეცპროექტი** 62 საზღვრები
- დოკუმენტური პროზა** 76 სხვების ქვეყანა **სანდრო ნავერიანი**
- ისაქართველო** 80 ჯვარცმა. ტექნიკური პერსონალი და დეკორაცია **პაატა ქურდაძე**
- 84 კვაზიმოდა **გიორგი კალატოზიშვილი**
- საავტორო** 88 რაფიკა **ლევან ბერძენიშვილი**
- ესეი** 92 ნეოლიბერალიზმის კრიტიკა ოცდამეერთე საუკუნეში **ირაკლი კაკაბაძე**

**ბანსწორება**

„ცხელი შოკოლადის“ 56-ე ნომერში, სტატიაში „დმანისის აღმოჩენა“ შეცდომით იყო მითითებული გამოფენის მოწყობის ადგილი. დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ექსპოზიცია გაიმართა ნიდერლანდების ბუნების ისტორიის ნაციონალურ მუზეუმში, ქ. ლეიდენი. გამოფენა გაიხსნა 2009 წლის 28 ნოემბერს და გაგრძელდება 2010 წლის 28 თებერვლამდე.

ასევე არ იყო აღნიშნული, რომ პროექტი განხორციელდა სადაზღვეო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მხარდაჭერით.

# ჯიჰის ლეჯს მოვლის სახეთესო საშუალებები GPC-ისა და ნითანი რა-ს აფთიქებში



## მასენებელი სიამოვნების მოყვანტათვის

R.O.C.S.-ის კბილის პასატა “ყავა და თამბაქო” სპეციალურად შემუშავებულია ყავის, ჩაის, ნითელი ღვინისა და თამბაქოს მოყვარულთათვის. იგი საშუალებას გაძღევთ შეინარჩუნოთ მომხიბვლელი ღიმილი და ჯანსალი სუნტევა. ამცირებს თამბაქოს ბოლის უარყოფით ზემოქმედებას პირის ღრუზე. აბრაზიული ნივთიერებების ზომიერი შემცველობა საშუალებას იძღევა გამოიყენოთ R.O.C.S.-ის კბილის პასატა “ყავა და თამბაქო” ყოველღღიურად.



[www.gpc.ge](http://www.gpc.ge)



[www.reda.ge](http://www.reda.ge)



საინფორმაციო სამსახური



ჯავახეთის ზეგანზე, სულ კიდეში, სადაც საქართველოს სომხეთი ესაზღვრება, ერთი პატარა სოფელია – სამება. სულ თხუთმეტი ოჯახი ცხოვრობს – სამი დუხობორების, ცხრა სომხური და სამი ქართული. იქ, შარშან მე და დავით მესხი ჟურნალისტების წერილის გასაკეთებლად წავედით. ჯერ თოვლი არ იდო, ამიტომ სოფლამდე ადვილად მივაღწიეთ. გზაზე დუხობორების მიტოვებული, ნახევრად, ან მთლიანად დანგრეული სახლები იდგა. ორ პატარა შენობაში სკოლა იყო, ერთი სომხურენოვანი, ერთიც ქართული. ჩვენი მასპინძელი ქართული სკოლის მასწავლებელი გახლდათ, ციციო ნათენაძე. რამდენიმე დღის წინ დაგვირეკა და ჟურნალის დაბადების დღე მოგვილოცა. ცოტა ხნის მერე, პავლეშვიც დარეკა, მეზობელი სოფლიდან. მერე იქაურ ამბებს მოყვა: წელს თოვლი გვიან მოვიდა და გზებიც ახლა ჩაიკეტა; გორელოვკა დოხობორების რამდენიმე ოჯახმა დატოვა და იქ ისევ აჭარიდან ეკომიგრანტები დაასახლეს; ორივე სოფლის სკოლებს, ახალი სასწავლო წლის სახელმძღვანელოები ისევ არ ჰყოფნის, ბიბლიოთეკები ისევ მოუწესრიგებელია; სოფელს ექიმი ახლაც არ ჰყავს, მიწების პრობლემა ისევ მოუგვარებელი რჩება, არადა არც ერთ ოჯახს სოფლის დატოვება არ უნდა. სასაზღვრო დაცვაში პავლე მაინც არ მიიღეს, სამებაში ქართულენოვან სკოლაში ისევ ისტორიას და გეოგრაფიას ასწავლის. ყოველ დღით გამთენიისას დგება, ტრანსპორტს რომ მიუსწროს, მერე სამებამდე ერთი საათი ფეხით მიდის. უკან ისევ მესაზღვრეებს, ან ისე, შემთხვევით ჩამვლელს მოჰყვება. გასართობად ისევ კოსწინკასთან და არმენთან ერთად დიდის, ვაბულიებთ ძველ მოტოციკლეტს და ვართო, – ამბობს. ჩამოდით, ხომ დაგვპირდით ზამთრის ჯავახეთი უნდა ვნახოთო.

მთავარი გზატკეცილიდან სამებამდე ოთხ კილომეტრს ისევ ფეხით, ცხენით, ან მარხილით გადიან. ახლა ყველა ოჯახში გაზაფხულამდე პროდუქტები აქვთ მომარაგებული და დათობას ელოდებიან. სალამოობით რომელიმე ოჯახში, შეშის ლუმელს მოუსხდებიან და ქვეყნის ამბებს არჩევენ.

აუცილებლად წავალ. მალე, სანამ გზები გაიხსნება და სანამ სოფლის გზებზე წელამდე თოვლი დეგს.

ნინო ლომაძე  
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge



მადლობა

ურთიერთობისთვის!

☎ 27 27 27 | 📠 • 27 27 | [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



თბილისი ბანკი  
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



ნინო გაჩიშვილი

საქართველოში ჯერჯერობით არ დაწყებულა დისკუსია იმის შესახებ, თუ რა უნდა ვუყოთ გასული საუკუნის 70 წელს – საქართველოს საბჭოთა ისტორიას. მედიაში ამ თემაზე თითქმის არაფერი იწერება, არც სამეცნიერო კვლევების შესახებაა ცნობილი საზოგადოებისთვის. ქართველების უმეტესობას საბჭოთა ისტორიისგან გათავისუფლება მარტივი ამბავი გვგონია – მაგალითად, გორიდან სტალინის ძეგლის აღება ან, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის აფეთქება. არც იმის გახსენება გვსამოგონებს, რომ აქ ვინმე პიოტრ ივანოვი კი არ შემოსულა, მეტერთმეტე არმიას სერგო ორჯონიკიძე შემოუძღვა და ის ცნობილი 25 თებერვლის დეპეშაც ქართველის, ფილიპე მახარაძის დაწერილია. რაღა გასახსენებელი – 90-იანებში ორჯონიკიძის ძეგლიც ავიღეთ და მთანმინდაზე ფილიპე მახარაძის საფლავიც ავაფეთქეთ. ამ ორის საკითხი ნამდვილად მოგვარებულია. იქნებ, იმის მიზეზი, საბჭოთა ისტორიის შესასწავლად და გასააზრებლად რომ ვერ მოვიცალეთ, შიდაპოლიტიკური არეულობებით, ქაოსით და ომებით დამძიმებული წლებია? 2006 წელს თბილისში „ოკუპაციის მუზეუმი“ გაიხსნა. თავისთავად ეს სახელიც „ოკუპაციის მუზეუმი“ უკვე ცხადად ასახავს ხელისუფლების რიტორიკას – საქართველო მსხვერპლია. რა თქმა უნდა – არის, ამაზე ჭკუათმყოფელი ვერ იკამათებს, მაგრამ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა სადღაც ჰერშია გამოკიდული. არავის უნდა ქართველი ჯალათების გახსენება. მათზე, ვინც ჯერ „დანოსებს“ წერდნენ, ხოლო შემდეგ სიხარულით იკავებდნენ დახვრეტილი და გადასახლებული მეზობლების სახლებს, არასდროს ვისაუბრებთ ისე, როგორც წინაპრებზე. არც მსხვერპლთა ვინაობა ვიცით (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) და, მით უმეტეს – არც ჯალათების. „ოკუპაციის მუზეუმის“ პირველივე დარბაზში ერთ კედელზე ტყვიებით დაცხრილული ის ვაგონია გამოფენილი, სადაც 1924 წელს ბოლშევიკებმა შორაპანში ასობით ადამიანი დახვრიტეს, მეორე მხარეს კი უზარმაზარ ეკრანზე ვარდების რევოლუციის ამსახველი ვიდეოკადრები შეუჩერებლად ტრიალებს – როგორ შემოდის მცხეთიდან მანქანების ჯაჭვი, როგორ სვამს სააკაშვილი შევარდნაძის ჩაის, როგორ ზეიმობს მთელი ქართველი ერი და ა.შ. თან მუზეუმი, რომელსაც სულ სხვა დატვირთვა უნდა ჰქონდეს, მეორე მხრივ კი – ბანალური ოფიციალური პროპაგანდა, ის, რასაც უკვე კარგა ხანია, მივეჩვიეთ და შეიძლება, თვალსა და ყურს აღარც გვჭრიდეს. თუმცა, მთავარი სიურპრიზი „ოკუპაციის მუზეუმის“ სადარბაზო კიბეებზეა გამოფენილი: აბსოლუტურად საბჭოთა ესთეტიკით შესრულებული ფოტო – სააკაშვილი და იუშენკო ბავშვებთან ერთად, თანაც ზუსტად ისე, როგორც კომპარტიის პირველი მდივნები გვინახავს პატარაობისას – ლიდერები სიყვარულით, მზრუნველი სახეებით დაჰყურებენ ბავშვებს. „ოკუპაციის მუზეუმში“ უცხოელ სტუმრებთან, თანაც სტალინის პიროვნების მკვლევრებთან ერთად მოვხვდი. მათ შორის იყო არსენი როგინსკიც, ვისთან ინტერვიუსაც ამ ნომერში წაიკითხავთ.



ნინო ქაჩავა

საქართველოში წელიწადში რამდენიმე სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს იღებენ, რომელთა ბიუჯეტი, ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით, არცთუ ისე დაბალია და ნახევარი მილიონიდან ერთი მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს. ფილმებს საფესტივალო ცხოვრებაც აქვთ და ადგილობრივ გაქირავებაშიც ტრიალებს. მაღალჩინოსნები ქართული კინოს შესამჩნევად მზარდ პოტენციალზე აკეთებენ განცხადებებს. თუმცა, როდესაც ჩემი პროფესიით დაინტერესებულ ახალ ნაცნობებს ვეუბნები, – კინოკრიტიკოსი ვარ მეტი, – გაკვირვებულები მპასუხობენ: როგორ უნდა წერო იმაზე, რაც არ არისო. ამ კითხვას განსაკუთრებით ხშირად ტაქსის მძღოლები სვამენ. ის ადამიანები, ვისთვისაც დღეს კინო ნამდვილად არ არსებობს. სამაგიეროდ, მათ წარსული ახსოვთ, როდესაც კინოში სიარული ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო. კინემატოგრაფის სიცოცხლისუნარიანობას მისი მასობრიობა განაპირობებს. შეიძლება არსებობდეს ელიტური კინო, მაგრამ არ არსებობს ელიტური კინოინდუსტრია. საქართველოში კინონარმოების პროცესი არ არის შეკრული. მართალია, გაჩნდა ტექნიკური საშუალებები, მაგრამ არა ფილმის წარმოების ყველა ეტაპისთვის. გაუმართავია წარმოების პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, არ არსებობს სრულყოფილი ლაბორატორიული მომსახურება, ნორმალური კინოპროექცია, ფილმის დაცვის პირობები, კინოკრიტიკა, საფესტივალო სივრცე, დისტრიბუცია, ბოლოს და ბოლოს – ტაქსისტები არ დადიან კინოში.





## „თბილღვინო“ 2009 წელს შტამბაჟდავი შეღებებით ასრულა

2009 წლის შედეგებით „თბილღვინო“ №1 ღვინის ექსპორტიორი კომპანიაა საქართველოში.

2009 წელს „თბილღვინომ“ ISO 9001 (ხარისხის მართვის სისტემა) და ISO 22000 (საკვების უვნებლობის მართვის სისტემა) სერტიფიკატები მიიღო.

2009 წელს „თბილღვინოს“ პროდუქციამ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებზე 14 მედალი მოიპოვა, მათ შორის 2 ოქროს და 4 ვერცხლის მედალია.

**TBILVINO**



# უბრალოების ძიებაში კიბერნეტიკულსა და მექანიკურს შორის

ავტორი: ლავით ჩიხლაძე  
ფოტო: ქეთო საავა

19 დეკემბერს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა გიორგი მალრაძემ პერსონალური გამოფენა გამართა თბილისის თოჯინების მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში. თბილისის საერთო კულტურული მონოტონურობის ფონზე ეს გამოფენა სასიამოვნო არაადექვატურობად გამოიყურებოდა.

როგორც წესი, თანამედროვე მხატვრის მხრიდან დადაიზმზე პირდაპირი აპელირება გროტესკად ან გულუბრყვილო პატივისცემად აღიქმება ხოლმე, რადგან მიიჩნევა, რომ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ხელოვნება უკვე მრავალ ახალ მიმდინარეობასა თუ ტენდენციაში ტრანსფორმირდა. დადაიზმის იდეა, რომელიც სიტყვებისა და ნიშნების წმინდა ფორმამდე დაყვანას და შემდეგ უკვე მათი ახალი, ფრივოლური მნიშვნელობებით აღჭურვას ემსახურება, 100 წლის შემდეგაც კარგად ჩანს დაკვირვებულ თვალისთვის. ასეთები არიან კიბერ-ფილოსოფოსი და მწერალი ჰაკიმ ბეი, იგივე პიტერ ლამპორნი უილსონი, საკუთარი, ფრაგმენტული და სერიული ორნამენტების


ნაწერებით; ან მეთიუ ბარნი, რომლის ლოგო, მართალია, უკვე სინთეტიკური ფაქტურისაა, მაგრამ მაინც მაკრატლის გამოსახულებით.

დადაიზმის იდეა სადაც ცოცხლობს, იქ, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებს წიგნის წაკითხვა ჯერ არ დაეინყებიათ. დიახ, სწორედ წაკითხვა და არა კითხვა. ასეთი წაკითხვები სწორედ დადაიზმს უფრო უკავშირდება და არა სემიოტიკას ან სტრუქტურალიზმს, რადგან თუ ნიშნების ფორმების მონესრიგებაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვალიართ, რომ ფორმა პირველ რიგში სწორედ რომ ვიზუალურია და მისი კვალიც თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნების საწყისებში უნდა ვეძებოთ.

გიორგი მალრაძის ნამუშევრების ფაქტურაში აშკარა იყო გზავნილი კიბერნეტიკულზე. მხატვარი გვთავაზობდა საუკეთესო სათამაშო მოედანს, მხიარული მინიშნებებით კარგად ნაცნობ ქრესტომათიულ დადაისტურ შრიფტებზე და დიზაინზე. თანამედროვე ხელოვნებაში დამკვიდრებული კონტექსტისათვის ეს ნამუშევრები მართლაც ლამაზ და დახვეწილ სათამაშოებს ჰგავდა,

რომელთა გამოყენებითი ფუნქციაც უცნობი იყო.

იშვიათია, რომ დღევანდელ საქართველოში დადაისტური აპელირებები მორიგი დაციწვით არ დამთავრდეს, რადგან აქ ჯერ კიდევ ნამდვილად არ მუშაობს მე-20 საუკუნის ესთეტიკური პოსტულატი „როგორ“ და არა „რა“. საქართველოში ცდილობენ წერონ ბოდრიარის ფილოსოფიაზე და სიმულაკრაზე, მაგრამ ქვეყანას ჯერ არც ერთი თანამედროვე ხატი არ შეუქმნია და სახალხო არტისტები თუ მასობრივი სცენის ვარსკვლავები ჯერ ისევ არა სურათ-ხატებად, იმიჯებად ან ბილბორდებად, არამედ „კარგ ან მაგარ კაცებად და ქალებად“, კარგ პიროვნებად მოიაზრებიან მხოლოდ. სურათ-ხატი ან სათქმელი, რომლის მიღმაც არ ჩანს ადამიანი, არის ის მთავარი, რითაც მთელი თანამედროვე დასავლეთი არსებობს. ჩვენ ამ სიმულაკრასადმი დაუოკებელი სიმპათია გვაქვს, მაგრამ მორალით ვაპელირებთ და კვლავ შორეულ მოსწავლეებად ვრჩებით. სწორედ პიროვნულობის აღმოფხვრელი კულტის და ცვალებადი მორალური



შეხედულებების გამო მთლიანად გადავადეთ ყველაფერი, რაც კი მემკვიდრეობით შეგვეძლო დაგვეტოვებინა საბჭოთა დიზაინის გამზადებული სტრუქტურებიდან. დღეს ჩვენს მოქალაქეს არა აქვს საშუალება, იცოდეს არტ ნუვო ან საბჭოთა კონსტრუქტივიზმი, რადგან მორალის პრიორიტეტით შემოფარგვლა ინფანტილური ზღაპრებით დაკმაყოფილების პირობას ქმნის, როგორცაა ხუთკუნჭულა ან კომბლე. გიორგი მალრაძის გამოფენის ადგილიც სიმბოლური და ზღაპრულია – ისევ თოჯინების ან მარიონეტების მუზეუმი.

დღეს მოულოდნელი არ უნდა იყოს ახალგაზრდების პრეტენზია ციფრულ სნობიზმზე. კიბერნეტიკულთან შეხება ჩვენში პრიორიტეტია, მაგრამ მხოლოდ SMS-ების გაუჩერებელი, ნევროტული გაგზავნით შემოიფარგლება. საქართველოში ჩატმა უკვე იმდენად ჩაანაცვლა წიგნიც და ცხოვრებაც, რომ ეროტიკული ვოიაჟები კი არა, ალბათ ინტერნეტით ქორწილი და ბავშვის გაჩენაც შესაძლებლად ეჩვენებათ. ხოლო ის, რომ დასავლეთში ახალგაზრდა ადამიანები

კაფეებშიც კი წიგნების გარეშე არასოდეს არიან, ჩვენთან ნარმოუდგენლის საზღვრებს სცილდება.

შიქილება პარადოქსია, მაგრამ მხოლოდ თამაშს და სიმულაკრას შეუძლია ადამიანი გამოიყვანოს რთული გაუცხოებიდან, დრამატიზებიდან და ტრაგიზმიდან, რასაც ყოველთვის დროს და ეპოქას აბრალებენ. ამ მნიშვნელობით კი, ვინ იტყვის, რომ თამაშში სერიოზული რამ არ არის? დადაიზმი თამაშში იყო და სწორედ ასეთი თამაში გვასერიოზულებს იმდენად, რომ შეგვიძლია ნათელი და დალაგებული ხედვით შევხედოთ ცხოვრებას და ყველაფერი დავინახოთ იმ სიზუსტით და უბრალოებით, როგორშიც ის არის.

გამოსავალი უბრალოებასა და დათმობაშია. ასეთი გამოსავალი იპოვა ახალგაზრდა მხატვარმა გიორგი მალრაძემ, რომელმაც დღევანდელი დროის შესაბამის საკუთარ ენას მიაგნო. ეს უმნიშვნელო რამ არ არის, თუმცა ცხადია, რომ მის სტილზე შიქილება ჯერ ადრე იყოს საუბარი და მხატვარმა კიდევ ბევრჯერ შიქილება გადაუხვიოს არჩეული გზიდან. გულწრფ-

ელობა კი ნამდვილად სახეზეა, რაც ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

გაბედულებაა, როდესაც ასეთი ნიჰილისტური, ვირტუალური სნობიზმის დროში არ უშინდები ბოჰემურ, პანკურ და ავანგარდისტულ ალუზიებს და რემინისცენციებს მხოლოდ იმის იმედად, რომ ეს ყველაფერი დღევანდელი მოდური, სამომხმარებლო, ადვილი დიზაინის და აპლიკაციების ენასთან უზადოდ გაქვს შერწყმული; გარშემო კი ხელოვნების მთელი თანამედროვე სტრუქტურა ორად ორ მოდელს იმეორებს – ერთი მხრივ, სალონი და სრული მგრძნობელობითი სტაგნაციაა გამეფებული, ხოლო მეორე მხრივ, დაშტამპული პოსტმოდერნიზმი, რომელიც სალექციო დარბაზის ანდა ტრაფარეტული ყურნალისტიკის მოთხოვნებს ძლივს სცილდება.

ერთი რამ ცხადია, გიორგი მალრაძე სენტიმენტალიზმში ნამდვილად არ არის ჩაძირული, მან უბრალოდ იგრძნო ნიშნების რეალური ძალა, რითაც საკუთარი დრამატული ფაქტურებისა და ზედაპირების შექმნა შეუძლია.



# ხინკალი და კოკეტობა

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
ფოტო: თეიმო ბარძიმაშვილი

გასულ თვეს ახალგაზრდა არტისტმა და აქტივისტმა ნიკოლოზ ლუტიძემ „ნიუ არტ კაფეში“ 20 დეკემბერს წარმოადგინა პერფორმანსი „ხარშვა“. გამოფენის მოსაწვევს ხინკალი ეხატა, კოტე სულაბერიძის გრაფიკული შესრულებით. პერფორმანსის ანონსი გვაუწყებდა თეზისებს, რომლებიც თანამედროვე სივრცეში წარმართული რეალობის რეაბილიტირებაზე მიგვანიშნებდა. ხინკალით არტისტი ალბათ მიგვანიშნებდა ცხოველის მსხვერპლშენივრის ველურ გადმონაშთებზე და ვეგეტარიანიზმზე, როგორც არაძალადობაზე ნებისმიერი სიცოცხლის მიმართ. მართლაც, თანამედროვე თბილისი, ისე, როგორც არასდროს, სახინკლებითაა სავსე.

მისასალმებელია, რომ ნიკოლოზ ლუტიძის პერფორმანსი სიმბოლური დატვირთვის არ აღმოჩნდა და მასში მხატვრის მიერ შემოთავაზებული სანყისი თეზისების პირდაპირი ილუსტრაციები არ გვიხილავს. ანუ მას არ შემოუტანია დარბაზში ხინკლით სავსე ქვაბი და თავზე მდულარე ნახარში არ გადაუსხამს. ერთადერთი, რაც ყველაზე მოულოდნელი იყო, არტისტიმა კროს-დრესინგის (სანინალმდეგო სქესის ტანსაცმელში გამოწყობა) პერფორმანსი შემოგვთავაზა. ის ჩაცმული იყო როგორც დრაგ-კვინი, ქალის

ტანსაცმელში გამოწყობილი ტრანსვესტიტი და როგორც თანამედროვე იაპონური ბუტოს თეატრის მოცეკვავე. და მან დანაპირები შეგვისრულა – გვიჩვენა მისი სხეულის სიმძიმის ცენტრი და ექსპრესიული რეაგირება საყოველთაო ხარშვის გაცხოველებულ რიტუალებზე.

კროს-დრესინგის ელემენტები საქართველოს არტისტულ კონტექსტში შეგვხვედრია გია ეძგვერაძესთან, ზურა ჯიშკარიანთან, მიშა ანდელუაძესთან „შაბათის შოუში“, მაგრამ კონცეპტუალური, პანკური თუ კომედიური ესთეტიკის მიღმა, ეს სტრატეგია, როგორც უბრალოდ არტისტული ექსპრესია, გამოყენებული არ ყოფილა. არტისტი გვიჩვენებდა, თუ როგორია მისი სხეულის რეაგირება დღევანდელ ბრუტალურ წარმართობაზე.

ნიკოლოზ ლუტიძის პერფორმანსი გამოირჩეოდა განვლილი ტემპით, რომელიც სულაც არ აღმოჩნდა მოსაბურველი და მან ერთგვარ მედიტაციაშიც კი ჩართო აუდიტორია. სწორედ ამ ნიშნით ჰგავდა ეს პერფორმანსი ბუტოს ესთეტიკას, სადაც შენელებული მოძრაობების რიტმი ნამუშევრის შინაარსს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. აქ ბუტოს ესთეტიკას რიტუალური დეკორატიული გრიმიც შეგვახსენებდა, რაც, საერთოდ, სხეუ-

ლის მოკვდავობაზე პირდაპირი მინიშნება იყო, სწორედ იმავე სხეულის, რომელიც ეროტიულობის ობიექტიც არის და მიზეზიც. ამ მხრივ, ნიკოლოზ ლუტიძესთან ყოველგვარი მინიშნება სექსუალურზე საბოლოოდ ისევე სხეულის კრიტიკად გადაიქცეოდა და სიკვდილისა და სექსუალურის ასეთი თანაარსებობა საქართველოში კემპის ესთეტიკის პრეცედენტს ქმნიდა.

ხინკალი და კოკეტობა – ასე აღვწერდი ნიკოლოზ ლუტიძის პერფორმანსის გზავნილს. ჩვენში გავრცელებულ უკიდურესად მატერიალისტურ მსოფხედველში, რაც სიღუფხირით არის განპირობებული, კოკეტობა მაინც არასოდეს თმობს პოზიციებს და ცდილობს, რაც შეიძლება ეროტიკულად და სექსუალურად გამოიყურებოდეს. მაშინაც კი, როდესაც ტრადიციული საზოგადოება საჯაროდ კოკეტობას გმობს და არ ღებულობს, როგორც ადამიანის მაცდუნებელ ელემენტს. საფრანგეთის რევოლუციის დროს, დირექტორის ეპოქაში, კოსტუმირებულმა კოკეტობამ მართლაც პიკს მიაღწია. საინტერესოა, რამდენად არის შესაძლებელი იგივე ჩვენთან, როდესაც ლიბერალიზმი და ეთნოცენტრიზმი, დოგმა და ეროსი რეალურად ერთმანეთთან საბრძოლო პოზიციებშია.

პეგასი

აუდიო და ვიდეო ტექნიკა



მომღერალი  
ქეთი მელუა

## მაღალი ხარისხის აუდიო-ვიდეო დისკები



SONY  BMG  
MUSIC ENTERTAINMENT



ხიდის ქუჩა №2 | გელ.: 47 56 12  
(მზრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორია) | [www.pegasigroup.ge](http://www.pegasigroup.ge)



# მონოღაბი პოეზიად

ავტორი: ღაპით ჩიხლაძე  
ფოტო: მარია ქოჩიაშვილი

დეკემბერი მართლაც დატვირთული აღმოჩნდა და არა იმდენად როდენობრივად, არამედ წარმოდგენილი ივენტების ხასიათის თვალსაზრისით, რაც შეიძლება მოკლედ დახასიათდეს, როგორც აქტივიზმისა და ესთეტიზმის ილბლიანი და იშვიათი შეხამებები. 21 დეკემბერს ხატია შიუკაშვილის პოეტური წიგნის „შავი ლექსები ან უკან სსრკ-სკენ“ პრეზენტაცია „არტ-კავე ქარავანში“ სამედო, მაგრამ არცთუ ბოლომდე დადგენილ იმპულსებს გვიგზავნიდა, რომ ჩვენში თვით ყველაზე უიმედო სფეროშიც კი, რასაც ლიტერატურა ჰქვია, კვლავ ნახა საშუალება ახალი, დღევანდელი პოეტიკისა და ენის მოძებნა დაიწყო – სამიტინგო ენისა და პოეტიკის. რთული გზით სიარული გადანყვიტა ხატია შიუკაშვილმა, პოეტმა, უკვე არაერთი საყურადღებო კრებულის ავტორმა, რომელიც აქამდე წმინდა ლირიკული იმპულსის პოეტად შეგვეძლო მოგვეაზრებინა.

როდესაც პლატონმა სოციალური ამფობინა პოეტურს, მან პოეტური ტექსტი ალბათ სამოქალაქო მონოდეტებით შეცვალა. მხოლოდ საქართველოში შეიძლება შეგვხვდეს იმდენად თავდაჯერე-


ბული და უმანკო პოეტი, რომ მასთან პლატონიც და სხვა მსგავსი წმინდა წყლის სურათ-ხატები მხოლოდ კეკლუცი საუბრის საგნად რჩება. პოეზიაში სამოქალაქო პათოსი ადრეც საეჭვო იყო და ჩვენ ამისთვის არაერთი მართლაც შესანიშნავი საბჭოთა პოეტის ჩუმი გასამართლება მოგვიხდა. პოეზია ვერ ეგუება მის სხეულში სხვა ენების შემოჭრას და მასში არათუ მონოდეტები, თვით ფილოსოფიური განსჯებიც კი მეორეხარისხოვანად მიიჩნევა. ამიტომ სჯობს, პოეტმა წერას დაანებოს თავი, ვიდრე პოეზია რამე სხვას, თუნდაც ეთიკურად ამაღლებულს ან ტრუნიზმების დეკლამირებას ამსახუროს.

რა სურათია საქართველოს პოეტურ სივრცეში? მთელ არეალს ჯიუტად ავსებს ზომიერი ვერლიბრი, სადაც არანაირი ენობრივი და ტროპული ექსპერიმენტი, უკვე დიდი ხანია, აღარ მიმდინარეობს და პრინციპში ისიც იგივე პარადიგმაა, რაც მის მიერვე უარყოფილი ტრადიციული ლექსი.

ხატია შიუკაშვილის წიგნის პრეზენტაცია გარკვეულწილად სენსაციასაც გულისხმობდა. ბოლოდროინდელი ტენდენცია საქართველოში, რომ ან საერ-

თოდ უნდა გაჩუმდე ანდა უკიდურესად იაქტიურო და იყვირო, ამ საღამოზეც დადასტურდა. ზურა რთველიაშვილის მსგავსად, გარდა იმისა, რომ ეს ახალგაზრდა პოეტი ქალიც აქტივისტია, ანუ მონანილეობს სამოქალაქო გამოსვლებსა და პოლიტიკურ მიტინგებზე, მის ლექსებშიც ხშირია მონოდეტები, ეპატაჟური ფრაზეოლოგია და ერთგვარად ხაზგასმული მძაფრი პროტესტის გრძნობა. პირადად ჩემთვის ეს პოეზიის პირველხარისხოვანი ელემენტები არ არის, რადგან არ მგონია, პოეზია ინფორმატიული სათქმელის იარაღი იყოს.

და განსხვავებით ისევ ზურა რთველიაშვილისგან, ხატია შიუკაშვილს პოლიტიკასთან პროფესია აკავშირებს, ის სტუდენტი, ახალგაზრდობის დემოკრატიული ლიგის პრეზიდენტია, ხოლო დიპლომატია მისი შესწავლის საგანია. პოლიტიკოსი სერიოზულ პოეტურ განცხადებას აკეთებდეს, არათუ იშვიათია, ორმხრივად სარისკოც არის. მაგრამ ვინ იცის, რა სიურპრიზებს გვიმზადებს ახალი, 21-ე საუკუნე, სადაც „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ ნაცვლად შეიძლება გაჩნდეს რაიმე უტოპიური, როგორცაა, ვთქვათ, „ხე-



ლონება პოლიტიკისთვის“.

თუ ხატია შიუკაშვილის პოეტიკას პოლიტიკურ და აქტივისტურ კომპონენტებს ჩამოვაცილებთ, ის ჩვენ წინაშე წარსდგება, როგორც კარგად ნაცნობი ლირიკული პოეზია კონვენციური ფორმით, მაგრამ სადაც, ერთი შეხედვით, ახალი თითქმის არაფერი ხდება ფორმის თვალსაზრისით. მთელი ამ აქტივისტური ხმაურის გამო შეიძლება იფიქრო, რომ ხატია შიუკაშვილი არ არის ის პოეტი, ვინც იკვლევს ნიშანს, როგორც შინაარსს. საბოლოო ჯამში კი ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი პოეტი არც არის პოეტი საერთოდ.

ასეთი, მოწოდებითი პოეტიკის საარისკო ზონაში, სადაც მკითხველს ლამაზი სიტყვებით ველარ გააბრუნებ და ყურსაც კი მოსჭრი მას, ან რაღაც გულუბრყვილო გამორჩენის იმედად შეიძლება შეეხებოს ვინმე ანდა ისეთი გაბედული პოეტური მოწოდების მქონე შემოქმედი შეგვხვდეს, ვინც ფიქრობს, რომ დაღუპვა სჯობია, ვიდრე მკვდრად არსებობა.

მსგავსად ყველა 2000-იანელი პოეტისა, ისიც ცდილობს იყოს ახალი, მაგრამ ამ თაობას ჯერჯერობით სათქმელი არ მოუტანია. მიზეზი კი ის არის, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევენ ფორმას. მათ უარყვეს ფორმა, როგორც მარქსისტული გადმონაშთი და მთლიანად წმინდა იდეას მიეცნენ თავიანთი აზრით. ფორ-

მა მათთვის მხოლოდ საშუალებაა. ანუ ცდუნება ლაპარაკისა დიდია და არავის ახსოვს 20-ე საუკუნის მთავარი ესთეტიკური იდეოლოგიის პოსტულატები: „ფორმა არის სათქმელი“ და „საშუალება არის შინაარსი“. ჩვენი კოლექტიური ფორმა კი საზოგადოებაა და მასზე პასუხისმგებლობას პოლიტიკა ეწოდება. ხოლო უდიდესი გაბედულების და მგრძობილობის მქონე უნდა იყოს პოეტი, რომ პოლიტიკური აქციოს საკუთარ სამუშაო არეალად, საკუთარ ფორმად, საკუთარ სათქმელად.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არის რაღაც, რაც ამ ტიპის მისწრაფებაში შეიძლება გვიზიდავდეს და გამოარჩევდეს მას სხვა დანარჩენისგან. უპირველეს ყოვლისა, ეს არის თვითონ ინტონაცია ნარატივის. სწორედ ინტონაციამ გადაარჩინა ზურაბ რთველიაშვილი ასეთივე რთულ გზაზე, როდესაც მან ავანგარდისტული გემოვნება და მონოდება მასობრივი ხელოვნების მომხმარებლებს ძალით შესთავაზა თითქმის ყოველგვარი წარმატების გარეშე. მაგრამ თვითონ კი შეძლო პოეტად გადარჩენა. ეს ინტონაცია იყო, რაც ადრე, ასევე, დალილა ბედიანიძეს პანაცეად გამოადგა. სწორედ ინტონაცია გამოარჩევს პოეტს და არა შინაარსები და სადაც სხვაგან არსებული სათქმელი. შეგვიძლია კიდევ შორს წავიდეთ: რამდენიმე პოეტი, ვინც ტრუიზმებით

თავის გატანა შეძლო – ალბათ, მაინც უფრო შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი. ილია ჭავჭავაძე სწორედ ამ ტრუიზმების მაქსიმალიზაციის გამო არ მიიჩნია ბევრმა სრულფასოვან პოეტად. და თუ კარგად დაფუკვირდებით, სწორედ ილია ჭავჭავაძის პოეტიკის რეაბილიტაციაზეა დღეს ლაპარაკი ხატია შიუკაშვილთან. ასეთი შესაძლებელი ამბიციით კი არა მხოლოდ ახალი პოეტური ენა იქნება დადგენილი და აღმოჩენილი, არამედ სათქმელიც უფრო ჭუმანური, არააბსტრაქტიზებული გახდება და ბევრი ადამიანის რეალურ სატიკვართან და ბედთან მივა.

ხატია შიუკაშვილის ამბიციას, როგორც ყველა წამოწყებას, ბევრი სირთულე ელოდება წინ. თუ საერთოდ შეძლო ასეთმა ფენომენმა განვითარება თანამედროვე საქართველოში, რომელიც, როგორც ავტორს მიაჩნია, მთლიანად ერთი განსხვავებული ლუარსაბ თათქარიძეა და არა ილია ჭავჭავაძე, ვინც საკუთარ თავში გონივრივი სიზარმაცე დაძლია. პოეტ ქალთან ეს ამოცანა დგას – როგორ გადავაქციოთ მოწოდებები პოეზიად, ანუ როგორ გამოვიყენოთ დღევანდელი რეალობა პოეზიის სასარგებლოდ. და თუ იმასაც გავისხენებთ, რომ ნამდვილი პოეტი ყოველთვის თავიდან იბადება, მაშინ ხატია შიუკაშვილისთვისაც ეს კიდევ ერთი საინტერესო დასაწყისია.



ლევან კოლაშვილი, „ჟარის დღეები“

# ბანქოს თამაში მესნიერულად... ანუ უფასოდ მიჯაჭვული „პრომეთე“

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

უფულო კულტურისა და უკულტურო ფესტივალების დრო, როგორც ჩანს, უახლესი ისტორიის არქივს ბოლომდე ვერ ჩავაბარეთ. თანაც არქივები დაგვიანებითაც იხსნება ხოლმე და უკვე კარგად ნაცნობი ფაქტები თავდაყირა დგება. მაგრამ მივენდოთ ოპტიმიზმს და დავიჯეროთ, რომ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც ყოველი წლის ნოემბერ-დეკემბერში იმართება, აღარ იქნება იმდენად ლატაკი, რომ მომავალში მისმა ორგანიზატორებმა ოფიციალური საფესტივალო კონკურსის ჩატარება ვერ შეძლონ და ვერც მთავარი პრიზი – „ოქროს პრომეთე“ გასცენ.

ცხადია, ჩვენი დაგვიანებული რეფლექსია განვილილ საფესტივალო ამბებს ველარ შეცვლის. შემოდგომა ძალიან დატვირთული აღმოჩნდა შიდა და გარე კულტურული აქციებით, ფესტივალებით, შეხვედრებით თუ თანამედროვე „არტ-ზონების“ მაუნყებელი გამოფენებით. ამასობაში თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი ერთგვარად „დაიჩაგრა“ კიდევ. ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნებისმიერი კულტურული მოვლენა ან

ფესტივალი ქვეყნის იმიჯზეც აისახება, ასე ვთქვათ – მისი საფიზიტო ბარათია, რომელიც არ შეიძლება რაიმე სოციალურ ან კულტურულ კონიუნქტურას შევნიროთ. არ შეიძლება არც კინემატოგრაფიული „პრომეთე“ დავამშოთ და არც თეატრალური „საჩუქრების“ გაცემა ავკრძალოთ. თუმცა ეს უფრო სერიოზული თემაა.

თბილისის პირველი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი რომ კარგად იყო რეკლამირებული და მისი ბიუჯეტი ორ მილიონს გასცდა, ლამის ყველა გაზეთმა თუ ჟურნალმა გვამცნო, რაც თავისთავად სასამოვნო მოულოდნელობაა, მაგრამ რატომ ერგო უკვე ფეხზე დამღვარ „პრომეთეს“ მხოლოდ ასი ათასამდე ლარი? მით უმეტეს, რომ ფესტივალის ორგანიზატორები საიუბილეო, მეათე ფესტივალისთვის თადარიგს წინასწარ აუცილებლად დაიჭერდნენ. არა მგონია ან სპონსორებს გამოეჩინოთ გარკვეული უგულისყურობა, ან კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს – სიძუნწე.

რამდენადაც ვიცით, სახელმწიფომ კინო ლამის მთავარ პრიორიტეტად

გამოაცხადა და უახლეს კინოპროექტებშიც საკმაოდ დიდი ფული ჩაიდო, მაგრამ... ლუიჯი კომენჩინის ცნობილი ფილმის პერსონაჟისა არ იყოს, „ბანქოს თამაშს“ სიმკაცრე და ეშმაკობა სჭირდება, ისევე როგორც „მეცნიერული“ მიდგომა“.

როცა ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ თბილისის კინოფესტივალის დღეებში საინტერესო კინობლოგებს ქმნიდა და დისკუსიებს აწყობდა, ვერ გაითვალისწინებდა, რომ ექვსდღიანი „კინომართონის“ შედეგები და ანალიზი, გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენ ფურცლებზე დაგვიანებით აისახებოდა. ამდენად, გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა ფესტივალის ზოგადი პოლიტიკა, ფილმების შერჩევის თავისებურებანი, ნაკლოვანი თუ დადებითი მხარეები. ცხადია, აუცილებელი პერსპექტივის გათვალისწინებით.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ათწლიანი ისტორია 2000 წლიდან იწყება, როდესაც ის პირველად ფესტივალ „საჩუქარის“ ფარგლებში გაიმართა. ორი წლის შემდეგ კი დამოუკიდებელი სტატუსი მიიღო და ცალკე



მაიკ ლი. „ვერა დრაიკი“



კაროლინ ლინკი. „ჯამთარში ერთი წელი გახდება“



ნიკა მაჩაიძე. „ანაკლი“

ფესტივალად ჩამოყალიბდა. იგი ყოველი წლის შემოდგომაზე, დაახლოებით ერთი კვირით ეპატიჟება კინომანებს. როგორც აღვნიშნეთ, წელს პრიზები, ისევე როგორც „ოქროს პრომეთე“, არ გაიცა. გასულ წელს მთავარი პრიზი სტეფან არსენიევიჩის ფილმს „სიყვარული და სხვა დანაშაულობანი“ მიენიჭა; „ვერცხლის პრომეთე“ კი საუკეთესო რეჟისურისთვის ოზჯან ალპერის „შემოდგომას“ გადასცეს.

ქართული კინემატოგრაფისათვის ყველაზე წარმატებული მაინც 2005 წელი გამოდგა. გელა ბაბლუანს „ვერცხლის პრომეთე“ გადაეცა საუკეთესო რეჟისურისათვის (ფილმი „ცამეტი“), ხოლო ლევან თუთბერიძის „მოგზაურობა ყარაბაღში“ ფიპრესით დააჯილდოვეს. მანამდე, 2004 წელს „ოქროს პრომეთეს“ მფლობელი დიტო ცინცაძე გახდა, რომლის პირველი დიდი ევროპული წარმატება – „გასროლის შიში“ (სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე) რეჟისორის სამშობლოშიც გაიზიარეს.

უკვე ათწლიანი გადასახედიდან კარგად ჩანს ორგანიზაციული საკითხების სირთულე და მუდმივი ფინანსური პრობლემა, რომელსაც ფესტივალის დირექცია თითქმის ყოველწლიურად აწყდებოდა. საიმედო პარტნიორები – გოეთეს ინსტიტუტი, დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი, „ქართულ-

ბრიტანული კულტურის პლატფორმა“ და სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები მუდმივად თანამშრომლობენ ფესტივალთან, რაც მხოლოდ მისასაღებელია. სამაგიეროდ, ლამის მინიმალურ დონეზეა ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებთან კავშირი და არც მათი ახალი ფილმებით ვარტ განებივრებული.

ფინანსურმა კრიზისმა და უპრიზოდ დარჩენილმა ფესტივალმა (რომელიც ჟურნალისტებმა „უპატარძლო ქორწილს“ შეადარეს), ცხადია, სასიამოვნო შთაბეჭდილება ვერ დატოვა კინომანებზე, მაგრამ საპრემიერო ჩვენებებმა და განსაკუთრებით საინტერესო სტუმრების ჩამოსვლამ საგრძნობლად გამოაცოცხლა საფესტივალო ატმოსფერო. მარტო დიდი ბრიტანელი რეჟისორის, მაიკ ლის სტუმრობა, მისი ფილმები და მასტერკლასი ხომ უკვე მოვლენაა.

ფესტივალის კინოთეატრ „ამირანში“ სწორედ მაიკ ლის ცნობილი ფილმით – „ვერა დრეიკი“ დაიხურა, რომელსაც თავად რეჟისორიც ესწრებოდა. ვენეციის კინოფესტივალის ტრიუმფატორი და სამ „ოსკარზე“ ნომინირებული ფილმი (რეჟისურა, სცენარი და ქალის მთავარი როლი) დიდ ბრიტანეთში 50-იან წლებში არალეგალურ აბორტებს ეხება. ვერა დრეიკი გულწრფელად, უსასყიდლოდ და „კეთილი ზრახვით“ ეხმარება ქალებს, ანუ, მაშინდელი კანონის მიხედვით, ჩადის დანაშაულს.

რეჟისორი ხაზგასმულად ნეიტრალურია პერსონაჟის მიმართ და გვიტოვებს საშუალებას, თავად შევაფასოთ დანაშავეა ვერა დრეიკი თუ გარემოების მსხვერპლი. მკაცრი და პირქუში რეალიზმი არ ეწინააღმდეგება შესანიშნავ რეტრო-სტილიზაციას და, რაც მთავარია, მაიკ ლი არ არის მორალისტი. ფესტივალმა ასევე გაიხსენა ბრიტანელი რეჟისორის ფილმები „შიშველი“ და „უდარდელი“.

რადგან ფინალით დავიწყეთ, აქვე დავძენთ, რომ ფესტივალის ლევან კოლუაშვილის ახალი ფილმით, „ქუჩის დღეებით“ გაიხსნა, რომელიც უკვე იანვრის ბოლოს როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ კონკურსში იქნება წარმოდგენილი. კოლუაშვილის ფილმს ერთი შეხედვით ბანალური სიუჟეტი აქვს – პოლიციელები ამანტაჟებენ „სტაჟიან“ ნარკომანს, რომ მან საკუთარი მეგობრის შვილს წამალი გაუკეთოს, შემდეგ კი მდიდარმა მამამ შვილის გამოსახსნელად დიდი ფული გადაიხადოს.

უმთავრესი ფილმში მაინც გარემოა – ცხადი, ზუსტი და შემზარავი, რომელიც რეჟისორმა დაუნდობელი ნეიტრალურობითა და ყოველგვარი სენტიმენტების გარეშე ასახა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ფილმში მონაწილე მსახიობები სიყალბის გარეშე თამაშობენ, რაც ქართული კინოსათვის ნამდვილად



სიურპრიზია. და მაინც, სრულიად მოულოდნელია გუგა კოტეტიშვილის მიერ განსახიერებული მთავარი გმირი, 45 წლის ცარიელი და მარტოსული „ჩეკი“, რომელსაც ცნობილი დიზაინერი ყოველგვარი პათეტიკისა და ხელოვნური დრამატიზმის გარეშე თამაშობს; უბრალოდ და განსაცვიფრებელი რეალურობის განცდით.

ლევან კოლუაშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობს იმედგაცრუებულ, დეპრესიულ 90-იანელთა „დაკარგულ“ თაობას, რომელმაც საკუთარი ცხოვრება ერთ უნაყოფოდ საშინელ კითხვას გადააყოლა – სად და როგორ ვიშოვოთ ნამალი? მაგრამ უფრო საშიშია, როცა უფროსი თაობის მაგალითი ავადმყოფურად გადამდები ხდება; როცა გზა არსაით მიდის, ხოლო თინეიჯერები სკოლის მერხებიდან გადაიან „დაკაცების“ გაკვეთილებს.

ფესტივალის დამაინტრიგებელ დასაწყისსა და მაღალმხატვრულ ფინალს შორის დაახლოებით 120 ფილმი მოექცა; მხატვრული, დოკუმენტური, რეპორტაჟული, მოკლემეტრაჟიანი, უცხოური თუ შინაური. მაყურებელს ექვსი დღის განმავლობაში შეეძლო ნაირგვარი არჩევანი გაეკეთებინა. მაგალითად, ახალი გერმანული კინო (კაროლინ ლინკის ფსიქოლოგიური დრამა „ზამთარში ერთი წელი გახდება“, ან მიხაელ ბალჰაუზის დოკუმენტური ფილმი „ბერლინი“); ფრანგულ რეტროსპექტივას (ლორან კანტეს შესანიშნავი „კლასი“ ან ძმები დარდენების გამორჩეული „ლორნას მდუმარება“) შეედარებინა; ენახა შედარებით უცნობი იტალიური ფილმები: ევროპული „სეზა-

რით“ დაჯილდოებული, მატეო გარონეს „გომორა“ და ეროვნული კინემატოგრაფიული პრიზით „გამაგრებული“ პაოლო ბენვენუტის „პუჩინი და გოგონა“. ბევრი ფილმის ნახვა საერთოდ შეუძლებელიც იყო მკაცრი საფესტივალო გრაფიკის გამო.

რადგან 2009 წელს საფესტივალო კონკურსი არ არსებობდა, ბევრი რეჟისორი უფრო მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა. მაყურებელი თანაბრად გადანაწილდა დარბაზებსა და ფილმებს შორის. ვერავინ იტყოდა, რომელი ფილმი რომელს ჯობდა. ამიტომაც მაყურებელი საკუთარ ინტუიციას უფრო ენდო. ქართული პროგრამიდან, ლევან კოლუაშვილის გარდა, შთაბეჭდილება მოახდინა მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროგრამამ. განსაკუთრებით ირაკლი ფანიაშვილის ჩუმი სიმძაფრითა და დრამატიზმით გამორჩეულმა ფილმმა „სერგო გოთორანი“, რომელიც აფხაზეთიდან ლტოლვილი ოჯახის ტრაგედიას „უგმიროდ“ გვიჩვენებს, ხოლო ოპერატორის, ნათელა გრიგალაშვილის ნამუშევარი მართლაც შესანიშნავია. მოულოდნელი რაკურსით გამოირჩევა ნუცა მესხიშვილის „ბედნიერება“ (სცენარის ავტორი ზაირა არსენიშვილი) და 2008 წლის ომისადმი მიძღვნილი ფილმი „დაღუპულები“ (რეჟისორი სალომე ჯაში).

დრამატურგიულად საინტერესოადაა აგებული ნინო ფურცხვანიძისა და პიტერ-იან სმიტის ფილმი „რა თქმა უნდა ამერიკაში“, რომელიც არაღვალურ ემიგრაციასა და სასიყვარულო თავგადასავალში გახლართული „მშვენიერი ქართველი ქალის“ (მსახიობი ქეთევან

ხარშილაძე) ისტორიას მოგვითხრობს. შედარებით „ნორჩებიდან“ კი ზაზა რუსაძის „ნაკეცები და ბზარები“, ნიკა მაჩაიძის „ანარეკლი“, და სანდრო ჯანდიერის Chamber piece (ეს უკანასკნელი ლონდონის კინოსკოლაში სწავლობს) ახდენს კარგ შთაბეჭდილებას. დოკუმენტური ფილმების პროგრამიდან უნდა გამოვარჩიოთ ვანო ბურდულის „კონფლიქტის ზონა“ და ოლიკო ჟღენტის „კნუტ ჰამსუნის კავკასიური მისტერიები“.

შედარებით დიდი და წარმატებული ქართველებიდან ფესტივალმა ნანა ჯორჯაძე, ირაკლი კვირიკაძე და ნინო კირთაძე დააფასა. საფრანგეთში მცხოვრები მიხეილ კობახიძის 70 წლის იუბილე და მისი მოკლემეტრაჟიანი ფილმების რეტროსპექტივა გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ნანა ჯორჯაძის არაფრისმთქმელი და ხელოვნური ზღაპარი-ფილმი „მეტეოიდოტი“. აღარაფერს ვამბობ ნინო კირთაძის სუბიექტურ და ევროპულ კონიუნქტურაზე გათვლილ დოკუმენტურ ფილმზე „ზოგი რამ საქართველოს შესახებ“, რომელიც ზეაღელვებელი სააკაშვილის ტელე-პორტრეტს უფრო ჰგავს...

ფრაგმენტები თბილისის უპრიზო კინოფესტივალის ცხოვრებიდან შეგვეძლო ერთი შეგონებით დაგვემთავრებინა: კრიზისი უფრო გვაძლიერებს, რადგან სოციალურ იმუნიტეტს ამაღლებს. რატომღაც მგონია, რომ სამაგიეროდ, ფესტივალის დონეს აკნინებს და უკვე მომდევნო კინოფესტივალზე, „ბანქოს თამაში მეცნიერულად“ ანუ, ეშმაკობა ფულის დაზოგვის მიზნით, აღარ გამოვა. თუმცა, ვინ იცის?!



# ბაიციბუნი ჭახის ფოტოზა აღბაჭევა, რაბთვის ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო სარუქახია.

## American Express® საკრედიტო ბარათი

- მაღალი საკრედიტო ლიმიტი;
- დაჯილდოების პროგრამა - Membership Rewards™;
- განსაკუთრებული შემოთავაზებები;
- უსაფრთხოება;
- მსოფლიო კლასის მომსახურება.

იციზორეთ უკეთესად, მიიღეთ ბარათი.  
დარეკეთ ნომერზე: 444 300 ან ეწვიეთ  
ვებ-გვერდს: [www.americanexpress.ge](http://www.americanexpress.ge)



American Express®-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი.



*My life. My card.*



# ყელის ტბა

ავტორი: სანდრო ნაპერიანი  
ფოტო: ჯოტა გაბრიჩიძე

დიდი სიამოვნებით დავთანხმდი, დამენერა რამე რუბრიკის ქვეშ „იმოგზაურე საქართველოში“. დიდი სიამოვნებით იმიტომ, რომ რაც თავი მახსოვს, მართლა აქეთ-იქით დავეხეტები და არათუ კუთხე, საქართველოში ადმინისტრაციული ერთეული არ მეგულება, რომ არ ვიყო ნამყოფი. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ გამიხარდა და თანაც ვიფიქრე, სიამოვნებითაც დავნერ და დიდი ტვინის ჩყელებაც არ დამჭირდება, რა და როგორ დავნერო-მეთქი. და როცა სანერად დავჯექი, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მე ამ ქვეყნის თითქმის არაფერი ვიცი. კი, ბევრი მიხეტილია და ყველგან ნამყოფი ვარ, მაგრამ ის, რაც მნიშვნელოვანია, ის, რაც განასხვავებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს ერთმანეთისგან – ადამიანები – მათ შესახებ არაფერი ვიცი. გარდა იმისა, რომ ამ აღმოჩენამ ძალიან დამამწუხრა, დამაფიქრა კიდევ და თვალის ამიხილა – დროა გავიცნო ჩემი ქვეყანა და ვიყო უკეთესი ტურისტი, ვიდრე ავსტრიელი კლაუსი, ან შვეიცარიელი მარკუსი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გადავწყვიტე დღეს საქართველოს იმ ნაწილზე მოგიყვებო, სადაც არავინ ცხოვრობს,

გარდა გარეული ცხოველებისა და ზაფხულობით კარვებში დაბანაკებული ტურისტებისა. ამ ადგილს ყელის ტბა ჰქვია და დღეს იქ მოხვედრა თითქმის შეუძლებელია. არა იმიტომ, რომ ზამთარია, არამედ იმიტომ, რომ ყელის ტბის მიმდებარე ტერიტორიას დღეს რუსი და ოსი მესაზღვრეები აკონტროლებენ.

ყელის ტბაზე მოხვედრა რამდენიმე მარშრუტით არის შესაძლებელი და აქედან ყველაზე პოპულარული თეთრი არაგვის ხეობიდან, გუდამაყრის მარშრუტი და ქსნის ხეობის მარშრუტია. ამბობენ, – ქსნის ხეობიდან ჯობს, უფრო შთამბეჭდავია, ბევრად უფრო ლამაზიაო. ეგ მარშრუტი მე არ ვიცი, მე აქედან, არაგვის ხეობიდან წავედი, ზემო მღვთას ცოტა გავცდი და სერპანტინის პირველივე მოსახვევში ჩამოვედი ტრანსპორტიდან, დანარჩენი ფეხით უნდა გვევლო.

ოთხნი ვიყავით – თინიკო, დათო, ძია და მე. თინიკოც და დათოც ტყე-ღრეში გამოცდილი მოგზაურები არიან, მეც, ასე თუ ისე ვქაჩავ, აი, ძიას კი აშკარად ეტყობოდა, რო გამოუცდელი იყო. ამას პირველად მაშინ მივხვდით, როდესაც ტრანსპორტიდან ჩამოსულებმა ბარგის

გადანაწილება დავიწყეთ. ძიას ისეთი ზურგანთა ჰქონდა წამოღებული, ერთი კილომეტრი ორი კილო ბარგიც რო ეტარებინა, მხარზე მოსაკიდებელი ქამრები მხრებს მოაჭრიდა. ეს პრობლემა მოვაგვარეთ, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ თითქმის ჩუსტებით იყო წამოსული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთი ათჯერ მაინც გადაუტრიალდებოდა ფეხი და შეიძლება უკან მობრუნებაც კი დაგვჭირებოდა. ძიას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ყველაზე მაგრად იარა. მაშინ 15 წლის იყო.

დავიძარით და პირველი დაბრკოლება იქ შეგვხვდა, სადაც ყაზბეგას სახლი დგას და სახლს კიდევ რამდენიმე ქოფაკი იცავს. ყაზბეგას სახლი არაგვის მარჯვენა ნაპირზე (დინების მიმართულებით) სულ მარტო დგას, შეფენილი მთის ფერდზე. ყაზბეგა სახლში არ იყო, მისმა ქალიშვილებმა კი ძაღლებს ვერაფერი მოუხერხეს, ამიტომაც თითქმის კედელზე მოგვინია ხოხვა. როგორც იქნა, ავიარეთ ყაზბეგას სახლს უკან მთის ფერდი და გავსწორდით. პირველივე ნახევარ საათში ისე დავიღალე, ვიფიქრე, აქვე გავშლი კარავს-მეთქი. სწორზე მწყემსები შეგვხვდნენ. სალამ-ქალამის შემდეგ, –

აბა, საით გაგინევიათო, – და რო გაიგეს, ყელის ტბაზე მივდიოდით და თან ჩემი ქომინიც დიდხანს ისმინეს, თავი გააქნიეს და გზა დაგვილოცეს. კი გაგვიკვირდა, უხალისოდ რო აგვისსნეს გზა, ხელებით და თავის განევ-გამონევით, მაგრამ სამი დღის შემდეგ, როდესაც ტბას მივალნიეთ, მივხვდით რატომაც გვიხსნიდნენ უხალისოდ – ამხელა გზის ჩვენება შეუძლებელია და განსაკუთრებით მაშინ, როცა თითქმის გზის დასაწყისში ხარ. მიგნებით კი მივაგნებდით, ტოპოგრაფიული სამხედრო რუკაც გვქონდა და თან თბილისიდან ერთი თვით ადრე ყელის ტბაზე ნამყოფი ჯაბა მალალურაძეც ხაზზე იყო, და თუ სადმე ორიენტირს ვკარგავდით, ეგრევე ხარი ჯაბასთან და, ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა.

ორსაათნახევარი ისე ვიარეთ, ერთხელაც არ გავჩერებულვართ და საკმაოდ დიდი და რთული მონაკვეთი გავიარეთ. დასასვენებლად რო დავსხედით, დავინახეთ, რო გუდაური თითქმის მოტოვებული გვქონდა. ისე კი, უცნაური სანახავი იყო ხევის მეორე მხარეს მოტივტლებული გუდაური. ამის შემდეგ კიდევ ცოტა ვიარეთ, რამდენჯერმე შევისვენეთ და არაგვის სათავესთან მისულვებს, იქ, სადაც მინას მონყვეტილი მდინარე ჩანჩქერად იქცევა, დავბანაკდით. პირველმა დღემ, რუკის და ჯაბას მონაცემების თანახმად, საკმაოდ ნაყოფიერად ჩაიარა, ანუ მეორე დღეს, დაახლოებით ხუთი-ექვსი საათისთვის უკვე ყელის ტბა უნდა გვენახა.

იმ ღამეს დავკრიფეთ დეკა და გზად დათრეული ფიჩხიც მივაყოლეთ და მშვენიერი კოცონი გამოგვივიდა. დავლიეთ არაყი, რომელიც იმდენი გვქონდა, სად წაგველო, არ ვიცოდით და დავიძინეთ. უფრო სწორად კი დავეყარეთ კარვებში და გავითიშეთ.

მეორე დღე უფრო რთული იყო, ვიდრე წინა ღამით წარმოგვედგინა, ცეცხლის გარშემო მჯდომები არაყს რო ვურტყამდით. პირველად სწორად ყელის ტბაზე გამოვცადე, თუ როგორი ძვირე შეიძლება იყოს „პახმელია“. მე და დათო დავიტანჯეთ, რაც შეეხება ძიას და თინიკოს, მათ არაფერი ეტყობოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ძია და თინიკო მკვირცხლად შეუყვინენ ბილიკს, იძულებულნი გახდნენ, ჩემი და დათოს ტემპს მორგებოდნენ, ამიტომაც ყელის ტბა ვერც იმ დღეს ვნახეთ. თუმცა,

ერთი ათჯერ მაინც იყვირა წინ წასულმა ძიამ, – ვხედავ, ვხედავო, მაგრამ... ჩვენ ვულკანურ პლატოს მივუყვებოდით, სადაც რამდენიმე ათეული ტბა არის და ალბათ გაზაფხულობით კიდევ უფრო მეტი.

ღამე ერთ-ერთი პატარა ტბის ნაპირას გავათიეთ. კარვები ქვიშაზე გავშალეთ და გავიმეორეთ ის, რაც წინა ღამით – კოცონი, ოღონდ ცოტა მოკრძალებული და დალევაც კიდევ უფრო მოკრძალებული. რაშიც თავი არ დაეზოგეთ, ჭამა იყო. გემრიელად მივირთვიეთ და მკვდრებივით დაგვეძინა.

დათომ დილაუთენია წამოგვყარა. ჩვენ პატარა სანაპიროს ჯერ მზე არ მოსდგომოდა, კერა, რა თქმა უნდა, გაცივებული იყო, და ამიტომაც ჩავიცვით ყველაფერი, რაცკი თან გვქონდა, რამენაირად სიცვივს რომ არ ავეტანეთ. დათომ ჯერ დასიებულ სახეებზე შემოგვხედა, მერე კარვების გარშემო და მთელ პლაჟზე ჯერ კიდევ თბილი დათვის ნაკვალევი გვანახა და ხელი ჩრდილოეთით გაიშვირა, – ამ გორას იქით ყელის ტბა არისო.

ყელის ტბა მართლაც ულამაზესი სანახაობაა, მით უფრო დილაუთენია, ჯერ კიდევ ჰაერი რო არ იძვრის და ტბას მზის სხივები არ დასდგომია. გონია, თითქოს უზარმაზარი სარკის ნამსხვრევი გდია და მასში ყველაფერი ჩანს, რაც მას ზევით არის. მზის ამოსვლის შემდეგ ნიავიც დაუბერავს ხოლმე და გარდა იმისა, რო ტბა მზის სხივებს ირეკლავს და მისი სრული სილამაზით დატკობას ვერ ახერხებ, ტბაც ლივლივს იწყებს, და სარკის ეფექტიც მომავალ დღამდე ქრება. დილაობით ყელის ტბა ყველაზე ღამაზია.

გადავიღეთ ფოტოები, ვიბოდიღეთ აქეთ-იქით და ორ საათში ბანაკში დავბრუნდით. ჯერ ათი საათიც არ იყო. გადავწყვიტეთ, მალევე ავბარგებულებიყავით, რომ ის მანძილი ერთ დღეში ჩაგვევლო, რომლის ამოვლასაც თითქმის სამი დღე მოვანდომეთ. აქ ცოტათი კანონზომიერების დარღვევა მოვისურვეთ ალბათ, და ამიტომაც მოხდა ისე, რომ მაინც მეორე დღეს ჩავედით.

მე მთელი მეორე დღე წელი მანუხებდა. ხო, დამაზინყდა მეთქვა, რომ ყოველ ღამე წვიმდა. ჩემ კარავში წყალი შემოვიდა, შესაბამისად საძილე ტომარაშიც და წელი ამიტომაც მტკიოდა – გამიცვივდა. წელის ტკივილის გამო, ჩემთვის

ადგომა-დაჯდომა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც დათოს, თინიკოს და ძიას ვუთხარი, – მე წავალ, არ გავჩერდები, გახურებულზე საერთოდ არ მანუხებს წელის ტკივილი, და არაგვის სათავესთან დაგელოდებით, იქ, სადაც პირველი ბანაკი გვქონდა-მეთქი. ძიამ, – მეც წამოგყვებით.

საათნახევარი-ორი საათი იყო, რაც გზაში ვიყავით, მე და ძიამ სროლის ხმა რომ გავიგეთ. ძალიან შორს, დაახლოებით 40 წუთის სავალში ქვევით დავინახეთ, წერტილები მოძრაობდნენ. ძიას ფილოსოფიურად ვუთხარი, – მწყემსები, მათთან შევისვენეთ და იქ დაველოდოთ დათოს და თინიკოს-მეთქი. თან გამორიცხული იყო, დათო და თინიკო აგვცდნოდნენ – უკანა გზაზე ვილაც ღვთისნიერის მიერ აგებულ ყორღანებს მოვყვებოდით.

დაახლოებით 40 წუთში ადგილზე მივედით. მანამდე ვხედავდით, რომ მწყემსები რალაც უცნაურად გადაადგილდებოდნენ. არც რამე ოთხფეხი დავინახავს და ცოტა ეჭვი კი შემეპარა – მწყემსებისთვის ცოტა უცნაურად იქცევიან-მეთქი. მერე ვიფიქრე, მონადირეები იქნებიან, აბა, სხვა ვინ უნდა იყოს-მეთქი...

**Руки вверх!** – დიდი ლოდის უკნიდან გამოძვრა ახალგაზრდა ყმანვილი და ავტომატი მოგვიშვირა მე და ძიას. მას კიდევ ორი დაეხმარა – მოგვიშვირეს რუმინული კალაშნიკოვები; დაგვაგდეს ქვასთან და გვეკითხებიან ათას სისულელეს. ძიას უხარია, ერთფეროვნულ თბილისურ ცხოვრებას მონყვეტილი ასეთ ამბავში რო გაეხვია. ვერ ხვდება, რამდენად სერიოზულად შეიძლება განვითარდეს მოვლენები და ამიტომაც რალაც სისულელეებს ლაპარაკობს, მესაზღვრეებს ელაპარაკება. აღმოჩნდა, რომ ოსი მესაზღვრეები ყოფილან და ჩვენ გვადანაშაულებენ საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და ჯაშუშობაში. მე და ძიას (15 წლის არის!). არაფერს არ გვეუბნებიან, გარდა იმისა, რო ცხინვალში უნდა წავიყვანონ და ხელისუფლებას გადაგვცენ. გვეუბნებიან, რომ თავის მეგობრებს ელოდებიან და, როგორც კი ისინი მოვლენ, ცხინვალისკენ დავიძვრებით, მაგრამ გამოჩნდა ერთი პრობლემა – როდესაც გვეკითხეს, მარტო ხართ თუ არაო, – ვუთხარი, – კი-მეთქი. ამ ჩემმა დაუფიქრებელმა პა-

სუხმა კინალამ იმსხვერპლა დათო: სანამ მესაზღვრეების მეგობრებს ველოდებოდით, ერთ-ერთი მესაზღვრე, რომელსაც შემდეგში როდოდენდრონი შევარქვით, დურბინდით არემარეს ათვალეირებდა. უცებ შაშხანა (სნაიპერსკი ვინტოვკა რა) მოიმარჯვა და ჩაუჯდა. მეორემ ჰკითხა, – რა ხდებოა, – და როდოდენდრონმა, – ვილაც ზანგი და ქალი მოდიანო. ზანგი დათო იყო, ნვერებში და დამწვარი სახით. ამიტომაც, სანამ ყველაფერს მივხვდებოდით, ინსტინქტმა დაასწრო ჩემ გონებას და სასწრაფოდ იყვირა – **не стреляйте, они с нами...**

სანამ დათო და თინიკო ჩვენამდე მოვიდნენ (გზაში მათაც ეგონათ, რომ მწყემსები დახვდებოდნენ), აუუსხენი მესაზღვრეებს, რომ არ მომიტყუებია ისინი, როდესაც ვუთხარი, მარტო ვართ-მეთქი. ჩვენზე წინ იყვნენ და მეგონა, უკვე უნაგირს იქით იქნებოდნენ და ამიტომაც გითხარი, რომ მარტო ვართ, ესენი აქ მოჩანჩალეებენ-მეთქი.

დათო და თინიკო გაღიმებულები მოვიდნენ, თინიკოს გზად ალპური ყვავილების თაიგულიც კი შეეკრა. როცა მიხვდნენ, რაში იყო საქმე, ისეთივე გაღიმებულები დარჩნენ და გვერდით მოგვისხდნენ. ჰოდა ვისხედით ასე გაღიმებულები, სანამ ის სამი მესაზღვრეც არ მოვიდა. ყველაზე უარყოფითი გმირი ტერორისტი თუ გაგახსენდათ ვინმე, რომელიმე ამერიკული „ბოევიკ“-ტრილერიდან, აი, სწორად ეგ გმირი იყო ერთ-ერთი იმ სამიდან და ამიტომაც მის დანახვაზე ღიმილი ბუნებრივად წამეშალა და საშინელი მწუხარება გამომეხატა სახეზე. ყველაფერზე ვიფიქრე, რაც კი დამიშაგებია ცხოვრებაში და ვინანე ყველაფერი,

რისი გაკეთებაც შემეძლო და არ გავაკეთე. კბილებამდე შეიარაღებული, ცხენზე ამხედრებული შამილ ბასაევი მოემართებოდა ჩვენკენ დინჯად და ცხენის ყოველი ნაბიჯი მაახლოვებდა ინფარქტთან, არადა ასეთი ახალგაზრდა ვიყავი.

საბედნიეროდ, შამილ ბასაევი მხოლოდ „ვიღზე“ აღმოჩნდა შამილ ბასაევი და იმ ექვსკაციან ჯგუფში მთავარი და ყველაზე სამიში თურმე სულ სხვა ყოფილა, სახელადაც და გვარადაც „ძედუშკა“, რომლის სიტყვაც ისეთივე კანონი იყო დანარჩენი ხუთისთვის, როგორც – ვენესუელის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრისთვის უგო ჩავესის სიტყვა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დაგვავლეს ხელი და ნარნარით ჩამოვლილი ეს დაღმართი სულ აღმართად გვიქცის – ცხინვალისკენ გზას შევუდექით. როცა მივხვდით, რომ არ მოგვკლავდნენ, დავიწყეთ ჯერ ტკბილი სიტყვით ასხნა, რომ აგენტები არ ვართ, მერე ცოტა ნავინუნუნეთ, მერე მხოლოდ ვწუნუნებდით და ბოლოს როცა ფეხები აღარ გვემორჩილებოდა და არც გონება, ისევ ინსტინქტმა გამოგვიყვანა მდგომარეობიდან და გავბრაზდით. უფრო სწორად კი, თინიკო გაბრაზდა, ჩვენ კი თინიკოზე ვბრაზობდით, – ნუ უყვირი, აქვე დაგვხოცავენ, დაგვჩეხავენ, დაგვყრიან და ეგეთი რამერუმეები. თინიკომ თავისი გაიტანა: მაშინ მაღლაფერიძე მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორი იყო, ამათ ვუთხარით, გადარეკეთ ცხინვალში, გადარეკონ ვასოსთან და იქ გაარკვევენ, ვინ ვართ ჩვენ. ამან გაჭრა, მირეკვა-მორეკვის შემდეგ გვითხრეს, – დღეს ველარ გაგიშვებთ და ღამე ერთად უნდა გავათიოთ, ხვალ კი თქვენ გზაზე მიბრძანდითო.

იმ ღამეს ისევ ის გავაკეთეთ, რასაც წინა ღამეებში ვაკეთებდით – ისეთი კოცონი გვეკონდა, ჯორდანო ბრუნოსაც კი შეშურდებოდა, არჩვის მწვადები (ამათ იქ უნადირიათ კიდეც), ცოტა არაყი და ცოტაც სპირტი გაზავებული წყალი. მაშინ კი ვინანეთ, სიმძიმის გამო პირველ ბანაკთან ორი ლიტრი არაყი რო დავეტოვეთ, მაგრამ ვერაფერს ვიზამდით – ვსვით და ვსვით ეს წყალნარევი სამედიცინო სპირტი. სადღეგრძელოებში ყველამ აღვინინეთ, რომ პოლიტიკის დედაც და ჩვენ ძმები და დები ვართ, რამ გაგვყო ოსი და ქართველები, რო ორივე მართლმადიდებლები ვართ და დავიძინეთ, მაგრამ ტკბილად ვერა, იმიტომ რომ ისევ განვიმდა და ისევ დავსველდი.

ღილით ფოტოები გადავიღეთ, ძიას ავტომატიც კი მისცეს ხელში და ხელიც გადახვიეს. „ძედუშკამ“ თავისი ტელეფონი ჩაგვანერინა, ჩვენ ჩვენი მივეციით და სახლში მშვიდობით დავბრუნდით.

ომამდე „ძედუშკაც“ რეკავდა და ჩვენც ვრეკავდით მასთან, ომის მერე კი ჩვენი ტელეფონები დადუმდა. დადუმდა ყელის ტბაც, იმიტომ რომ იქ, ქართველების და საქართველოში ჩამოსული ტურისტების გარდა, არავინ დადიოდა და ისიც ძალიან იშვიათად, ახლა კი ალბათ აღარავინ დადის და, ვინ იცის, კიდევ რამდენი წელი იქნება ასე.





პროექტი – ჩვენი და „ვეფხისტყაოსანი“ წარმოგიდგენთ ხუთტომეულს:

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ბოლო რედაქციით;



„მოგითხოვთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ – ენციკლოპედიური კრებული პოემისა და მისი ავტორის შესახებ;

„ვეფხისტყაოსანს“ მოგითხოვენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია – პოემის პროზაული ვერსია, რომლის ავტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ არაბული. ტექსტს ერთვის მხატვარ მამია მალაზონიას ილუსტრაციები;

„ვეფხისტყაოსანს“ წარმოგიდგენთ ქეთი მატაბელი – პოემის უძველესი ხელნაწერებისა და მხატვარ მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციების მიხედვით შექმნილი 52 ფოლიანტი, რომელსაც ახლავს ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის ესსე ქართულ და ინგლისურ ენებზე;

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2008 წ.წ. – ქართულ და უცხოურ ენებზე დაბეჭდილი პოემის 300-ზე მეტი გამოცემის ჩამონათვალი.

წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ ლიტერატურულ არტ კაფე „ქარავანში“.
   
 მისამართი: ფურცელაძის ქ. 10
   
 ტელეფონი: +995 32 99 66 91
   
 899 67 77 56 ირინა







# რაზე ფიქრობს ურბან რეაქტორი

რუსუდან მირზიკაშვილი და ლევან ასაბაშვილი

ავტორი: ნინო ლომაძე  
ფოტო: დავით მესხი



„არავინ იცის, როგორ გახდება უკეთესი ჩვენი ქალაქი, ამას მხოლოდ ლამაზი პრო-  
ვინციული დასახლებების თვალთვლებით, მასშტაბების ცვლით, ან ოცნების ქალაქების  
აგებით ვერ მოახერხებ. ამისთვის უბრალოდ, გარეთ უნდა გახვიდე და გაიარო“.

**ჯეინ ჯეიკობსი**  
**„ქალაქი ხალხისთვისა“**

**ერთი მოთახი**

ამაღლების ქუჩაზე, „აი, იქ, სოლო-  
ლაკს ივანიშვილის ბიზნეს ცენტრი  
რომ ადგას თავზე, იმის ქვემოთ“,  
რუსოს და ლევანის სახლში მივდი-  
ვარ. ორიენტირად ჰაიტექ სტილის  
შენობას ვიღებ და მისამართს მაშინვე  
ვპოულობ. რკინის ჭიმკრით მოცუ-

ცქნულ ეზოში შევდივარ. პირდაპირ  
ნახევრად დანგრეულ ორსართულიან  
სახლს ვხედავ. მეორე სართულზე  
წინა კედელი მთლიანად ჩამორღვეუ-  
ლია და ძველისძველი შპალერი, ჭალი  
და პატარა შუშაბანდი მოჩანს, სადაც  
რალაც ავეჯიც კი დგას. ცხადია, იქ  
არავინ ცხოვრობს.

ამ ეზოში ადრე რვა ოჯახი ცხო-  
ვრობდა. სახლის ქვეშ, პატარა სარ-  
დაფშიც თურმე ქურთების მრავალ-  
შვილიან ოჯახს ჰქონდა ბინა. ძველი  
მოსახლეებიდან იქ მხოლოდ ლევანის  
ოჯახილა დარჩა. უბრალოდ ცოტა  
გაფართოვდნენ და ბავშვობისდროინ-  
დელ სახლში, მეორე სართულზე,





მიშენებული აბაზანით და სარეცხის გასაფენი ძველებური, გორგოლაჭიანი თოკით, მშობლები დარჩნენ. მათ ქვემოთ ლევანის ძმის ოჯახი დასახლდა. ლევანი და რუსო კი ერთი კეთილი მეზობლის სახლში ცხოვრობენ, რომლებიც კარგა ხნის წინ ისრაელში წავიდნენ საცხოვრებლად და ის ერთი ოთახი მათ დაუტოვეს. „იშვიათად ჩამოდიან, დახედავენ აქაურობას, მადლობას გვეტყვიან, ყველაფერი უცვლელი რომ ხვდებათ ხოლმე და მერე ისევ მიდიან“, – მიყვება ლევანი და ეზოს სრული აღწერის მერე სახლში მიძღვება. პატარა შუშაბანდი, ზამთრის სიცივის დროს მცენარეების დროებითი თავშესაფარია. ოთახში შესასვლელში თორას დროშა ჰკიდია. „განსაკუთრებით ეს ახარებს, რომ დროშა ისევ ადგილზე ხვდება. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც დატოვეს, არაფერი შეგვიცვლია“.

ლევანი მშობლებთან და ძმასთან ერთად იმ ერთ ოთახში გაიზარდა, სადაც დედა და მამა დღესაც არიან. იქ ყველაფერი ძველებურადაა, ავეჯიც იგივე დგას, შპალერიც ისეთივეა, მოხატული ზემოდან. „რალაცნაირად მიყვარს იქაურობა. მომწონს კიდევ ასეთ პატარა სივრცეში რომ გავიზარდეთ. დიდ სახლში ყველას თავისი ოთახი, მეტი პირადი სივრცე აქვს. ურთიერთობებიც სხვანაირი ყალიბდება. მე და ჩემი ძმა ხშირად

ვკინკლაობდით ხოლმე, და უფრო მეტჯერ ვიდრე ეს დიდ სახლში შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ეს პატარა კონფლიქტები, ვფიქრობ, კიდევ უფრო არკვევს ურთიერთობებს, აახლოვებს ადამიანებს ერთმანეთთან“.

\* \* \*

რამდენჯერაც წერეთელზე სტადიონის მონაკვეთს გაივლის, რუსოს თავისი „ერთი ოთახი“ ახსენდება. პატარა, ერთსართულიანი მოგრძო სახლი და ის ერთი ოთახი, სადაც დედა, მამა, ბებია, თვითონ და პატარა ძმა ცხოვრობდნენ. რალაცნაირი ფრაგმენტული და რომანტიკულია ეს მოგონება – სანოლი, სადაც დედასთან ერთად ეძინა, მოცუტქნული სამზარეულო, სადაც ბებია ფუსფუსებდა, საერთო ეზო, სადაც მეზობელ ბავშვებთან ერთად თითქმის მთელ დღეს ატარებდა. მერე მშობლებმა დოლიძის ქუჩაზე დიდი ბინა მიიღეს და იქ გადასახლდნენ, მაგრამ ის პატარა ოთახი, ერთმანეთზე რომ ბრაზობდნენ და ერთი ომანიანი კარის გაჯახუნების, ან „სამუდამო“ გაბუტვის საშუალება არ ჰქონდათ, მაინც სხვანაირად ახსენდება. ამბობს, რომ ახალი ბინა და საკუთარი პირადი სივრცე მაშინვე რატომღაც ვერ მოიხრგეს. „ხშირად მაინც ერთ ოთახში ვისხედით ხოლმე“.

ეს „ერთი ოთახი“ უცნაურად

ამეკვიცია. უფრო სწორად, ეს მათი ცხოვრების აკვიცება მგონია, რადგან ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, რაზეც ფიქრობენ, მუშაობენ, განიცდიან და უხარიათ, კონკრეტული თუ ზოგადად სივრცის გარშემო ტრიალებს და ყოველთვის აკვიცებული ერთი პატარა ოთახიდან იწყება.

### ოთახი აკადემიაში

რუსოს რომ ვკითხე, ასე მიპასუხა, – აკადემიაში ერთი გავრცელებული მითის და ამბიციის გამო ჩავაბარეო. მითის – აკადემიაში ბოჰემური ატმოსფეროს შესახებ და ამბიციის, რომელსაც იმ მიზანს არქმევს, რაც მაშინ ჰქონდა – უნდოდა რამე მასშტაბურში, გლობალურში მიეღო მონაწილეობა. და ჩააბარა კიდევ. ლევანიც იქ გაიცნო, კურსელები იყვნენ. ისე, ზუსტად არც ერთმა არ იცოდა, რა უნდოდათ. უფრო ზუსტად, რაც იცოდნენ დღეს, ის ზედაპირული და არასერიოზული ეჩვენებათ. „სინდისი მექნჯნის ხოლმე, როცა მახსენდება, როგორი მიამიტურები ვიყავით. არადა, რამდენი რამის სწავლა და გაკეთება, შეიძლება შეცვლაც კი შეგვეძლო“. გვიან მიხვდნენ, რომ მთავარი არქიტექტურაში მისი სოციალური ფუნქცია და შინაარსი იყო და არა დიზაინი და ვიზუალური ფორმები; რომ კარგ არქიტექტურას მაინცდამაინც ბევრი ფული არ სჭირდება;





რომ კონსტრუქციის ტექნიკურ დეტალებზე ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანია, მათ კი ეს დროის ფუჭ ფლანგვად მიაჩნდათ. ჰო, და გემოვნება. იმასაც გვიან მიხვდნენ, რომ ქალაქში, არქიტექტურაში და ზოგადად, ურბანულ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ადამიანები და მათი უფლებებია. მოკლედ, ეს ძიების, ცდის, წინასწარი განწყობების ნგრევის და იმედგაცრუებების პერიოდის დასაწყისი იყო. მხოლოდ ინტუიციით გრძნობდნენ, რომ რაღაც მნიშვნელოვან ხაზს აცდენილები, მეორეხარისხოვან დეტალებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ფურცლავდნენ მაშინ ჯერ კიდევ იშვიათი „თაშენის“ გამოცემის პრიალა ფურცლებს და იმასსოვრებდნენ არქიტექტურულ დეტალებს. „ვერასდროს ვიმასსოვრებდი ამ მშრალ ინფორმაციას. მავინყდებოდა არქიტექტორების სახელები, ნაგებობების აშენების თარიღები“. ალბათ სწორედ იმიტომ, რომ აქცენტს არასწორად სვამდნენ. არ იცოდნენ, რა სოციალური, ეკონომიკური და

პოლიტიკური პროცესები უსწრებდა წინ ამ ახალი სტილის და მიმართულებების ფორმირებას. უბრალოდ იყო – მოგწონს? არ მომწონს. მე ის უფრო მომწონს. და რაც უფრო მოსწონდათ, იმის მიბაძვას ცდილობდნენ. ერთი სიტყვით, მათ ვარსკვლავობა, „მაგარი არქიტექტორობა“, ორიგინალური დიზაინების კეთება უნდოდათ. დღეს უკვირთ, რომ გვერდზე რჩებოდათ ყველაზე მთავარი – როდესაც პროექტზე მუშაობდნენ, სივრცეს ადამიანებისგან დაცვილი, ცარიელ ობიექტებად აღიქვამდნენ.

აკადემიაშიც იყო ერთი პატარა ოთახი, სადაც ბოლო კურსებზე, ლექციების გარდა, მთელ დროს ატარებდნენ. ალბათ მხოლოდ ეს ოთახი ამართლებდა რუსოს მოლოდინებს, აკადემიის სტუდენტების „მითიური ბოჰემური ცხოვრების“ შესახებ. შეიძლება ამ ოთახისთვის ღირდა კიდევ იქ სწავლა. რადგან ყველაზე მთავარი რაც ინსტიტუტიდან გამოყვანა, ის ადამიანები არიან, ვისთან ერთადაც იქ ტრიალებდნენ და კითხვები, რომ-

ლებზე პასუხის ძიებაც დღემდე არ დაუსრულებიათ. „ოთახში“ ღამე ხშირად რჩებოდნენ და საზავდნენ პლანშეტებზე, ფერავდნენ და მერე ერთმანეთის ნამუშევრებს არჩევდნენ. ისევ – მოგწონს? არ მომწონს. მე ის უფრო მომწონს-დისკურსში.

ლევანის და რუსოს საერთო ისტორიაც იმ ოთახიდან იწყება. თავიდან უბრალოდ მეგობრობდნენ, მერე მეგობრობას სხვა რამეებიც დაემატა და იმად იქცა, რაც დღეს ერთმანეთისთვის არიან – „მეგობრები და პარტნიორები“. „ყველას უკვირდა, ასე რომ ვაცნობდით ერთმანეთს. არადა,



ზუსტად გამოხატავს იმას, რაც ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ. საშინლად არ უხდება ამ ყველაფერს შეყვარებული, ძალიან ბავშვური მგონია ეს ეპითეტი. მაშინაც ასე ვფიქრობდი და ახლაც ასე ვფიქრობ“.

ასე რომ არ ეფიქრათ, იმ არცთუ ისე რომანტიკული გადაწყვეტილების მიღება ძალიან გაუჭირდებოდათ, რაც ინსტიტუტის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მიიღეს. მათ მიზნების მისაღწევად პირველ რიგში ხარისხიანი განათლების მიღება სჭირდებოდათ. ამას სავარაუდოდ ერთად ვერ მოა-

რომ ამ შანსის ხელიდან გაშვება არ ღირდა, ამიტომ ფაკულტეტი აღარ გაუპროტესტებია და წავიდა. ლევანი გერმანიაში გაემგზავრა და გადაწყვიტა ბედი იქვე ეცადა. თუმცა მალევე დაბრუნდა და არქიტექტურულ კომპანიაში დაიწყო მუშაობა.

რუსო ლუვენში ისტორიული ქალაქების კონსერვაციის საერთაშორისო კანონმდებლობას, რეგულირებას და მეთოდოლოგიას სწავლობდა და პარალელურად, პრაქტიკულადაც მუშაობდა ჯგუფთან ერთად, ერთ-ერთ ძველ უბანზე. პირველი, რამაც ბელგიის იმ

ბა და ფურცელზე გადატანა ძალიან გაუჭირდა.

ლუვენის, სტუდენტის რეგოლაციური განწყობებისა და ცვლილებების შემდეგ თბილისში დაბრუნდა და კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, საჯარო სამსახურში დაიწყო მუშაობა. მალე სამინისტროს დახმარებით სტაჟირებაზე იუნესკოს ოფისში გაემგზავრა, მსოფლიო მემკვიდრეობის მართვის შესასწავლად. და თავი ამოყო დასავლური ბიუროკრატიის ნამდვილ, ისტერიულ და სუპერტექნოკრატიულ სამსახურში – ბევრი ქალაქით, დოკუმენტომაწიით შეპყრობილი თანამშრომლებით და თავისუფლებისა და შემოქმედებისთვის სრული ვაკუუმით. იქ დღეები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს – ორკესტრის დასის მონესრიგებული სვლით და საქმიანი გამომეტყველებით №123445 კონვენციის, №2345 სამუშაო ჯგუფის №1456 ოთახისკენ, და მერე ისევ უკან – რაც მთავარია, ბევრი ქალაქით ხელში. თავიდან ალტაცებული იყო ამ წესრიგით. მოსწონდა და დღესაც მოსწონს მათი მუშაობის კულტურა და პასუხისმგებლობა. მაგრამ თან გააცნობიერა, რომ: ბიუროკრატიის ამ ლაბირინთებში ადამიანებს ხშირად არ ახსოვთ, რისთვის მუშაობენ; რომ ამ კეთილშობილურ სამსახურში მთავარი მაინც კომერციაა; რომ ქვეყნებს შორის ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა იმართება ახალი ძეგლისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის მოსაპოვებლად; და რომ ეს ყველაფერი კულისებს მიღმა, პოლიტიკური გარიგებების ხარჯზე ხდება, და არა უბრალოდ სამართლიანობის დაცვისათვის.

**ურბან რეაქტორი ფიქრობს, რომ, პირველ რიგში, შესაცვლელია მთლიანი ურბანული კოლიტიკა, რომლის, მათი აზრით, ძალიან ზაღაპირული და მყიფია, და კიდევ შერჩევითი, რადგან რეალურად მხოლოდ მათი უფლებები დასული, ვინაც ფული აქვს.**

ხერხებდნენ, ამიტომ ასე იფიქრეს – ორივეს დამოუკიდებლად ეცადა ბედი და, რაც მთავარია, განსხვავებული მიმართულებები აერჩიათ, რომ მერე საერთო საქმეში ფუნქციები მხოლოდ კომპეტენციის მიხედვით გაენაწილებინათ და მოქმედების არეალი გაეფართოვებინათ.

**ლუპინი**

რუსომ ბელგიაში, ისტორიული ქალაქების კონსერვაციის განხრით სასწავლო სტიპენდია მოიპოვა. ამ სპეციალობაზე, მართალია, არასდროს უოცნებია, მაგრამ იფიქრა,

ცივი ქალაქის ინსტიტუტში ბრინჯივით დააბნია, ავტომატიზირებული ბიბლიოთეკა იყო. ვერაფრით მიხვდა, როგორ შეეძლო კომპიუტერით წიგნები აერჩია. ამიტომ კარგა ხანს ბიბლიოთეკას სულ შორიდან უვლიდა, სანამ გამბედაობა არ მოიკრიბა, თვითდაჯერებული გამომეტყველებით ავტომატიზირებულ კარში არ შევიდა და ბიბლიოთეკარს დახმარება არ სთხოვა. მეორე განსაცდელი ესეების წერის დროს დაატყდა თავს. აკადემიაში მხოლოდ პროექტების ხაზვის გამოცდილების მერე, საკუთარი აზრების მკაფიოდ ჩამოყალიბე-





იუნესკოდან ახალი აღმოჩენებით და მსოფლიო მასშტაბის აპარატზე ცოტა შეცვლილი წარმოდგენით ისევ კულტურის სამინისტროში დაბრუნდა. ახალ სამმართველოში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიების დაცვაზე მუშაობდა. „ლევანს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ჩემი საჯარო მოხელის სტატუსი და ეს მოხსენებითი ბარათები, ყოველდღიური ანგარიშები“. მაგრამ რუსო მაშინ ფიქრობდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანს აკეთებდა, როდესაც ამ ტერიტორიების ფიზიკურ დაცვაზე, რეგულირებასა და საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობდა. სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზებს იკვლევდა და მათ ანალიზს სამუშაო ჯგუფს აწვდიდა. მუშაობდა დაფინანსების მოპოვებაზეც. „ვთარგმნიდი წიგნებს მეთოდოლოგიის, საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ. მაგრამ მალე მივხვდი, რომ ჩემ მთავარ მიზანს იქვერ მივალწვედი. ვფიქრობდი, რომ



ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სფეროში დეცენტრალიზაცია, პასუხისმგებლობის გადანაწილება და ახალი მართვის მექანიზმის შექმნა იყო. მაშინ ეს არ იყო პრიორიტეტი. ვიფიქრე, ალბათ ყველაფერს დრო სჭირდება-მეთქი და წამოვედი“.

ასეთი ეგზისტენციალური კრიზისების დროს საკუთარ თავს ფილოსოფიურ გამოცდებს უწყობს ხოლმე. იღებს პაუზას და იმის გაანალიზებას ცდილობს, სად ასცდა მთავარ გზას; რა იყო მიზანი, რისკენაც მიდიოდა და რამდენად იყო ეს ის, რაც მას მართლა სჭირდებოდა. მაშინაც ასე მოიქცა, დაჯდა და გაიხსენა – ჯერ მეგობრების და ოჯახის წევრების რჩევა-დარიგებები, მოტივით – რისთვის იკლავ თავს, რას ათენებ ღამეებს სამინისტროში; ერთი კომფორტული სამსახური იშოვე და მოიწყვე ცხოვრება და ა.შ. მერე მუშაობის დროს ყველაზე დიდი იმედგაცრუებებიც გაახსენდა და მიიღო გადაწყვეტილება – ივწყებოდა იდეალიზმს

და ხდება აბსოლუტურად პრაგმატული, კარიერაზე ორიენტირებული, ცოტა კონფორმისტი გოგო. მიდის სასწავლებლად ირლანდიაში, ხარისხის, და შეიძლება მომავალი სტატუსის მოსაპოვებლად. მერე ბრუნდება უკან, თბილ და კომფორტულ სამსახურში, არანაირი „ღამის თენება“ და „სამყაროს შეცვლისთვის ბრძოლა“. და წავიდა.

**დელფტი და „დინალექტიკური ექსპერიმენტი“**

ამასობაში ლევანი პრეზიდენტის სტიპენდიანტი ხდება და ჰოლანდიაში, დელფტის უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად მიდის. პირველ რიგში იმის ანაზღაურება უნდა, რაც აკადემიაში გამოტოვა. არქიტექტურის, ურბანიზმის თეორია უნდა ისწავლოს და მის მთავარ კითხვებზე პასუხები იპოვოს; სწორია თუ არა არქიტექტურის ავტონომიური ალქმა და

რა კავშირი აქვს ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებს ერთმანეთთან. „ვხვდებოდი, რომ არქიტექტურა ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებას და ბევრ ტექნიკურ სპეციალობას აერთიანებს. მინდოდა, გამეგო, რა წერტილში გადაკვეთდნენ ეს აბსოლუტურად განსხვავებული დარგები ერთმანეთს, თუნდაც პროექტზე მუშაობის დროს“. აკადემიაში კი ასეთი დავალებები ჰქონდათ ხოლმე. მოცემულთა: სკოლის პროექტი. რაღაც N ფართობზე, N რაოდენობის საკლასო ოთახით და ა.შ. მაგრამ არასდროს იცოდნენ, სად იგებოდა სკოლის შენობა, როგორი დასახლებული იყო ტერიტორია, როგორი ხალხი ცხოვრობდა, რა პრობლემები ჰქონდათ. „ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალებია. გამოდის არ ვფიქრობდით, რომ ამ პროექტებს ჩვენ რეალურად ადამიანებისთვის ვაკეთებდით“.

>>> გაგრძელება გვ. 96



**ჩვენთან, სივრცე სოციალური კუთვნილებაა. მაგიტომ მიყვარს ეს თვითშეაქმნილი ნახალოვკა. იქ ჩვენ უახლეს ისტორიას წაიკითხავ – როგორ აგებდნენ ადამიანები სახლებს, რა მასალებს იყენებდნენ და როგორ დიზაინს ირჩევდნენ. ეს არის სწორად ის კულტურული მუხბი, რომელის ქარბად იქ ჩანს, სადაც კონკრეტული ნაკლებია და მეტია თავისუფლება.**

ფიგ 02





# ბრძოლა თავისუფლებებისთვის

ავტორი: ნინო ჯაფიაშვილი  
ფოტო: გოგი საბარაღი, იური მადითოვი

„ერთ ამბავს გეტყვი, კარგად რომ მიხვდე, რა სიგიჟეში ვცხოვრობდით 90-იან წლებში, – მეუბნება თომა და ეცინება, – როდესაც შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდა, კიტოვანი მივიდა და უთხრა, – ატომური ბომბი მაქვსო. შევარდნაძემ ჯაბა დაიბარა და სრულიად სერიოზულად ჰკითხა: კიტოვანი ასე ამბობს და, მართლა რამე ხომ არ აქვსო? მე ვიცი, რომ საქართველოში რუსებს ეგეთი არაფერი ჰქონიათ“.

სიცილს უცბად წყვეტს, აღარც ამ ისტორიის მოყოლას აგრძელებს და ჩემი იქ ყოფნა დროებით ავინყდება. რამდენიმე წამში სპონტანური ფიქრებიდან გამოფხიზლებული ხმამალა მეუბნება: „იცი, რატომ უნდა ვიცოდეთ, როგორები ვიყავით ახლო წარსულში? იმიტომ, რომ მე, მაგალითად, არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ თუ ეს დავივინყეთ, საზოგადოება აღარასოდეს გაიმეორებს იმას, რაც ჩაიდინა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ქართველები კიდევ ერთხელ არ დაანგრევენ საკუთარ ქვეყანას საკუთარი ხელით“.

თომა ჩაგელიშვილს, თითქმის ათი წელია, ვიცნობ და რაც ვიცნობ, სულ საქართველოს უახლეს ისტორიაში იქექება. არ მეგულება ამ ბნელი და სასტიკი ეპოქის არც ერთი მთავარი მოქმედი პირი, რომელსაც პირადად არ შეხვედრია და საათობით არ უსაუბრია. რომ ჰკითხოთ, დანვრლებით ავიხსნით, როგორ მივიღეთ დამოუკიდებლობა ისე, რომ არც კი გავვიგია, მოგვივებათ, როგორ გაატარა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავისი უკანასკნელი დღეები, რატომ დაეცა სოხუმი ან რატომ ესროდნენ ქართველები ერთმანეთს ზურგში; როგორ ეყო თბილისის და აფხაზეთის ომით დაღლილ ქვეყანას და ხალხს ძალა, განგსტერული ეპოქისთვისაც გაეძლო, როგორ იბრძოდა ჩვენი სამაყო კულტურული ელიტა პრივილეგიებისთვის, როცა დასჭირდათ რუსების მიერ დარიგებული ავტომატებით ხელში.

იმ ისტორიების ნაწილი, რომელიც თომამ დეტალურად შეისწავლა, მის სატელევიზიო ფილმებში მოხვდა, ნაწილიც – „ცხელი შოკოლადისთვის“ ჩაწერილ ამ ინტერვიუში.

შეიძლება თქვენ ეს პერიოდი კარგად

გახსოვთ, მე ბევრი რამე დავინყებულნი მქონდა, დიდი ნაწილი კი არც ვიცოდი. უბრალოდ, არ დამეინყებია, იმ რადიკალური დაპირისპირების დროს რომელ მხარეს ვიდექი, და განვიცდი ამას, თუმცა ზუსტად ასევე შემრცხვებოდა, საპირისპირო მხარეს რომ ვმდგარიყავი. მოკლედ, თუ თქვენ როდესმე ამ პერიოდის გახსენება დაგჭირდებათ, გეცოდინებათ, რომ ამ საუბრის ჩანაწერი შეიძლება ამაში დაგეხმაროთ. თავად მიხვდებით, რა გადავლახეთ, რა გავაცნობიერეთ, რას აღარ ჩავიდნენ და დღემდე რა არ შეგვიფასებია. მიხვდებით, როგორც ერმა და ქვეყანამ, რისი შანსი გავუშვით ხელიდან, და ჯერ კიდევ რისი შეცვლა შეგვიძლია.

**თომა, რა ხდება საქართველოში მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი იშლება?**

როდესაც ცვლილებების ქარმა დაბერა და მოსახლეობას თავისი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა, ქართველმა ხალხმა კონკრეტულად და მკაფიოდ განაცხადა: ჩვენ გვინდა დამოუკიდებლობა. ეს იყო მთავარი დაკვეთა.

იმ პერიოდში ქვეყანას ისევ კომუნისტური ელიტა მართავდა, თუმცა უკვე ჩანდნენ ისინიც, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობაზე ხმამალა დაიწყეს ლაპარაკი.

**ვინ არის ეს ხალხი?**

პროფესორებიდან დაწყებული კანონიერი ქურდებით დამთავრებული.

ზვიადი, ქართველთა სათაყვანებელი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია, მისი, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომები მხოლოდ ვინრო დისიდენტურმა წრეებმა იცინან. აკაკი ბაქრაძის ლექციებზე აუდიტორიებში ტევა არ არის, ნოდარ ნათაძე უნივერსიტეტის პროფესორია, ირაკლი ბათიაშვილი ელიტური ოჯახის შვილია, ირაკლი წერეთელი, დისიდენტური საქმიანობის გამო, ახალი გამოსულია საპატიმროდან. მოკლედ, ყველა განათლებული ადამიანია, რალაც თვალსაზრისით – ელიტის წევრიც.

ამ წრეში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მერაბ კოსტავა. ის პრინციპებისთვის მებრძოლი ადამიანია, 10 წელი გადასახლებაში, ციხეებში გაატა-

რა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტების წინაშე ბოლში არ მოიხადა, ფორმალურადაც კი.

გია ჭანტურია, რომელიც მომავალში ყველაზე ძლიერ პარტიას ქმნის და ჯაბა იოსელიანი – პროფესორი, ყოფილი კანონიერი ქურდი. მოკლედ, ისინი არ არიან უბრალო ადამიანები.

აი, ეს არის ჩვენი მომავალი პოლიტიკური ელიტა, რომელსაც კომუნისტური პარტია მალე მმართველობას აჩუქებს. აი, ეს ადამიანები ჰპირდებიან ქართველ ხალხს, რომ დამოუკიდებლობამდე მიიყვანენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ თავად არ სჯერათ იმის, რასაც ხალხს ჰპირდებიან, არ სჯერათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა რეალურია.

აი, ერთი მაგალითი ამის საილუსტრაციოდ: ზვიად გამსახურდია უკვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა, მისი მოადგილე აკაკი ასათიანი მოსკოვში, გორბაჩოვთან შეხვედრაზე ჩადის. აკაკი ასათიანი მიყვება: „ვხედავ, რომ კრემლში არანაირი წესრიგი, არანაირი სიმკაცრე არ არის, ვისაც საიდან უნდა, იქიდან შემოდის, საიდანაც უნდა, გადის, ჩანს, რომ მოშლილია მთელი სისტემა. ჩამოვდი და ზვიადს ვეუბნები: „ზვიად, საბჭოთა კავშირი იშლება! მან კი ბოლომდე ვერ დაიჯერა“.

რადგან პოლიტიკურ ელიტას არ სჯერა იმის, რომ საბჭოთა კავშირი შეიძლება ძალიან მალე დაიშალოს, არც იმის სჯერა, რომ მალე ხელისუფლებაში მოვა და ამიტომ პასუხისმგებლობა საერთოდ არა აქვს და ეს არის ყველაზე ტრაგიკული.

**რა საჭირო იყო ამდენი ლაპარაკი დამოუკიდებლობაზე, საბჭოთა კავშირი ამ დროს ხომ თავისი სიკვდილით კვდება?**

მაგას მაშინ ვერავინ ხედავდა. თავად ამბობენ, რომ როდესაც ეროვნული მოძრაობა დაიწყეს, არავინ ფიქრობდა, რომ ხვალ პარლამენტის წევრები, პრემიერ-მინისტრები, პრეზიდენტები გახდებოდნენ; არ ეგონათ, რომ მთავრობაში მოვიდოდნენ.

**რა ლოზუნგები აქვთ, როგორ უნდათ, რომ დამოუკიდებლობას მიაღწიონ?**

უნდა შეექმნათ ეროვნული კონგრე-



თბილისი 1990



თბილისი 1988



პარილი, თბილისი 1989



პარილი, თბილისი 1989



მირაზ კოსტავას ლაპარაკობა, თბილისი 1990

სი, ანუ კომუნისტების ალტერნატიული ხელისუფლება, თუმცა კონკრეტულად რა უნდა ეკეთებინა კონგრესს, კაცი-შვილმა არ იცოდა.

ამავე დროს საშინელი რადიკალები იყვნენ, ბალტიისპირელები, ვინც იმ დროს დამოუკიდებლობისკენ არჩევნების გზით მიდოდა, აქ სასაცილოდ აიგდეს. არჩევნები ქართველებისთვის ხელისუფლებასთან ალიანსს ნიშნავდა.

ის ხალხი, ვინც ამბობდა, – მონაწილეობა უნდა მივიღოთ არჩევნებში, მოლაღატებად გამოაცხადეს.

1990 წლის მარტში არჩევნები მართლაც ჩაიშალა და კომუნისტებს ხელისუფლებაში ყოფნა თითქმის ერთი წლით გაუხანგრძლივდა.

**რატომ ვიყავით ჩვენ პოლიტიკურად ასეთი უმწიფრები და ახლომხედველები?**

ერთადერთი ობიექტური მიზეზი, რითაც შეიძლება ეს უმწიფრობა გავამართლოთ, ისაა, რომ 200 წელი არ ვიცოდით, რა იყო სახელმწიფოებრიობა. ჩვენ ნგრევის სპეციალისტები აღმოვჩნდით, იმიტომ რომ არ ვიცოდით შენება.

90-იან წლებში მთელ მსოფლიოში საქართველო ხდება რეკორდსმენი ეკონომიკის ნგრევით, ჩვენ და ტაჯიკეთი. 91-დან 93 წლამდე, 3 წელიწადში საქართველომ 50 წლით უკან დაიხია.

**ამ გამოუცდლობის გამო, ამ ეტაპზე რა შეცდომები მოგვდის და რისი შეცვლის შანსს ვუშვებთ ხელიდან?**

ქვეყანაში მაშინ ორი ძალაა. ახალი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ძალიან პოპულარულია, ლაპარაკობს სანუკვარ მიზნებზე, მაგრამ არანაირი კომპრომისის გაგონება არ უნდა და მარტო გმირობის ჩადენაზე ფიქრობს. მეორე მხარეს არიან კომუნისტები, რომლებიც ვითომ გამოცდილები არიან, ვითომ იციან ქვეყნის მართვა, მაგრამ ისინიც არაფრის მაქნისები აღმოჩნდნენ, საკუთარ თავსაც კი ვერ უშველეს. ამავე დროს 9 აპრილის შემდეგ სრულიად დისკრედიტებული არიან.

მაშინ საქართველოში 300 ათასზე მეტი კომუნისტი იყო და ისინი არჩევნებში ხმას მრგვალ მაგიდას აძლევდნენ, იმიტომ რომ საკუთარი თავის არ

სჯეროდათ, ძალიან დეგრადირებულები და დემორალიზებულები იყვნენ.

მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ვერც ახალმა, ვერც პოლიტიკურმა ელიტამ, რომელიც უნდა მოსულიყო ხელისუფლებაში, და ვერც კომუნისტებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყვნენ, ვერ გაითავისა პასუხისმგებლობა. სწორედ ამის გამო, ჩვენი ქვეყანა სულ მალე ფაქტობრივად დაინგრა.

**რაში გამოიხატება ეს უპასუხისმგებლობა, სად ჩანს, რომ პოლიტიკოსები არ ფიქრობენ საკუთარი ნაბიჯების შედეგებზე?**

მაგალითად: მაშინდელი გაზეთი „კომუნისტი“, და ეს არ იყო შემთხვევითი გამოცემა, სრულიად სერიოზულად წერდა: არაქართველ მოსახლეობას უნდა აუკრძალოთ ერთ შვილზე მეტის გაჩენის უფლებაო, – და ეს საზოგადოების განხილვის თემა გახდა.

განწყობა ასეთი იყო: საქართველო ვართ ჩვენ – ქართველები და სხვების – აფხაზების, ოსების, აზერბაიჯანელების, სომხების, რუსების გადასაწყვეტი არ არის, როგორ უნდა ვიცხოვროთ. მე მახსოვს, ოსური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ ერთ-ერთ განცხადებაზე ირაკლი ნერეთელმა მიტივზე თქვა: „ესენი ვილა არიან, ამათი საქმე ისეა, კუმ ფეხი გამოყო“, ანუ ოსები სასაცილოდ აიგდო. მაშინდელი ეროვნული მოძრაობა სხვა ერების მიმართ სიძულვილს თესავდა. არაფერი არ მოხდებოდა ამ ხალხს რომ დალაპარაკებოდნენ, მაგრამ ფეხებზე ეკიდათ ის, რას აკეთებდნენ, ემოციებით ხელმძღვანელობდნენ. ჩვენი პირველი პრეზიდენტი გახდა ადამიანი, რომელიც აფხაზებს ეუბნებოდა: თქვენ როგორც ერი არ არსებობთ და თუ თვითგამოკვევა გინდათ, წადით და ჩრდილოეთ კავკასიაში გამოერკვიეთო.

როდესაც გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდა, სიები შეადგინეს და ოსებს სამსახურიდან ერეკებოდნენ. გამსახურდიას ხელისუფლებამ ბაკურიანში 10-15 სოფელი 48 საათში დაცალა ოსებისგან. იგივე ხდებოდა კახეთშიც.

ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ამას მხარს უჭერდა, მოსწონდათ ოსე-

ბს რომ ერეკებოდნენ, ძალიან მოსწონდათ, როცა აფხაზებს ვჩაგრავდით.

**როგორი იყო ამაზე აფხაზების და ოსების პასუხი, არის თუ არა მათი პოლიტიკური ელიტა უფრო ბრძენი?**

საბჭოთა კავშირის დაშლისას, როგორც ჩვენ ვეძებდით ახალ ადგილს, ასევე ეძებდნენ ისინიც ახალ სასიცოცხლო სივრცეს. ჩვენ რომ საერთო ენა მოგვეძებნა, ორივესთვის კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ელიტა ერთნაირი იყო – სადაც ქართველები ოსებს ჯობნიდნენ, იქ ოსებს ერეკებოდნენ, სადაც ოსები ქართველებს – ქართველებს ერეკებოდნენ. იგივე ხდებოდა აფხაზეთშიც. გუდაუთიდან ქართველები მორბოდნენ, სოხუმიდან აფხაზები გარბოდნენ.

ერთნაირი უმეცრებაა სამივე მხარეს. ჩვენც, ოსებიც და აფხაზებიც ერთნაირი ქაჯები ვიყავით და ერთმანეთი გეძულდა.

**თუმცა იმის პარალელურად, რომ ქართველები ოსებს და აფხაზებს უპირისპირდებიან, დაპირისპირება დაწყებულია თავად ეროვნული მოძრაობის შიგნით. რატომ?**

რადიკალური დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც გამსახურდიამ განაცხადა, რომ 1990 წლის გაზაფხულზე უზენაესი საბჭოს არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. ოპოზიციამ გამსახურდიას ეს გადაწყვეტილება დიდ შეცდომად და კრემლის თამაშში მონაწილეობად შეაფასა. ქანტურიამ გამოაცხადა, რომ გამსახურდია და შეეარდნაძე ალიანსში არიან, გამსახურდია კრემლის აგენტია. გამსახურდია იგივეს ამბობდა ქანტურიაზე, დაპირისპირება თანდათან ღრმავდებოდა.

მაშინ საზოგადოებამ არჩევანი გამსახურდიას სასარგებლოდ გააკეთა. იმავე წლის 26 მაისს ლოკომოტივის სტადიონზე გამსახურდიას მხარდასაჭერად ძალიან ბევრი ხალხი მივიდა, გამსახურდია ხელში აიტაცეს და ისე შემოატარეს წრე. აი, მაშინ იქცა ზვიად გამსახურდია ბელადად.

ოპოზიცია მიხვდა, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი გამსახურდიას მხარეს იყო.



თბილისის სამოქალაქო ომი, 1991



1990



თბილისის სამოქალაქო ომი, 1991



თბილისის სამოქალაქო ომი, 1991



თბილისი, 1996

ამიტომ 1990 წლის 30 ოქტომბერს გამსახურდია თამამად წავიდა არჩევნებზე და გაიმარჯვა კიდეც, თუმცა ბედის ირონია ისაა, რომ გამსახურდიას ეგონა, უმცირესობაში იქნებოდა. მრგვალ მაგიდას ეგონა, რომ კომუნისტების ოპოზიციაში იქნებოდა. როდესაც არჩევნების შედეგები გამოაცხადეს, გამსახურდიას პირველი სიტყვები იყო: „ახლა რა ვქნათ“?! ხელისუფლებაში მოსვლა პასუხისმგებლობას ნიშნავდა.

გამსახურდია ხელისუფლებაში ნოემბერში მოვიდა, დეკემბერში კი უკვე პრობლემები ჰქონდა ოსეთშიც და აფხაზეთშიც.

პირველი, რაც ეროვნულმა მთავრობამ გააკეთა, უარი თქვა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომლის გაფორმებასაც მიხაილ გორბაჩოვი ცდილობდა.

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება განახლებული საბჭოთა კავშირის შექმნას გულისხმობდა.

კრემლში შეხვედრისას გორბაჩოვმა აკაკი ასათიანს ჰკითხა: რად გინდათ დამოუკიდებლობა? აკაკი ასათიანი პასუხობს, – გულწრფელად რომ ვთქვა, მინდა, რომ ჩემმა შვილმა რუკაზე ნახოს თავისი ქვეყანა. ეს ჩვენი დაპირება იყო და ამაზე უარს ვერ ვიტყვითო. აკაკი ასათიანი მიყვება: „ერთხანს მიყურა გორბაჩოვმა და მერე მითხრა: ისეთი რამე არ გააკეთოთ, რომ უკან დასახევი გზა არ დაიტოვოთ, ერთი ათი წლის შემდეგ საქმე შეიძლება ისე წავიდეს, რომ დამოუკიდებლობაზე ხელი თავად მოგინეროთ. მე ვკითხე, – მიხაილ სერგევიჩ, თქვენ ფიქრობთ, რომ ათი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი აღარ იარსებებს? Черт его знает! – მიპასუხა მან“.

**ამ ეტაპზე ჩანს თუ არა საქართველოში დასავლეთის ინტერესები, თუ საქართველო ისევ მხოლოდ რუსეთის ანაბარაა?**

ჯორჯ ბუშმა, რომელიც მაშინ უკრაინაში ჩავიდა, ცალსახად თქვა, რომ ამერიკა მხარს არ უჭერდა საბჭოთა კავშირის დაშლას. ჩვენ გვინდა, რომ ეს ქვეყანა დემოკრატიული გახდესო, – ამბობს იგი. ამ ეტაპზე საქართველოსაც ძალიან გასაგებად უთხრეს,

რომ თქვენ არ განგიხილავთ როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას საბჭოთა კავშირის გარეთო.

თავად საბჭოთა კავშირს და გორბაჩოვს კი საქმე ცუდად ჰქონდათ. მაშინ გორბაჩოვი ცდილობდა, რომ რესპუბლიკები ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე დაეთანხმებინა და აცხადებდა, რომ ამ დოკუმენტს ხელი არა მარტო რესპუბლიკებმა, არამედ ავტონომიებმაც უნდა მოაწერონო. გორბაჩოვმა ავტონომიები სახელმწიფოებს დაუპირისპირა. და ამით მან ავტონომიები რუსეთს ისევე აუფეთქა, როგორც საქართველოს.

გორბაჩოვს, რომელსაც საბჭოთა კავშირის გადარჩენა უნდოდა, საფრთხე პირველ რიგში რუსეთიდან ემუქრებოდა. ბორის ელცინი და რუსეთის ახალი პოლიტიკური ელიტა ამბობდა, – ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვაქვს გადასარჩენი და არ გვჭირდება რესპუბლიკები, რომლებსაც რესურსები უნდა გავუყოთ, მათთან თანაბარუფლებიან ურთიერთობას ავანცობთო. ელცინსა და გორბაჩოვს შორის ძალიან მწვავე დაპირისპირებაა. წარმოიდგინეთ, რუსეთის პრეზიდენტს მანქანის საწვავს და საბურავებს არ აძლევდნენ.

ამ პოლიტიკურ ბრძოლაში ელცინი გამსახურდიას კარგი მოკავშირე შეიძლება ყოფილიყო და იყო კიდეც. ელცინი რომ რუსეთის პრეზიდენტი გახდა, მის ბანკეტზე თამადა გამსახურდია იყო. ღვინოები და კონიაკები ქართველებმა ჩაიტანეს. ელცინი თანახმა იყო ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებაზე და გამსახურდიას შეუთანხმდა, რომ კავკასიაში საერთო პოლიტიკას გაატარებდნენ. თუმცა ეს ურთიერთობა გამსახურდიას დუდავეთან მეგობრობამ გააფუჭა. გამსახურდიამ ელცინის სახით მოკავშირე დაკარგა და უნებლიეთ აღმოჩნდა საქართველო გორბაჩოვის თამაშში ჩართული.

**როგორ ტრანსფორმირდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეა ძალაუფლებისთვის ბრძოლად, როგორ მივიდა ასე მოკლე დროში ქვეყანა სამოქალაქო ომამდე?**

ზვიად გამსახურდიასთვის და მთელი საქართველოსთვის 1991 წლის 2 სე-

ქტემბერი გადამწყვეტი აღმოჩნდა. იმ დღეს გიორგი ქანტურია კინოს სახლის წინ მიტინგს მართავდა. იქ მაქსიმუმ 200 კაცი იდგა. ახლაც მასსოვს კინოს სახლიდან რუსთაველის ძეგლამდე სივრცე შევსებული არ ყოფილა. არც გზა იყო გადაკეტილი.

კაცმა არ იცის რატომ, გამსახურდიამ მიტინგის დაშლა გადაწყვიტა, დარბევისას პისტოლეტებიდან გაისროლეს და რამდენიმე ადამიანი დაიჭრა კიდეც.

9 აპრილის მერე ქართულ საზოგადოებაში მიტინგის დაშლა 9 აპრილის ტოლფას დანაშაულად ითვლებოდა. 1989 წლის შემდეგ მიტინგი საქართველოში არასდროს არავის დაუშლია.

**ახლა კიდეც ერთი შემთხვევა, 7 ნოემბერიც გამახსენდა.**

მგონი, მართლა ასეა. მოკლედ 91 წლის 2 სექტემბერს ქართველებისთვის თითქმის 9 აპრილი გამოვრდა.

ამ დღიდან მოყოლებული ისე სწრაფად განვითარდა ყველაფერი, რომ ვერავინ მოასწრო აზრზე მოსვლა. 4 თვეში ისე აირია სიტუაცია, რომ ძალღიპატრონს ველარ ცნობდა. ყოველდღე ჩხუბები, შეტაკებები, მიტინგებზე თავპირის ლენვა, საშინელი განუკითხაობა ხდებოდა.

ოპოზიციას ახალი ლიდერები გამოუჩნდა – თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა – გამსახურდიას ყოფილი პრემიერ-მინისტრი და სარდალი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე იყვნენ ნაწყენები, რომ თანამდებობები დაკარგეს. ვერავინ იტყვის, რომ ისინი პოლიტიკური იდეებისთვის ან იდეალებისთვის იბრძოდნენ.

იმის გამო, რომ კიტოვანს ჯარი ჰყავდა, მასთან და სიგუასთან გაერთიანდა მთელი ოპოზიცია. აქვე იდგა კულტურული და ინტელექტუალური ელიტაც, რომელიც ამბობდა: ჩვენთან არის სიმართლე და სამართალი, გამსახურდია არის სიბნელე. გამსახურდიას წინააღმდეგ ისინი სიტყვიერად იბრძოდნენ და კალამნიკოვებითაც, მათ ისევე მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის დანგრევაში, როგორც ყველა დანარჩენებმა.



სოხუმი 1992



სოხუმი 1993



აფხაზეთი 1993



სოხუმი 1993



აფხაზეთი 1992

# არსენი როგინსკი:

## რუსეთში არ არსებობს პოლიტიკური სივრცე

ავტორი: ნინო ბაქიშვილი



შარშან ნოემბერში ჰაინრიხ ბილის ფონდმა და გერმანული სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციამ (dvv international) გამართეს ერთობლივი ვორქშოფი თემაზე „საქართველოს საბჭოთა წარსულის გააზრება“, სადაც ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანელი, ბალტიისპირელი და რუსი საბჭოთა ისტორიის სპეციალისტები. ვორქშოფზე მოხსენება წაიკითხა ცნობილმა რუსმა დისიდენტმა, ადამიანის უფლებების დამცველმა და ისტორიკოსმა არსენი როგინსკიმ. მისი მოხსენება სტალინიზმის გააზრების რუსულ დისკურსს შეეხებოდა. არსენი როგინსკი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იკვლევს საბჭოთა ტერორს, არის არაერთი კრებულის ავტორი და რედაქტორი, უფლებდაცვითი ორგანიზაციის „მემორიალის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის წევრი.

ინტერვიუ არსენი როგინსკისთან სწორედ ვორქშოფის შემდეგ ჩაენერეთ.

**თქვენ სტალინიზმის მკვლევარი ხართ. როგორ შეიძლება ახსნათ თანამედროვე რუსეთში სტალინის პოპულარობა?**

რუსეთში სტალინის მაღალი რეიტინგის შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი. ეს ამბავი ნორმალურ ადამიანს, ცხადია, შოკში აგდებს. იმასაც გეტყვით, რომ სინამდვილეში სტალინმა სატელევიზიო კონკურსში „რუსეთის სახელი“, მესამე კი არა, პირველი ადგილი დაიკავა. იმ ადამიანების რიცხვი, ვინც დღევანდელ რუსეთში სტალინს უკანასკნელი საუკუნეების ყველაზე უფრო წარმატებულ ადამიანად თვლის, მართლაც დიდაა – რუსეთის მოსახლეობის დაახლოებით 53 პროცენტი. ამ დროს ამავე მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტი სტალინურ რეპრესიებს გაუმართლებლად მიიჩნევს. და ეს შიზოფრენია არ არის, ასე პარადოქსულადაა მოწყობილი დღევანდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცნობიერება.

ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, რუსული საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებაშია საძებნი, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერ-

თად დაიწყო. სსრკ-ს დაშლას მაშინ ჯერ კიდევ არავინ უწოდებდა „დიდ გეოპოლიტიკურ კატასტროფას“, როგორც შემდგომ დაარქვა პუტინმა. ისტორიული მესხიერების აფეთქება, რომელიც „პერესტროიკის“ წლებს მოჰყვა და როგორც მაშინ გვეჩვენებოდა, ახალი ისტორიული რეალობა შექმნა, მალევე ჩაჩუმდა მრავალი მიზეზის გამო, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ რუსეთში ადამიანებმა დაკარგეს სოციალური სტატუსი, ამას მოჰყვა საკმაოდ მტკივნეული რეფორმები, საყოველთაო ქაოსი. დაისვა შეკითხვა – „ვინ ვართ? ადრე საბჭოთა ადამიანები ვიყავით. დღეს ვინ ვართ?“ ამ კითხვაზე პასუხი ადვილად მოძებნეს საქართველოში, ლიტვაში, ყირგიზეთში – სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში. რუსები კი ვერ დაეყრდნენ რსფსრ-ს იდენტობას. რსფსრ-ს ისტორია მასათა ცნობიერებაში არ იყო გამოყოფილი საბჭოთა კავშირის და რუსეთის იმპერიის ისტორიისგან. „ვინ ვართ“ – ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას ხალხი ნელ-ნელა გადაიხარა საბჭოთა წარსულისკენ და განსაკუთრებით ბრეჟნევის დროსკენ, როცა გარკვეული სტაბილურობა იყო. ამას დაერთო ერთი ფაქტიც: მაშინ, 90-იანებში, იმდროინდელი ქაოსით შეწუხებულ რუსებს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, განსაკუთრებით, ბალტიელებისგან წამოსულმა პრეტენზიებმა ნაციონალური წყენა გაუჩინა: „გუშინ ერთად ვიყავით, დღეს კი გამოდის, რომ ყველაფერში დამნაშავეები ჩვენ ვართ. თანაც ისინი, ჩვენზე უკეთ ცხოვრობდნენ, იქ შაქარი 90 კაპიკი ღირდა, ჩვენთან – 98“. რა მოხდა რესპუბლიკებში? ისინი ამბობენ, ჩვენ გვექონდა დიდი ისტორია, მოვიდნენ ბოლშევიკები და დაგვიპყრეს, და ახლა გავთავისუფლდით – სწორედ ამის საპასუხოდ გაჩნდა რუსეთში ძლიერი ნაციონალური წყენა და კომპლექსი: „გუშინ პატივს გვცემდნენ და დღეს ვეზიზღებით“. როცა ბალტიელები და პოლონელები ამბობენ, – რუსებმა ფაშისტები გაყარეს და თვითონ დაგვიპყრესო – ეს აბსოლუტურად გაუგებარია რუსებისთვის, რომლებიც თვლიან, რომ ბერლინი მიდიოდნენ და გზად მოძმე ერები გაათავისუფლეს. როცა რუსეთში გაიგეს, რომ საქართველოში ოკუპაციის მუზეუმი გაიხსნა, ეს მათ უდიდეს შეურაცხყოფად მიიღეს.

ძლიერი ხელის, სტაბილურობის, ნაციონალური სიამაყის მოთხოვნილება ხალხში თანდათან უფრო ძლიერდებოდა და ეს ყველაფერი ნელ-ნელა მიიწვედა საბჭოთა წარსულისკენ. ელცინს არ სურდა საბჭოთა წარსულზე დადებით კონტექსტში საუბარი და მოიფიქრა, რომ ჩვენ გმირული წარსული 1917 წლამდე გვექონდა, და ამიტომ, უნდა გვევარებოდა სტოლიპინი, ალექსანდრე მეორე და სხვა... ხალხმა ეს საერთოდ ვერ გაიგო. მოვიდა პუტინი და ძალიან მარტივი და პირდაპირი პასუხი გასცა ხალხს: „თქვენ დიდი რუსეთის შვილები ხართ, თქვენ სსრკ-ს მემკვიდრეები ხართ. თქვენ უნდა იამაყოთ სსრკ-თი, ჩვენ დავამარცხეთ ფაშიზმი, ჩვენ უკან მხოლოდ გამარჯვებები და ა.შ.“. ეს მშვენივრად გაიგო ხალხმა. პუტინის როლი რუსეთის დღევანდელ პროსტალინისტურ იდეოლოგიაში ძალიან დიდია, მაგრამ ეს პოლიტიკაც გარკვეული საზოგადოებრივი შეკვეთის საპასუხოდ გაჩნდა. აღარაფერს ვამბობ საბჭოთა სიმბოლიკის დაბრუნებაზე, ეს ისედაც ცნობილია. 2003 წელს პუტინი შეხვდა რუს ისტორიკოსებს და თქვა, – ჩვენ დიდი ისტორია გვექონდა და ამ გმირული ისტორიის მა-

გალითზე უნდა აღვზარდოთ ახალი თაობა, რუსი ერის მთავარი გამარჯვება ფაშიზმზე გამარჯვებააო. 2005 წლის გამარჯვების წლისთავი მთელი ქვეყნისთვის საყოველთაო „ვაშაღ“ იქცა, რის ფასად, როგორ გავიმარჯვეთ, ამაზე, როგორც წესი, არ ლაპარაკობენ.

დღევანდელი რუსული ცნობიერება წინააღმდეგობრივია: რუსეთი – თან სსრკ-ს გამგრძელებელია, თან იმ დანაშაულებებზე, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაიდინა, პასუხისმგებლობის აღება არ უნდა. ოფიციალური პროპაგანდა ამბობს: ჩვენ მივდივართ გამარჯვებებისკენ და თან მტრებით ვართ გარშემორტყმული, ქვეყნის შიგნითაც არიან მტრები – მაგალითად ჩვენ, უფლებადამცველები, მთელი „მემორიალი“. თანამედროვე რუსულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ასეა აღწერილი: ტერორი ცუდია და მსხვერპლი გვეცოდება, მაგრამ აი, ასეთი ფასი გადავიხადეთ ჩვენი დიდი მოდერნიზაციისთვისო. ამ ფონზე უცნაურად გამოიყურებოდა მედვედევის გამოსვლა, როცა მან სტალინის ტერორი ახსენა და თქვა, რომ ტერორით არანაირი მოდერნიზაციის გამართლება არ შეიძლება.

ის, რომ ისტორიკოსები რაიმეს დაწერენ და ეს რუსი ხალხის ცნობიერებაზე რამენაირად აისახება, ჩვენ უკვე გავიარეთ. ისტორიკოსებმა სიმართლე დაწერეს, უამრავი წიგნი გამოიცა, მაგრამ მოქალაქეების ტვინებზე ამას არანაირი გავლენა არ მოუხდენია. რუსეთში მეცნიერებასა და საზოგადო ცნობიერებას შორის უდიდესი უფსკრულია და არც რაიმე პოზიტიური ცვლილებები ჩანს ამ მხრივ.

**როგორი გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს? რა შეიცვალა რუსეთში ამის შემდეგ?**

პოლიტიკური ცხოვრების ცუდი დამკვირვებელი ვარ. მაგრამ მეჩვენება, რომ აგვისტოს ომს დიდი გავლენა არ მოუხდენია რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. განათლებულ ელიტას ამ ომმა მოუტანა კიდევ ერთი დიდი იმედგაცრუება ხელისუფლების მიმართ და ასეთი ხალხი რუსეთში ცოტა არ არის. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი მთლიანად თანაუგრძნობდა მთავრობას და გულწრფელად დღესასწაულობდა გამარჯვებას.

ომის დღეებში საავადმყოფოში ვინქი, 6 აგვისტოს ოპერაცია გავიკეთე და ლოგინიდან ვერ ვდგებოდი. ეს ჩვეულებრივი, რკინიგზელთა საავადმყოფო იყო, სადაც უბრალო ადამიანები მკურნალობენ. პალატებში ტელევიზორები არ იდგა, პაციენტები კორიდორში გადიოდნენ ტელევიზორის საყურებლად და იქიდან მათი შეძახილები მესმოდა, – „ვაშა! ვაშა!“ შემდეგ პალატაში შემობრუნებულები დიდხანს ლაპარაკობდნენ ამაზე, ძალიან უხაროდათ რუსული იარაღის გამარჯვება. მხიარულობდნენ, კარგ განწყობაზე იყვნენ. არ ვიცი რამდენი ხნით, მაგრამ ამ ომმა კიდევ უფრო მეტად განაწყო ხალხი მთავრობის მხარდასაჭერად. თუმცა, მთავარი იდეა ის არ ყოფილა, რომ საქართველოზე გავიმარჯვეთ. ამერიკელებზე გავიმარჯვეთო, – ეს იყო ხაზგასმული და კიდევ ერთხელ აფეთქდა ისედაც ძლიერი ანტიამერიკანიზმი. მე კი ძალიან მძიმე ხასიათზე ვიყავი, პალატაში რადიო მქონდა და, როცა მედვედევის სიტყვები გავიგონე ოსი ერის გენოციდზე, მართლა ცუდად გავხდი. ეს სიტყვა ხელისუფლებისგან ჟღერდა

**კუტიანი სტალინი არ არის. რუსეთის მმართველებს სურთ, დასავლელ ლიდერებს დაეხმავსონ. მათ უნდათ, რომ დასავლეთმა კუტიანი სხეს, თანაც ისინი ძალიან სინიკურები არიან და ისინი, რომ დასავლეთი მათ ზეპრ რამეს აკატვიზს. შემთხვევით ხომ არ უსწავლიათ ენები? მმართველი ელიტის შვილების დასავლეთში სწავლობენ, და მათი ფულიც დასავლეთშია და არა ჩინეთში.**

როგორც განაჩენი. ძალიან ცუდ ხასიათზე დავდექი, იმის გამო კი არა, რომ რუსებმა მოიგეს ეს ომი, წარმოუდგენელი აგიტაცია-პროპაგანდის გამო, და იმის გამოც, რომ არანაირი სოციოლოგიური კვლევა არ დამჭირებია, იქვე, საავადმყოფოში, ჩემ პალატაში ვნახე, როგორ კარგად მიიღო და როგორ გაიხარა უბრალო ხალხმა ამ ყველაფრით. მაშინ კიდევ ერთხელ დავინახე ცხადად, რამდენად შორს ვართ ხალხისგან. საშინელი განცდა მქონდა ჩემი ტანკების გამო სხვის მიწაზე. საშინელი. მაგრამ ესეც, მაშინ, 2008 წლის აგვისტოში არ ყოფილა პირველი. დაახლოებით ასეთივე განცდა მქონდა მეორე ჩეჩნური ომის დროს. მე არც ევროპელ მშვიდობისმყოფელებს ვენდობი, ისინიც რაღაც თავის თამაშს თამაშობენ. მასხოვს, 1999 წელს, როცა ვესაუბრებოდი ჩემ მეგობარ გერმანელებს და ვლაპარაკობდით იმაზე, რომ მილოშევიჩი ფაშისტია, ვკითხე, – ესეთიკურად როგორ წარმოგიდგენიათ გერმანული თვითმფრინავი ბელგრადის თავზე-მეთქი?

“უფლებადამცველები „მემორიალიდან“ მაღევე გამოემგზავრნენ საქართველოში. მე ვენდე ჩემ კოლეგებსა და მეგობრებს, რომლებმაც შემდეგ თქვეს, რომ პირველი გასროლა საქართველოს მხრიდან იყო. მაგრამ ამას, მგონი, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. წარმოიდგინეთ ორი ადამიანი, ერთმა მეორეს მხარი გაკრა, მეორემ კი საპასუხოდ – ურო ჩაკრა თავში. ასეთი თანაფარდობაა. სააკაშვილი რუსულ პროპაგანდაში ძალიან უარყოფითი ფიგურაა და ფაშისტს ეძახიან, და მიუხედავად ამისა, ის ჩემში სიმპათიას არ იწვევს. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ის პოპულისტია, პოპულისტი ხელისუფლების სათავეში კი ყოველთვის უპასუხისმგებლოა. მეჩვენება, რომ ამ ომმა ვერანაირი როლი ვერ ითამაშა რუსული პოლიტიკის განვითარებაში, როლი ითამაშა ხელისუფლების ნამდვილმა სიგიჟემ – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებამ, რაც ცხადია, ომზე მნიშვნელოვანია. იმ ფენისთვის, რომელსაც მე ვეკუთვნი, ეს ომი კიდევ ერთი მიზეზი იყო იმედგაცრუებისა, შემდეგ დაიწყო კრიზისი და გამარჯვების განწყობა ძალიან მალე გაუქრა ხალხს.

ჩვენი მთავარი მონაპოვარი პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსული ენაა და ამას უნდა გავუფრთხილდე. პუტინს, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ ეს პატარა საცოდავი ოსეთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ საქართველომ შეიძლება უარი თქვას რუსულ ენაზე. ეს იმდენად სხვადასხვა წონის ამბებია, რომ ამის ახსნა სასაცილოცაა. მაგრამ დღევანდელი რუსეთის მმართველებს ეს არ ესმით.

**თქვენ საბჭოთა ტერორის მკვლევარი ხართ. შეიძლება თუ არა რუსეთში გახშირებული პოლიტიკური მკვლევარების ტერორად აღქმა?**

არა, ეს სტალინური ტერორი ნამდვილად არ არის. ყველა მკვლევარს სხვადასხვა მიზეზი აქვს. რუსეთის მოსახლეობაში ურავალფეროვანი განწყობები იზრდება. გაჩნდა ნეონაციისტური დაჯგუფებები. ისინი საკმაოდ ბევრი არიან, თანაც ამგვარი განწყობები ყველა ასაკის მოსახლეობაშია. ნეონაციისტები ფიქრობენ, რომ ხელისუფლება მათ მხარს უჭერს, და გარკვეულწილად, არც ცდებათ. სამართალდამცავები მათ მიმართ უფრო სიმპათიით არიან განწყობილები, ვიდრე ანტიპათიით. მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლების ზედა ემულონებში უკვე ხვდებიან ამ საშიშროების შესახებ. ხვდებიან, რომ ეს არა საყრდენი, არამედ საშიშროებაა რუსეთისთვის. მაგრამ ამ ნეონაციისტურ დაჯგუფებებს ძლიერი დასაყრდენი აქვთ არმიასა და სამართალდამცავებში. ვფიქრობ, რომ სტანისლავ მარკელოვის მკვლევლობა მართლაც ნეონაციისტების ხელითაა გაკეთებული, რადგანაც ის ძალიან აქტიურად იბრძოდა მათ წინააღმდეგ. შეიძლება, სწორედ მათ მიერაც იყოს მოკლული, ვინც ამ საქმეზეა დაპატიმრებული. ნატალია ესტემიროვას მკვლევლობას სხვა მიზეზი აქვს და პირდაპირ უკავშირდება კადიროვის რეჟიმს. ნატალია საოცარი ადამიანი იყო, მას ჰქონდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობა. ასეთი ადამიანები ახლა ძალიან ცოტანი არიან. როცა გროზნოში პუტინის სახელი დაარქვეს პროსპექტს, ის უბრალოდ, აღარ დადიოდა ამ ქუჩაზე. არსებობს ასეთი ჟანრი ქალაქური წინააღმდეგობისა – მაგალითად, ფაშისტური რეჟიმის დროს გერმანიაში, მიუნხენში ფაშისტური სიმბოლო დადგეს და ძალიან ბევრი გერმანელი გვერდს უვლიდა ამ ადგილს, სპეციალური, შემოვლითი მარშრუტები შეიმუშავეს. ნატალიას არ ესმოდა მინიშნებებისა, არა მხოლოდ ჩეჩნეთში, მთელ რუსეთში საერთოდ, გავრცელებულია ურთიერთობის ეს ფორმა. არსებობს რაღაც ზღურბლი, რომელსაც არ უნდა გადაბიჯო, არის რაღაც დაუნერვლი კანონები, როგორ უნდა მოიქცე ამ თუ იმ შემთხვევაში. ცხადია, ამ წესებს არაფერი აქვს საერთო კანონებთან. მას არ ესმოდა ეს ენა. კადიროვი ყველანაირად ეცდება, რომ მისი სიკვდილი ბოევიკებს დააბრალოს. ესენი, სამივენი – პოლიტკოვსკაია, მარკელოვი და ნატალია ჩემი ახლობლები იყვნენ. პოლიტკოვსკაია და მარკელოვი ხშირად დადიოდნენ „მემორიალში“, არ იყვნენ „მემორიალის“ წევრები, მაგრამ ახლოს იყვნენ ჩვენთან. ნატალია კი ჩვენი თანამშრომელი იყო და ეს ყველაფერი ძალიან მტკივნეულია. პოლიტკოვსკაია, მარკელოვი, ესტემიროვა – ეს რიგი, რა თქმა უნდა, არსებობს. მათი მკვლევარების მიზეზები შეიძლება განსხვავებულია, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად აერთიანებთ: რამდენად საშიშია რუსეთში ცხოვრება, როცა გაკვეთლ თემებს იკვლევ და რუსულ ნაციონალისტურ ცნობიერებას ეხები. სქემა, რომლითაც რუსეთის ხელისუფლება მოქმედებს, ნამდვილად

სტალინურია: გარეშე მტრების გარემოცვა და მეხუთე კოლო-  
ნა ქვეყნის შიგნით. როცა ამ სქემას მასები უჭერს მხარს, და  
ამ მასებში კიდევ ექსტრემისტული დაჯგუფებები არსებობს,  
მაშინ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და საშიშროება მართლაც  
რეალურია. ეს „ცივი ომის“ კლასიკური საბჭოთა სქემაა.

**მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთში არსებობს დამოუკიდებელი  
პრესა. როგორ ახერხებს ის არსებობას?**

ალბათ დღევანდელ რუსეთში ავტორიტარიზმი არც ისე-  
თი საშიშია. ზუსტად რა შეიძლება ეწოდოს დღევანდელი  
რუსეთის ხელისუფლებას, როგორ შეიძლება აიხსნას მისი  
არსი, არ ვიცი, შესაბამისი სიტყვა ჯერ არ მოუგონებიათ.  
პუტინი სტალინი არ არის. რუსეთის მმართველებს სურთ,  
დასავლელ ლიდერებს დაემსგავსონ. მათ უნდათ, რომ და-  
სავლეთმა პატივი სცეს, თანაც ისინი ძალიან ცინიკურები  
არიან და იციან, რომ დასავლეთი მათ ბევრ რამეს აპატიებს.  
შემთხვევით ხომ არ უსწავლიათ ენები? მმართველი ელიტის  
შვილებიც დასავლეთში სწავლობენ, და მათი ფულიც დასა-  
ვლეთშია და არა ჩინეთში. ამიტომაც, იმას, რაც მათ საფრ-  
თხეს არ უქმნით, ასე ვთქვათ, იტანენ. რუსეთი ხომ პატარა  
საქართველო არ არის! საქართველოში ალბათ ერთი დიდტი-  
რაჟიანი ოპოზიციური გაზეთიც საკმარისი იქნება, რუსეთის-  
თვის კი რა არის ერთი „ეხო მოსკვი“ და „ნოვაია გაზეთა“?  
რამდენიმე მილიონი მკითხველი და მსმენელი – ეს რუსეთის  
მოსახლეობის ერთი პროცენტია. მე ვფიქრობ, რომ უფრო  
დიდი მნიშვნელობისაა რადიო „თავისუფლება“, რომელიც  
რუსეთში გვარიანად იზღუდება, მაგალითად, პეტერბურგში

რადიო „თავისუფლება“ მხოლოდ მოკლე ტალღებზე მაუწყე-  
ბლობს. ერთი მხრივ, ხელისუფლება ამას იმიტომ უშვებს,  
რომ დასავლეთს აჩვენონ, – აი, ჩვენთან თავისუფალი პრესა  
არსებობსო. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. მთავარი ისაა,  
რომ დამოუკიდებელი პრესის მსმენელთა და მკითხველთა  
რაოდენობა რუსეთის ხელისუფლებისთვის არანაირ საფრ-  
თხეს არ წარმოადგენს. მეინსტრიმი მთლიანად იზიარებს  
ხელისუფლების პოლიტიკას და ნაციონალურ-პატრიოტუ-  
ლადაა განწყობილი.

**„მემორიალი“ როგორ დაარსდა? თქვენი ორგანიზაცია, უკვე  
20 წელია, არსებობს და მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა,  
დღემდე საკმაო წარმატებითაც მოღვაწეობთ.**

გარკვეულ ხანამდე ქვეყანა ცხოვრობდა ისე, თითქოს სტა-  
ლინური ტერორი არც არსებულა. 1987-88 წლებში, მაშინ,  
როცა საჯაროობა ახალი დაწყებული იყო, მაგრამ ქვეყანაში  
ჯერ არ არსებობდა პოლიტიკური თავისუფლება, სტალინური  
ტერორის თემას უკვე მოეხსნა ტაბუ და ეს საკითხი აქტუ-  
ალური გახდა. ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ხელმოწერებს  
აგროვებდა ტერორის მსხვერპლთა მემორიალების დასადგ-  
მელად, ტერორის შემსწავლელი ცენტრების დასაარსებლად,  
სადაც იქნებოდა არქივი, მუზეუმი. „მემორიალის“ მთელი  
სტრუქტურა სწორედ ამ ახალგაზრდებმა მოიფიქრეს, რო-  
მელთაც მანამდე დისიდენტურ წრეებთან არანაირი კავშირი  
არ ჰქონიათ.

>>> ბაზრიქილება გვ. 105



# ინტერვიუ ჯეიმზ ქართიანს

ავტორი: კახა თოლორდია  
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

„სწორი ნოტების აღება ყველაფერი არაა, თუ სული არ გაზარდა; მხოლოდ ასეა შესაძლებელი მუსიკის გაკეთილშობილება! მუსიკას თუ სიხალისკენ არ უბიძგა, აჯობებს, სახლში დარჩე და ძველ დისკებს უსმინო“ – ჯეიმზ ქართიანი.





„სწორი ნოტების აღება ყველაფერი არაა, თუ სული არ გაზარდე; მხოლოდ ასეა შესაძლებელი მუსიკის გაკეთილშობილება! მუსიკას თუ სიახლისკენ არ უბიძგე, აჯობებს, სახლში დარჩე და ძველ დისკებს უსმინო“. ეს თქვენი სიტყვებია. შეიძლება გთხოვოთ, უფრო სიღრმისეულად განმიმარტოთ, თუ რას გულისხმობთ „სულის ზრდასა“ და „მუსიკის გაკეთილშობილებაში“?

ჩემი კონტექსტიდან გამომდინარე, გიპასუხებთ (რადგანაც მხოლოდ ასე შემიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა), რომ ჩემთვის სულის ზრდა ნიშნავს იმ ფესვებთან დაბრუნებას და ისეთი ვიბრაციების და „სულების გამოძახებას“, რამაც თავის დროზე მე მუსიკაში „შემაგლო“. იმ მუსიკოსებს ვგულისხმობ, ვისთანაც წარსულში მიმუშავია – ჯულიუს ჰემფილს, ლესტერ ბოუის, სხვა უამრავ დანარჩენ მუსიკოსს, და მათაც, ვისთანაც დაკვრის საშუალება არ მომცემია, მაგრამ ჩვენი „მუსიკალური შეხვედრა“ მათივე ჩანაწერების მეშვეობით შემდგარა. როდესაც ჯონ ქოლტრეინის Love Supreme-ს ვუსმენ, განსაკუთრებით ამ ობჟესის მესამე ნაწილს, ან ვთქვათ One Down One Up-ს, ყრუანტელი მივლის ხოლმე. ამ დროს ხედები, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე ჯაზის დაკვრა მეოცე საუკუნის სამოციანი წლების გადმოსახედოდან. ეს ჩანაწერები დროის კავსულასავითაა, ან თუ გნებავთ დროის აუდიო კავსულასავით. ჩემი მასწავლებელი, დონალდ უოშინგტონი ხშირად იმეორებდა, რომ მუსიკა და ცხოვრება ერთია და ზემოთ ხსენებული ალბომების სმენისას მე ბგერაში შეჩერებული დაძაბული სამოციანები მესმის. იმდროინდელი საზოგადოება უთანასწორო იყო, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც არსებობდა სულიერი სიმშვიდის, ხსნის, იმედის გაღვივების და მსოფლიო მოქალაქედ გახდომის შესაძლებლობა და არა მარტო ინდივიდუალურად, არამედ ზოგადსაკაცობრიოდაც. ქოლტრეინის და მისთანების მეშვეობით იყო ეს შესაძლებელი, რადგანაც ისინი დანარჩენ სამყაროს, სხვა კულტურებს მათსავე მუსიკაში „ჩაბუდების“ უფლებას აძლევდნენ. ქოლტრეინის მუსიკა სულიერად ამზადებდა ადამიანებს უცხო კულტურების და ახალი ურთიერთობების აღსა-

ქმელად და ახლით სავსეს ტოვებდა მათ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ იმ დროს მუსიკოსებს არ უღონინდათ, მაგრამ მაინც ახერხებდნენ ღრმა და ულამაზესი მუსიკალური დოკუმენტების შექმნას და მომავალი თაობებისთვის დატოვებას. ეს კი პასუხისმგებლობასთანაა კავშირში; არა მარტო მუსიკალურ, არამედ – კულტურულ პასუხისმგებლობასთან შემდგომ თაობებთან მიმართებაში.

**კრიტიკოსების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ჯაზის, როგორც მუსიკალური იდიომის, შემდგომი წინსვლის საწინდარი ინოვაცია კი არაა, არამედ მისი ტრადიციის კლიშეების გარეშე წარმოჩინება და ამ გზით გაძლიერება. დღეს ეს ძალიან რთული უნდა იყოს და ამიტომ საინტერესოა ამის შესახებ თქვენი აზრის მოსმენა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღეს ჯაზში ინოვაციისთვის საკმარისი ადგილი დარჩენილი?**

დაახ. ჩვენ, ჯაზმენებს ერთგვარ მუსიკალურ თოკზე გვიწევს ბალანსირება, რადგანაც ისიც კარგად მესმის, რომ სხვა დანარჩენ „მუსიკალურ ნეალოშიც“ გვინევს „ფეხის დასველება“. ეს მხოლოდ და მხოლოდ შემდგომი ინსპირაციისათვის ხდება. მაგალითად, ჩემ ბოლო ალბომში Present Tense ორიგინალური კომპოზიციებიცაა შესული და სტანდარტებიც, მაგრამ ისეთი სტანდარტები, სადაც, როგორც მიმაჩნია, ჯერ „ფეხი არავის შეუდგამს“ მათი პირველად გამოსვლის დღიდან. ერთ-ერთი კომპოზიცია ამ დისკზე – Shadow Sands პირველად ორმოციანი წლებში შესრულდა და ეს კომპოზიცია, თუ ელინგტონის Sophisticated Lady-ს ჰარი ქარნისეულ ინტერპრეტაციას არ მივიღებთ მხედველობაში, ერთადერთია, რაც მე ვიცი, რომელიც მხოლოდ ბას კლარნეტზე ბარიტონ საქსოფონის თანხლების გარეშე შესრულებულა. ვინაიდან მე ბას კლარნეტზეც ვუკრავ, ჩემთვის საინტერესო იყო ამ კომპოზიციასთან დაბრუნება და მისი ახალი აქცენტებით გამდიდრების მცდელობა; ყველაფერთან ერთად ეს სერიოზული გამოწვევა იყო ჩემთვის და სწორედ ამას ვგულისხმობ იმაში, რომ ინოვაცია შესაძლებელია. ესაა ინოვაციის ინოვაციით გამდიდრების და მისი კიდევ უფრო შორს „გაგზავნის“ მცდელობა.

**ამ რამდენიმე თვის წინ ბრძანეთ, რომ თქვენში ერთდროულად ჩაბუდებულია მუდმივი ზრდის პროცესში მყოფი რამდენიმე მუსიკოსი. როდის ხედებით, რომ ერთ-ერთი მათგანი მზადაა რაიმე ლირებულის წარმოსაჩენად?**

ამას მხოლოდ დაკვრისას თუ მიხვდები, რადგანაც ასეთ რამეებზე წინასწარ ბევრი თუ იფიქრე, მაშინ მუსიკა მექანიკური და ბუნდოვანი ხდება, აბსოლუტურად სტერილური...

**შესაბამისად, მუსიკის აღმოჩენის პროცესი უსასრული პროცესი უნდა იყოს...**

რა თქმა უნდა, და ვინაიდან ჩვენ, ჩვენივე არჩეული ინსტრუმენტების მეშვეობით ვახერხებთ ახალი აღმოჩენების „სამოგზაუროდ“ წაყვანას, არაა აუცილებელი, ეს მოგზაურობა მხოლოდ ერთი ინსტრუმენტით შედგეს. სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება ახალი შესაძლებლობების აღმოჩენისკენ გიბიძგებს, იქნება ეს ბგერითი თუ რიტმული შესაძლებლობები. მე საქსოფონზე ისე არ ვუკრავ, როგორც ბას კლარნეტზე ან, ვთქვათ, ფლეიტაზე. რა თქმა უნდა, გარკვეული მსგავსება არის, მაგრამ გარკვეული ტიპის მსმენელისთვის ეს ყველაფერი ასე არ უღერს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის უკვე სხვა მუსიკოსების მიერ არის „მოთელილი“ – მაგალითად, ვისაც ჟან-პიერ რამპალი და ჰუბერტ ლოსი ჰყავთ მოსმენილი. ერიქ დოლფის შემთხვევაშიც ასეა, თუმცა დავამატებ, რომ მის შემთხვევაში არის რაღაცები, რასაც უბრალოდ ვერ გაექცევი, როდესაც ბას კლარნეტზე უკრავ. ამ ინსტრუმენტზე მისი შესრულების მანერა უბრალოდ უბადლოა და შეუძლებელია, ზეგავლენას გაექცე.

**თქვენ დაბადებით მუსიკოსი ბრძანდებით, ასეთ მუსიკოსებს კი, როგორც წესი, არაფრის უმინოთ. და მაინც, მაინტერესებს, თუ ყოფილა თქვენ ცხოვრებაში ისეთი პერიოდი, როდესაც შეუშინებხართ იმ ფაქტს, რომ მაგალითად საქსოფონზე, თქვენამდე უამრავი დიდებული მუსიკოსი უკრავდა?**

რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემთვის ეს ყოველთვის გამონევა იყო და არა დაბრკობება. ეს ის უღელია, რაც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ზილოს. ამავე



დროს, როგორც უკვე გითხარით, მუსიკა და ცხოვრება განუყოფელია. ჩემი მასწავლებელი ხშირად გვიმეორებდა ჩარლი ფარქერის სიტყვებს, რომ მუსიკა ცხოვრებაა, და თუ არ გიცხოვრია, მაშინ შენი ინსტრუმენტი სხვისთვის საინტერესოს ვერაფერს მოყვება. უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი, ჩემთვის ძნელი იყო ამის გაგება, მაგრამ ჩვენი მასწავლებელი დაულაღვად გვიბიძგებდა იმისკენ, რომ გვეყიდა ნიგნები და გვეკითხა მუსიკოსების ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ და რა პირობებში ინერდნენ ისინი ამა თუ იმ დისკს. თუმცა ეს ყველაფერი არაა; ყველაზე საინტერესო მანაც ისაა, თუ რა ხდებოდა ქოლთრეინის, ბილი ჰოლიდის თუ ფარქერის ცხოვრებაში ალბომის ჩანერიდან ჩანერამდე, და რა ვითარებებმა მიიყვანეს ისინი იმ კონკრეტულ მომენტამდე, როდესაც მათ ახალი დისკის ჩანერა გადაწყვიტეს. რა მოხდა მათ ცხოვრებაში ისეთი, რამაც საშუალება მისცა მათ, დროის კაფსულაში შეეჩერებინათ ესა თუ ის მომენტი, რაც დღეს მათი მემკვიდრეობის ნაწილია? მართლაც, ამის შესახებ კითხვა რომ დავინყე ეს ნამდვილი აღმოჩენა იყო ჩემთვის. სწორედ მათმა ცხოვრებამ და გადატანილმა განაპირობა, თუ როგორ უკრავდნენ ისინი ინსტრუმენტებზე

და ამა თუ იმ კომპოზიციების როგორი ინტერპრეტაციები შემოგვთავაზეს იმ გარკვეულ მომენტებში. ბილი ჰოლიდი კარგი მაგალითია: მისი ფანები ბევრს საუბრობენ გვიანდელი ოცდაათიანების და ადრეული ორმოციანების ბილი ჰოლიდიზე და მიაჩნიათ, რომ ეს მისი საუკეთესო პერიოდი იყო. სამაგიეროდ, ბევრს გულზე არ ეხატება გვიანდელი ორმოციანების და ადრეული ორმოცდაათიანების გარდამავალი პერიოდი მის შემოქმედებაში. მხოლოდ ჰოლიდიზე გადამკვდარ ფანებს ესმით მის იმდროინდელ მუსიკაში, თუ რა ხდებოდა იმ დროს მის ცხოვრებაში. იმდროინდელი მისი ცხოვრება კი მისსავე ფრაზირებაში, ხმის ტემბრში, მთლიანად მის მუსიკალურ არსებაში აისახება. ამ დროს შეუძლებელია ლესთერ იანგი არ გაგახსენდეს. ვილაცისთვის ეს შეიძლება უცნაური იყოს, მაგრამ მეორე მხრივ ბევრი გაიგებს ამას, რადგანაც მათი ცხოვრება იმ დროს ერთმანეთში იყო გადაჯაჭვული და როცა ჰოლიდი მღერის, შეიძლება დაიჭირო, თუ რა ხდებოდა იმ დროს მათ ცხოვრებაში. ჩვენ ჰოლიდის სიმღერაში ზუსტად ის შეგვიძლია დავიჭიროთ, რისთვისაც მზად ვართ. ეს მუზეუმის მონახულებასავითაა, სადაც შენივე ინდივიდუალური გემოვნების და

მზადყოფნის მიხედვით ირჩევ, თუ რომელი სურათი მოგწონს; იმის მიხედვით, უკვე განვლილმა ცხოვრებამ რის აღსაქმელად მოგამზადა. შესაბამისად, ამა თუ იმ ნახატის ინტერპრეტაციის შენებური მცდელობა შეიძლება განსხვავებულადეს სხვა ვინმეს მცდელობისგან, ვინც, ვთქვათ, შენგან გასხვავებით, უფრო მეტი ყურადღება ნახატის სხვა ასპექტებს მიაქცია. მაგრამ აი, ამ მომენტიდან დაწყებული შენზეა დამოკიდებული, თუ როგორ დაეხმარები დანარჩენებს იმის აღქმაში, რაც მოგწონს; რამდენად გადამდები აღმოჩნდები შენ მათთვის. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია! იგივე ხდება მუსიკაშიც. როდესაც საქსოფონისტმა ილინოის ჯექეთმა, Jaz At the Philharmonics-ის საკონცერტო სერიებში ბლუზის დაკვრა დაიწყო, 1944 წელს მან სრულიად შეცვალა კონტექსტი არა მარტო მუსიკალური თვალსაზრისით, არამედ სცენაზეც. მისი დაკვრის მანერა საოცრად გადამდები იყო ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით! როდესაც ჯექეთი ინსტრუმენტს ხელში იღებდა და ბგერას სადღაც მაღლა მიმართავდა, ყველაფერი ავიწყდებოდა კაცს. ის კი იმას უკრავდა, რაც იცხოვრა...

>>> ბაბრქილევა გვ. 106

# პატარა ქალაქში

ავტორი, ფოტო: დავით მესხი

რა საერთო აქვს სიღნაღში გადაღებულ სეჟის გაკვეთილებს და თბილისის სეორტსკოლას? აჭარის ერთ-ერთ სოფელში, მადარინის ვლანტაშიაში მოქალაქეებულ ბიჭს და დედაქალაქის სენტრში, ფანჯარასთან მდგარი ახალგაზრდა წყვილის პორტრეტს?


მეუღლეები ახალგაზრდები არიან, რომლებიც ერთ პატარა ქვეყანაში, სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ. პატარა ქალაქის სება სომ დედაქალაქსა შეესაბამება. ისინი არ მდილობენ, გამორჩეულობის ძიებაში რომელიმე სუბკულტურაში ან „უსნაურ“ ჩასვლუბაში ექებონ ინდივიდუალიზმი. აქ ასეთი „რატაები“ არაა საჭირო. სავდინანი გარემოს მიუხედავად, მათ პორტრეტებში არის ჰეროიზმი და რომანტიზმი. კარგად იციან, რომ მარტივად არაფერი გამოუვათ, მაგრამ ეს არ აშინებთ. ამიტომ, შეუძლებელია ისინი ვერ შეამჩნიო!


















# ქართული კინოინდუსტრიის პრობლემები

ავტორი: ნინო ძანაძე

ფოტო: ნინო ძანაძე, ეროვნული კინოცენტრის არქივი

იმ ადამიანებს, რომლებსაც ქართული კინემატოგრაფის ავანგარდის აინტერესებთ, ამ ბოლო დროს ხშირად უჩნდებათ კითხვა – ეშველება თუ არა ქართულ კინემატოგრაფს და შეიძლება თუ არა დავიჯეროთ, რომ ქართული კინო კრიზისიდან გამოსვლის მდგომარეობაში იმყოფება. კითხვა საკმაოდ რთულია, უფრო სწორად მოკლე პასუხი არ აქვს.

კინოინდუსტრიის კრიტიკული ზონების და მათი არსებობის მიზეზების ძიება შეიძლება ამ კითხვებით დაიწყო: რა პრობლემები აქვს ქართულ კინოს დღეს? როგორ ვითარდება კინონარმოების სფერო? რას აკეთებს სახელმწიფო ეროვნული კინემატოგრაფის განვითარებისა და წახალისებისთვის? როგორ და რამდენად ეფექტურად მოხდა საბჭოთა სტრუქტურის რღვევა და ახლით ჩანაცვლება? არსებობს თუ არა დისტრიბუციის ქსელი? რა მდგომარეობაშია კინოთეატრები და რატომ არ არსებობს ქვეყანაში არც ერთი მუნიციპალური კინო? რომელ პროფესიონალურ რესურსს უნდა დაეყრდნოს ქართული კინო და რამდენად ზრუნავს სახელმწიფო ახალი პროფესიონალური კადრების ჩამოყალიბებაზე? აქვს თუ არა აზრი ფილმების შექმნას, რომლებიც, მოუვლელობის და პრეზერვაციის სათანადო საშუალებების დაუცველობის პირობებში, სწრაფი განადგურებისთვისაა განწირული?

90-იან წლებში კინოთეატრების დიდმა ნაწილმა ფუნქციონირება შეწყვიტა და იმ ფილმებსაც, რომლებსაც წლიდან წლამდე იღებდნენ, მაყურებელი ეკრანზე ვერ ნახულობდა. დაირღვა კინოინდუსტრიის ფუნქციონირების შემკვერელი რგოლების ჯაჭვი და ინფრასტრუქტურა. იდეოლოგიური წნეხისგან თავისუფალი კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დამოუკიდებელ რეჟიმში, სრულყოფილად ფუნქციონირებას ვეღარ ახერხებდა, დამოუკიდებლად შექმნილი კინოკომპანიები კი ხშირად ერთი ფილმის გადაღების შემდეგ წყვეტდნენ არსებობას.

„სახელოვანი კინემატოგრაფიული წარსულის“ პრესი დღესაც ძლიერია და თავისუფლად მუშაობაში ჯერ კიდევ ხელს უშლის რეჟისორებს. ძველს ახალი კლიშეები ენაცვლება. მაგალითად, თუკი საბჭოთა პერიოდში ევროპული კინემატოგრაფისგან განსხვავებულობა ქართული ნაციონალური კინოს საამაყო ასპექტი იყო, ახლა პირიქით ხდება – ქართველი რეჟისორები ცდილობენ ევროპულ ბაზარზე ორიენტირებული პროდუქცია შექმნან, როგორც ამბობენ ხოლმე, „ევროპულ სტანდარტებს“ შეუსაბამონ გასაყიდად გამზადებული მათი პირმოები. „ევროპულ სტანდარტში“ და ქართული კინოს გავეროპვლებსაში ან გაამერიკულებსაში ავტორები იმდენად ფილმის პროექტის განვითარების, წარმოების პროცესის ან გაყიდვის მექანიზმებს არ გულისხმობენ, რამდენადაც ბუნდოვან სურვილს, ქართული კინო რალაცნაირად დასავლელ მაყუ-





მთარ კომორიძე, „ოპარასია ვუდელანდი“, 1982

რებელს მოაწონონ. თემის ძიებისას რეჟისორები (განსაკუთრებით ახალგაზრდა) და პროდიუსერები სვამენ კითხვას: რა უფრო მოეწონება, რა უფრო დაინტერესებს დასავლელ მაყურებელს.

მართლაც საინტერესოა, რომელი ასპექტებით შეუძლია ქართულ კინოინდუსტრიას დღეს ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბით თავი მოიწონოს? გარდა იმისა, რომ ევროპულ და ამერიკულ კინემატოგრაფისტებს შეგვიძლია მოვუყვეთ ქვეყნის ულამაზეს ლანდშაფტებში განფენილი თვალწარმტაცი პეიზაჟებისა და ქართული კინოს საუკუნოვანი ისტორიის შესახებ.

საქართველოში არსებობს რამდენიმე სახელმწიფო კინოდაწესებულება, რომელთაც წესდებაში კინემატოგრაფის განვითარებაზე ორიენტირებული ამოცანები უწერიათ. ეს დანებებულებებია: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“, ქართული ფილმის განვითარების ფონდი. ერთი შეხედვით, სამი სხვადასხვა ისტორიული წარსულის მქონე კინოინსტიტუციის ფუნქციონირება კინოინდუსტრიის სტრატეგიული ნიშნის გარანტიას უნდა იძლეოდეს.

**საქსიო საზოგადოება „ქართული ფილმი“**

საქართველოს გასაბჭოებამდე ქართული კინემატოგრაფი რამდენიმე მხატვრულ ფილმს და დაახლოებით 150 კინოქრონიკას ითვლიდა. გასაბჭოების შემდეგ კინონარმოება მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებას დაეყრდნო და 70 წლის მანძილზე ამგვარად ფუნქციონირებდა. „საქქინმრევი“, „თბილისის კინოსტუდია“, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მართული ერთი და იმავე ინსტიტუციის სხვადასხვა პერიოდის სახელწოდებაა. თუმცა, გასული საუკუნის დასასრულს, როდესაც ქვეყანა მეორედ გახდა დამოუკიდებელი და საქართველო კიდევ ერთხელ შევიდა კრიტიკულ ფაზაში, ქართული კინოინდუსტრიის ყველაზე მსხვილი მოთამაშე, კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დიდი ცვლილებების და რღვევების წინაშე აღმოჩნდა. კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ მიმართებაში 90-იანი წლების ქართულ პრესას თუ გადახედავთ, იმდენად განსხვავებულ მოსაზრებებს გადააწყდებით და კინემატოგრაფისტებს შორის იმდენად დაუნდობელი კამათის მომსწრეები გახდებით, რომ თავგზა ადვილად აგებნევთ და ცალსახა პასუხის გამოტანა გაგიჭირდებათ.

1991 წელს „ქართული ფილმი“ კინოკონცერნად გადაკეთდა, პრეზიდენტად მაშინ ბესარიონ გუგუშვილი დაინიშნა. მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო, პრეზიდენტი კვლავ რეზო ჩხეიძე გახდა, რომელიც „ქართულ ფილმს“ 1991 წლამდე 18 წლის განმავლობაში მართავდა. 1994 წლიდან კინოკონცერნი სააქციო საზოგადოებაა. კომანდიტური საზოგადოების თავმჯდომარის პოსტზე ისევ რეზო ჩხეიძეა. როგორც ქართული პრესა იუწყება, ამავე წელს რეჟისორთა ჯგუფმა უარი თქვა დაფინანსება სახელმწიფოსგან მიეღო და განაცხადა, რომ კინომ საკუთარი თავი თავადვე უნდა ირჩინოს. ეს რეჟისორები მაშინ ლამის მოლაპატებულად გამოაცხადეს.

ქართული ფილმის განვითარების ფონდის დირექტორი და ეროვნული კინოცენტრის ყოფილი დირექტორი გაგა ჩხეიძე ამბობს: „ბევრს მიაჩნია, რომ სააქციო საზოგადოებად „ქართული ფილმის“ გარდაქმნა შეცდომა იყო. სააქციო საზოგადოებამ მოგებაზე რომ იმუშაოს, დივიდენდები რომ გასცეს, დიდი წარმოება უნდა ჰქონდეს... როცა ცენტრალური (სახელმწიფო) დაფინანსება შეწყდა, წარმოუდგენელი იყო „ქართულ ფილმს“ საკუთარი თავი ერჩინა“.

აქციების ორი მესამედი დღესაც სახელმწიფოს ხელშია, ერთი მესამედი კი თანამშრომლების, რომლებიც საზოგადოების აქციონერები გახდნენ და თავის დროზე ნომინალური ღირებულების ვაუჩერები დაურიგდათ. „ქართული ფილმის“ დაქვემდებარებაში გადავიდა უძრავი ქონება (კინოთეატრები, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები, მიწები) და სადისტრიბუციო ქსელი. გაგა ჩხეიძე: „ყველაფერი ეს სახელმწიფომ კინოსტუდიას გადასცა. ამან ლოგიკურად გამოიწვია გარკვეული დაპირისპირება კინემატოგრაფისტთა კავშირსა და ქართულ ფილმს შორის. ფაქტობრივად, ეს იყო ორი ბანაკი, რომელიც მაშინ ერთმანეთს ეომებოდა. კინოკავშირი იყო საბჭოთა იდეოლოგიის გამტარებელი, მართალია, შემოქმედებითი კავშირი ერქვა და საკუთარი შემოსავლებიც ჰქონდა. მაგრამ ძირითადად, სახელმწიფოს კმაყოფაზე არსებობდა“. თუმცა, არსებობდა დაპირისპირების სხვა მიზეზებიც: „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ თავისთავად მოიტანა და დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ რეჟისორებსა და პროდიუსერებს დამოუკიდებლად უნდა ეარსებათ. აქედან გაჩნდა მოთხოვნა, სახელმწიფოს არა მარტო „ქართული ფილმისთვის“ მიეცა ფული, არამედ სხვა პროექტებზე და დამოუკიდებელ სტუდიებზეც გაენაწილებინა“.

გაგა ჩხეიძე ასევე მიიჩნევს, რომ იმ ახალგაზრდა რეჟისორთა მხრიდან წამოსული უკმაყოფილება, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „ქართული ფილმის“ მიერ არ უნდა მომხდარიყო კინონარმოების პროცესის მონოპოლიზაცია, გამართლებული იყო: „1992 წელს მათ სცადეს, დაერწმუნებინათ უფროსი თაობა, რომ საჭირო იყო მეტი დამოუკიდებლობა მიეღოთ დედაკინოსტუდიისგან. შექმნეს „ადამ და ევა“, სადაც ბუბა ხოტივარი, თემურ ბაბლუანი, ნანა ჯორჯაძე და სხვები მუშაობდნენ“.

წლების განმავლობაში „ქართულმა ფილმმა“ ვერ მოახერხა სახელმწიფოს მხრიდან მისთვის დაკანონებული ქონების რაციონალურად და საქმისთვის სასარგებლოდ გამოყენება. უძრავი ქონების ნაწილი გაქირავდა და გაიყიდა, ზედმეტად გულუხვი სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე მიწები და შენობის ფართობები გრძელვადიანი იჯარით გაიცა, ზოგიც აღნაგობის უფლებით, რაც მიეჯარეებს საშუალებას აძლევდა, ისეთი სახის ნაგებობები აეგოთ, როგორსაც მოსურვებდნენ. გაგა ჩხეიძე: „არ ვიცი, რამდენად ჰქონდა ადგილი ფარულ გარიგებებს, არც ეს არის გამორიცხებული. ალბათ ადრე თუ გვიან იმაზე, რაც მაშინ ხდებოდა, ვილაცამ პასუხი უნდა აგოს. არ მოხდა „ქართული ფილმის“ ძირეული რეორგანიზაცია“.

ასეა თუ ისე, 90-იან წლებში „ქართულ ფილმს“ ჰქონდა შემოსავალი, რომელიც მართალია, კინონარმოების პროცესის სრული სვლით აღდგენას არ ეყოფოდა, მაგრამ რაციონ-



„ბევრს მიაჩნია, რომ სააქციო საზოგადოებად „ქართული ფილმის“ გარდაქმნა შესდობა იყო. როცა სენტრალური დაფინანსება შეწყდა, წარმოუდგენელი იყო „ქართულ ფილმს“ საკუთარი თავი ეჩივნა“.

ნაღური განკარგვის და განხორციელების შემთხვევაში, კინოინდუსტრიას ისეთ ჩიხში და აბსურდულ მდგომარეობაში მანაც არ მოაქცევდა, როგორი მდგომარეობის შედეგებსაც ქართული კინო დღემდე იძვის. „ქართული ფილმის“ არასწორი პოლიტიკა და მენეჯმენტი კინოინდუსტრიის კოლაფსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო. შესაძლოა, 90-იან წლებში არ არსებობდა ხალხი, რომელიც ახალ სისტემაზე გადართვაში მოეხმარებოდა კინოსტუდიას ან ასეთი ხალხი იყო და მათ არ ჰქონდათ საშუალება, თავიანთი იდეები განეხორციელებინათ. გაგა ჩხვიძეს აზრით, არ იყო ნება, გაეტარებინათ რეფორმები, „მათ არ იცოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ, არ იყო ხალხი, ვისაც ევროპული გამოცდილება ექნებოდა, ვისაც ეცოდინებოდა, რა ხდება ევროპაში, როგორ უნდა განვითარებულიყო კინო“.

**კინოქალაქის იღვა და ქართული ფილმის განვითარების ფონდი**

ე.წ. ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე არსებული პავილიონი, რომლის ერთ კედელს დღესაც აქვს გაკრული აბრა წარწერით „აღამ და ევა“, 20-იანი წლების დასაწყისში გერმანე გოგითიძის ხელმძღვანელობით აიგო. 1992 წელს, ახალგაზრდა რეჟისორების მოთხოვნით (თემურ ბაბლუანი, ბუბა ხოტივარი, ნანა ჯორჯაძე...), „ქართული ფილმის“ მატერიალურ ბაზაზე შპს-ს სახით კინოსტუდია „აღამ და ევა“ დაფუძნდა. „აღამ და ევას“ თითქმის მთელი საწყისი კაპიტალი სწორედ „ქართული ფილმის“ იყო. „ქართულმა ფილმმა“ სანესდებო კაპიტალში მაშინ თბილისის ისტორიული პავილიონი შეიტანა. თუმცა, „აღამ და ევას“ მოგება მოგვიანებით უნდა გადანაწი-



ლებულიყო არა წილობრივი მონაწილეობის მიხედვით, არამედ სხვანაირად: მოგების 10% დარჩებოდა „ქართულ ფილმს“, ხოლო დანარჩენი ახალ კინოსტუდიას.

რამდენიმე წლის წინ „აღამ და ევამ“ ძველი პავილიონი კერძო მენარმეებს ახალ პავილიონში გაუცვალა, რომელიც სპეციალურად მათთვის დილომში აშენდა. დანარჩენი უძრავი ქონება (შენობებისა და მიწის სახით), კვლავ „ქართული ფილმის“ კუთვნილებაში რჩებოდა. ეს ადგილი ქალაქის ცენტრშია და შესაბამისად კომერციულად ძალიან ღირებული. მამუკა ხაზარაძე, რომლის ხელშიც ძველი პავილიონი აღმოჩნდა, რეზო ჩხვიძესთან წინადადებით მივიდა. ხაზარაძის სურვილი იყო, შეექმნათ ორგანიზაცია, რომელიც ერთდროულად განკარგავდა ძველ პავილიონსაც და მის გარშემო არსებულ ტერიტორიასაც, ახალი პროექტიდან მიღებული მოგების ნაწილი ქართული კინოს დაფინანსებაზე წავიდოდა. ასე შეიქმნა „კინოქალაქის“ იღვა. გაგა ჩხვიძე: „ეს იყო ძალიან პატრიოტული და კარგი შემთავაზება, რომელიც სიამოვნებით მიიღო რეზო ჩხვიძემ. სწორედ იმ მიზნით, რომ გაადვილებულიყო კომერციული საქმიანობა და ერთობლივი ქმედება, ჩამოყალიბდა ქართული კინოს განვითარების ფონდი, რომელშიც კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ ანუ სააქციო საზოგადოებამ

## სწავლი

შეიტანა უძრავი ქონება – 25 ათასი კვადრატის სახით“ (ძველი კინოსტუდიის მთელი ტერიტორია). 2005 წელს 6 ადამიანისგან შემდგარი ფონდი შეიქმნა, სადაც სამი კინოსტუდიის, ხოლო სამი – სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო. მამუკა ხაზარაძემ დიდი ინვესტიციის მოზიდვის პასუხისმგებლობაც აიღო, ლაპარაკი იყო 50-60 მილიონ დოლარზე. „კინოქალაქის“ სახით გაკეთდებოდა კომერციულ-კულტურული ცენტრი, რომელშიც კინოსტრუქტურებიც მოექცეოდა, მათ შორის – კინომსახიობთა თეატრიც. ხაზარაძემ წარმოადგინა პროექტი, არსებობდა მაკეტის ორი ვარიანტი. კინოქალაქში იქნებოდა რამდენიმე კინოთეატრი, აგრეთვე კინოს მუზეუმი, თუმცა, 80% კომერციულ სტრუქტურებს უნდა დაეკავებინა (სასტუმრო, მაღაზიების ქსელი და ა.შ.). გაგა ჩხეიძემ, რომელიც დღეს უკვე ფონდის დირექტორია, მიუღებლად მიიჩნია ისტორიული პავილიონის მიუზიკ-ჰოლად გადაკეთების იდეა: „ფონდში განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა. საბოლოო ჯამში ფონდი იმ აზრს მიემხრო, რომ კომერციული რისკი ძალიან დიდი იყო. შეიძლებოდა იმ სიტუაციამდე მივსულიყავით, რომ „ქართულ ფილმს“ შემოსავალი არ მიელო ან მოგება არ ყოფილიყო დიდი და მნიშვნელოვანი. ლაპარაკი იყო ტერიტორიის გაყიდვებზეც, რაზეც ფონდი არ წავიდა. პი-

რდად მე ვფიქრობდი, რომ კინოსტრუქტურები აუცილებლად უნდა შენარჩუნებულიყო და ამ კომპლექსის სადღაც 30% ჩვენს საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. ამაზე ხაზარაძე და მისი პარტნიორები არ წამოვიდნენ. მათ მაინც მიაჩნდათ, რომ უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი სააქციო საზოგადოება, დანაწევრება-დაყოფის გარეშე. ჩვენ გვეშინოდა, რომ კინოსტრუქტურებს დავკარგავდით. შესაძლებელი იყო დროთა განმავლობაში არაკომერციულობის მოტივით დაეხურათ კინოთეატრი ან კინოს მუზეუმი და გადაეკეთებინათ რესტორნად. არანაირი გარანტია არ იყო. არც ის იყო გამორიცხული, რომ ოდესმე ბიზნესი სხვა ადამიანების ხელში არ გადავიდოდა, რომლებიც კინოთი საერთოდ არ იქნებოდნენ დაინტერესებულნი. და ეს რისკი კიდევ უფრო იზრდებოდა“.

პროექტი შეჩერდა, თუმცა ქართული ფილმის განვითარების ფონდი არსებობას განაგრძობს. დღეს მისი საქმიანობის ძირითადი ნაწილია ძველი კინოსტუდიის იჯარით გაცემული ფართის იურიდიული კონტროლი და ძველ მეიჯარეებთან ურთიერთობის მონერსიგება. მეიჯარეებისგან მიღებული თანხით მიმდინარეობს ამავე ტერიტორიაზე განთავსებული დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატინეს“ საარქივო მასალის გადარჩევა, კატალოგიზაცია და შესანახად მონერსიგება. ამ პროექტის დასრულების შემდეგ ანუ გაზაფხულიდან ფონდი გეგმავს, თავისი მცირე ბიუჯეტი საგანმანათლებლო მიზნებს დაუთმოს, შეძლებისდაგვარად დააფინანსოს ქართველი სტუდენტების სწავლა უცხოეთში, მოაწყოს სემინარები ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისა და მომავალი პროფესიონალებისთვის.

**დღეს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულებაა, რომლის ქვეყანაში ფილმების წარმოებას კონსერვის საფუძველზე აფინანსებს.**



დათო ჯანელიძე, „ჯაყოს ხიზნები“, 2009



ოთარ კოპიციანი, „ოპარასია ვუდელანდი“, 1982



ენო ახვლიანი, „ბისაბი“, 1989

**კინოსენზორი**

„როდესაც ძველ, ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ სტრუქტურასა და ე.წ. ახალ ტალღას შორის დაპირისპირება შეიქმნა, ახალგაზრდების სათავეში ელდარ შენგელაია იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან დიდი ხნის განმავლობაში და დღესაც ხელმძღვანელობს კინემატოგრაფისტთა კავშირს, მას აღმოაჩნდა ძალიან კარგი ალლო და, ფაქტობრივად, მიხვდა საით უნდა წასულიყო სახელმწიფო კინოპოლიტიკა. შევარდნაძის დროს მან მთავრობას ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიაღებინა (როგორც ვიცი, სწორედ ბატონი ელდარის გავლენით მიიღეს) – კანონი კინემატოგრაფის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ. გადაწყდა, რომ კინემატოგრაფის სჭირდებოდა დახმარება სახელმწიფოს მხრიდან და ეს მართლაც კარგი იყო. ამის გამო, დაინერა კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო და სწორედ ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი“, – ამბობს გაგა ჩხეიძე, რომელსაც 2005 წლიდან სამი წლის განმავლობაში ეროვნული კინოცენტრის დირექტორის თანამდებობა ეკავა.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი დღეს საქართველოში კინოს საკითხებში უმაღლესი სახელმწიფო ინსტანციაა და ერთგვარ კინოსამინისტროს წარმოადგენს. კინოცენტრის მიზანი ქართული კინოს განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის კოორდინაცია და საამისოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის სათანადოდ მობილიზებაა. (კინოცენტრის დებულებით განსაზღვრული ძირითადი ამოცანებია: კინოს განვითარებისთვის სამეცნიერო, საინფორმაციო, საწარმოო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; ეროვნული კინოპროდუქციის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა; კინოს ინფრასტრუქტურისა და კინოქსელის განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა; საქართველოს ეროვნული კინოარქივის შექმნა; კინოგანათლებისა და კინომცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა; შემოქმედებითი და საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების ხელშეწყობა; საერთაშორისო კავშირების განვითარება, საერთაშორისო კინოორგანიზაციებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; კინოფესტივალებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების, აგრეთვე საერთაშორისო კინოფესტივალებში მონაწილეობის ხელშეწყობა).

კინოცენტრი 2000 წელს შეიქმნა და 2003 წლამდე მისი ძირითადი საქმიანობა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ დაწყებული სრულმეტრაჟიანი ფილმების დასრულება იყო. 2005 წლიდან კი მისი სტრუქტურული ცვლილება მოხდა და დაიწყო საინფორმაციო ბაზების მობილიზება, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, კინოექსპორტის მექანიზმების დახვეწა, კავშირების დამყარება უცხოელ კოლეგებთან, ფესტივალების სახით ქართული კინემატოგრაფის ჩართვა უცხოურ კინოპროცესებში და კინომემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვა. 2008 წელს კინოცენტრის ხელმძღვანელობა შეიცვალა, რომელმაც „ქართული კინოს განვითარების სტრატეგია“ შეიმუშავა, ანუ ეს არის გეგმა, რომლის მთავარი მისია კინოსექტორის გაძლიერება ეროვნულ დონეზე და საერთაშორისო ასპარეზზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა.

მართალია პროექტის „კინემატოგრაფის განვითარების სტრატეგიის“ პრეზენტაცია გასული წლის ოქტომბერში კულტურის, სპორტისა და ძველთა დაცვის სამინისტროში გაიმართა, თუმცა ის ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა შესაბამისი სტრუქტურების მიერ.

**კინონარმოების პრობლემა**

1990-დან 2000 წლამდე საქართველოში 43 მწარმოებელი კინოკომპანია შეიქმნა, აქედან სამი მხოლოდ დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობდა, ერთი ანიმაციურზე, დანარჩენები კი ძირითადად, მხატვრულ და მცირე რაოდენობის დოკუმენტურ ფილმებს შერეულად აწარმოებდნენ. 43 ორგანიზაციიდან ოცდაექვსს 90-იან წლებში (უმეტესობას კი მთელი არსებობის მანძილზე) მხოლოდ თითო ფილმი აქვს წარმოებული. ზოგიერთის მაქსიმუმი კი მთელი დეკადის განმავლობაში ნ ფილმია. რამდენიმე მათგანი („სხივი“, „+1“, „დრო“, „აღამი და ევა“, „ნოე“, „სამება“, „ფრესკა“, „კავკასიონი“, „ორობი“, „კვალი“) „ქართული ფილმის“ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე შეიქმნა და რეალურად დამოუკიდებელ მშს-ებს არც წარმოადგენდნენ. ჩამოთვლილი კინოსტუდიების თანამშრომლებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან ხელფასს ისევ და ისევ „ქართული ფილმი“ უხდიდა. ერთი შეხედვით აბსურდული სიტუაციის დეტალებში ჩახედვა ამ სტატიის ამოცანა არაა, მაგრამ როგორც ფაქტი, რბილად რომ ვთქვათ, საინტერესოა. მნიშვნელოვანი ისაა, რომ „ქართული ფილმის“ მსგავსმა „რესტრუქტურისაციამ“ ქართული კინონარმოების ბედზე არცთუ ისე კარგი გავლენა იქონია.

დღეს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულებაა, რომელიც ქვეყანაში ფილმების წარმოებას კონკურსის საფუძველზე აფინანსებს. 2000 წლიდან 2003 წლამდე კინოცენტრმა მონაწილეობა მიიღო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ 9 სრულმეტრაჟიანი და 2 მოკლემეტრაჟიანი ანიმაციურ ფილმზე დაწყებული მუშაობის დასრულებაში. ხოლო 2003 წლიდან მოყოლებული დღემდე კინოცენტრი კიდევ 11 სრულმეტრაჟიანი, 10 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, 12 მოკლემეტრაჟიანი სადებიუტო, 16 დოკუმენტური, 6 ანიმაციური ფილმის თანადაფინანსებელია.

კინონარმოების სფეროში კინოცენტრის პოლიტიკა ორიენტირებულია ისეთი პროექტების დაფინანსებაზე, რომლებიც კინემატოგრაფის მხატვრულ განვითარებას უწყობს ხელს და ე.წ. პოტენციურ საფესტივალო კინოდ ითვლება. მაგრამ, როგორც უკანასკნელმა წელმა გვიჩვენა, კინემატოგრაფისტები საქართველოში კომერციული ფილმებითაც არიან დაინტერესებულნი, რომლებიც მათ პოპულარობას ადგილობრივ ბაზარზე მოუპოვებენ. გარდა საერთაშორისო კინოფესტივალებისკენ მიზანმიმართული ფილმების ავტორებისა, საქართველოში სხვა ტიპის პროდიუსერებიც გაჩნდნენ. ისინი უფრო მეტად ლოკალურ მასურებელზე აკეთებენ გათვლას და ქვეყნის შიდა ბაზარზე აქტიურად დამკვიდრებისთვის იბრძვიან („იდიოტოკრატია“, „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“, „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2“, „გოგონა სლაიდიდან“).

# საზღვრები

იღის ავტორი: ანა კორკია-სამადაშვილი

ილუსტრაცია: მანა სუბაძე

„გვერაფერი გავიგე. მთელი ბავშვობა ეს საზღვარი, ბერლინის კედელზე გაცილებით მეტად, ჩემი პირადი რკინის ფარდა იყო. აუღებელი. გაყინული. ღრმა, ბნელი წყლის თხრილი. ბობოქარი ტალღების კედელი. ადგილი, სადაც ყოველდღე ეხედავდი, ჩემი სამყარო სად მთავრდებოდა.“


ახლა კი წესიერი მოწმობაც არ მექონდა – და გამიშვეს. ორი წუთიც და შვედეთის კარიბჭე გაიხსნება. ისე გავშტერდი, რომ უდანაშაულო გოგოს როლი სულ დამავიწყდა და გახევებულმა გადავიხადე მადლობა.

როცა გემი ნავსადგომიდან გავიდა, გემბანზე ავედი. ზასნიცს შევცქეროდი და ცრემლი მდიოდა.

გული არ ამჩუყებია, რისხვა მომანვა. რა ბანალური ამბავი ყოფილა. ყოველდღიური, არაფრისმთქმელი. უბრალოდ, შვედეთის საზღვარი. გაიარეთ, აქ საყურებელი არაფერია, გაიარეთ“.

კლაუდია რუში





# შვედური ბორანი კლასიკა რუში

ბალტიის ზღვასთან გავიზარდე. ისევე, როგორც დედაჩემი, ბაბუაჩემი, მისი მშობლები და მათი მშობლები, და მათი მშობლები და ასე... 500 წლის განმავლობაში ჩემი წინაპრები კაპიტნები და კაპიტნის ცოლები იყვნენ. მთელი დინასტია, ძველი გვარი და უცვლელი სამშობლო, როგორც წესი და რიგია: ფუსტროველი ბრადპერინგები ფიშლანდიდან. დედაჩემს გაუმართლა, რომ გოგოდ გაჩნდა. გვარის გამგრძელებელს ბებია და ბაბუა სრული სერიოზულობით სილვესტრს დარქმევდნენ. სილვესტრ ბრადპერინგი ფიშლანდიდან. ასეთი რამეები მენიუში წერია ხოლმე.


ნენ, სადაც დათვივით დიდი და ღონიერი კაცები ცხოვრობდნენ, ქალები „ABBA“-ს აგნესას ჰგავდნენ და ყველა ფერადი ბაფთებით ცეკვავდა „მისის ხის“ გარშემო. მე ასე წარმომედგინა. მხიარული ქვეყანა, ქერა ხალხით სავსე.

კუნძულის აღმოსავლეთით, ზასნიციდან, დღეში ორჯერ გემი ტრელებორგში გადაიოდა. შვედური ბორანი. სულ ჩანდა, ზღვას სერავდა, იქით-აქეთ, ძალიან ნელა, თითქოს ჰორიზონტის გასწვრივ, როგორც ჩანს, სანაპირო ზოლის პარალელურად. მე და დედაჩემი კი ყოველ ზაფხულს ვისხედით და დედა თეთრ გემს გასცქეროდა.

დავინახავდით ხოლმე, დედა თვალებს ხელით იჩრდილავდა, ზღვას მიაცქერებოდა და ჩუმად ოხრავდა. ერთ დღესაც იქნება და ამ ბორანს გავყვებით.

არ გავყოლივართ. მერე ბევრჯერ მიფიქრია და მიოცნები, რა ადგილას შეიძლება ტრელე-ბორგში მიმავალ მალმოს ექსპრესში დამალვა, ან სხვა რა გზით მოვახერხებდი შვედეთში გადაპარვას. აქ ხომ ბერლინი არ იყო, არც მავთულხლართები ჩანდა და არც გუშაგები დადიოდნენ. ეს ხომ ზღვაა. რალაცნაირად მაინც უნდა ხერხდებოდეს მეორე ნაპირზე გადასვლა..

მაშინ არ ვიცოდი, რამდენი ადამიანი



ჩემი ბიოლოგიური მამა დედაჩემის ოცნების მამაკაცი არ ყოფილა, მაგრამ ოჯახურ კონცეფციაში კარგად ჯდება. მხოლოდ და მხოლოდ საზღვაო ძალების ოფიცერი იყო, თან საქსონელი, მაგრამ კაპიტანი.

ის რიუგენის ჩრდილო დასავლეთ კიდეში მსახურობდა. მარცხნივ თუ გაუყვებოდით, შიდენის ტბას მივადგებოდით, სადაც იქ, ზღვის მეორე ნაპირზე კი შვედეთის სამეფო იყო. მაშინ კარლ გუსტავის და სილვია ზომერლათის შესახებ არაფერი მსმენოდა, მაგრამ შვედეთი ზღაპრული ქვეყანა იყო ჩემთვის. ოცნების მხარე. ადგილი, სადაც არ გვიშვებდ-

ნენ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მოგონება სწორედ ეს სურათია. ბაკენ-ბერგის უკაცრიელ სანაპიროზე ვართ, კლდეებთან, რომლებსაც მერცხლები დასტრიალებენ. თეთრი საბავშვო ქუდი მახურავს, შიშველი დედის კალთაში ვზივარ და ხელს ვიქნევ, ხელს ვუქნევ დიდ გემს. დედა მკოცნის და ყურში ჩამჩურჩულებს: გპირდები, ერთ დღეს ამ ბორანით გავცურავთ, შენ და მე, ბალტიის ზღვის სხვა ნაპირებისკენ. დამიჯერე, ასე იქნება.

წლები გავიდა, ჩემი მშობლები გაიყარნენ, ჩვენ ბერლინში გადავსახლდით. მაგრამ რამდენჯერაც შვედურ ბორანს

დაიღუბა ბალტიის ზღვით გაქცევის მცდელობისას, არ ვიცოდი, რომ სკანდინაველი მეთევზეები თავიანთ ბადეებში წლების განმავლობაში გვამებს პოულბდნენ, და რომ ჩემი საყვარელი ზღვა გდრ-მ სასიკვდილო ხაფანგად აქცია. ეს რომ მცოდნოდა, ალბათ ზღვაში ველარც ვიბანავებდი.

ბებიჩემი შტრალზუნდში ცხოვრობდა. ისევე, როგორც დედაჩემმა, თავისი კაპიტანი და ფიშლანდია მანაც მიატოვა. როგორც კი საშუალება ეძლეოდა, უმაღლე შიდენის ტბაზე მიემგზავრებოდა ხოლმე: 2,50 მარკა ნოიდორფამდე, 3,00 მარკა ვიტემდე და 3,50 ქლოსტე-

რამდე. ცხადია, ბებია შტრალზუნდის ნავსადგომში ყველა ბილეთის გამყიდველ ქალბატონს იცნობდა და, ცხადია, ზასნიცის მეზობელ ქალბატონებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. და აი, 1989 წლის 10 ნოემბრის დილას ბებიაჩემი, აღმოსავლური კონიაკის ბოთლით ჯიბეში, შტრალზუნდის ნავსადგომში გამოცხადდა და ქალბატონებს დახმარება სთხოვა. ზასნიციდან ტრელებორგში მიმავალი გემის ბილეთები უნდოდა, ორი გზა, 1989 წლის 24 დეკემბრისთვის. ეს მისი საშობაო საჩუქარი იყო. შვედური ბორნით მოგზაურობა. ბალტიის ზღვის მეორე ნაპირისკენ.

იმ შობა დღეს ბორანმა ლამის ერთი საათით დაიგვიანა და ტრელებორგისთვის დრო აღარ დარჩა. გემბანიდან მანც გადავიდით. შვედეთის 10 წუთი. უშნო, უსახელო ნავსაყუდელი, სანარმოდ ნაგებობები, წვიმიდან განაცრისფერებული გარემო, მაგრამ შვედეთი. როგორც იქნა. ჩვენი მანც გავიტანეთ.

იმ ქვეყნისა ცოტა მეტი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ვნახე. ერთი წელი იტალიაში ვსწავლობდი და ბევრ სკანდინაველს დავუმეგობრდი. აბრილის დასაწყისში ბოლონიიდან ყველანი გაიქცნენ, რადგან პოს ზეგანზე მეტისმეტად დასცხათ. მე მაისს მამაცურად გავუქელი, ჩემი მეგობარი შარლოტა იენისის ბოლომდეც კი დარჩა. მერე რამდენიმე შვედმა სტუდენტმა აგვისტოში გოტლანდიაში დაგვპატიჟა. შვედეთი ძალიან მომეწონა. ხალხი თბილი იყო, სახლები – ულამაზესი, და ყველა IKEA-ს კატალოგიდან გადმოსულს ჰგავდა. ორაგული და არაყი ყველგან ჰქონდათ. პოლარული სამთხე.

მალმოს ექსპრესით ჯერ ზასნიცში გავემგზავრეთ, მერე გემზე ავედით და შვედეთისკენ ავიღეთ გეზი. ყველაფერი კარგად აეწყო. ბებიაჩემის მოსანახულეზლად ყოველთვის მალმოს ექსპრესით მიწვედა ხოლმე მგზავრობა. მარტივი მიზეზის გამო. რაც 6 წლისა მოვიყარე, ბერლინიდან, ძირითადად, მარტოკა მივდიოდი ხოლმე ბებიასთან. მალმოს ექსპრესი შტრალზუნდამდე მხოლოდ სამჯერ ჩერდებოდა, ამიტომ ძალიან მცირე ალბათობა რჩებოდა იმისა, რომ სადგური ამერეოდა, არასწორ მატარებელში ავიდოდი ან საიდანმე გადმოვვარდებოდი. შესაბამისად, წლიდან წლამდე ამ მატარებელში ვიჯექი. ეს ძალიან მახალი-სებდა, რადგან ვიცოდი, რომ ზასნიცში მატარებელს ბორანზე გადაიყვანდნენ და მერე ის ტრელებორგიდან გააგრძელებდა გზას. გარდა ამისა, მატარებელს სახელიც კარგი ერქვა: მალმოს ექსპრესი. შორეული, უსაზღვრო სამყაროს ძახილი. მე კი შტრალზუნდში, რიუგენდამის სადგურში ჩავდიოდი. ყურადღება, კარები იკეტება და ფრთხილად, მატარებელი გადის.

ამჯერად მე და შარლოტა მატარებლიდან არ ჩავსულვართ და პირველად გავიარე გზა მალმომდე. კმაყოფილებას ვერ ვმალავდით. მაგარი იყო – მივემგზავრებით!

1996 წელს, როცა შვედური ბორნით მესამედ ვიმგზავრე, ბავშვობა წამომენია. მინდოდა, ზაფხულის ბუნიობას ჩრდილოეთ შვედეთში შევხვედროდი. 19 ივნისი იყო და ჩემს პირადობის მოწმობასაც და ევროპულ პასპორტსაც იმ დღეს გასდოდა ვადა. ეს ზედ წასვლის წინ აღმოვაჩინე. გერმანულ უწყებებში სირბილის დრო აღარ დარჩა, ამიტომ არაფერი დამრჩენოდა – ეგებ და გამიმართლოს. მალმოს ექსპრესი სადღაც ლამის ორზე ჩავიდა ზასნიცის ნავსადგომში. ეგებ გამიმართლოს და აღარავინ ამოვიდეს, თუ არადა, თავს მოვიმძინარებ და ეგებ ვერ შემამჩნიონ. თუ გაჭირდა, პატარა გოგოსავით მოვიქცევი: გაფართოებული თვალები, ტკბილი ლულუღი, უმწეო ცახცახი. ყოველთვის ჭრის. იმედია, გული მეტაჟეებსაც უნდა ჰქონდეთ.

ისე, მთლად დარწმუნებულად არ ვიყავი, რომ გავძვრებოდი, იმიტომ რომ ვადაგასული საბუთი ერთია და მანქანების სადგომის ქვითრის არქონა – სულ სხვა. ასეთი ფიქრი მიტრიალებდა.

ზასნიცში ჩავედით, მატარებელი რწევარწვევით გემის მუცელში შევიდა და მესაზღვრეების ჯერიც დადგა. ბოლოს ვიღაცა მოვიდა, მღვიძარს თავზე დამადგა და საბუთი მომთხოვა. მივანოდე და ბრძნულად ვეცადე, თარიღი ცერათითით დამეფარა. ამაოდ. მეტაჟეს წამის მესაყედი დასჭირდა იმისათვის, რომ მახვილი თვალით პრობლემას ჩასწვდომოდა.

„ქალიშვილო, თქვენს მოწმობას ორი საათის წინ გაუვიდა ვადა“.

კაი. თვალეზი ფართოდ გავახილე: „ესე იგი, შვედეთში არ შემომგებენ?“

პასუხი არ გაუცია, მითხრა, მომყვიო. უკვე ვხედავდი, რომ ბორკილები დამადეს, მოხელებების გაცურებისთვის ან ქვეყანაში უკანონოდ შესვლის მცდელობისთვის დამაპატიმრეს...

მერე კი აი, რა მოხდა: გვერდით განყოფილებაში გამიყვანა, უჯრიდან ფოტოაპარატი ამოიღო და მკითხა, ხურდა არ მაქვს, ათი მარკა გექნებათო. მერე სურათი გადამიღო და ახალი მოწმობა დამიმზადა.

სულ უბრალოდ.

ვერაფერი გავიგე. მთელი ბავშვობა ეს საზღვარი, ბერლინის კედელზე გაცილებით მეტად, ჩემი პირადი რკინის ფარდა იყო. აუღებელი. გაყინული. ღრმა, ბნელი წყლის თხრილი. ბობოქარი ტალღების კედელი. ადგილი, სადაც ყოველდღე ვხედავდი, ჩემი სამყარო სად მთავრდებოდა.

ახლა კი წესიერი მოწმობაც არ მქონდა – და გამიშვეს. ორი წუთიც და შვედეთის კარიბჭე გაიხსნება. ისე გავშტერდი, რომ უდანაშაულო გოგოს როლი სულ დამავიწყდა და გახევებულმა გადავიხადე მადლობა.

როცა გემი ნავსადგომიდან გავიდა, გემბანზე ავედი. ზასნიცს შევცქეროდი და ცრემლი მდიოდა.

გული არ ამჩუყებია, რისხვა მომანვა. რა ბანალური ამბავი ყოფილა. ყოველდღიური, არაფრისმთქმელი. უბრალოდ, შვედეთის საზღვარი. გაიარეთ, აქ საყურებელი არაფერია, გაიარეთ.

ველარ გავიარე. ცხვირიდან სკვინტლი მდიოდა, მახსენდებოდა, როგორ მწურებოდა ხოლმე გული, როცა ამ თეთრ გემს ვხედავდი. მახსენდებოდა, როგორი შეგრძნებაა, როცა სამყაროდან გარიყული, აღმოსავლეთში დატუსალებული და დავინწყებული ხარ.

იმწამს მიგხვდი, რომ შვედური ბორანი ჩემი საშველი იყო. მე აღარ ვიყავი უსუსური გოგო, ბალტიის ზღვის პირას რომ იდგა, „მათ“ ჩემს ცხოვრებასთან ხელი აღარ ჰქონდათ და უსამართლოდ მას ვეღარავინ განაგებდა. შვედეთი და ბორანი არაფერშუაშია; საუბარია თავისუფლებაზე, რომელიც ჰორიზონტზე მოჩანს.

1996 წლის 20 ივნისის ღამეს ჩავედი.

მოაჯირთან ვიდექი და ვხედავდი, როგორ ქრებოდა ღამეში ზასნიცის სინათლეები.


## When I'm 64

# ნა კორპორა-სამადაშვილი

ერთი აკვირებული სიზმარი მქონდა, არც ცუდი, არც კარგი, უბრალოდ, ცხოვრების თანმხლები იყო: ბნელ შესასვლელში კარს ვაღებ. დერეფანშიც ბნელა, მაგრამ ეს არაფერია, არ მესინია, რადგან იქაურობას ჩინებულად ვიცნობ. შესასვლელიდან ორ ნაბიჯში, ხელმარცხნივ, სახელურს ვპოულობ, პატარა ოთახში შევდივარ, შუქს ვანთებ და ვხედავ ერთ მხარეს ნიგნის თაროებს, მეორე მხარეს – ლოგინს, წინ – ძველ კარადას. ძალიან დალაგებულია ეს ოთახი, ვერ იტყვი, მაგრამ

რა მეჩქარება? მთავარია, ჩაბარების ბოლო ვადა გუშინ არ იყოს... ჰოდა, ერთ დღესაც მივედი სახლში და ვიფიქრე, ნამუსიც კარგი საქონელია, ჯანდაბას, შევუდგები-მეთქი საქმეს. შევედი ოთახში, ავანთე შუქი და თაროდან გადმოვიღე არა სტაფილოსფერი ტომი, არამედ A4-ზე ამობეჭდილი ნიგნი, გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, „უთავო მხედარი“. და უმაღვე ვიცანი: ერთ მხარეს – ნიგნის თაროები, მეორე მხარეს – ლოგინი, წინ – ძველი კარადა. ძალიან დალაგებულია ეს ოთახი,

რატომ უნდა იყიდოს კაცმა ვენეციის რომელიმე პალაცო. რად მინდა? რამდენ ოთახში უნდა დავიძინო? ამისთანა რა უნდა გამასუქოს გამჩენმა, რომ ჩვეულებრივ დერეფანში ვერ გავიარო? ვერაფრით ვხვდები, რატომ ყიდულობენ ადამიანები სახლებს დედამიწის სხვადასხვა მხარეებში – თუ ამდენი ფული მექნება, ყველაზე კარგ სასტუმროებში ვიცხოვრებ, ყველაზე გემრიელ კერძებს შევჭამ, სწორედ იმას ვნახავ, რაც გამიხარდება, და ამდროს არაფერზე ვიდარდებ, რადგან



ესეც არაფერია. შევდივარ ამ ოთახში, თაროდან ნიგნს ვიღებ, სტაფილოსფერ ტომს, „უთავო მხედარი“, დანოლას და ნაკითხვას ვგეგმავ და ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, იმიტომ, რომ ეს სინამდვილეში არასოდეს ნახული ოთახი ჩემია, ჩემი სახლია.

დიდხანს ვხედავდი ამ სიზმარს, მერე – აღარა, ბოლოს მიმავინწყდა კიდევ.

სულ ცოტა ხნის წინათ, ერთი ნიგნის კორექტურა უნდა გამეკეთებინა. ამონაბეჭდი თაროებზე დავდე –

ვერ ვიტყვი, მაგრამ აი, დარდი, იმიტომ, რომ მანამდე სიზმარში ასგზის ნახული ოთახი ჩემია, ჩემი სახლია, და თუ ვინმეს არ მოსწონს, შეუძლია, სულ არ შეხედოს; მე იქ ძალად შეთრეული არავინ მინახავს.

...

ის, რასაც ქონება ჰქვია, ჩემთვის ამოუხსნელ გამოცანად დარჩა. ჩემი საბრალო, საბჭოეთში ჩამოყალიბებული ტვინი ვერაფრით ვერ ხვდება,

– დამიჯერეთ, ჩემხელა ქალისა ტყუილიც დაიჯერება, – საკუთრება თავის ტკივილია და მეტი არაფერი.

არა, კიდევ ერთი რამაა: დამლუპველი, ძირგამომთხრელი, ცხოვრების შემცველი სიყვარული. მიმველეთ, ხალხო! მე შეყვარებული ვარ! მე მიყვარს სახლი, და მე, ქალს, რომელმაც ზუსტად იცის, რომ კერძო საკუთრების ნებისმიერი ფორმა, თვით ოჯახიც კი, ტოტალური მამაძალღობაა, ჩემი, საკუთარი სახლი მიყვარს,

და იმის წარმოდგენაზე, რომ ის შეიძლება ოდესმე ჩემი აღარ იყოს, გული მიჩერდება.

რაც ერთად ვართ, სხვა ქვეყანაში ცხოვრების აზრი აღარ მომსვლია. სახლმა თბილისს, როგორც ჩანს, საშვილიშვილოდ მიმაჭედა. მის ქვეყნებში გათენებული რამდენიმე ღამის შემდეგ სხვაგან დარჩენა აშკარად აღარ მისაჩრია და სულ ავტოპილოტივით რომ მჭირდებოდეს, მაინც მივალნე, სიმღერ-სიმღერით: „When I'm 64...“ მე მისი ისეთი ერთგული ვარ, რომ თავადაც მიკვირს, და სახლიც ამით მპასუხოვს: ყოველთვის მიღებს, ჩემი მისვლა ყოველთვის უხარია და უპირობოდ ვუყვარვარ. რაც არ უნდა ვქნა, ვუყვარვარ. ჩვენ თორმეტი წელია, ერთმანეთზე ვგიჟდებით.

მას მერე, რაც ჩემს ცხოვრებაში ეს სახლი გაჩნდა, გავუგე მათ, ვინც ქუჩის ბრძოლებში იღუპებოდნენ. გასაგები გახდა გამოთქმა: „ვაი უსახლკაროს“. ახლა მესმის, რატომ ითვლებოდა სახლ-კარის გადაწვა ოჯახის წევრის მკვლელობის ტოლფასად. მას მერე, რაც სახლი მყავს, ჩემთვის ლაპარაკი დამჩემდა, ყოველ შემთხვევაში, გარეშე თვალი ვერასოდეს მიხვდება, რომ სახლს ველაპარაკები, ხოლო თუ მიხვდა, და, მით უმეტეს, ტექსტი თუ გაიგონა – ეპუპეი, ანიჩკა, ეს რა მოგსვლია!

„სალამი, სახლოვიჩ! – ვლრიანცელოვ კარის გაღებისას, – ხომ ხარ მაგრად და მაგრად?“

„აბა, შენ იცი და შენმა სახლობამ! – ვუბარებ გასვლისას, – შენ დარდი არ

გქონდეს, მალე ჩამოვალ და სილამაზეებს ჩამოგიტან“.

და ჩამომავს კიდეც. საჩუქარი იმას, საჩუქარი ამას და ერთიც – სახლს. ათასგვარი სისულელე, ოლონდ პრაქტიკული, რომ სახლოვსკის ზედმეტი ბარგი არ ავკიდო. მე კი ბარაქიანს ვიკიდებ ხოლმე: ზურგით მაქვს ნათრევი თუჯის საკიდები, უზარმაზარი ქვა – სანათური, რომელიც სახლოვსკის კლიმატური თავისებურებების გამო, ვაგლახ, გაცოცხლდა (არ გამიფრენია, მართლა: სტალაქტიტი თუ სტალაგმიტი ყოფილა და გუბის დაყენება დასრულდა). მუდმივი სტუმრებიც უკვე ჩემი კი არა, სახლის სტუმრები არიან და მისთვის ზრუნავენ: ანთიამ საფერფლე მოუტანა, უეჭველია, სადღაც ანაპნილი, ევემ ჯიბე გაუკეთა – ვარდისფერი კონვერტი, რომელიც კრიზისის ფონზე, ვაგლახ, ცარიელია, მაგრამ არსებობს. ჩემი და სახლის ჭიქები თბილისის ღამის ცხოვრებაზე სრულ წარმოდგენას იძლევა, თეთრეული სტუმრების ჰიპურ სულისკვეთებაზე მეტყველებს, ხოლო ტემპერატურა იმის დასტურია, რომ мы в воде ледяной не тонем и в огне почти не горим...

მავანნი მისხნით, რომ ეს სახლი უნდა გავყიდო და სხვა უნდა ვიყიდო, რადგან სახლი მოხუცია, ავადაა, და მთლად თავხედები იმის თქმასაც კი მიბედავენ, რომ მისი სწეულება შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს. ძალიან ჭკვიანური რჩევაა: ჩემი დიდი სიყვარული ისეთ ტიპს უნდა დავუთმო, რომელსაც ის მოხუცად, ავადმყოფად და ფუჭად მიაჩნია, რომელიც მასთან

ერთად კი არ იცხოვრებს, არამედ თავისთვის ამუშავებს, და ღამით მარტოს დატოვებს, და აწყენინებს, და დასცინებს...

არა!

მოგახსენებთ, ბრიყვებო, რომ სამშობლოს და სახლს არ ვყიდი, რომ დედა მოხუციც დედაა, რომ თუ კარგ გამოკვლევას ჩაიტარებთ, თქვენ უფრო ავადმყოფები აღმოჩნდებით (ჰეპე!), მე კი სახლი არაფერს გადამდებს, რადგან რაქიტის ასაკი გამივიდა, ჯანსაღი სახსრები მაქვს და კამელიებიანი ქალბატონის ნამდვილ ამბავს ჩემზე ვერავინ მოყვება. ოლოლო თქვენ!

ეს ჩემი საყვარელი საზღვარია: ზღურბლი, რომელსაც გადავაბიჯებ – და შენთან ვარ, სახლოვსკი.

დაე, ინვიმოს, ითოვოს – თავში ქვა იხალოს და მუცელში სამართებული! კედლები სქელია, მტკიცე, სახურავამდე კი ძალიან შორია. დაე, იყფონ ქუჩის ძაღლებმა – ახლოს მაინც ვერ მოვლენ, ჩვენი მურა ყველას მოერევა. მერე რა, რომ ხანდახან უადგილო ადგილებიდან წყალი გვასხამს – ეგეთები გადაგვიტანია? მერე რა, რომ ქალაქის მესვეურებმა პატივი დაგვდეს და ზოგი კარი არ გვეღებო და ზოგი არ გვეკეტება – ჩვენს გარდა აქ ძვირფასი არაფერია, და ჩვენი წაღებაც, მე თუ მკითხავ, არ ღირს. ასე რომ, შენ ნურაფრის დარდი ნუ გექნება, შენ როგორ შეგეღევი, სახლოვსკი. სადღა ვიპოვი შენისთანა ჩემისთანა სახლს?

და ვიცხოვრებთ ასე, მე და ჩემი სახლოვსკი, და ერთმანეთი ძალიან გვეყვარება, მამინაც, როცა 64-ის გავხდები.

## კონტრაბანდა გიგი გულელანი

ჩემი სოფელი სვანეთში, რუსეთის საზღვართანაც ახლოსაა და აფხაზეთის საზღვართანაც. ის ითვლება ხეობის ცენტრალურ დასახლებად, მაგრამ არც ერთ რუკაზე არაა დატანილი, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით უფრო პატარა გარშემო

სოფლები (და რუკებზე ზოგჯერ ამავე სოფლის ცალკეული უბნებიც კი) აღნიშნულია ხოლმე, მაგრამ მთლიანად სოფელი – არასდროს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, ეშმაკმა უნყოს. მამაჩემს ვკითხე, არ იცოდა. მეგობრებს ვუთხარი და, – რაიმე

საიდუმლო ობიექტები ხომ არ არისო; მეთქი, რა სისულელეა...

რა საიდუმლო ობიექტი – ერთი კლუბია სოფლის ცენტრში ნახევრად გამოცვლილი, ერთი სამსართულიანი სკოლა, სასაფლაო, ახალი ეკლესია, ძველი მაღაზიები, ბევრი კალმანი

## სკესპროექტი

მდინარეში (რომელზეც სოფლიდან მდინარის სათავეებისკენ ასული ხალხი დინამიტით ნადირობს ხოლმე) და ახალი ფეხბურთის მოედანი. კლუბს შარშან გამოუცვალეს გადახურვა, ოღონდ მარტო ნანილობრივ, იმიტომ, რომ „ცენტრიდან“ გამოყოფილი ფული მთელ სახურავს არ ეყო და ასევე ახალ ფეხბურთის მოედანს სამი წყება რკინის ბადე სტანდარტული მოდელით კარებებს უკან აქვთ, მაშინ როცა ამ შემთხვევაში მდინარის გასწვრივ უნდა ჰქონოდა, რადგან, როგორც წესი, სწორედ მდინარეში გადაფრენილი ბურთები იკარგება ხოლმე ყველაზე ხშირად.

სწორედ აქ ბოლო ომის დროს, ათი აგვისტოს დილას აივანზე რომ გამოვედი და ჩემ პირდაპირ მარმარილოს მყინვარს ავხედე, ზედ

ბიც ასე თუ ისე საზღვრების დარღვევას ან გადალახვას უკავშირდებოდა. ერთი ხდებოდა როკის გვირაბში, ერთი საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე, ერთი თურქეთის საზღვარზე, ერთიც ტაჯიკეთ-ავღანეთის, სადაც თითქოს მე და ჩემი მეგობარი საყოფაცხოვრებო ტექნიკის ჰაშიშზე გადასაცვლელად ჩავედით.

ამ ოთხი სიუჟეტიდან მხოლოდ თურქეთის საზღვრის ეპიზოდი დასრულდა ტრაგიკულად – სპეცნაზის სნაიპერებმა უმოწყალოდ ჩაცხრილეს თურქეთიდან გადმოსული სამხედრო ჯიპი და ადგილზე მყოფმა ტელევიზიამ თავისი მიკროავტობუსიდან სატელიტებზე გადასცა მანქანიდან გადმოსული დასისხლიანებული კორეელი ჯარისკაცის სახე.

როკის გვირაბიდან რუსეთისკენ სულ ხოხვით გავაღწიე და რუსი მესაზღვრეებით გარშემორტყმულს ფოტოკამერების ჩხაკუნის მეტი აღარაფერი მესმოდა, მაგრამ მიხაროდა, რომ მშვიდობით გადავრჩი. იმ წუთას ხელში მეჭირა სიცოცხლის ორი გარანტია – ბევრი ჟურნალისტი გარშემო და უცხო, მაგრამ სიმპათიური ახალგაზრდა კაცი პიჯაკში, რომელიც ოპერატორების უკან იდგა, გაბრწყინებული სახით თვალს მიკრავდა და თითებით მაჩვენებდა გამარჯვების ნიშანს („V“). მივხვდი, რომ ის ჩემით ამაყოფდა.

საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მე და ჩემი მეგობარი ვისხედით მაღლობზე, ხან ერთ ქვეყანას გადავხედავდით, ხან მეორეს და ყურში რატომღაც სა-



უზარმაზარი ასობით ეწერა: „ვანია, ჩელიაბინსკ. ავგუსტ, 2008“, რაზეც, რა თქმა უნდა, ელდა მეცა, მაგრამ ეზოში წყაროზე პირი რომ დავიბანე, მყინვარს ხელმეორედ ავხედე, აღმოჩნდა, რომ წარწერა სიზმრიდან გადმოყოლილი ჰალუცინაციის ნაწილი იყო.

ბოლოდროინდელი სიზმრებიდან კი რამდენიმე იყო ისეთი, რომლე-

საიდან მოხვდა კორეელი ჯარისკაცი თურქულ სამხედრო ჯიპში და რატომ გამოარღვია ამ ადამიანმა თურქეთ-საქართველოს საზღვარი, ამოუცნობი დარჩა. ფონის სპეცნაზიზმა პერიმეტრზე ვერანაირი რადიაცია ვერ აღმოაჩინა.

ამ ერთის გარდა, დანარჩენი „სასაზღვრო ეპიზოდები“ ბედნიერად სრულდებოდა ხოლმე. მახსოვს,

გალობლები ჩავგვესმოდა. „სამხრეთ საზღვარზე ცვლილებები არ არის“, – ჩავძახეთ ბაზას რაციაში.

ტაჯიკეთს რაც შეეხება, მანდ მე და ჩემმა მეგობარმა უბრალოდ არეულობითა და რუსულ-ტაჯიკური კორუფციით ვისარგებლეთ. ტაჯიკურ (ანუ ყოფილ საბჭოთა) საზღვარს მაშინ (90-იანებში, და ალბათ დღესაც) რუსები აკონტროლებდნენ.

თალიბები ღამლამობით მასობრივი შტურმებით აწვებოდნენ ავღანეთიდან. საზღვრისპირა სროლაში ბევრი იხოცებოდა, მაგრამ ამასთან ერთად იყო თანამშრომლობის სანიმუშო მაგალითებიც, და შედეგად, დუშანბედან წყვეტილად წამოსული ოპიატების თეთრი ნაკადები მოძმე რესპუბლიკებში რეგულარულად ნაწილდებოდა.

ასრულებდა თუ არა თავის ფუნქციას ტაჯიკური საზღვარი? რა თქმა უნდა, ასრულებდა, თუ დავუშვებთ, რომ საზღვარი არის ხაზი რომელიც ორ სამყაროს ერთმანეთისგან მიჯნავს. რას აკავებდნენ რუსი მესაზღვრეები – თალიბების გავლენას თუ ნარკოტრაფიკს? ალბათ უფრო თალიბებს, რადგან ნარკოტრაფიკი, როგორც უკვე ვთქვით, ისეც და ასეც აწყობილად მუშაობდა. ეჭვი მაქვს, რუსებს ეგონათ, რომ თალიბებს ტაჯიკეთზე იდეოლოგიური გავლენის გავრცელება უნდოდათ,

არადა, ესენი სინამდვილეში, უბრალოდ ნარკოტრასებისთვის იბრძოდნენ.

შეძლეს თუ არა მხარეებმა თავიანთი მიზნის მიღწევა? ეშმაკმა უწყის. არც მაშინ და არც ახლა ამაზე დეტალურ ინფორმაციას არ ვფლობ, ამ გეოპოლიტიკურ ფრონტებზე მე ჭიანჭველას წონაც კი არ მაქვს – უბრალოდ ციფრული კამერების პარტია გადავცვალე რამდენიმე კილო ჰაშიშში (ეს იყო და ეს) და წამოვედი თვითმფრინავით უკან. სხვათა შორის, არც დუშანბესა და არც თბილისის აეროპორტებში წითელი (სასაზღვრო კონტროლის) ხაზი არ გადამიკვეთია. რა საჭიროა ზედმეტი ბეჭდები პასპორტში?

მოკლედ, ჩემი მოკრძალებული გამოცდილებით, ყველა საზღვარი აკრძალვაზე მიაწინებს. თუ ჩვენ წინაა საზღვარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამის იქით რალაცის გაკეთება არ შეიძლება. კარგია თუ არა ეს?

ჩემი აზრით, საზღვარი არ ატარებს დადებით მუხტს, იმიტომ რომ, როგორც წესი, სხვისგან თავსმოხვეულ აკრძალვასა და გარეშე კონტროლს გულისხმობს. თუმცა, საზღვრების გაუქმებისთვის დეკლარირებული ბრძოლა ინფანტილურობად მიმაჩნია: რა საჭიროა ლოს-ანჯელესელი მარქსისტი სტუდენტის დონეზე დასვლა, როცა ყოველთვის მოსულა მოლაპარაკება თამაშის წესებზე? „შეთანხმება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ“; „შეთანხმება საზღვრის გადაკვეთის გამარტივების შესახებ“; „შეთანხმება კავშირში გაწვევიანების შესახებ“.

და თუ ესენი არ მუშაობს, ყოველთვის შეიძლება ცხოვრებით გადაღლილი რუსი გენერლის მოძებნა, რომელიც ნებისმიერ ტვირთს, ნებისმიერ საზღვარზე ხაკისფერი თვითმფრინავებით უპრობლემოდ გადმოგატანინებს.

## მთავარი საზღვრის მოლოდინში ბიორბი ბჰასარია

„თურქიშის“ თვითმფრინავებში რომ პატარა ეკრანებია დამონტაჟებული, ვგიჟდები, ისე მომწონს. ვუყურებ რუკას და ვხვდები, სადა ვარ.. რაც მთავარია, დრო ასე უფრო სწრაფად გადის.

ჩემთვის ეს პროცესი ორმაგად სასიამოვნოა. არაერთხელ მინახავს სიზმარში ზევიდან დანახული ქალაქი, ზევიდან დანახული ქვეყანა, ზევიდან დანახული პლანეტა. დაფრინავ და უყურებ! დროდადრო თვალს ჭუტავ,

უკეთ რომ დაინახო. ან დაბლა ეშვები, რათა შეეხო ყველაფერს, რაც მოგწონს.

სანამ ამ ეკრანებს დაამონტაჟებდნენ, თვითმფრინავში რადიომიმღებს ვრთავდი ხოლმე. უკრაინულ ენას რუმინული ცვლიდა, რუმინულს უნგრული, უნგრულს – გერმანული... ფრანგული ენის გაგონებისთანავე ვხვდებოდი, რომ თვითმფრინავი პარიზს მიუახლოვდა!

ესეც თავისებური ნეტარება იყო –

ჯერ ერთი, ასე უფრო სწრაფად გადიოდა დრო იმ ტანჯვაში, რომელსაც „ფრენა“ ჰქვია (ჩემთვის, ფრენა ყველაზე საშინელი ტანჯვაა) და მეორეც – ენების ცვლა ბადებდა სამყაროს დაუფლების განცდას, მთლიანობისა და მრავალფეროვნების ერთიანობის შეგრძნებას.

საბჭოთა ეპოქაში გაზრდილისთვის თავისუფალი გადაადგილების უფლება ყველაზე დიდი საჩუქარი იყო, რაც ილბალმა მომანიჭა. შენგენის ვიზები



როცა შემოიღეს, მთელი წელი ვაგროვებდი ფულს, ევროპა რომ დამეთვალე რეზინა. ახლა ვისხენებ, რა დამრჩა იმ მოგზაურობიდან? კოლონის ტაძარი? რომის კოლიზეუმი? ბრიუსელის „გრანდ პლასი“? გაუდის სახლები ბარსელონაში? არა და არა. ყველაზე წარუშლელი განცდა ამ ქვეყნებს შორის გაუქმებული საზღვარი იყო; აეროპორტში პასპორტის „დამთვალე რეზინა“ მესაზღვრის საზიზღარ მხერას გადავურჩი, მატარებელში აღარ შემოსულან უცნაურად ჩაცმული ქალები და კაცები, რომლებიც კიდევ უფრო მეტ კითხვას გისვამენ, ვიდრე მათი კოლეგები აეროპორტში... მაგრამ ევროპაში ყველაზე სასიამოვნო მაინც მანქანით მოგზაურობა გახდა; ავტობანებზე გაუქმდა სასაზღვრო პუნქტები, უამრავ ადამიანს რომ დააკარგვინეს ცხოვრების ძვირფასი დრო – წუთები, საათები, დღეებიც კი (ამ სასაზღვრო პუნქტებთან ხომ, როგორც წესი, უგრძელესი რიგი იდგა). ერთი ქვეყნიდან მეორეში მოხვედრა რამდენიმე წამში გახდა შესაძლებელი; და სიზმარში ფრენისა არ იყოს, ამ შემთხვევაშიც სულ რამდენიმე წამში იცვლებოდა ენა, ფაქტურა, სტილი, დიზაინი, განათება; გერმანია-საფრანგეთის საზღვარზე, უფრო სწორად უკვე გაუქმებული საზღვრის ორ მხარეს, სრულიად განსხვავებულ ყავას ადუღებდნენ, განსხვავებული

გემო ჰქონდა ლუდს, კრუასანს... ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელიც ლამის მთელი ცხოვრება საზღვრის გაუქმებას ქადაგებდა, ეს „შენგენის ზონა“ ახალი სიცოცხლის დასაწყისი იყო... თანაც იმის იმედი, რომ „ზონა“ გაფართოვდებოდა და ცოტა ხანში ჩვენც აღმოვჩნდებოდით კოლონის ტაძრის, რომის კოლიზეუმის, გაუდის სახლების სივრცეში. ჩვენ... ვერ მოგართვით ბატონო. ევროკავშირი კი არა, აგერ ნატო-ს „მოსანვევიც“ არ გვალისრეს. მაგრამ კარგი დღე არ დაუდგა არც საერთო ევროპულ სახლს, რომლის მშენებლობის უტოპია ქმიშტოფ კიშლოვსკიმ ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გამოხატა „ვერონიკას ორმაგ ცხოვრებაში“; საზღვარი ყოველთვის იქნებაო, – ამტკიცებდა კიშლოვსკი. რადგან ამ პლანეტას „ბედნიერების მარაგი“ შეზღუდული აქვს, ვიღაცამ აუცილებლად ვიღაცის ხარჯზე უნდა იცხოვროს და აუცილებლად უნდა იყოს კედლით, საზღვრით გამოყოფილი. საზღვრის გაუქმებასთან ერთად უსაშველოდ დამსგავსდნენ ერთმანეთს ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური ქალაქები; დაიწყო „ტირაჟირება“ ფეხით მოსიარულეთა უბნების, თავიანთი „ზარათი“ და „H & M“-ით. ერთნაირი ფული, ერთნაირი მაღაზიები და ინგლისური ენა, რომელიც არცთუ ისე იშვიათად ადგი-

ლობრივ ენაზე უფრო ხშირად იმის, საზღვრების გაუქმების ტენდენციის გაგრძელებაა. საზღვრის გადაკვეთა იქ, სადაც ოდესღაც სასაზღვრო პუნქტი მოქმედებდა, აღარანაირ რიტუალს არ წარმოადგენს. ყავასაც უკვე ერთნაირი გემო აქვს გერმანიასა და საფრანგეთში. რას ნიშნავს ეს? საზღვრები ვინატროთ? რატომაც არა. თუკი თავისუფლად გავგატარებენ, აქეთ-იქით მოძრაობის, ფრენის უფლებას მოგვცემენ, რატომაც არ უნდა ვინატროთ მრავალფეროვანი პლანეტა, რომლის შვილები სხვადასხვა ენაზე ილაპარაკებენ, სხვადასხვა ფული ექნებათ, სხვადასხვანაირი მაღაზიები, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთობას არ განწყვეტენ. იცხოვრებენ ასე – მრავალფეროვან ერთიანობაში რატომ არ შეიძლება? ანდა, რომ ვიცოდეთ, რომ მთავარი საზღვრის, სიკვდილ-სიცოცხლის საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, ისევ შეგვეძლება უკან დაბრუნება, ხომ აღარ შეგვეშინდება ხიფათის? გადავალთ და დავბრუნდებით – არაა პრობლემა! მაგრამ, ვაი, რომ არ ვიცით, გამოგვატარებენ თუ არა უკან, პლანეტაზე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ „ბედნიერების მარაგი“ შეზღუდული აქვს, მაინც ძალიან საყვარელია.

# ქავკასიური სარკის საზღვარი შოთა ბაბარინი

ერთი ძველისძველი ფრანგული ფილმი გამახსენდა ახლა – „კანონი კანონია“ (La Loi C'est la Loi). ფერნანდელი და ტოტო თამაშობენ. ძალიან მაგარი ფილმია. სიუჟეტი ვითარდება იტალიურ-ფრანგულ საზღვარზე აღმოცენებულ პატარა ქალაქში. ერთი ინსპექტორია, რომელიც თავისი ყოფილი ცოლის ქმარს და ბავშვობის მეგობარს დასდევს. ის-ისაა უნდა ჩავლოს, რომ საშინელ

ამბავს იგებს – თურმე იგი, საფრანგეთის კი არა, იტალიის მხარეს დაბადებული და მაშასადამე საფრანგეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფ „ბოროტმოქმედს“ ვერ დააკავებს; მეტიც, სასწრაფოდ უნდა მიატოვოს ოჯახი, სახლი, კარი და დაბრუნდეს უკან, სამშობლოში... ქუჩის გადაღმა. საბრალო ინყებს ჩალიჩს, რომ როგორმე დაიბრუნოს საფრანგეთის მოქალაქეობა, რაღაც მაქინაციურ სქე-

მასაც შეიმუშავებს, მაგრამ კაცს ბედი რომ არ გექნება... საბოლოო ჯამში იგი იტალიის მოქალაქეობასაც კარგავს და რჩება სამშობლოს გარეშე. მთელი ცხოვრება საზღვარზე უნდა გაატაროს. ფაქტობრივ და ფიქტიურ სახელმწიფოებს შორის საზღვრებმა გარკვეული აქტუალობა ჩემთვის მას შემდეგ შეიძინა, რაც ულამაზეს სოხუმელ გოგონასთან შევეუღლდი. გამოგიტყდებით,

მანამდე ეს საზღვრები ჩემში რაღაც ბუნდოვან, ყველგასულ, ბანერიდან „გვახსოვდეს აფხაზეთის“ ტიპის მონოდებისგან გამონეულ გრძობას აღვივებდა. აი, წარსულების სადღეგრძელოში ვილაც შენთვის სრულიად უცხო ტიპს რომ მოიხსენიებ, მასპინძლის ხართით. ახლა კი რაღაცნაირად, თითქოს უფრო ნაღდი, უფრო პრაგმატული და ტვირთვა მიიღო; მით უმეტეს – ბოლო დროს, როდესაც ქართულ-აფხაზეთური და ქართულ-ოსური საზღვარი, ქართულ-რუსული საზღვრის კონტექსტში განიხილება.

ოჰ ეს საზღვრები... არავინ დავობს,


ნებიან, რომ პატრიოტიზმის „ლიდერი ყოველთვის მართალია“, როცა „მთავარია, ისეთი მაგარი ტიპი იყო, რომ მასების მართვა შეგეძლოს“.

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მართლა მემინია, როცა საზღვრების დაცვის აუცილებლობის არგუმენტით ამართლებენ ტოტალიტარულ ტენდენციებს. მართლა გეუბნებით, აქამდე უბრალოდ ვყოყმანობდი შვილის ამბავზე, ამ გარემოსთვის ვერ ვიმეტებდი, ახლა უკვე ლამისაა, საერთოდ ვაზექტომიის გაკეთებაზე ვიფიქრო.

არა, გასაგებია, რომ კარგია, თუ ბავშვმა იცის ფორსმაჟორულ გარემოებებში

ობას ასწავლიან. და ქეთევანის ძუძუს კერტების შესახებ უნიჭო საზეპიროების ნაცვლად – „მეზღვარის კვანძის“ შეკვრას, რომელიც (ალბათ) უფრო გამოადგებათ პატრიოტებს ცხოვრებაშიც და ფორს-მაჟორულ სიტუაციაშიც.

ან თუ ეს ყველაფერი სახელმწიფოს გასამყარებლად კეთდება – თუკი არსებულ საგანმანათლებლო სისტემაში არ გამოდის ბავშვის დამოუკიდებელი აზროვნების უნარის აღზრდა, ამ სისტემაში ახალი აზრის ჩამშობი მანქანების ინსტალაციით მივიღებთ ადამიანს, ვინც უნდა გაამყაროს ჩვენი სახელმწიფოებრივი საფუძვლები? მე რამდენადაც



საზღვარი იმისთვისაა, რომ დაიცვა. მაგრამ კონკრეტულად როგორ უნდა დაიცვა? ხომ არსებობს დაცვის სხვადასხვა ტაქტიკა.

ზოგი იმასაც ამბობს, – საუკეთესო თავდაცვა თავდასხმააო.

ისე მაინც ნეტავ რამე აზრი აქვს საზღვრების და ბარიკადების არსებობას ერთმანეთის მსგავსებს შორის? მათ შორის, ვინც ერთნაირად ფიქრობენ, ერთი და იგივეზე ოცნებობენ, ერთნაირად უყვართ დედა, ცოლი, სამშობლო. თუმცა ვინ იცის. მე ისიც მინახავს, ძმები ერთმანეთს როგორ აგინებდნენ, – შენი წილი დედაცო. არადა, დედა საერთოა. დედა აშკარად საერთოა.

ჰო, დედა საერთოა, როცა აქაც ისევე იქცევიან, როგორც „იქ“, როცა გეუბ-

როგორ მოიქცეს, იცოდეს პირველადი დახმარების განევა და ა.შ. მაგრამ მაშინ რელიგვიანტური ტერმინებით ისაუბრონ. რა შუაშია „სამხედრო-პატრიოტული აღზრდა?“ რა საჭიროა სკოლებში ეს სამხედრო ანგაჟირება, მკერდზე მჯილის ცემა, ქართული სულის აღმატებულების და რუსების დედის გინების მეცნიერული ლეგიტიმაცია, მაგას ვერ ვხვდები. რა, ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ასე არ მოხდება?

გახსოვთ, „პატრიოტების ბანაკების“ კეთებისასაც აშკარად რაღაც „ბოისკაუტების“ პონტში გვინდოდა გამოსულიყო. ის განსხვავებაა, რომ ბოისკაუტებში მანქურთულ მორჩილებას, „ჯოს, ჯოს“ და პოპულიზმს კი არა, ინდივიდუალურ ინიციატივას და ჯგუფურ მუშა-

ვიცი, თანამედროვე, ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი სამოქალაქო საზოგადოებაა, ხოლო საზოგადოება არის ინდივიდების ერთობა და არა სამხედრო შენაერთი. ისიც ზუსტად ვიცი, რომ აშშ აშშ-დ ლარი ფლინტებმა აქციეს და არა პატრიოტთა ბანაკებმა.

თუმცა, თუ რუსებისამებრ მესამე რომს და მეოთხე რეიხს ვაშენებთ, მაშინ რატომაც არა. იყოს ზიზლის გაკვეთილებიც, ჰიტლერის ციტატებიც სახელმწიფო არხზე, გამოვიჭიროთ და გამოვირწყაოთ ორგანიზმიდან თითოეული „წვეთი არაქართული სისხლი“, თავის ქალაც გავზომოთ ფარგლით, გამოვივალთ საბრძოლო სულის კუთრი წონა და ყველაზე მძიმეებიანებს დავაჯახოთ ყველაზე მსხვილგავიანი გოგო-

ნები, ლეკვებივით რომ დაყარონ ბავშვები სპეციალიზებულ სახლებში, რათა ძლიერი თაობა აღზარდოთ საზღვრების დასაცავად და არა ვიღაც გაჩხიკინებული ინწილიგენტები. 100%-იან გარანტიას გაძლევთ, რომ ამ შემთხვევაში მართლა გავძლიერდებით, მაგრამ რა უნდა დაიცვან ამ ძლიერმა ჯარისკაცებმა? რისთვის უნდა გასწიონ ის თავი, რომლისთვისაც საზღვრის ფუნქციის ჩამორთმევაზე ზრუნვაში ძალიან ბევრ ფულს დაეხარჯათ?

ახლა სად არის ის ოპოზიცია, „დემოკრატიის“ და „პლურალიზმის“ სკანდირებით ყურები რომ გამოიჭედეს? თუმცა, ეტყობა, იმათაც რომი უნდათ. ისე, მართლა რომ ავარჩიოთ ერთი კაი ულაყი და შევიყვანოთ პარლამენტში, ალბათ ბევრზე ცუდად არ გაართმევს საქმეს თავს.

ვიცი, ვილაცხები მეტყვით, – აი ჩვენ, ჩვენი სისხლის ფასად საზღვრების გაუვალ კედლებად ქცევას ვცდილობთ, შენ მოდიხარ და ამ კედელს შიგნიდან გინგრევ. ჩვენ და რუსებს შორის საზღვარს ანგრევ, შლი. არადა, საზღვარს, ნამდვილ საზღვარს ქართველებსა და რუსებს შორის, სწორედ თქვენ შლით ბატონებო, როცა ცდილობთ იქაურ გოპნიკებს, საპირსონედ, აქაური ქუღზე-გოპნიკების მთელი თაობები დაახვედროთ. მთავარი ხომ მენტალური საზღვარია, თორემ ქვის კედლებმა აუღებელი ტროაც ვერ დაიცვა, მიუხედავად იმისა, რომ მის დასაცავად „განურჩევლად სქესისა“, მხარდამხარ იღწვოდნენ ჰექტორისნაირი დევგმირები და ძლევაშოსილი ამაზონელი ქალები, რომლებსაც თავად ჰერაკლეს ემინოდა თავის დროზე. განა გემდურით. ვიცი, სიყვარულით მოგ-

დით. მაგრამ მგონი, ეს ისეთი სიყვარულია, როგორც „თავისი წილი“ დედა უყვართ ხოლმე. ძალიან თუ დავაგვიანებთ ამის გაცნობიერებას, ჩვენც იმ ფილმის მთავარ გმირს დავემსგავსებით, საზღვარზე რომ მოუწია დასახლება. რა ერქვა აღარ მახსოვს. გაფრანგებულმა და ბედნიერად მცხოვრებმა უცებ რომ აღმოაჩინა, რომ არასასურველი ქვეყნის ნაწილი ყოფილა, შეეცადა იქიდან თავის დაღწევას, დააღწია კიდევ, მაგრამ საფრანგეთმა კარი ჩაუკეტა და დარჩა განწირული ერთ ვინრო ზოლზე წინ და უკან უაზროდ სასიარულოდ.

რასაკვირველია, ჩაკეტავენ კარს. აბა, რომელი დასავლური სტრუქტურა შეიფარებს ბანძ ქვეყანას, რომელიც, სუვერენიტეტის მიზნით, ადოლფ ჰიტლერს ციტირებს.

# საზღვრის ნაცია დავით მაქარიძე

*„მე თითქმის მივალნიე ჩვენი სამყაროს კიდეს, და ვნახე საგნები ისეთი, როგორებიც არიან ისინი სინამდვილეში. სრულიად განსხვავებული იმისგან, როგორსაც მათ ჩვენთვის აკეთებენ. ჩვენთვის სასარგებლოდ“...*

**ფილიპ დიკი, „Time Out of Joint“**

*„დრო უმნიშვნელოა, მხოლოდ სიცოცხლეს აქვს მნიშვნელობა“.*  
**ლიუკ ბესონი, „მეხუთე ელემენტი“**


*„ოდესღაც ჩვენ ზღვის ორგანიზმები ვიყავით და წყალქვეშ ვცხოვრობდით. აკვარიუმის ტყვეობაში მოქცეულნი, ვცდილობდით, ზღვის ზედაპირის მიღმა გაგვეხედა და განგვეცადა, თუ რამდენად დიდი იყო სამყარო, რომელიც ზევით გველოდებოდა“.*

**ტიმოთი ლირი, „ღმერთის შვიდი ენა“**

ბავშვობაში მაინტერესებდა, თუ რას განიცდიდა ქრისტეფორე კოლუმბი, როდესაც ფეხი სან სალვადორის მიწაზე დადგა. მაინტერესებდა ორი საუკუნის შემდეგ რას განიცდიდნენ პირველი კოლონისტები, როდესაც ველური დასავლეთის დაპყრობა დაიწყო. ჩემ წარმოსა-

ხვაში ცოცხლდებოდა ათასობით კილომეტრზე – ტეხასიდან ჩრდილოეთ დაკოტამდე გადაჭიმული ფრონტირის ისტორია, რომელიც ნელ-ნელა დასავლეთისკენ მიიწეოდა, უკან კი ათვისებულ და უმანკოებადაკარგულ მიწას ტოვებდა. მათი გზა სისხლით და ოფლით იყო გაჟღენთილი და

ბურუსით მოცულ ჰორიზონტისკენ მიისწრაფვოდა. კოლონისტების თითოეული ნაბიჯი ქაოსის სამეფოსთვის გამოგლეჯილი მიწის კიდევ ერთ ნაგლეჯს ჩუქნიდა ცივილიზაციას, მაგრამ მალე, ისევე როგორც ყველაფერი მათ მიერ უკვე მრავალჯერ განცდილი, თავის იდუმალ ხი-



ბლს კარგავდა და ბანალურ ყოველდღიურობად იქცეოდა. ხიფათს და თავგადასავლებს მოწყურებულნი კი კვლავ აიყრებოდნენ და ახალ ავანტიურისტებთან ერთად წინ, სამყაროს კიდისკენ მიემართებოდნენ.

მიუხედავად ჩრდილოამერიკელი აბორიგენების მაღალგანვითარებული სულიერი კულტურისა, ტერიტორიები, რომლებიც თეთრკანიანი მოსახლეობის კონტროლს არ ექვემდებარებოდა, მოკლებული იყო ევროპული ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ ინფრასტრუქტურას და წესრიგს. ფრონტიერი იყო საზღვარი წესრიგსა და ქაოსს შორის. ადგილი, სადაც ერთმანეთს ველური სამყარო და ცივილიზაცია ხვდებოდა. სადაც მხოლოდ შეუპოვარ და ენერგიით აღსავსე პიონერებს ძალუძდათ ცხოვრება.

კოლონიზაციას და ფრონტიერს ალბათ არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ შეუსრულებია ისეთი როლი, რაც – ამერიკის ისტორიაში. ამერიკელმა ხალხმა თავისი თვითიდენტიფიკაცია ფრონტიერს დაუკავშირა. მაგრამ, გარდა ამისა, ფრონტიერი ის დროებითი ავტონომიური ზონა იყო, სადაც ცივილიზებულ ადამიანს შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა და მცირე თავდასხმები განეხორციელებინა ველურ სამყაროზე. სამყაროზე, რომელიც თავისი სპონტანური ბუნების გამო, მას იმ ახალ განცდებს ჩუქნიდა, რომლებიც მოწყენილ ბებერ ევროპაში განუხორციელებელი იც-

ნება იყო. სწორედ ამ განცდების მოლოდინმა, ავანტიურისტულმა სულმა აიძულა მათი უმრავლესობა, მიეტოვებინათ ჩვეული წყნარი და ნაცრისფერი ცხოვრება, ცხოვრება, სადაც თითოეულ მათგანს ზუსტად შეეძლო განესაზღვრა, თუ რა ელოდა წინ, და გადაეცურა ოკეანე უზარმაზარ დაუნდობელ ზვირთებს მინდობილი ხომალდებით. შერკინებოდა მიწას, რომელსაც მანამ არ ენახა მინათობილი ადამიანის ხელი, საცალფეხო ბილიკების ნაცვლად, გზები გაკვავალა და პირისპირ დამდგარიყო იმ რეალობის წინაშე, სადაც არავინ უწყობდა, რა ურჩხული დაესხმებოდა თავს უდაბურ ტყეებში თუ ხეობებში, სადაც მხოლოდ განგების და საკუთარი მოხერხებულობის იმედი შეეძლო ჰქონოდა.

მე-20 საუკუნე იმით გახდა აღსანიშნავი, რომ ადამიანმა ბოლო თეთრი ლაქა გააქრო პლანეტის რუკიდან. ამიერიდან აღარ არსებობდა ტერიტორია, რომელიც არავის არ ეკუთვნოდა, მიწის ნაგლეჯი, სადაც ცივილიზებულ ადამიანს ფეხი არ დაედგა. გაქრა ფრონტიერი, რომელიც ქაოსისა და წესრიგის არა მარტო გამყოფი, არამედ დამაკავშირებელი ხიდი, ერთგვარი ნეიტრალური ტერიტორია იყო. ალბათ მათ, ვინც გადალახა ეპოქის ეს რუბიკონი, დაახლოებით იგივე განცდა უნდა ჰქონოდათ, როგორც მე, როდესაც მივხვდი, რომ ბავშვური ოცნებები სამყაროს გარშემო მოგზაურობაზე

უკაცრიელი და შეუბღალავი კუნძულების აღმოსაჩენად განუხორციელებელი იყო. ეს სწორედ ის უძღურობის და უსამართლობის განცდა იყო, რომელზეც ჰაკიმ ბეი წერდა: „ნუთუ ჩვენ განწირულნი ვართ, ვერასდროს გამოვცადოთ ავტონომია; არასდროს, თუნდაც ერთი წამითაც არ დავდგათ ფეხი მიწას, რომელსაც მხოლოდ თავისუფლება მართავს? ნუთუ მხოლოდ წარსულის ნოსტალგია და მომავალზე ოცნება დაგვრჩა?“

ალბათ სწორედ ამ განცდამ აიძულა ციოლკოვსკი, კოსმოსში მოგზაურობაზე ეოცნება, პირველი ასტრონავტები კი უახლოეს კოსმოსურ სივრცეში გაჭრილიყვნენ და სხვა ციური სხეულების კოლონიზაციაზე დაეწყეთ ფიქრი.

თუმცა ადამიანის გონმა სულ სხვაგან აღმოაჩინა Terra incognita; იქ, სადაც ადრე მხოლოდ ფილოსოფოსები და მისტიკოსები გრძნობდნენ თავს ლაღად. გლობალური საინფორმაციო ქსელი ახალ ველურ დასავლეთად, ახალ ფრონტიერად გადაიქცა მათთვის, ვისთვისაც სიახლის განცდა პირველადი ინსტიქტია.

უფრო ღრმა წარსულში თუ ჩავიხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ გლობალური ქსელი, როგორც თვითგანვითარებადი საინფორმაციო სტრუქტურა, მაშინ ჩაისახა, როდესაც პირველყოფილმა ადამიანებმა ინფორმაციის გაცვლა დიდ მანძილებზე დაიწყეს. პირველი სასიგნალო კოცონები თუ დოლების ენა ინტერნეტის უძველესი

წინაპარია. თუმცა მაშინდელი საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინფორმაციის შენახვის და გადაცემის მწირი რესურსების გამო, უფრო ინსტრუმენტული საშუალება იყო, ვიდრე *Ding an sich*<sup>1</sup>.

მაგრამ თუ კაცობრიობის მთელ ისტორიას ამ პარადიგმაში განვიხილავთ, ის წარმოგვიდგება როგორც საინფორმაციო სივრცის მშენებლობა, რომელიც არა მარტო გარკვეული ინფორმაციის დაგროვებას, არამედ მისი ანალიზის და ურთიერთკავშირების შექმნით ინფორმაციისაგან ინფორმაციის წარმოებას და თვითგანვითარებას ნიშნავს. საუკუნეების განმავლობაში ეს კაცობრიობის მთავარი საქმიანობა იყო საკუთარი თავის გადარჩენასთან ერთად.

ნელ-ნელა ვითარდებოდა როგორც ინფორმაციის შენახვის, ასევე მისი გადაცემის და დამუშავების ტექნოლოგიები. მოხეტიალე მთხრობელები წიგნებმა შეცვალა. გუტენბერგის რევოლუციამ საშუალება გააჩინა ამ ცოდნის რაოდენობა და გავრცელების არეალი ხარისხობრივად გაზრდილიყო. ნელ-ნელა ერთეული პიროვნებების აღქმაში ყოველივე ეს ფორმას იძენდა და სახიფათო მაგრამ მომხიბვლელი მოჩვენების სახით ევლინებოდა მათ. მოჩვენების, რომლის საცეცები პლანეტას იყო შემოჭობილი და ადამიანების წარმოსახვით საზრდობდა. ტექნოლოგიურმა რევოლუციამ კი, რომელიც ელექტროენერჯის გამოყენებით ტელეგრაფით ინფორმაციის გადაცემით დაიწყო და ბოლოს გლობალურ ციფრულ საინფორმაციო ქსელამდე მიგვიყვანა, ამ მოჩვენებას ფიზიკური სხეული შესძინა.

დღეს ამ ქსელის საშუალებით თითქმის რეალურ დროში შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია პლანეტის ნებისმიერი კუთხიდან. ამ ქსელში თავმოყრილი ცოდნა თითქმის უტოლდება კაცობრიობის ხელთ არსებულს. თითოეული ჩვენგანისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაციის დამუშავების საშუალებები. დღეს ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ იმაზე გაცილებით მეტი ცოდნა, ვიდრე კაცობრიობას შეუქმნია საუკუნეების მანძილზე. მაგრამ

ყველაზე მთავარი ალბათ ისაა, რომ ამ ქსელმა დაგვანახა საინფორმაციო სივრცის განვითარების თითქმის უსაზღვრო პერსპექტივა და ამით დააბრუნა ბავშვობისდროინდელი რწმენა, რომ წინ კიდევ ბევრი გვაქვს შესაცნობი და განსაცდელი.

დღეს ახალი ფრონტი ამ სამყაროში გადის და მონესრიგებულ რეპრესიულ ინსტიტუტებს დამორჩილებულ ინფორმაციას და მწყობრში ჩამდგარ ტრანზაქციებს იმ პოტენციურ შესაძლებლობებისაგან მიჯნავს, რომლის აღმოჩენაც საინფორმაციო ქაოსში წინ გველოდება.

ინფორმაციის დიგიტალიზაციამ გამოაღვიძა მივიწყებული სურვილი, გაუზიარო საკუთარი სიმდიდრე სხვას. საგნობრივ სამყაროში გაზიარება ყოველთვის დანაკარგს გულისხმობდა. ციფრული ინფორმაცია კი ისე შეიძლება აჩუქო სხვას, რომ არაფერი დაკარგო უნიკალური ინფორმაციის ფლობის უპირატესობის გარდა. ამიტომაცაა, რომ საინფორმაციო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები დღემდე უშედეგოდ ებრძვიან ინფორმაციულ მეკობრეობას. დღეს ხომ თითოეული ჩვენგანი შეიძლება გახდეს მხიარული როჯერის დროშის ქვეშ მებრძოლი, თუ შეეცდება ეჭვის ქვეშ დააყენოს ვინმეს განსაკუთრებული უფლება, გაავრცელოს ესა თუ ის ინფორმაცია. დღეს ძალიან მარტივია შენ მეგობარს სოციალური თუ P2P<sup>2</sup> ქსელიდან საყვარელი სიმღერა, ახალი ფილმი თუ შენი სამაგიდო წიგნი გაუზიარო, და თან ისე, რომ შენ ამით არაფერი დაგაკლდეს.

დღეს უკვე საეჭვოა, რა უფრო მნიშვნელოვანია, ფლობდე სხვებისაგან დაფარულ ცოდნას, თუ გულუხვის სოციალური სტატუსი გქონდეს; ან უფრო მეტიც, არ ფლობდე არაფერს და იყო თავისუფალი, რადგან ის, რასაც სხვას უზიარებ, აღარ საჭიროებს მასზე მიჯაჭვას და განთავისუფლებს საკუთარი თავისგან. თუმცა ეს მიდგომა უფრო მისტიციზმთანაა დაკავშირებული და ეს მიანება გნოსტიკურ იდეებს, რომლებიც ძალიან პოპულარულია ქსელურ

საზოგადოებებში. საგულისხმოა, რომ გნოსტიციზმის და ტექნოლოგიების სინთეზმა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა შექმნა – კიბერპანკი, რომლის მიმდევარი ავტორების წინასწარმეტყველებებმა გლობალური ქსელის დღევანდელი ფორმით ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ვებგვერდების ბუმიდან დიდი დრო არ გასულა, როდესაც თითოეული კორპორაცია, თუ კერძო პირი ინტერნეტში პერსონალურ გვერდებს ქმნიდა, თანამდროვე Web 2.0<sup>3</sup> ტექნოლოგიამ კი ბლოგოსფეროს სახით ახალ საინფორმაციო ქაოსს დაუდო სათავე. სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ჩემი პირველი ვებგვერდი სწორედ ასე, პრიმიტიულ HTML რედაქტორში შევქმენი და ამ ტექნოლოგიის მოუქნელობის გამო კიბერსივრცის ტალღებში მივატოვე. დღეს კი ყველაზე მოუხერხებელმა მომხმარებელმაც კი იცის, როგორ შექმნას საკუთარი ვებდღიური, სადაც საკუთარი თეთრეულის ისტორიიდან დაწყებული „ატომური განთიადების“ მოწყობის ტექნოლოგიებით დამთავრებული ყველაფრის შესახებ შეუძლია ისაუბროს და თან ისე, რომ პრაქტიკულად ვერავინ შეზღუდოს თავისუფალი თვითგამოხატვისადმი მისი მისწრაფება. ან შექმნა საიდუმლო კონსპირაციული საზოგადოება, რომელიც, დოქტორ ბენვეის მსგავსად, ფიზიკური რეალობის წინააღმდეგ ამბოხში მიიღებს მონაწილეობას. მაგალითად ისეთი, როგორებიც იყვნენ *Хакеры Сновидения*, რომლებიც ფიზიკური რეალობის მატრიცის გატეხვის უძველეს ოცნებას ესწრაფვოდნენ; ან მიხილ რადუგას მიმდევრები, რომლებიც გლობალური ქსელის ტექნოლოგიების და მაგიური ცოდნის სინთეზის გამოყენებით ახალი მატრიცის შექმნას აპირებენ.

თუმცა არსებობენ ისეთი ჯგუფებიც, როგორიც იყო, მაგალითად, *Heaven's Gate*, რომლის წევრები მას შემდეგ გახდნენ ცნობილი, რაც 1997 წელს კოლექტიური სუიციდი მოაწყვეს იმ იმედით, რომ სიცოცხლეს ჰეილ-ბოპის კომეტაზე გააგრძელებდნენ, რომელმაც დედამიწას ჩაუ-

ქროლა. თუმცა ეს შემთხვევაც იმას აჩვენებს, რომ გლობალური ქსელი შეიძლება თითოეული პიროვნების ინტერესებს ემსახურებოდეს, რამდენად მიუღებელიც უნდა იყოს ეს ინტერესები საზოგადოების სხვა წევრებისთვის.

დღეს უკვე ინტერნეტი ექვსი ქვეყნის აყენებს ტერიტორიული საზღვრების უნარს, შეაკავოს დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანების უშუალო ურთიერთობა; და ამით უფრო ალვივებს ადამიანების სურვილს, ცხოვრობდნენ ღია და გამჭვირვალე პოლიტიკურ სისტემაში. გუტენბერგის რევოლუციამ ელიტური პოლიტიკური სისტემა იმით დაანგრია, რომ გააუქმა ერთეულების მონოპოლია ცოდნაზე. ინტერნეტ რევოლუცია დაანგრევს ტოტალიტარიზმს იმით, რომ საშუალებას მისცემს თითოეულ ჩვენგანს, იპოვოს თანამოაზრე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ინტერნეტ რევოლუცია დაუბრუნებს საზღვარს თავის მისტიკურ ბუნებას, ერთდროულად იყოს გამყოფი და დამაკავშირებელი ბანალურობასა და სიახლეს, წესრიგსა და ქაოსს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. რადგან სიცოცხლე მუდმივ განახლებას, მოძრაობას და სპონტანურობას ნიშნავს; და სად უნდა ვიპოვოთ სიცოცხლის ენერგია თუ არა საზღვრების მიღმა?

დღევანდელი სოციალური ქსელების მომხმარებლები უკვე ვირტუალურ საზოგადოებებს ქმნიან არა მარტო იმისთვის, რომ ერთმანეთს საკუთარი შინაური ცხოველების ანცობაზე ესაუბრონ, არამედ იმისთვის, რომ რეალური ძალისხმევა მოახმარონ კიბერსივრცის გარეთ მათი გარემომცველი სამყაროს შეცვლას. იქნება ეს მცირე სოციალურ-პოლიტიკური გაერთიანებები თუ „მებრძოლთა კლუბის“ მსგავსი კულტურული

ლი Jamming-ის ჯგუფები.

ეს ცხოვრებაა სამართებლის პირზე, სახიფათო და მომავადობელი. ცხოვრების წამები, რომლის ინტენსივობა ღირს იმად, რომ დაგავინყდეს მშვიდი და უზრუნველი სიბერე და გადაეშვა კიბერსივრცის ფსიქოდელურ მოგზაურობაში. მოგზაურობაში, რომელიც ერთდროულად მომხიბვლელიცაა და სახიფათოც; ბრწყინვალე და იდუმალებით მოცულიც. მაგალითად ისეთი, როგორიც ე.წ. Darknet-ია, ქსელის „ბნელი“ მხარე. ის ბევრისთვის შეიძლება უცნობი იყოს. მაგრამ ამ ჯურღმულებში მრავალი ახალი იდეა იბადება. იდეა, თუ როგორ დაუძვრე სახელმწიფო თუ სხვა საზოგადოებრივ რეპრესიულ აპარატებს და შეიქმნა საკუთარი, თუნდაც დროებითი, ავტონომიური ზონა.

დღეს ქსელის საშუალებით შეიძლება ახალი ხელოვნების შექმნა, რომელიც თავის სრულყოფას მხოლოდ ქსელში თუ მიაღწევდა. იქნება ეს ხელოვნური ინტელექტის შექმნის მცდელობა, რომელიც ახალი ლიტერატურის ნიმუშების გენერაციას დაიწყებს, ბოტი<sup>4</sup>, რომელიც ინტერნეტში პერფორმანსებს მოაწყობს, თუ კონვეის Game of Life-ის<sup>5</sup> თვითგანვითარებადი ვირტუალური უჯრედული კოლონიის ცოცხალი სურათი.

ქსელში ხშირად ვპოულობ ხოლმე იმ იშვიათ ნივთებს, რომლებსაც ინტერნეტის გარეშე ძნელად თუ მივაგნებდი. brainpaint.com-ზე სწორედ ამგვარ მონყობილობებს და პროგრამულ უზრუნველყოფას გადავანყედი. ტექნოლოგიურმა გარღვევამ სტიმული მისცა ახალი ინტერფეისების შემუშავებას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, უფრო მჭიდრო და უშუალო ურთიერთობა გვქონდეს კიბერსამყაროსთან. ნეირონული უკუკავშირის გარნიტურა საშუალებას

გვაძლევს, კომპიუტერი მხოლოდ გონების დაძაბვით ვმართოთ და მისი მეშვეობით შევქმნათ სიურრეალისტური ფერწერული ნამუშევრები ან სივრცეში სხვადასხვა საგნები გადავადგილოთ, მათ შორის – მაგალითად, უნარშეზღუდული ადამიანის სავარძელი.

პორტატული გაჯეტები, მობილური ინტერნეტი კიდევ ერთი ნაბიჯია ქსელში ჩვენი ჩართულობის გასაზრდელად. შემდეგი ნაბიჯი იმპლანტანტები და ნანოტექნოლოგიაა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, ინფორმაცია უშუალოდ გავცვალოთ სხვა რეალურ თუ ვირტუალურ არსებებთან, ან თუნდაც იმ ხელოვნურ გონთან, რომელსაც ასეთი ინტერესით და შიშით ელოდება კაცობრიობა.

მომავლის ტექნოლოგიების ენთუზიასტები, მაგალითად ისეთები, როგორიც ტიმ ლირი იყო, სრულიად ფანტასტიკურ პროექტებს გვათავაზობენ; იქნება ეს ცნობიერების მდგომარეობის შეცვლა ქსელთან სიმბიოზის განსახორციელებლად თუ საკუთარი გონის ინტერნეტში გადატანა სიკვდილის შემდეგ.

ამ ელექტრონული ფრონტიერის წინა ხაზზე ამოუცნობის პიონერები არიან, ტექნოლოგია მათთვის, ისევე, როგორც ოქრო პირველი ამერიკელი ოქროსმადიებლებისთვის, მხოლოდ საბაბია საკუთარი მოხეტიალე დაუდგრომელი და ინტერესიანი ბუნების რეალიზაციისათვის.

ეს სწორედ ის საზღვარია, რომელიც ჩვეულ სამყაროს უცნობ, ფათერაკებით აღსავსე საინფორმაციო ქაოსიდან გამოყოფს. საზღვარი, სადაც ცხოვრება ყოველთვის საინტერესოა, რადგან აქედან ნებისმიერ წამს შემიძლია გადავდგა ნაბიჯი ამოუცნობისკენ და მქონდეს იმედი, რომ სამყარო თავის მომხიბვლელობას არასდროს დაკარგავს.

<sup>1</sup> საგანი თავის თავში

<sup>2</sup> პირინგული ქსელი (Peer-to-peer), ქსელი რომლის საშუალებითაც მისი მონაწილეები უშუალოდ უკავშირდებიან ერთმანეთს და რომელიც გულისხმობს მონაწილეების თანასწორობას. ასეთ ქსელებში არ არის გამოყოფილი სერვერები და თითოეული მონაწილე ერთდროულად არის როგორც კლიენტი ასევე სერვერი. მაგალითად BitTorrent, Soulseek და eDonkey.

<sup>3</sup> Web 2.0 გულისხმობს ქსელში კონტენტის შევსებას მისი მომხმარებლების მეშვეობით. ამის მაგალითია ბლოგები, სოციალური ქსელები და Wiki.

<sup>4</sup> კომპიუტერული პროგრამა, რომელიც დამოუკიდებლად მუშაობს ქსელში.

<sup>5</sup> უჯრედული ავტომატი, რომელიც სივრცეში ცოცხალი ორგანიზმების კოლონიის სიმულაციას ახდენს.



# სხვების ქვეყანა

ავტორი: სანდრო ნავარიანი

პირველი, რაც ავლანეთში ჩემი დამოუკიდებელი ცხოვრების დროს გავაკეთე, ის იყო, რო წავედი ფოსტაში და ჩემი ცოლის თხოვნის შესრულებას მივყავი ხელი. ორი სიტყვით დავწერე წერილი, რო ჩავედი, კარგად ვარ, ღმერთო ჩემო, ასეთი სილამაზე არსად მინახავს და მსგავსი სანერილო შინაარსის წინადადებები. ჩავედი კონვერტში, დავარტყი მარკა და დიდი სიამაყით გავუშვირე ფოსტის ქალს, რომელმაც 60 ცენტის ეკვივალენტი ჩამიჩოთქა ავლანურ ავლანებში (afghan), გამიღიმა და ერთმანეთს მზერით დავემშვიდობეთ.

ჩემი ცოლი რომანტიკოსია (მეც ვიყავი ერთ დროს) და კონვერტით მიღებული წერილი ხო წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს მისთვის?! დარწმუნებული ვიყავი, წერილს სანთლის შუქზე ნაიკითხავდა, ან წვიმიან ამინდს დაელოდებოდა.

რამდენიმე დღეში მსგავსი პროცედურა კვლავ გავიმეორე. მაშინ უკვე შუქრიას ვიცნობდი და მისი რჩევით მხოლოდ ღია ბარათი შევიძინე ქაბულის ხედით და ზედვე დავწერე საყვარელი ადამიანისთვის შორეული ქვეყნიდან სათქმელი სიტყვები. ღია ბარათს მარკაც მივკაარი, 1966 წელს გამოშვებული, რომელიც ჯერ კიდევ ძალაშია. შუქრიამ

ღია ბარათის გაგზავნა იმიტომ მიჩნია, რომ დალუქულ კონვერტებს საგულდაგულოდ ამოწმებენ საბაჟოზე და უფრო დიდხანს ანდომებს ადრესატამდე მივლასო.

ავლანეთში ყოფნის დროს თანამედროვე, დასავლურ ცხოვრებას მოწყურებულ ახალგაზრდა ავლანელ გოგოებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინდოეთში წარმოებული მწვანეძირიანი შავი ფეხსაცმელი. ქაბულის მდიდრულ უბნებში, სადაც ღარიბებიც მრავლად დაიარებოდნენ, ათიდან ორ გოგოს მაინც ეცვა ასეთი ფეხსაცმელი. ერთი შეხედვით ამაში არაფერი გასაკვირი არ არის, მით უფრო ჩვენთვის – თავისუფლად შეიძლება საქართველოს ბოლო ოცი წლის ისტორია „ჯექსონების“, „პირამიდების“, შავი „ლევისების“ და „რეიზანების“, „კაბაშარვლების“ და რეზინის ბოტების („ვალინკა“) ეპოქებად დავყოთ. ამიტომაც ჩავთვალე, რომ ავლანეთში, კერძოდ კი ქაბულში, ინდური წარმოების მწვანეძირიანი შავი ფეხსაცმლის ეპოქა და ვერც ვერაფერს გავიგებდი, რომ არა სასტუმროს დამლაგებელი ახალგაზრდა გოგო შუქრია. შუქრია ტიპიური ავლანელია, გაჭირვებული და ფულის საშოვნელად ყველაფერზე წამსვლელი. ვგულისხმობ

ისეთ საქმეს, რაც, მაგალითად, საქართველოში ბევრს ეთაკილება – ცოცხს ხომ არ ავიღებ ხელში და რამე. ორი კვირის განმავლობაში შუქრიასთან საკმაოდ თბილი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, თუ რამე კითხვა მიჩნდებოდა, მას ვეკითხებოდი და ისიც დაუზარლად მპასუხობდა. აღმოჩნდა, რომ ძალიან კარგად იცის თავისი ქვეყნის ისტორია, კარგად იცნობს ავლანელ ხალხს და ავლანეთის გეოგრაფიასაც. ძალიან იშვიათია, რომ ავლანელი ავლანეთის ყველა პროვინციაში იყოს ნამყოფი, შუქრია კი არათუ ნამყოფი, თითქმის ყველგან ნამუშევარიც არის. ერთ დილას სასტუმროს ნომერში ახალი გაღვიძებული ელექტრონულ ფოსტას ვამოწმებდი. კარზე კაკუნი გაისმა. გავაღე. ჩემ წინ შუქრია იდგა. იმ დღეს მისი მორიგეობა არ იყო და ამიტომაც შეთანხმებულები ვიყავით, 12 საათისთვის ბამიანის პროვინციაში უნდა წავსულიყავით. შუქრიას გიდობა უნდა გაენია, მე კი გადავუხდიდი. ჯერ ათიც არ იყო და ვუთხარი, – ცოტა ადრეა, რაღაც საქმეები მაქვს-მეთქი. რუსულად ვსაუბრობდით. ბრწყინვალედ ლაპარაკობდა რუსულ ენაზე. ვიცი, უბრალოდ რაღაც უნდა გაჩვენოო. ოთახში შემოვიდა. ხელში პატარა ჩანთა ეჭირა,

ჩაყო ხელი და ნითელი მაისური ამოიღო, გაშალა, და ტანზე მიიდო, თითქოს იზომავსო. მაისურს წარწერა ჰქონდა **FUCK ME TENDER**. რა თქმა უნდა, ზუსტად იმ აზრებმა გამიელვეს თავში, რამაც თქვენ ამ წუთას, მაგრამ როგორც კი ამას შუქრიაც მიხვდა, სასწრაფოდ ამიხსნა, თუ რატომ მაჩვენა ეს მაისური. და მაშინ ნათელი გახდა, თუ რატომ არის ახალგაზრდა ავლანელ გოგონებში ასეთი პოპულარული ინდური წარმოების მწვანედირიანი შავი ფეხსაცმელი. მთელი დატვირთვა მწვანე ძირშია.

მწვანე ძირი არის პაროლი, კოდი, კარის გასაღები. თუ გოგოს უნდა სექსი, უბრალოდ სექსი ვინმესთან, უცნობთან, ის იცვამს მწვანედირიან შავ ფეხსაცმელს და გადის ქუჩაში. დადის ისეთ ადგილებში, სადაც ხალხმრავლობაა, სადაც მრავლად არიან ახალგაზრდა ბიჭები, რომლებმაც, ასევე, დაახლოებით ათიდან ორმა იცის, რომ მწვანე ძირი არის პაროლი, გასაღები მისი სექსუალური ცხოვრების გასამდიდრებლად. როდესაც ბიჭი და გოგო ერთმანეთს შეამჩნევენ, ნელ-ნელა ეცლებიან ხალხის მასას, გოგო მიდის, ბიჭი კი უკან მიჰყვება, ერთი 30 მეტრის მოშორებით. მერე კი, დარწმუნებული ვარ, გიჟური სექსი აქვთ, თავისი ფანტაზიების გაღვიძებით და რთული ტრიუკების შესრულებით. მახსოვს, სამი-ოთხი წლის წინ მიმა ანთაქემ მომიყვა მსგავსი ამბავი, ოღონდ არ მახსოვს ავლანეთზე იყო თუ ირანზე. რო ჩამოვედი და ეს ამბავი მოვყვი, სალომე კიკაღვიძლია მითხრა, – ეგეთი რამე სადღაც კინოში მაქვს ნანახი; კინოში კი არა, ჩემი თვალთ ვნახე-მეთქი.

სექს-კოდი ხშირ-ხშირად იცვლება. ეს შეიძლება იყოს ყვითელი მზის სათვალე ან ნითელი ხელჩანთა ცისფერი კოპლებით. მთავარია იყოს ქალის აქსესუარი ან სამოსი და იყოს გათვალისწინებული ავლანური დრეს-კოდი. ახალი სექს-კოდის შერჩევა ადვილია, რთულია კოდის ანდერგრაუნდულ ქსელში გავრცელება. აქ ძალიან დიდი სიფრთხილე მართებთ ახალგაზრდა მონდომებულ ქალ-ვაჟებს – მათ ორ ფრონტზე ებრძვიან – ტრადიციული ავლანელები და ისლამური პოლიცია. ოფიციალურად, ისლამური პოლიციის საქმე არ არის, ვინ ვისთან

დანეება და როგორ პოზაში, მაგრამ საქმე ისაა, რომ ისლამურ პოლიციაში ძირითადად ისეთი ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ავლანური ტრადიციების და ისლამური კანონების უპატივცემულობას არავის პატიობენ. მათ არ აქვთ უფლება, დააკავონ ფაქტზე დაჭერილი ახალგაზრდები და ამიტომაც უკანონოდ უსწორდებიან, სცემენ, ზოგჯერ კლავენ კიდევ (შემოაკვდებათ) და რაც ყველაზე საშიშნელება (სიკვდილზე მეტადაც კი), ყოფილა შემთხვევები, რომ უკანონოდ დაკავებული ახალგაზრდები რადიკალი თალიბებისთვის გადაუციათ, მათ კი მსხვერპლი საჯაროდ დაუხვიათ სტადიონზე, ფეხბურთის მატჩის დაწყებამდე ათასობით მაყურებლის წინაშე.

თალიბები ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს აკონტროლებენ, ამიტომაც მათი გავლენა ავლანელებზე დიდია. დიდია ასევე შიში, რაც აისახება ადამიანების თუნდაც ჩაცმულობაზე. ავლანეთის კანონმდებლობა ირანულივით არ ავალდებულებს ქალებს ტრადიციული სამოსის – ბურკის ტარებას, მაგრამ ავლანელი ქალების (განსაკუთრებით საშუალო და უფროსი თაობის) უმეტესობა მაინც ატარებს ბურკას. ვერავინ იტყვის ხელალებით, რომ ამ ქალების დიდი ნაწილი შიშის გამო ატარებს ბურკას, მათში მორწმუნე ფუნდამენტალისტებიც არიან, მაგრამ საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ შიშის გამო იცვამს ავლანურ სამოსს. ავლანელ ქალებში (და კაცებშიც) გაბატონებული შიში არ არის აბსტრაქტული და უტირებული – მათ საკუთარი თვალთ უნახავთ, თუ როგორ უსწორდებიან თალიბები დასავლური ორიენტაციის ქალებს, რომლებიც საკმაოდ პოპულარული იყვნენ ავლანეთში, მუშაობდნენ ტელევიზიებში, რადიოებში და ა.შ.

თალიბების მუქარის მუდმივი ობიექტია **TOLO TV**, რომელიც ავლანეთში ყველაზე პოპულარული ტელეარხია ახალგაზრდებს შორის. ამ არხზე ხშირად ატრიალებენ დასავლურ კინოს და მუსიკას. ამიტომაც, **TOLO TV** სიმამაცის ერთგვარ საზომად იქცა – თუ ქალი ხარ და **TOLO TV**-ში მუშაობ, ესე იგი არაფრის გეშინია.

**TOLO TV**-ში ორი წლის წინ შუქრიაც

მუშაობდა. იქაც დამლაგებლად. არადა, ძალიან უნდოდა რამე მუსიკალური გადაცემის წამყვანი ყოფილიყო, გამხდარიყო პოპულარული, მერე ამერიკის ან რომელიმე ევროპული ქვეყნის ვიზა ადვილად აელო და სასწავლებლად წასულიყო, მაგრამ ავლანეთი ამერიკა არ არის, დიდი შესაძლებლობების ქვეყანა, რომ დამლაგებელი გოგო ტელეწამყვანი გახდესო, – მითხრა შუქრიამ. ავლანეთი მართლაც არ არის დიდი შესაძლებლობების ქვეყანა და ყველაზე ცუდი ისაა, რომ ავლანეთში ყველაზე ცუდად ავლანელები გრძნობენ თავს.

ავლანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რაც უნდა პარადოქსული იყოს, თუ არ მისტირის, სიხარულით იხსენებს იმ დროს, როდესაც საბჭოთა ჯარმა მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია. ავლანელები იხსენებენ, რომ იმ წლებში ბევრი საცხოვრებელი კორპუსი აშენდა, ეგრეთ წოდებული კულტურის სახლები, როგორებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უხვად არის (ამ წუთას აბაშის კულტურის სახლი მახსენდება), აშენებდნენ ქარხნებს, ფაბრიკებს, ელექტროსადგურებს და ა.შ. ერთი სიტყვით, ავლანელები ისევე დააბრმავეს კომუნისტებმა „უფასო ცხოვრებით“, როგორც ჩვენ და დღესაც მათ ურჩევნიათ თევზის ქერის სწავლას, პირდაპირ თევზი მისცენ. ჩემი ძვირფასი შუქრიაც კი, რომელიც ავლანური საზოგადოების ფონზე ნამდვილი გამონათებაა, რომელსაც საკმაოდ ჯანსაღი აზროვნება აქვს, და რომელსაც არც კი ახსოვს საბჭოთა ოკუპაციის წლები, მშობლებისგან გაგონილ ამბებს და დღევანდელ რეალობას ერთმანეთს რომ ადარებს, დაუფიქრებლად ამბობს, რომ ის დრო ურჩევნია. რატომ აკეთებენ ამ ორ ერთმანეთზე უარეს ეპოქას შორის არჩევანს საბჭოთა ოკუპაციის ხანაზე, რთული გასაგებია. ამისათვის საჭიროა, იცხოვრო ავლანეთში, ოღონდ იცხოვრო, როგორც რიგითმა ავლანელმა და არა როგორც ჩასულმა ენჯელომ-ნიკმა, ან ნარკობარონმა, რომლებიც ძალიან ბევრნი არიან ავლანეთში.

არაოფიციალური მონაცემებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ავლანეთის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი უცხოე-

ლები ხელფასებს და მათი ოფისების კეთილმოწყობასა და უსაფრთხოებას ხმარდება. დანარჩენი თანხა კი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე, ჰუმანიტარულ დახმარებასა და ნარკოტიკებთან ბრძოლაზე. ნარკოტიკებთან ბრძოლაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავღანეთი წაგებულია – 2002 წლამდე, ანუ ვიდრე კოალიციური ჯარები ავღანეთში შევიდოდნენ, ავღანური ჰეროინი მსოფლიო ბაზრის 15 პროცენტსაც კი არ შეადგენდა, 2008 წლის ბოლო და 2009 წლის პირველი დეკადის მონაცემებით კი, ჰეროინის მსოფლიო ბაზრის 93 პროცენტს ავღანური ჰეროინი წარმოადგენს. ამ 93 პროცენტიდან 70 პროცენტის წარმოება პაკისტანის საზღვართან მდებარე რეგიონებში ხდება და ამ 70 პროცენტიდან 50-ის – გელმანდის პროვინციაში. თავად განსაჯეთ, თუ როდენ დიდი ზრდა მოხდა ამ ექვსი წლის განმავლობაში და ამ უზარმაზარი ნაბიჯებით უფსკრულისკენ სვლას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

იმ დროს, როდესაც დასავლეთიდან ავღანეთის მიყრუებულ პროვინციაში ჩასული ტრენერები ადგილობრივებს დასავლურ ფასეულობებზე ლექციებს უკითხავენ, საკუთარი უფლებების დაცვას ასწავლიან და მომავლის მოწყობაში „ეხმარებიან“, ავღანელებს უბრალოდ შიათ და წყურიათ. როდესაც ეს ტრენერები თვეში ოთხი ტრენინგის ჩატარებაში 5000 დოლარს (სავარაუდოდ) იღებენ და ავღანელებს კი, უბრალოდ, ისევ შიათ და წყურიათ, და ხვდებიან, რომ ამ „გაკვეთილებმა“ შეიძლება რამე სიკეთე მართლაც მოუტანოს მათ ოღონდ ახლა არა; და ხვდებიან, რომ ტრენინგის დასრულების შემდეგ სახლში მშვიერი შვილები დახვდებით, რომელთაც უკვე სოიოც კი აღარ აქვთ, მათ ერთადერთი გზა რჩებათ – ოპიუმის მოყვანა, ან კი ისევ ტრენინგებზე სიარული და მომავლის და ჰუმანიტარული დახმარების იმედი. ასეთ მდგომარეობაშია ავღანეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. საუკეთესოდ არის აღწერილი ავღანელების ცხოვრება NGC-ის დოკუმენტური ფილმების სერიაში „ჰეროინის ომი“ (heroin war). ფილმში თვალნათლივ ჩანს, რომ

პატიოსან ავღანელებს, რომლებსაც არ უნდათ ოპიუმის მოყვანა, მოპარვა, მაქინაციობა, პერსპექტივა არ აქვთ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე დავინახე და ალბათ სერიის ავტორსაც ამის ჩვენება უნდოდა. ნახეთ და დარწმუნდებით.

ამგვარი ვითარების გამო, რა გასაკვირია, რომ შუქრისაც და სხვა ბევრ ავღანელსაც ურჩევნია ამერიკელებმა (და სხვებმაც) მათ ფული მისცენ და არა ფულის კეთება ასწავლონ, რომელიც, შესაძლოა, აღარც დასჭირდეთ. ისიც საგულისხმოა, რომ მთლად ფულის კეთებას როდი ასწავლიან ავღანელებს (არადა, მათ სწორედ ფული სჭირდებათ). შუქრამ ერთი გენიალური ამბავი მიაშობ: პანჯშერის პროვინციის ერთ-ერთ ქალაქში უცხოელმა დამკვერვებლებმა აღმოაჩინეს, რომ ქალებში სუიციდის მცდელობა და თვითმკვლელობით დასრულებული სიცოცხლე ბოლო ერთი წლის განმავლობაში აღემატებოდა მთელი გასული ათწლეულის სტატისტიკურ მონაცემებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ ქალაქში დაახლოებით (ზუსტად არ მახსოვს) 50-მდე თვითმკვლელობა დაფიქსირდა და ორმოცდაათივე მსხვერპლი ქალი იყო. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სუიციდის ტალღის აგორება მდე რამდენიმე თვით ადრე ქალთა ორგანიზაციას ტრენინგი ჩატარებია თემაზე „ქალთა უფლებები ოჯახში“. თავისთავად, ტრენინგები ავღანელ ქალებს ასწავლიდნენ და უხსნიდნენ, რომ ქალი კაცის თანასწორუფლებიანია და საკმაოდ საფუძვლიანადაც აათვისებინეს ავღანელ ქალებს, რომ არ უნდა მოიხარონ ქედი ქმრის წინაშე, არ უნდა ჰქონდეთ რეცხვისგან კანი დამსკდარი და მსგავსი დასავლური ძვირფასეულობები. როგორც ჩანს, ავღანელი ქალები ძალიან კარგი მოსწავლეები ყოფილან, იმიტომ რომ ტრენინგის დასრულების შემდეგ უამრავმა ავღანელმა ქალმა უარი თქვა იმის კეთებაზე, რაც „ტრადიციულად“ ავღანელი ქალის საქმეს წარმოადგენს. ბევრ ოჯახში ამას მოჰყვა ქმრების სასტიკი რეაქცია, ზოგჯერ მკვლელობაც კი, მაგრამ ამავდროულად ისიც აღმოჩნდა, რომ ავღანელი მეოჯახე მამაკაცების დიდი ნაწილი (ყოველ შემთხვევაში, ამ რე-

გიონში) დამყოლი, გამგონი, ლმობიერი და გონებანათელია – როცა მოისმინეს მეუღლეებისგან, რომ ასეთი ჯაფა მათთვის შეურაცხმყოფელია, არ გაუპროტესტებიათ. მაგრამ საბოლოოდ გაირკვა, რომ გარდაცვლილი ქალები სწორად ამ ნაბიჯმა დალუპა. წლების განმავლობაში ერთი და იმავე საქმის კეთების შემდეგ მათ გააცნობიერეს, რომ სხვა რამის კეთებაც შეეძლოთ, შეეძლოთ საკუთარი სიამოვნებისთვისაც ეცხოვრათ, ეკეთებინათ ის საქმე, რაც მათ შეეხება მოჰგვრიდა... დასკვნაში უამრავი ფაქტორია მოყვანილი და ამ ყველა ფაქტორის გაერთიანებით გამოდის, რომ ამ ქალებმა თავი დეპრესიის ნიადაგზე მოიკლეს, დეპრესია კი ტრენინგმა გამოიწვია.

ტრენინგავალი ადამიანები ავღანეთში ბევრნი არიან. არ გაგიკვირდეთ, თუ ქაბულში, მდინარე ქაბულის ჩამყაყებულ არხში ადამიანთა ჯგუფი დაინახეთ, რომლებიც სრულიად აუტანელ სუნში სხედან (არც ვფიქრობ, მათ შეურაცხყოფა მიეცეყო, უბრალოდ, იქ მართლაც საშინელი სუნია, რადგან მთელი კანალიზაცია იქ ჩაედინება და, გარდა ამისა, 400000-იან ქალაქში 4 მილიონი ადამიანი უკვე, აქედან თითქმის 70 პროცენტს სახლი არ აქვს და მდინარე ქაბული ტუალეტად აქვთ ქცეული), პურს და მწვადს მიირთმევენ და ავღანეთის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციაზე საუბრობენ, ან განიხილავენ რეცესიის გავლენას ავღანეთის აგრარულ ინდუსტრიაზე.

ასეთი ამბები კიდევ უფრო ამყარებს და ამართლებს ავღანელების დიდი ნაწილის არჩევანს, უფრო სწორად კი ნოსტალგიას საბჭოთა ოკუპაციის ეპოქისადმი. შუქრის მამას უთქვამს თურმე ერთი ჯარისკაცისთვის, – რუსები ბომბებს გვესროდნენ და ისე გვკლავდნენ, თქვენ კი შიმშილით გვკლავთო. საერთოდ, ერთი რამ შეგნიშნე იქ ყოფნის დროს, ავღანელები ერთი და იმავე ამბავს ორჯერ ერთნაირად არ მოგიყვებიან – ყოველთვის ახალ-ახალი გაფორმებებით გადმოგცემენ, მაგრამ, რაც მთავარია, ფაქტებს არასოდეს ამახინჯებენ – თუ სადმე ორი ადამიანი გარდაიცვალა, ვერავისგან გაიგონებთ რომ სამია დალუპული.

იხ დროს, როდესაც დასავლეთიდან ავღანეთის მიყრუებულ პროვინსიაში ჩასული ტრანეარები ადგილობრივებს დასავლურ ფასეულობებზე ლაქსიებს უკითხავენ, საკუთარი უფლებების დასაცავს ასწავლიან და მომავლის მოწყობაში „ახეარებინან“, ავღანელებს უბრალოდ შიათ და წყურიათ.

ქაბულის აეროპორტი რუსების (საბჭო-ელეების) აშენებულია, დაახლოებით იგივე ზომის როგორც ჩვენი (თუმცა, ჩვენი აეროპორტი ბევრად უფრო კომფორტული და ლამაზია). აეროპორტს აქვს თავისი ინტერნეტ-კაფე და რესტორანი, რომელიც ყველაზე ძვირი რესტორანია მთელ ავღანეთში, ამიტომაც იქ არ შევსულვარ. თვითმფრინავში ჩასხდომა/ჩამოსხდომა ისევე ტრაპის საშუალებით ხდება. აეროპორტი ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი ნაწილი სამოქალაქო რეისებს ემსახურება, მეორე – სამხედროს. სამხედრო ნაწილის თავზე გამუდმებით ხედავ ნატოს-ს ვერტმფრენს, რომელიც ან ჯდება ან ფრინდება. განუწყვეტლივ მოძრაობენ სამხედრო, ბრონირებული ჯიპები, დიდი ანტენებით და ტყვიამფრქვევებით, რაც სამინლად განერვიულებს – სულ მეგონა, რომ რაღაც ხდება, რომ აეროპორტს თავს დაესხნენ, ან კიდევ უარესი, თალიბებმა ქაბულიც აიღეს და ეს ბრგე მოკავშირეები სახლებში მირბიან, მე კი ახლა დავდგი ქაბულის მიწაზე ფეხი. თუმცა, როგორც კი აეროპორტს მოშორდები, ტრასას დაადგები და ყოველ 200 მეტრში ბილბორდებს დაინახავ, რომელზეც კარზაი და ბავშვები/მოხუცებულები არიან გამოსახულნი, მშვიდდები, ანუ შეიძლება არც მშვიდდები, მაგრამ ის „მილიტარისტული ქაოსი“, რომელიც აეროპორტში ნახე, გავიწყდება.

აეროპორტში უკრაინელი ენჯელომნიკი და ტრენერი ელენა ბანასი და მისი ინდოელი ქმარი ნიშოკ კალპაკი დამხვდნენ. ესეც ენჯელომნიკი და თან მაგარი ქველმოქმედი, რომელიც არაფერს არ იშურებს ავღანელი ბავშვებისთვის. ისინი ოთხი წლის წინ კიევში გავიცანი, უფრო სწორად ელენა აქ, თბილისში გავიცანი ხუთი წლის წინ და კიევში მისი ქმარი. სულ ასეთ ადგილებში დადიან,



პალესტინაშიც რაღაც მისიით იყენენ, ერაყშიც და რა ვიცი, სადაც კი მეხი გავარდება, ყველგან ჩადიან და ადგილობრივებს ეხმარებიან. ნიშოკის წინაპრები მდიდრები არიან, ინდოეთის ყველა დიდ ქალაქში სასტუმროების ქსელი აქვთ. ელენამ თქვა, – ლონდონში და სიდნეიშიც აქვთ რაღაც ბიზნესებიო. აღარ ჩავიხივებო, რა და როგორ, მთავარი იყო, რო გავიგე – ნიშოკს ბევრი ფული აქვს, რომელსაც ცოტა სხვანაირად და სხვებისთვის ხარჯავს.

ელენა და ნიშოკი ავღანეთში, უკვე რვა თვეა, ცხოვრობენ და ცხოვრობენ თითქმის ნაღდი ავღანელებივით, ქაბულის ღარიბულ უბანში, ღარიბულ სახლ-

ში ოღონდ კომფორტულად. აქვთ მაგარი გენერატორი, რომლის წყალობითაც ორ ავღანურ ოჯახს ელექტროენერგიით ამარაგებენ, სატელეფონური ანტენა და ტელეფონები, და აქვთ ტოიოტა კოროლა, რომელიც ყველაზე პოპულარული მანქანაა ავღანეთში. სწორად ამ კოროლაში ვისხედით სამივე და აეროპორტიდან სასტუმროსკენ მივდიოდით. ჩვენ წინ ასევე ტოიოტას მარკის მანქანა მიდიოდა, ოღონდ ჯიპი, განკრიალებული, სხვანაირი ნომრით და ამერიკის დროშით. საუბარ-საუბარში ამ ტოიოტას დაახლოებით ორ მეტრზე მიეუახლოვდით.

>>> ბაბრქილევა გვ. 111

**კაატა ქურდაძე**  
**ჯვარცხმა. ტექნიკური პერსონალი და დეკორაცია**  
[www.paatakourdadze.blogspot.com](http://www.paatakourdadze.blogspot.com)



*Je suis témoin, je suis le seul témoin de moi-même.*

**Antonen Artaud**

*მე მოწმე ვარ, მე ერთადერთი მოწმე ვარ საკუთარი თავის.*

ანტონენ არტო

სკამი – ლურსმნები. სენტ-ეტიენის ვაგზალი. დეკორატორი ფრანსუა ბოშე.

რამდენიმე წლის წინ ჩემმა შვიდი წლის შვილმა, თინამ რვეულის ფურცელზე გოლგოთას გზა დახატა. ნახატზე იესოსა და ამ სიუჟეტის კლასიკური პერსონაჟების გარდა, მარცხნივ კადრიდან თითქმის გასული მოსიარულე ადამიანის ფრაგმენტი ჩანდა – მისი სხეულის მცირე ნაწილი, ფეხი, და სიარულისას უკან დარჩენილი მარცხენა ხელი, რომელშიც რაღაც ჩხირები ეჭირა.

ჩემ კითხვაზე, თუ რა ეჭირა ამ კაცს ხელში, მიპასუხა, – „ბატონს ხელში ლურსმნები უჭირავს, და გოლგოთაზე მიაქვს“.

ეს ნახატი მისი უცნობი პერსონაჟით სადღაც გაქრა. მაგრამ მან ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, მის მიხედვით მოთხრობაც დავენერე, სადაც ლაპარაკი იყო ლურსმნებზე, როგორც ჩვენი ცივილიზაციის კონსტრუქციის მდგრადობის მნიშვნელოვან კომპონენტზე.

1.

ადრე არასოდეს მიფიქრია: ფაქტია, ვილაცამ ლურსმნები გამოჰყედა, ვილაცამ წამოიღო.

ჩვენ მხოლოდ მათ შესახებ გვაქვს მცირე წარმოდგენა, ვინც ამ ლურსმნებით იესო ჯვარზე დააჭედა – ვიცით, რომ ისინი ჯალათები იყვნენ. თუმცა მათ შესახებ არც ერთ სახარებაში არ არის რაიმე ნათქვამი. ეს მხოლოდ სხვადასხვა ეპოქის ნახატებსა და სპექტაკლებში ნანახი სცენების ჩვენზე ფრაგმენტული წარმოსახვის ნაყოფია.

პრინციპში, პროფესიონალი ჯალათი, როგორც პერსონაჟი, არც ისე საინტერესოა. ვიცით, რომ ისინი არასოდეს არავის უყვარდა, ზიზღიანი მზერების გარემოცვაში ცხოვრება და სიკვდილის ინდუსტრიაში შრომა მათივე არჩევანი იყო. ტრადიციულად – თავზე შავჩაჩჩამოფარებულ ჯალათებს მხოლოდ ფრანც კაფკამ მისცა „ადამიანური“ სახე ერთხელ: თავის „სასჯელალსრულების კოლონიაში“.

თვით იესოს ჯალათების „ანონიმურობაც“ კი დაცულია – ისინი იგნორირებულნი არიან ოთხივე მოციქულის მიერ.

გაცილებით საინტერესოა არიან პიროვნებები, რომლებიც სიკვდილით დასჯას ტექნიკურად უზრუნველყოფენ. ისინი ხშირად, ვარაუდის საწინააღმდეგოდ, სრულიად დადებითი პიროვნებები აღმოჩნდებიან ხოლმე. მაგალითად ექიმი, პოლოტიკოსი და ცნობილი ჰუმანისტი ჟოზეფ ინიას გილიოტინი (Joseph Ignace Guillotin 1738–1814).

ეს გვარი, ორ საუკუნეზე მეტია, სიკვდილის მექანიკურ მანქანასთან, გილიოტინასთან ასოცირდება, და წარმოთქმისას შიშის ჟრუნვას იწვევს. სინამდვილეში სიკვდილის ეს დაზგა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში არსებობდა. ექიმს არაფერი არ მოუგონია. მან მხოლოდ ბევრი იბრძოლა იმისათვის, რომ სიკვდილით დასჯის ბარბაროსული მეთოდები ჰუმანურით შეეცვალა; გარდა ამისა, სიკვდილმისჯილთა უფლებები თანაბარი გამხდარიყო. 1791 წელს ექიმის ხანგრძლივი მცდელობის შედეგად კანონი მიიღეს და გილიოტინა პირველად გამოიყენეს ჩვეულებრივი ქურდის, ვინმე ლუი მიშელ ლეპელეტელის თავის მოსაკვეთად.

მანამდე სიკვდილით დასჯის მრავალნაირი მეთოდი არსებობდა საფრანგეთში: არისტოკრატებს ხმლით აცლიდნენ თავს, აზნაურებს ნაჯახით, მეფის სიცოცხლის ხელმოყოფთ ცხენებზე გამობმულს „ოთხში ამოღებულთ“ ფლეთდნენ, ქურდებს და მკვლელებს კი უბრალოდ სახრჩობელაზე კიდებდნენ ან ბორბალზე აკრავდნენ, რომ ჯალათს რკინის კეტით მისთვის ყველა ძვალი სათითაოდ დაემტვრია.

ღარიბებს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ საშუალება, სწრაფი და „ხარისხიანი“ სიკვდილის სანაცვლოდ, ჯალათისათვის ფული გადაეხადათ. ამიტომ მათი დასჯის დროს ნაჯახი ხან კარგად არ იყო გალესილი, ხან მიზანს ცოტათი სცდებოდა, ხან კიდევ ბორბალზე გაკრულს მართლაც ნელ ტემპში ამტვრევდა ჯალათი ყველა წერილ ძვალს, რადგან რკინის ხელკეტით პირდაპირ თავში ერთი დარტყმით სიცოცხლესთან გამოსალმება ფული ღირდა, რომელიც სიკვდილმისჯილს არ გააჩნდა...

პარლამენტარი და ექიმი ჟოზეფ გილიოტინი სიკვდილის არჩევანში განსხვავებას სოციალურ უსამართლობად მიიჩნევდა. მისი აზრით, ტექნოლოგიურად და ჰუმანიტარულად სრულყოფილი სასჯელის უმაღლესი ზომის საერთო მეთოდის შემოღება პირველი ნაბიჯი უნდა გამხდარიყო სიკვდილით დასჯის გაუქმების, აბოლიციის გზაზე, რომლის გავლას კაცობრიობის ცივილიზებულმა ნაწილმა მაინც გილიოტინის დაკანონების შემდეგ თითქმის 200 წელიწადი მოანდომა.

დიდი რევოლუციური ტერორის წლებში დაპატიმრებული გილიოტინი ციხიდან მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვეს, რაც მისივე ჯალათი მაქსიმილიან რობესპიერი „გილიოტინირებული“ იქნა რევოლუციის (კონკორდის) მოედანზე. სწორედ ეს ზმნა (guillotiner) დამკვიდრდა ფრანგულ ენაში სიკვდილით დასჯის სინონიმად საბრალო ექიმისა და ჰუმანისტის სურვილის საწინააღმდეგოდ.

ჟოზეფ გილიოტინი ციხის შემდეგ პოლიტიკას აღარ გაჰკარებია. დარჩენილი სიცოცხლე მედიცინას მიუძღვნა, ის იბრძოდა ჩუტყვავილას წინააღმდეგ საყოველთაო აცრებისათვის, იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც შექმნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა, დააარსა საფრანგეთის პირველი ექიმთა ასოციაცია, რომელიც დღეს საფრანგეთის მედიცინის აკადემიაა... მთელი ცხოვრება უშედეგოდ ცდილობდა ამ სიკვდილის მანქანისათვის სახელი გამოეცვალათ. არაფერი გამოუვიდა, მას შემდეგაც კი, რაც საფრანგეთში გილიოტინა 1977 წელს უკანასკნელად გამოიყენეს, დიდი ჰუმანისტის გვარი მაინც საშინელების სინონიმად დარჩა.

ექიმი გილიოტინის სევდიანი ისტორია შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ჰუმანიტარული ბრძოლა ბარბაროსობად და საღიზმად მოინათლოს და ადამიანების კეთილდღეობისათვის განუვლი დიდი ამბის მიუხედავად, ასწლეულების მანძილზე შენი სახელი მხოლოდ ზიზღს იწვევდეს. რისკის თავზე აღება ნამდვილი ჰუმანისტების ხვედრია. რადგან ისინი ძირითადად მოღვაწეობენ სისტემაში, რომელსაც ადამიანურ სისასტიკის სისტემას დავარქმევდი. თუმცა მას პოლიტიკურ ენაზე ადამიანური სამართალი (justice) ჰქვია და ის ისეთივე ძველია, როგორც სამყარო. ეს სისტემა, როგორც წესი, არა მარტო ადამიანებზე, თვით უფალზე მალა დგას. სწორედ ამ სისტემის მსხვერპლი გახდა იესოც.



საბედნიეროდ, სისასტიკის სისტემას თავისი რჩეული „მარგინალები“, თავისი ჰუმანისტები ჰყავს, ისევე, როგორც დაუნდობელი საღისტი ჯალათები. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ადამიანთა ამ კატეგორიას განსაზღვრული და დადგენილი როლი აქვს მიკუთვნებული საზოგადოების ისტორიის თეატრში.

არის სისასტიკის სისტემაში მონაწილეთა კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც, ჩემი აზრით, ბევრად უფრო საინტერესოა თავისი მისტიკური ფუნქციის გამო. მე მხედველობაში მყავს ენთუზიასტები, რომლებიც ყველგან გვხვდებიან, სადაც რაიმე მნიშვნელოვანი ხდება.

ისინი უცებ, მოულოდნელად, თავიანთი ლურსმნებით ხელში, საიდანლაც აღმოცენდებიან ხოლმე ბრბოში. პროცესის რალაც შუალედურ მოსამზადებელ მონაკვეთში ყველაზე წინა პლანზე გარბიან და გამორბიან, ბევრს ქოთქოთებენ, ფუსფუსებენ, ადამიანებს აქეთ-იქით სწევენ, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, დაჭედებისას, ჩაქუჩის მოქნევის წინ კი სადღაც ქრებიან. საიდან, ან როდის მოდიან ან სად მიდიან, არავინ იცის. მათ არც სახე აქვთ, არც რაიმე განსაკუთრებული ნიშანი, რომ დაიმასხვორო.

ისინი იქ იყვნენ, როდესაც აქილევსმა აგამემნონის დასახიჩრებული გვაში ცხენზე გამობმული მიათრია საკუთარ ბანაკში, მაშინაც, როდესაც ჩაუშესკუსა და მისი ცოლს დასახვრეტად „ასამართლებდნენ“ 1989 წლის შობის დღეს, როდესაც ქაბულის ფეხბურთის სტადიონზე თალიბები საბრალო ქალებს როზგავდნენ, როდესაც დიდი კულტურული რევოლუციის დროს პეკინში სახალხო ტრობუნალებს აწყობდნენ, როდესაც იტალიური დაუმორჩილებლობის წევრებმა დახვრეტილი ბენიტო მუსოლინისა და მისი საყვარლის კლარა პეტაჩის გვამები განთავისუფლებული მილანის ერთ-ერთ მოედანზე ფეხებით დაკიდებული გამოფინეს...

მე მეღურსმნეები პირველად 1989 წელს თბილისში ლენინის ძეგლის ჩამოგდებისას შევამჩნიე: ჯერ ამწეების გარშემო ფუსფუსებდნენ, მერე ილიჩს ლაჯებშუა ცეცხლი შეუნიტეს, თითქოს ბრინჯაოს ყვერების გასათობად, მერე სადღაც გაქრნენ. ხალხის თავდაუზოგავი გარჯის შედეგად ძეგლის ჩამოგდების შემდეგ კი ისევ დავინახე: მოტეხილ და ძირს გაგორებულ ლენინის თავს ფეხებს და ჯოხებს ურტყამდნენ გამეტებით და მხიარულად იგინებოდნენ...

ეს ადამიან-ფანტომები თითქოს სიკვდილს დამალობანას ეთამაშებიან და როდესაც ცელმომარჯვებულ შავ ანგელოზს პირისპირ შეეჩეხებიან, თავიანთი საბრალო აქტიურობით მის გულის მოგებას ცდილობენ და გამოსდით კიდევ. მათ დროში ხეტიალი უყვართ, ხან რომელ ეპოქაში ამოყოფენ თავს და ხან რომელში. სხვადასხვა ეპოქიდან ხან რას გამოაყოლებენ ხოლმე ხელს და ხან რას: ვირუსებს, ბრიყვეულ ჩვევებს, მოდას... ამიტომ ხშირად ისტორია, პერსონაჟები, ადამიანების პარანოია მეორდება.

მე მართლა გამიჩნდა ისეთი გრძნობა, თითქოს ჩემი შვილის დახატულ მამაკაცის ფრაგმენტს, რომელსაც გოლგოთაზე იესოსათვის ლურსმნები მიაქვს, სადღაც შევხვდრივარ; უფრო მეტიც, რომ მას გამუდმებით ვხვდები ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ქალაქში, დროში, კონტექსტში.

2.

1972 წელს, 13 წლის ასაკში ჩემში, ისევე როგორც ჩემი თაობის ბევრ თბილისელში, როკი და იესო ერთდროულად შემოვიდნენ.

ჩემი აზრით, ვებერის ცნობილ როკ ოპერას მაშინდელ რეპრესირებულ და უფლებააყრილ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე არანაკლები დამსახურება აქვს საქართველოს ხელახლა „გაქრისტიანებაში“.

მაშინ საქართველოში წესიერად არავინ იცოდა განსხვავება ქრისტიანულ კონფესიებს შორის. ამას არც ეკლესია ითხოვდა: მთავარი იყო, რომ როგორღაც ქრისტე გახსენებოდა ხალხს.

სულელებზე ნადირობის აზარტი მოგვიანებით 80-იან წლებში გაჩნდა – როგორც კი მრევლმა შესამჩნევად მოიმატა და სასულიერო კონიუნქტურა ჩამოყალიბდა.

90-იან წლებამდე საქართველო სეკულარულ ქრისტიანულ ქვეყნად დარჩა ჩემ მახსოვრობაში.

ადესის მოტკბო სუნიან 70-იანებში უფროსებისათვის მართლმადიდებლობა წელიწადში ერთხელ აღდგომის დღეს სასაფლაოებზე ქეიფი და დანთებული სანთელი იყო, ჩემთვის კი, ცხადია – წითელი კვერცხები და ცხელი თაფლის სუნი, რომლითაც სანთლების ჩამოქნაში ბებიჩემს ვეხმარებოდი ყოველი აღდგომის წინ: რატომღაც ეკლესიაში ნაყიდ სანთელს არ ენდობოდა, ამბობდა, – ნამდვილი სანთელი თაფლისგან მზადდებაო. აი, სულ ეს იყო... და სხვა თითქმის არაფერი.

ჩემი და ჩემი მეგობრების მშობლები – რეპრესირებულნი, რეპრესირებულთა შვილები, თავად ყოფილი ჯვალათები, ან ჯვალათთა შვილები იყვნენ, ისინი შიშში და სიძულვილში დაიბადნენ: მუჟანაძის კორუმპირებული 60-იანი წლები სწორედ სიძულვილიდან გამოსვლის მცდელობის კომპრომისული წლები იყო, რომელმაც საყოველთაო კორუფცია და ტოტალური სულიერი კონფორმიზმი ასწავლა ქართველებს – შეუძლებელი იყო ასეთ გამუდმებულ მტანჯველ აუტანელ სიძულვილში, ამხელა ბოლშაში ცხოვრება, რაც 20, 30, 40 და 50-იანი წლების რეპრესიებმა და იდეოლოგიურმა გარყვნილებამ მოიტანა.

ნებისმიერი გზა, რომელსაც ამ კომპარის დასასრულისკენ შეეძლო წაეყვანა ხალხი, მისაღები იყო. საქართველომ ეს გზა რუსეთზე ადრე იპოვა – საყოველთაო კონფორმიზმში განზანვის, სიძულვილიდან განთავისუფლების მცდელობის 60-იანი წლები. ნეილონის ეპოქა, რომელშიც ჯვალათები და მსხვერპლნი ერთნაირად გროტესკულნი გახდნენ. დაქორწინდნენ, საერთო ოჯახები შექმნეს, ერთად შეეცადნენ ქეიფით დაევიწყებინათ ის, რისი მტანჯველი მასსოვრობა სიცოცხლეში ხელს უშლიდათ, ერთად შეთხზეს დღეს არსებული ქართული ბრიყველი სადღეგრძელოების უდიდესი ნაწილი, რომელმაც გარკვეულწილად საქართველოს ახალი ისტორია მსუბუქად გადაიყვანა სხვა, შედარებით უფრო მოქნილ ორბიტაზე, რომელიც დღემდე იქ დარჩა. რადგან ეს ისტორია აღარავის აინტერესებს. მასზე არავინ მუშაობს.

მე მათი კარგად მესმის. ისინი გმირები არ იყვნენ, და არც უნდოდათ ყოფილიყვნენ. გმირები თუ დასჭირდებოდათ, ყოველ ნაბიჯზე რამდენიც გნებავთ, იმდენი ჰყავდათ, ომის, შრომის, ჩრდილოეთი პოლუსის, შუა აზიის, კოსმოსის, მაღაროების და ათასი სხვა... ეს მხოლოდ საბრალო, განადგურებული თაობა იყო, რომელმაც თავი აიძულა დაეჯერებინა, რომ ცხოვრება ასე თუ ისე მშვენიერია... ცოტათი უკეთესი, ვიდრე მათი მშობლებისა გულაგში. აღარავის უნდოდა, სცოდნოდა, რა იყო ადრე რეალურად. და მათ ერთად შეთხზეს ეს „ადრე“.

შემდეგ 70-იანები მოვიდა, ჩემი თაობა. ჩვენ უკვე სიძულვილის შვილიშვილები ვიყავით: ჯვალათებისა და მათივე მსხვერპლთა კონფორმიზმის ნაყოფი. ჩვენი როლი, ანუ, როგორც მოგვიანებით დავარქვით, მისია, ამ მღვრიე წყლის თუ შაქრიანი ღვინის გაფილტვრა-დანმენდა იყო. მცდელობა მაინც...

მთელი ეს პერიოდი, ჩემი „ეკლესია“ პლენხანოვზე. ჩემი, 23-ე სკოლიდან ორ ნაბიჯში იყო გორკის კლუბი. მის პარკში ჩვენ ჭუჭყიან თოვლის ქვასავით გუნდებს კანტიკუნტად შემოსულ გოგონებს, ან ერთმანეთს ვესროდით. გაყინული წითელი სველი თითებით ნესტიან სიგარეტ „ლუქსს“ უიმედოდ ვსრესდით, ბევრს ვენუოდით და ვლაცობდით, კასიუს კლეიზე, როკზე, სექსზე, ვებერის ოპერაზე, იესოზე და მისი პარტიის შემსრულებელ იან გილანზე...

>> ბაზრძელება გვ. 112



# გიორგი კალაგოშივილი კვაშიოლა

[www.shokoladi.ge](http://www.shokoladi.ge)



„მორიგი ქართული ნაგვის სუნი მცემს!“ – ცენზურისა და ზედმეტი შეღამაზების გარეშე, ერთ-ერთმა მაყურებელმა სწორედ ამ სიტყვებით მოახდინა გიგა აგლაძის ფილმის „გოგონა სლაიდიდან“ პრემიერის პროგნოზირება. პირადად მე კინოში (და არც მის გარეთ) მსგავსი არაფერი მიგრძენია. ერთადერთი, რაც ვიგრძენი, ისიც მწუხარებით, რეჟისორის მარცხის სუნი იყო, მაგრამ დროზე ადრე მაინც არ მიმიტოვებია ფსკერისაკენ მიმავალი გემი.

სიმართლე ითქვას, ნაგავზეც შეიძლება იყოს მოთხოვნა; მით უფრო თუ არტეფაქტის სახით ამის უამრავი მაგალითი გვაქვს და ამ ხელობის უამრავი მიმდევარი გვყავს. ნაგავზე ფასიც შესაბამისი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ფასწარმოქმნასა და ღირებულების აღქმას ის სამომხმარებლო ბაზარი უნდა არეგულირებდეს, რომელიც გიგა აგლაძის შემოქმედების მიმართ მაინცდამაინც კეთილგანწყობილი არ მომეჩვენა. რეჟისორის ადვოკატირებას არ ვაპირებ, მაგრამ არც მისი შემოქმედების უსაფუძვლო ლანძღვა მიმაჩნია მიზანშეწონილი. სწორი იქნება თუ ფილმს „გოგონა სლაიდიდან“ მაყურებლის კომენტარზე დაყრდნობით გავარჩევთ და ასე მაინც დავიცავთ ნეიტრალიტეტს, ობიექტურობას, რომელსაც, როგორც წესი, მოითხოვენ ჩვენგან რეჟისორები.

მინდა:  
რამე მაგარი რა...  
ძარღვიანი....

ნაღვლიანი...  
 სევდიანი...  
 გულიანი...  
 ცეცხლსასროლი...  
 დარდიანი...  
 რეალური...  
 კარდინალური...  
 რადიკალურ-სოციალური!  
 (მომთხოვნი: [forum.ge](http://forum.ge))

მეგობრებო, ასეთ ფორმულას ქართულ კინოში არავინ იყენებს. ამ ხატოვანი სიტყვების კარნახით არავინ ქმნის ფილმებს. რატომ? იმიტომ, რომ სიტყვათა წყობა „სოციალური დაკვეთა“ ცუდ ასოციაციას ტოვებს და პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობად აღიქმება. არც გიგა აგლაძემ შეასრულა სოციალური დაკვეთა. სამაგიეროდ, მისი ფილმი „გოგონა სლაიდიდან“ ასპროცენტული პლეისმენტითა და ამა თუ იმ ბრენდთან კომერციულად გათვლილი გარეგება. ამის წყალობით, აგლაძემ საქართველოში ყველაზე ძვირადღირებული სარეკლამო ფილმი გადაიღო, რომელშიც სამოდელო სააგენტო „სლაიდის“ (სხვათა შორის, გიგა აგლაძის მეუღლის სამოდელო სააგენტო) გოგონები კონკრეტული მარკის მანქანის პრეზენტაციას აწყობენ; ავტოგარეკლის შემთხვევაში აუცილებლად გაიგებთ რომელ სადაზღვევო კომპანიაში უნდა დააზღვიოთ მანქანა; რომელმა დიზაინერმა უნდა ჩაგაცვათ იმისათვის, რომ საზოგადოების ნაღვლისა და ელიტურობის კონტექსტიდან არ ამოვარდეთ; გაიგებთ, რომელ ფოტოგრაფთან უნდა გაიაროთ ფოტოსესია და კიდევ უამრავ ყოფით დეტალსა და რეკლამას მოჰკრავთ თვალს. ფილმის „გოგონა სლაიდიდან“ რეჟისორმა საათნახევრიან ჩარჩოში მოაქცია ის ინფორმაცია, რომელსაც „ყვითელი ფურცლები“ სქელტანიანი გამოცემებით გვთავაზობს.

სად არის აქ კინოს ადგილი? რა თქმა უნდა, გადასაღებ მოედანზე. სად მთავრდება კინო? სამწუხაროდ იქვე. საათნახევრის განმავლობაში კინოეკრანზე, 24 კინოკადრის ნაცვლად, მხოლოდ იმ სუბლიმინალურ ხერხსა და 25 კადრს ვხედავთ, რომელიც მაყურებლის ცნობიერებაზე ძალადობას ახდენს და ქვეცნობიერში რეკლამისადმი მადის აღძვრას ემსახურება. გიგა აგლაძეში კლიპურმა ცნობიერებამ სძლია კინემატოგრაფიულს. „გოგონა სლაიდიდან“ მართლაც კლიპს გაგონებს, რომელშიც გემოვნებიანი კოსტიუმები და მაკიაჟი რეჟისორის ნაკლს ფარავს. ამ უსახურ ფილმში ყველას თავისი სახე (და სახელი) აქვს. ზურა ყიფშიძე, ნანუკა ხაზარაძე, კრისტი ყიფშიძე, ნათია მაქაცარი, მერაბ სანოძე, ავთანდილ ცქვიტინიძე, ჯიჯი რეჯინი და სხვა მრავალი ფილმში საკუთარ თავს განასახიერებენ, რის გამოც ხშირია იმის განცდა, რომ კინოეკრანზე შურნალი „სახე(ლ)ები“-ს ეკრანიზაციას გვთავაზობენ. შურნალის ეკრანიზაციის შესახებ თუ გსმენიათ რამე? არც მე და არც იმ მაყურებელს, რომლის (და)უკმაყოფილება აისბერგს ჰგავს (რაც ზედაპირზე ჩანს, ორი იმდენი სიღმეში იმალება) და რომელსაც აგლაძის გემი „გოგონა სლაიდიდან“, გაბარიტებით – 90 60 90 უკვე შეეჯახა!

„ტუტსი“ თუ ტუტუცი?  
 (მკითხავი: [forum.ge](http://forum.ge))

ფილმის „გოგონა სლაიდიდან“ გადაღების დროს ხშირი იყო „ტუტსი“-ზე აპელირება. ხშირად იმასაც ახსენებდნენ, რომ მთავარი როლის შემსრულებელი ზაზა ბეჟაშვილი რაღაცით ჰგავს დასტინ ჰოფმანს. მოდით, მსგავსებას არ შევეხოთ, თორემ სხვაობის გარჩევა საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდება როგორც ზაზა ბეჟაშვილისთვის, ისე „სლაიდის“ რეჟისორისთვისაც. „ტუტსი“,

აღბათ, ის ორიენტირი უნდა ყოფილიყო, რომლის მიხედვით გადაიღებდნენ კომედიურ მელოდრამას, სხვაგვარად რომ ვთქვათ – ფილმის ქართულ რემიქსს. კეთილშობილი მიზანია, ცუდს ვერაფერს იტყვი. მთავარი კი მაინც ის არის, თუ რა რესურსით აპირებდნენ ამ მიზნის მიღწევას. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ მწირი რესურსით – რამდენიმე მოდელი და ზაზა ბეჟაშვილი, რომელიც „რალაციით“ ჰგავს დასტინ ჰოფმანს, ქმნიან ფილმის საფუძველსა და მერყევ საყრდენს...

„ტუტის“ შინაარსი კარგად მახსოვს. არაჩვეულებრივი სიუჟეტი აქვს, კარგი დინამიკა, სამსახიობო დასი და რეჟისურა. დასტინ ჰოფმანი მსახიობია, რომელიც კასტინგებზე მარცხს განიცდის და იმედგაცრუებული წყვეტს კინოზინესში სხვა გზით შეღწევას. ზაზა ბეჟაშვილი იგივე ნაბიჯს დგამს ოლონდ მოდელი გოგოს გულში შესაღწევად. ამისათვის კინოპერსონაჟი ზუზუ ქალის ტანსაცმელსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ირგებს, მაგრამ ამ კლოუნადის უკან მამაკაცი მაინც იოლი ამოსაცნობია. მაინც რით ვერ მოხიბლა ზუზუმ ნათია ახვლედიანი, ძალიან ლამაზი და მომხიბვლელი მოდელი, რომელიც შეთავსებით არქიტექტორიც ყოფილა? ზუზუ ინკოგნიტო მას ძვირადღირებულ კაბებსა და ყელსაბამს უგზავნის, მთელ თბილისს აჭრელებს ნათიას ბილბორდებით, უამრავ ფულს ხარჯავს მოდელის გულის მოსაგებად... ზუზუმ ნათიას ყურადღება მიიპყრო, სიმპათია კი ვერ დაიმსახურა. რატომ? ოდესმე თუ შეგხედრიათ ადამიანი, ვისთვისაც რაოდენობა ხარისხის სინონიმი? თუ გინახავთ ადამიანი, რომელიც მორთმეულ შოკოლადს მისი ღირებულების აღმნიშვნელ ჩეკსაც თან აყოლებს (აღბათ იმისათვის, რომ უფრო ტკბილად მიირთვათ)? ზუზუ ორიგინალურობით არ გამოირჩევა; მეტიც, ფილმის პოსტერზე ცალსახად ამოიკითხავთ მის დახასიათებას – „ზუზუს ბევრი ფული აქვს და ბევრი გოგო ჰყავს, მაგრამ იმ ერთადერთმა მას ყველაფერი შეუცვალა!.. რაა?! ძალიან სასაცილო კომედია“.

ეს უკანასკნელი ფრაზა ფილმს გვიხასიათებს, როგორც რომანტიკულ კინოკომედიას. მნიშვნელოვანია, რომ „სლაიდში“ ჩანან მიშა ანდლულაძე და ვასო ფხაკაძე იუმორინას შესაშური Hi-კლასის ხუმრობით. იმედია, ამ კრიტიკული რემარკით თავს არ ავატკივბთ, თორემ, ვეჭვობ, ისევე ანაღვინის გარეშე იქნებიან... გამოსავალი მხოლოდ ერთი აქვთ – აუტკივბელ თავს ნუ აიტკივბენ. კინოში „კამედი შოუს“ სკეტჩებით ნუ გვაკვირვებენ; გიგა აგლაძის ფილმს ერთ დიდ კინოანეკდოტად ნუ აქცევენ!

რაც შეეხება გიგა აგლაძეს, რეჟისორმა სარეკლამო ფილმში „გოგონა სლაიდიდან“ მოდების სამჭედლო აღბეჭდა. ეს ის სივრცეა და მაჭანკლობის ინსტიტუტი, რომელშიც მდიდარი მამაკაცებისათვის ლამაზ საცოლეებს „ჭედავენ“. ნებისმიერ ქვეყანაში სამოდელიო ბიზნესი მდიდარ და ფულიან მამაკაცებს ლამაზი გოგონების ექსპორტს სთავაზობს. აგლაძის სამაჭანკლო „სლაიდი“ ნაწილობრივ ამ სტერეოტიპის დამსხვრევასა და უკუგდებას ცდილობს, როდესაც ლამაზმანი ნათია მდიდარ ზუზუს არ იკარებს, საჩუქრებს კი სიამოვნებით იღებს... რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ვერ ახერხებს დამკვიდრებული სტერეოტიპის მსხვრევას. მოდელს უყვართ ლამაზი ტანსაცმელი, ძვირადღირებული სამკაულები და ლამის კლუბებში თეთრად გათენებული ლამეები. უკვე მერამდენედ მებადება კითხვა – მაშინ ვის რაში სჭირდებოდა ეს კლოუნადა? მით უმეტეს, რომ ფილმის ფინალში ნათიას თავს საჩუქარით მიართმევენ ზუზუს. ასე, უბრალოდ, მიიყვანენ იპოდრომზე, გადასვამენ მანქანიდან გატკეპნილ მინდორზე და დაუტოვებენ ზუზუს, როგორც მითიურ მინოტავრს უტოვებდნენ ლამაზმანებს... ზუზუ თავისებური მინოტავრია, „მას ბევრი გოგო ჰყავს“ და ისეთივე პირუტყვის ფუნქციას ასრულებს, როგორც ბუღას აქვს ფერმაზე ძროხების განასაყოფიერებლად. სა-

მწუხაროდ უხეში, მაგრამ ზუსტი შედარებაა. ზაზა ბეჟაშვილის კინოპერსონაჟი არ იწვევს სიმპათიას. თანამედროვე ქართულ კინოში ის ტიპურ ტუტუცს განასახიერებს...

„ამ ფილმმა მოკლა ქართული კინო“

(ჭირისუფალი: [forum.ge](http://forum.ge))

ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს ფრაზა ხშირად მსმენია. აგლაძის ფილმს „გოგონა სლაიდიდან“ არ მოუკლავს ქართული კინო. ქართული კინო მოვკალით ჩვენ, ქართველმა მაცურებელმა ჩვენი დიეტით და „დაბალკალორიული“, ანუ უგემოვნო ფსევდოსულიერი საზრდოს (ფილმების) მიღებით. გიგა აგლაძემ კი მხოლოდ საკონტროლო გასროლა გააკეთა. ასე რომ, აგლაძეს ნურაფერს დავნამებთ. ისევ საკუთარ თავს და, მათ შორის, საკუთარ ტრადიციებს დავაბრალოთ. სამეგრელოში, სანამ მიცვალებულს გაასვენებენ და მიწას მიაბარებენ, ქელესს მანამდე იხდიან ხოლმე... ზოგ სოფელში ეს ტრადიცია დღესაც შემორჩა. ამა თუ იმ ფილმის გაქირავებაც ასეთ ქელესს ჰგავს. სანამ დაკრძალავენ, მანამდე მოილხენენ, გაიხსენებენ წარსულს, შეიძლება ერთი კვირის თავზეც არ დაკრძალონ; ნაბახუსეზე უამრავი სადღეგრძელო გაახსენდეთ და როცა მიხვდებიან, რომ დაუგვიანდათ მიცვალებულის გაცილება, როგორც იქნა მარხავენ. ქართული ფილმების გაქირავებაც ამ პრინციპით ხდება. მკვდრადშობილ ფილმს ატარებენ ეკრანიდან ეკრანზე, რეკლამით იზიდავენ მაცურებელს ფართომასშტაბიან პანაშვილებზე 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00 და 22:00 საათზე, შემდეგ კი დიდი ვაივა-გლახითა და გოდებით ასამარებენ. კინოკრიტიკოსები, როგორც წესი, მიწის ერთ მუჭას მივყრით ხოლმე და წუთიერი დუმბილისთვის კომპენსაციას ხმამაღალი რეცენზიების გამოქვეყნებით ვითხოვთ.

ამის შემდეგ შევთანხმდეთ, რომ ნეკროფილია, მიცვალებულისადმი ლტოლვა ცუდი და მავნე მოვლენაა. იმაზეც შევთანხმდეთ, რომ მიცვალებულის ნახვაში ფულს არ უნდა ვიხდიდეთ – ეს უკვე მარაზმია.

„არის ჰოლივუდი და ბოლივუდი, ჩვენ კი ნოლივუდი გვაქვს“...

(ექსპერტიზის დასკვნა მორგიდან: [forum.ge](http://forum.ge))

რა კარგია, რომ საქართველოში კინოს გადაღების მოდა დაბრუნდა. რა ცუდია, რომ მოდაშია კინოს გადაღება, მიუხედავად იმისა, გესმის თუ არა რეჟისურა. იქნებ ამიტომ, მაცურებელი არცთუ უსაფუძვლოდ ახსენებს „ნოლივუდს“, ანუ ნულს, ნულოვან ზღვარს, რომელსაც უახლოვდებიან რეჟისორები მოდის შეგრძნებით, მაგრამ სტილის გარეშე. გიგა აგლაძის ოპუსს „გოგონა სლაიდიდან“ სტილი არ გააჩნია. თუმცა რეჟისორმა აქ ყველაფერს მოუყარა თავი, რაც კი მოდაშია. მათ შორის პერსონალებს... მოდა წარმავალია – ეს ყველამ კარგად ვიცით. ალბათ, რეჟისორიც გაიგებს. მას ხომ ხშირად უწევს სამოდელიო სააგენტო „სლაიდში“ მისვლა...

აგლაძის „კვაზიმოდა“ ეკრანებზე მოგზაურობს. მისი ოპუსი „გოგონა სლაიდიდან“ გარეგნულად ლამაზია, შინაგანად კი ცარიელი და უინტერესო. პრემიერის შემდეგ მაცურებელი იმასაც ამბობდა, რომ სიუჟეტი „თითიდან გამონოვილია“ და „ყურით მოთრეული“. ამაზე კომენტარის გაკეთება მიჭირს. საინტერესოა, რას იტყვის რეჟისორი? მოახერხა თუ არა მაცურებლის მორჯულება? თუ „გოგონა სლაიდიდან“ უბრალოდ რეჟისორის ეგზიბიციონიზმია, რომელიც მიზნად ისახავდა მაცურებელში მახოხისტური მიდრეკილების გამოვლენას?



# რაფიკა

ავტორი: ლევან ბერძენიშვილი  
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი

დედამინის ზურგზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელთანაც იმდენი მელაპარაკოს ან მეკამათოს, რამდენიც რაფიკასთან მილაპარაკია და მიკამათია. ვერც ვისხენებ სხვა ადამიანს, რომელთანაც იმდენი მქონდეს სალაპარაკო და საკამათო, რამდენიც მასთან. ჩვენი პატიმრობა და, საერთოდ, ჩვენი ურთიერთობაც თითქმის ოცდახუთი წლის წინ დამთავრდა, მაგრამ სალაპარაკო, საკამათო, საჩხუბარი და საომარი კიდევ დარჩა შემდეგი ოცდახუთი საუკუნისთვის.

რაფიკა, რაფაელ აშოტის ძე პაპაიანი, დაბადებული 1942 წელს, ცოლშვი-

ლიანი, ორი შვილის მამა, 1982 წლის 10 ნოემბერს დააპატიმრეს. ოთხი წელი მკაცრი რეჟიმის ბანაკი და ორი წელი გადასახლება ჰქონდა მისჯილი. რაფიკა სომხეთში ჰელსინკის კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო ედუარდ არუთუნიანთან ერთად 1975 წელს; მოგვიანებით, როდესაც არუთუნიანი და მისი ჯგუფის ორი წევრი დააპატიმრეს, რაფიკასთან და ედმონ ავეტიანთან ჩხრეკა ჩატარდა. მაშინ არ დაუჭერიათ, მაგრამ სერიოზულად გააფრთხილეს. ხოლო როცა გაფრთხილება აღარ გაჭრა, ჟორა ხომიზურთან ერთად დააპატიმრეს და გულაგის გზასაც გაუყვეს.

რაფიკას მამა, აშოტ პაპაიანი (იგივე არამაშოტ პაპაიანი, ეს მისი სამსახიობო ფსევდონიმი იყო) სომხეთში ცნობილი კაცი ყოფილა როგორც თავდაპირველად მსახიობი და შემდეგ რამდენიმე პიესისა (ძირითადად, კომედიისა) თუ კინოსცენარის ავტორი. სხვათა შორის, აშოტ პაპაიანიც ჩვენებური ყოფილა, ჩემი და დათოსი არ იყოს, ბათუმში ყოფილა დაბადებული, ასე რომ, ისედაც ჩვენი „ზემლიაკი“ რაფიკა „თითქმის“ ბათუმელიც იყო.

რაფაელ პაპაიანი ჩემთვის განსაკუთრებული პატიმარი იყო, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩემთან ერთად ბარაშევოს პოლიტიკური ზონის ისტორიაში პირველი საერთაშორისო „კოლმეურნეობის“ თუ ქიბუცის, „სამხრეთ კავკასიის ხალხთა ქრისტიანულ ფედერაციის“ შექმნის ინიციატორი გახლდათ (მანამდე პოლიტიკურ პატიმართა საერთო-სამეურნეო დაჯგუფებები გამოკვეთილად ნაციონალურ ხასიათს ატარებდა) და, მეორეც იმიტომ, რომ ამდენ პატიმარში იგი ერთადერთი იყო ჩემი „ნამდვილი“ კოლეგა ანუ ფილოლოგი – რაფაელ პაპაიანი ერევნის ვალერი ბრიუსოვის სახელობის რუსული და უცხო ენების ინსტიტუტის კურსდამთავრებული და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ბრძანდებოდა (სამწლიანი ასპირანტურა ტარტუს უნივერსიტეტში ჰქონდა გავლილი და დისერტაციაც ესტონეთის ამ შესანიშნავ სამეცნიერო ცენტრში სახელგანთქმულ იური ლოტმანთან ჰქონდა დაცული).

დიდი დრო არ დამჭირვებია იმის დასადგენად, რომ რაფიკა საკვირველი კაცი იყო. სწორედ იმიტომ, რომ „საკვირველი“ იყო, მე მასზე პერმანენტულ დაკვირვებას ვახორციელებდი. პაპაიანი ჩემთვის შესასწავლი ფენომენი იყო. ეს იყო უაღრესად მრავალმხრივი კაცი: სომხეთისა და, რაც გასაოცარია, საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე მეცნიერი, რუსული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი სპეციალისტი, დახვეწილი რუსულის მქონე რაფინირებული სტილისტი, ნიჭიერი პოეტი, ერუდირებული, ტაქტიანი, ფრთხილი, თავისებურად სევდიანი იუმორის, კოლოსალური შრომისმოყვა-

რეობისა და უდიდესი მოთმინების ადამიანი.

რაფიკას მრავალმხრიობის მიუხედავად, მისი უპირველესი ჰიპოსტასი მინც ოსტატობა იყო. როგორც მრავალმხრივი მესრობ მაშტოცისთვის მოიგონეს მადლიერმა თანამემამულეებმა ერთი სიტყვა „მთარგმნელი“ (ანუ სომხური ანბანის შემქმნელს, განმანათლებელს, მისიონერს და სომხური სამოციქულო და სომხური კათოლიკური ეკლესიების წმინდანს მთავარ დამსახურებად ბიბლიის თარგმნა ჩაუთვალეს), ისე რაფიკას დახასიათებაც შეიძლება ერთი სიტყვით და ეს სიტყვა იქნებოდა „ოსტატი“. სომხების ოსტატობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია და რაფიკაც უნიჭიერესი და უხელმარჯვეესი მაისტერი იყო. თავისი, ბორია მანილოვიჩის სიტყვით რომ ვთქვათ, მაისტერშაფტის ერთ-ერთი შედეგრი, ნეკოს 12 სიგარეტის ერთდროულად დამამზადებელი მანქანა, „ქრისტეს ასაკისა“ რომ შევსრულდი, იმ დაბადების დღეზე მაჩუქა, ოღონდ ამ მანქანით სიგარეტების დამზადებისთვის საჭირო მოთმინებით ვერ აღმჭურვა და მე ნეკოს სიგარეტს ისევე ხელით ვახვევდი. თავის საკერავ მანქანაზე თვითნაკეთი ორმაგი პროპელერი ჰქონდა დამაგრებული და ზაფხულში მის მანქანასთან ჯდომას არაფერი სჯობდა. საკერავ მანქანაზე გაუმჯობესებათა და გაიოლებათა ისეთი წყება ჰქონდა ჩატარებული, რომ დღიური პროდუქცია – 92 წყვილი „ვარიშკა“ (ცერათითა ხელთათმანი) დილის 11 საათისთვის უკვე შექმნილი ჰქონდა და შემდეგ საათებში მომავალი დღეების ანგარიშში მუშაობდა (ხალხი ამბობდა, რამდენიმე ათასი წყვილი ხელთათმანის მარაგი აქვს შენახული „შავი დღისთვის“, თუმცა რა დღეებიც გვედგა, იმაზე შავს რას ელოდა, არ ვიცი).

სხვადასხვა დროს რაფიკამ მოცალეობის ჟამს შექმნა ნივრის ავტომატური სანაყი მანქანა (ეს აპარატი ძირითადად უქმად ცდებოდა, სად იყო „სამანქანო“ ნიორი!), ნიგვზის ასევე ავტომატური საკეპი (ესეც მთლიანობაში საჩვენებელი მოდელი იყო, ნიგოზი იშვიათი ხილი იყო ბანაკში, ჩემ გარდა არც არავის ჰქონია არასოდეს), თაბახის ქალაღდის

მხაზველი აპარატი, შემწვარი თევზის ნაჭრიდან ძვლების ხორცის სტრუქტურის დაუზიანებლად გამომცლებელი მანქანა, ხისგან დამზადებული ხორცის მექანიკური საკეპი მანქანა (ეს უნიკალური მანქანა კი გვექონდა, მაგრამ ხორცი ბანაკში სამი წელი თვალთ არ მინახავს), თვითნაკეთი ზუსტი სასწორი (წონდა, რა თქმა უნდა, ერთი მილიგრამის სიზუსტით) და ასე შემდეგ, ყველას ვერც ჩამოვთვლი და ვერც გავიხსენებ. მრავალრიცხოვანი თეორიებიდან, რომლებიც სხვადასხვა ხალხისა და ეპოქის გენიოსების სომხურ წარმომავლობას ამტკიცებს (მე პირადად, მართალია, არა რაფიკასგან, ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთში მომისმენია რუსთაველის, შექსპირის, ბაირონის, მოცარტის, იულოუს კეისრის, ქრისტეს, ბუდას, მუჰამედის, იური დოლოგორუკისა და ლევ ტოლსტოის სომხობის „დამადასტურებელი“ თეორიები), თუკი ისეთიც არსებობს, რომელიც ლენინადო და ვინჩისაც ამ უძველეს ეთნოსს მიაკუთვნებს, მე მის გასაძლიერებლად მრავალ არგუმენტს მოვიტანდი რაფიკას, შეიძლება ითქვას, გენიალური მატერიალურ-ტექნიკური შემოქმედებიდან.

შენახვის, გადანახვის, საგულდაგულოდ გადამალვის, დაკონსერვების, დაზოგვის, თხლად დაჭრის ტრფიალს რომ ეტყვიან, ის იყო. მრავალი თვის წინ საყვარელი მეუღლის, ანაჰიტის მიერ დამზადებული ყაურმა რომ გაუფუჭდა და მსუნაგმა გროშა ფელდმანმა შეუჭამა, ეგ ხომ არაფერი. კიდევ უფრო ხანგრძლივი (სამი წლის!) შენახვის ზუთხის კონსერვი „ბალიკი“ გაგვიხსნა საახალწლოდ, – გაისად ამ დროს აქ აღარ ვიქნებო და გადასახლებაში მარტო ხომ არ შევჭამო. ჯონი ლაშქარაშვილმა რომ ავადმყოფობის დროს გამოზოგი-

ლი კარაქით საახალწლო ტორტი დაამზადა, რაფიკას საყვედური დამსახურა, – წელს ისედაც უამრავი საჭმელი გვაქვს (აქ, ჩემი წარმოდგენით, ცოტა გადააჭარბა), ეგ კარაქი გაისისთვის უნდა შეგენახა, რა იცი, გაისად რა იქნებაო.

ბანაკის მალაზიაში, რომელსაც ზონური ტრადიცია „ლარიოკად“ მოიხსენიებს (აქედანაა, სხვათა შორის, ცნობილი გამოთქმა, „კარაქია ლარიოკი“, რაც ჩემთვის „შეუძლებელ სიტუაციას“ აღნიშნავს – კარაქი არ შედიოდა „ლარიოკის“ უაღრესად ღარიბ ასორტიმენტში; ისე კი, ეს გამონათქვამი „თავი დამანებეს“ მნიშვნელობით გამოიყენება), იყო მაღალი და დაბალი მოთხოვნის პროდუქტები. მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა ზეთი (ბოთლიანად ღირდა მანეთი და 2 კაპიკი, 20 კაპიკად ღირებული ბოთლი შემდეგ თვეში „ლარიოკობაზე“ ჩაბარებას ექვემდებარებოდა), შავი ჩაი (90 კაპიკი), ნეკო (1 კოლოფი 15 კაპიკი, მე, მაგალითად, თვეში 20 კოლოფი მჭირდებოდა), ასანთი (1 კაპიკი; უნდა გქონოდა, არავინ არ მოგცემდა), მრგვალი კონფეტი, რომელსაც შაქრის ფუნქციის შესრულება შეეძლო (კილო 3 მანეთი ღირდა, ორას გრამზე მეტს ვერ ვყიდულობდით), სანერი რვეული (კლასიკური საბჭოთა თორმეტფურცლიანი ვერსია 2 კაპიკი ღირდა) და სანერი კალამი – პასტა (ძვირი იყო, 30 კაპიკი). შედარებით დაბალი მოთხოვნით სარგებლობდა სხვადასხვა ჯურის ჯემი ანუ „პავიდლო“ (ზუსტად მანეთი ღირდა, ქილა 10 კაპიკად ჩაბარებას ექვემდებარებოდა), თევზის პაშტეტი „ვოლნა“ (76 კაპიკი), დაუფინყარი საბჭოთა კონსერვი Завтрак туриста „ტურისტის საუზმე“ – თევზის, ტომატისა და ბრინჯის განუმეორებელი კომბინაცია (80 კაპიკი), თამბაქოს ძვირიანი



ნანარმი, მაგალითად, უფილტრო სიგარეტი „პრიმა“ (15 კაპიკი) და რამდენიმე პროდუქტი ფანტასტიკის ან პატიმრების დაცინვის სფეროდან, მაგალითად მანეთნახევრად ლირებული კიშინიოვის თამბაქოს ფაბრიკის პროდუქცია, ფილტრიანი სიგარეტი „მაღბორო“, რომელიც საერთოდ არ სარგებლობდა არანაირი მოთხოვნით და ამიტომ „ლარიოკიდან“ „ლარიოკამდე“ იყო და იყო.

რაფიკა 22 დეკემბერს იყო დაბადებული. ჩვენი ზონური ცხოვრების პირველ წელს, როდესაც შესაბამისი გამოცდილება არ გვქონდა, მე და დათომ გადავწყვიტეთ, სასიამოვნოდ გაგვეკვირვებინა იუბილარი, „ლარიოკში“ ყოველთვიურად დასახარჯი ჩვენი კუთვნილი 10 მანეთიდან სამი გავიმეტეთ და დაბადების დღეზე არნახული საჩუქარი, ორი კოლოფი „მაღბორო“ ვაჩუქეთ. დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი ფინანსური თავგანწირვით მეგობარი აღფრთოვანებული დარჩებოდა და გულისფანცქალით ველოდებოდით ძვირფასი საჩუქრის გადაცემის მომენტს. საღამოს, როდესაც რაფიკამ მოკრძალებულ სუფრაზე მიგვიპატიჟა, გაზეთში საგულდაგულოდ გახვეული საჩუქარი მივართვი. ნელ-ნელა გახსნა გაზეთი და სიგარეტი რომ დაინახა, იუბილარს, აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანისა არ იყოს, ხალხური სიბრძნე დაავიწყდა, ამ შემთხვევაში, ნაჩუქარი ცხენისა და მისი კბილის შესახებ, და მსახიობისა და დრამატურგის აშოტ თუ არამაშოტ პაპაიანის მხოლოდმოხილმა ძემ, რაფაელმა ჭეშმარიტად ტრაგიკული ხმით შეიცხადა, შეჰლაღადა მამას, შეიძლება ითქვას, ზეცასთან დაგვაბეზლა მეზობელი ხალხი, – ბედკრულო ქართველებო, ეს რა გიქნიათ, სამი მანეთად ხომ მთელი სამი ქილა „პავიდლო“ მოვიდოდა!

ჩაით შესმულ ერთ-ერთ სადღეგრძელოში „გადანახული დროშების კავალერი“ ვუნოდე და მოეწონა. ყველაფერი ჰქონდა გადანახული, ჯონი საწყობის გამგეს ეძახდა და მე მუზეუმის დირექტორს. კომერსანტული ტალანტით ჩვენს ზონაში ვერავინ შეეჯიბრებოდა: ერთხელ ერთ-ერთ პატიმარს სასწრაფოდ საფოსტო მარკა დასჭირდა, მთელი ზონა შემოიარა და ბოლოს ჩვენთან მოვიდა, – ვილუბები, წერილს ვერ ვაგზავნი და ამ თვეში წერილის გაგზავნის უფლება მიხუნდება, მიშველეთო. სამინელი გრძნობაა, როცა სამკაპიკიანი მარკის უქონლობის გამო, ორი კვირის ნაწერი 32-გვერდიანი წერილი გიუქმდება, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მხოლოდ ხმის მიწვდენა და წერილის მიწერა შეგიძლია შენი ახლობლებისთვის და ამასაც ვერ ახერხებ, სულიერი სიცარიელისა და ლალატის მორევში ეშვები, სიცოცხლე აღარ გინდა. ამას მიხსნიდა ჩემი უკრაინელი თანაზონელი, ხმა უკანკალებდა და ღრმა დეპრესიისკენ მიექანებოდა. დავამშვიდე, – ნუ გეშინია, მარკას გიშოვი-მეთქი და ნაკვდი როგორც რწყილი ან როგორც ავთანდილი. მივადექი, რა თქმა უნდა, რაფიკას. ვუთხარი, – რაფიკ, ახპერჯან, ცვადატანემ, მარკა მჭირდება, კარგი კაცი ილუპება-მეთქი.

– საფოსტო მარკა იშვიათი ნივთია, – განაცხადა რაფიკამ. – მისი ლირებულება საბაზრო მოთხოვნასთან ერთად იცვლება. მზად არის კლიენტი, რომ გადაიხადოს?

– რა უნდა გადაიხადოს, სამკაპიკიანი მარკა სჭირდება კაცს, – საქმეში გულუბრყვილო ჩაუხედაობა გამოვავლინე მე.

– ახპერჯან, ლევანჯან, არ მინდა ახლა ლექცია წაგიკითხო ქართულ უყაირათობაზე. თქვენი ქონება ხომ განაივეთ, ახლა მე მასწავლით, რა ღირს,

როგორც შენ ამბობ, „სამკაპიკიანი“ მარკა?

– და რა ღირს სამკაპიკიანი მარკა, ათი კაპიკი? – რაც შეიძლება საქმიანად ვიკითხე მე.

– ათი კარგი რიცხვია, ოღონდ მე ამ რიცხვს შენსავით უყურადღებოდ არ მოვექცეოდი. შენ ხომ ხაზს უსვამ, რომ „ლარიოკში“ მარკა სამი კაპიკი ღირს, მე მას გადაუდებელი საჭიროების კოეფიციენტზე, 10-ზე გავამრავლებ და დავადგენ, როგორც ინგლისელები იტყვიან, ემერჯენსი პრაისს: 30 კაპიკი, ანუ ორი კოლოფი წეკო.


– ორი კოლოფი წეკო რა ამბავია?! – ვერ დავმაღლე აღშფოთება მე.

– ვივაჭროთ? – ისეთი სახით იკითხა რაფიკამ, რომ ვაჭრობის ყველანაირი ხალისი დამეკარგა. ამას ფილოლოგიური არგუმენტიც დავმატა სალიტერატურო კლასიკიდან, – **Торг здесь неместен!** – ოსტაპ-სულიემან-ბერტამარია-ბენდერ-ბეის მსგავსად, მკაცრად განაცხადა რაფიკამ და 30 კაპიკის ღირებულების სხვა პროდუქტების ჩამოთვლა დაიწყო: ორი კოლოფი „პრიმა“, ერთი ასანთის კოლოფი ჩაი და ა.შ.

წავედი გასაჭირში ჩავარდნილ ჩემ უკრაინელ ძმასთან. აუფხსენი სიტუაცია და ერთი კოლოფი წეკო მოვთხოვე. გახარებულმა სასწრაფოდ მომიბრუნა ერთი კოლოფი წეკო. მე რომ მქონოდა მარკა, ხომ იცი, რომ გაჩუქებდი-მეთქი, – და ვიციო, – მითხრა. მეც რომ მქონოდა და შენ დაგჭირვებოდა, გაჩუქებდიო, მაგრამ ახლა ისე მჭირდება, რომ ერთი კოლოფი წეკო ამ საქმეში მემეტება, კიდევ კარგი, მარკის პატრონმა ორი ან მეტი რომ არ მოითხოვაო (ტაქტიანი კაცი იყო და პატრონის ვინაობა არ უკითხავს, თუმცა, რა თქმა უნდა, მიხვდებოდა, ბანაკში კერძოდ ვის ექნებოდა ასეთი მწვავედ დეფიციტური საქონელი). ჩემი მარაგიდან ერთი კოლოფი წეკო დავამატე და რაფიკას მივუტანე.

– ხომ ხედავ, რა იოლად დაგვთანხმდა კლიენტი, სამი უნდა მეთქვა, – სინანულით თქვა რაფიკამ.

ის აღარ მითქვამს, ერთი კოლოფი ჩემი რომ იყო, მით უმეტეს, რაფიკამ „მოგება“ ორად გაჰყო და ჩემი კოლოფი წეკო დამიბრუნა. სიმართლე რომ



ვთქვა, უკრაინელ მეგობარს ჩემი კოლოფი იმიტომ კი არ დავუმატე, რომ განსაკუთრებით კეთილი კაცი ვარ; არა, უბრალოდ, ერთ საცოდავ მარკაში ორი კოლოფი წეკოს მოთხოვნა მომერიდა, რაფიკამ კი უკვე სერიოზულად გადაწყვიტა, – მომავალი გადაუდებელ შემთხვევაში ემერჯენსის კოეფიციენტი 15-მდე გაეზარდა.

რაფიკა პრინციპული კაცი იყო და ყველა საპროტესტო აქციაში მონაწილეობას იღებდა. პროტესტის ძირითადი ფორმა გაფიცვა იყო. გაფიცვებით და საამქროში არ შევდიოდით, არ ვმუშაობდით. ზოგიერთი პატიმარი ამ პროტესტს სსრკ გენერალური პროკურორის, რეკუნკოვის სახელზე წერილით „ამაგრება“; წერილში ეწერა, – სსრკ გენერალური პროკურორო, ამისა და იმის გამო, პროტესტის ნიშნად, ამ რიცხვიდან იმ რიცხვამდე გაფიცვას ვაცხადებ, რაზედაც ხელს ვანერ – პატიმარი ესა და ეს. წერილი კონვერტში, კონვერტი – საფოსტო ყუთში. ქართველები არც ერთ ღონისძიებას არ ვაცდენდით, ყველა პროტესტს ვუერთდებოდით, მაგრამ სსრკ გენერალურ პროკურორს არ ვალიარებდით და წერილებს არ ვწერდით – ისედაც მშვენივრად ატყობინებდნენ სადაც ჯერ არს, ვინ მონაწილეობდა გაფიცვაში და ვინ არა. დანარჩენები ამ წერილებს წერდნენ და საფოსტო ყუთში აგდებდნენ. ჯონი ლაშქარაშვილმა დაიჩემა, – რაფიკა კავკასიელი კაცია, გენერალურ პროკურორს წერილებს არ მისწერსო. ერთხელაც, რაფიკა რომ საფოსტო ყუთში რეკუნკოვისადმი გასაგზავნ წერილს აგდებდა, ჯონიმ ხელიდან გამოსტაცა, გახსნა და სახე გაეზარდა: კონვერტში მართლა ცარიელი ფურცელი იდო.

რაფიკა, „ვითარცა-იგი ვთქუთ“, წლების მანძილზე იური ლოტმანის მოსწავლე იყო. გაირკვა, რომ ამ გასაოცარ კაცს მეც შევხვედრივარ, ბორია მანილოვიჩიც და ვადიმ იანკოვიც. ერთხელ ინტელექტუალურ-სამსახიობო თამაში წამოვიწყეთ, ორ-ორკაციან გუნდებად დავიყავით, გუნდის ერთ-ერთ წევრს პანტომიმით უნდა გადაეცა მეორესთვის რაიმე სიტყვა ან ფრაზა. ფინალში მე და რაფიკამ (მწვრთნელები

ჟორა ხომიზური და გენრიხ ალთუნია-ნი) პიტერელების უძლიერესი გუნდი დავამარცხეთ, რომელშიც პოლიაკოვი და მანილოვიჩი შედიოდნენ, ხოლო მწვრთნელებად დონსკოი და ტოლსტიხი ჰყავდათ: რაფიკამ მოახერხა და შესტებით გამაგებინა, რომ პიტერელებს ჩაფიქრებული ჰქონდათ პოლიტპატიმართა ბიბლია – „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. გამარჯვებულებს დამარცხებულებმა ჩაი მოგვართვეს და სწორედ მაშინ გაიხსენა რაფიკამ, როგორ აუხსნია ამგვარ თამაშში ლოტმანს პარტნიორისთვის ურთულესი ტერმინი **режим Салазара** (რაფიკას ასპირანტობისას ანტონიუ დი ოლივეირა სალაზარი ჯერ კიდევ პორტუგალიის დიქტატორი იყო). იური ლოტმანს მუწფურად ჯერ კლასიკური დიქტატორი წარმოუდგენია, შემდეგ კი გადასულა მეორე ნაწილზე: მეუღლეს ზარა ერქვა. მოუყვანია ლოტმანს ქალბატონი ზარა, აუღია ხელში ვირტუალური „დანა“ და დაუწყია ზარას სხეულის არავირტუალური ნაწილის „ჩამოჭრა“, შემდეგ ხელებით კითხვაც დაუსვამს, – ახლა ნეტავ რას ვშვრებიო.

რა თქმა უნდა, გვისაუბრია ქართულ ანბანზე. რაფიკას აღიზიანებდა, ჟორა რომ მრგლოვანს სწავლობდა და მის გრაფიკაში კოსმიურ წესრიგს ეძებდა. რაფიკა მოვსეს ხორენაცის ეყრდნობდა და ამტკიცებდა, მესროპმა მთარგმნელ ჯაგას დახმარებით ქართული ანბანი შექმნა, რაშიც ხელს უწყობდნენ მეფე ბაკური და ქვეყნის არქივისკოპოსი მოსეო.

– მართალია თუ არა, რომ მესროპმა ქართული არ იცოდა? – დავსვი მე ჩემი მთავარი შეკითხვა.

– ასე ამბობს კორიუნი, – არ იკადრა ტყუილი რაფიკამ.

– ფილოლოგი კაცი ხარ, შეიძლება ენა არ იცოდე და მისი ფონემები გამოჰყო? – ვიკითხე მე და ხანგრძლივი კამათისთვის მოვემზადე. ენა არათუ უნდა იცოდე, არამედ მას უღრმესად უნდა გრძნობდე, მასში მნიშვნელობის მატარებელი ელემენტები რომ გამოჰყო.

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ქართული ფონემები, როგორც ჩანს, მთარგ-

სად გყავთ  
ისტორიკოსები, თქვენ  
ხომ კომედიის ქვეყანა  
ხართ? – ბაზიჩიჩის,  
ივლიტა ბარანის  
ტარმინით რომ ვთქვა,  
„ირონია ბაიკაითა“  
რაფიკამ.



მნელმა ჯაგამ გამოჰყო, – მოულოდნელად აღმოაჩინა უცნობი გენიოსი V საუკუნის საქართველოში რაფიკამ.

– ქართველებს კარგად იცნობ, უმადურობა ქართული ნაციონალური ნიშანია? – მწარედ ვიკითხე მე.

– განსაკუთრებული უმადურობა ქართველებისთვის არ შემიტყვია, – ფრთხილად აღნიშნა რაფიკამ.

– ამოდენა საქმე გაუკეთებია მესროპს და ჩვენ ვითომ მადლიერი რატომ არ ვიქნებოდით? – ისე ვიკითხე, რომ რაფიკას გაჭირვებოდა კორექტული საუბარი.

>>> ბაზიჩიჩი ბვ. 115

# ნეოლიბერალიზმის კრიტიკა ოსტაბეერთე საუკუნეში

ავტორი: ირაკლი კაკაბაძე

1972 წლის არჩევნებზე ჩილეში საკმაოდ დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. რამდენიმე პარტიამ ხმების დაახლოებით ერთი და იგივე რაოდენობა დააგროვა. სულ მცირე პროცენტით გამარჯვება მემარცხენე სოციალისტურ პარტიას ხვდა წილად. თუმცა განსხვავება მოგებულსა და წაგებულებს შორის ძალიან მცირე იყო – ქვეყანა რამდენიმე ბანაკად დაიყო. სალვადორ ალიენდე ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, მაგრამ მისი ხელისუფლებაში ყოფნა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1973 წელს სამხედრო ხუნტამ, გენერალ პინოჩეტის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, რათა „მემარცხენე რადიკალების“ თარეში აღეკვეთა და ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობა დაებრუნებინა. მომავალი 16 წლის განმავლობაში ჩილემ, ამ სამოქალაქო

მშვიდობის გარდა, პრაქტიკულად ყველაფერი ნახა. პინოჩეტის სამხედრო პოლიციურმა რეჟიმმა ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის სახელით ქვეყანაში ტერორის კამპანია გააჩაღა, რომელსაც ათასობით უდანაშაულო ადამიანი შეენირა. ამ ყველაფრის იდეოლოგიური გამართლება ის იყო, რომ ჩილე არ მოხვედრილიყო „კომუნისტების“ მმართველობის ქვეშ. სამხედრო ხუნტის მმართველობის პირველი წლებიდანვე დიქტატურას და ტერორს უკვე ბევრი კონსერვატიული პოლიტიკოსიც დაუპირისპირდა.

1976 წლისთვის ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში უკვე კონსენსუსი იყო იმის თაობაზე, რომ ჩილეში სამხედრო დიქტატურა მძვინვარებდა. თუმცა, ეს დიქტატურა საკუთარ თავს „დემოკრატიის და ლიბერალური ეკონომიკური

ღირებულებების დამცველად“ ასაღებდა. პინოჩეტმა ამერიკიდან სასწრაფოდ ჩაიყვანა ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის სტუდენტები, რომელთაც მილტონ ფრიდმანის იდეების განხორციელება უმაღვე დაინყეს და გლობალურ, ტრანსნაციონალურ კორპორატიულ წრეებში ჩილე უცებ ცნეს „ლიბერალურ, თავისუფალი ეკონომიკის მქონე წარმატებულ ქვეყნად“. ის მრავალრიცხოვანი დახვრეტები, დაპატიმრებები, უდანაშაულო ადამიანთა წამება, ტერორისტული რეჟიმი ეკონომიკის „ლიბერალური“ თუ „ლიბერალი“ მამებისთვის არაფერს ნიშნავდა. ისინი ხომ კომუნისტებს უმკლავდებოდნენ და როგორც ძველი ლიბერალური გამოთქმა ამბობდა: კარგი კომუნისტი მხოლოდ მკვდარი კომუნისტია. აქედან გამომდინარე, სალვადორ ალიენდეს



(რომელიც მხოლოდ სოციალისტი იყო და არა კომუნისტი, თუმცა ამას მემარჯვენე ექსტრემისტებისთვის მნიშვნელობა არც ჰქონია) და მისი ათასობით მომხრეს მკვლელობა, იმდროინდელი „ლიბერალური“ კორპორატიული ელიტის თვალსაზრისით, აუცილებელი პირობა იყო ჩილეს დემოკრატიული განვითარებისათვის, რადგანაც, მათი აზრით, დემოკრატიის უპირველესი ნიშანი პრივატიზაცია და ეკონომიკური ექსპლუატაცია იყო.

როდესაც საკუთარი მტრები სახლში საფუძვლიანად გაანადგურა, გენერალი პინოჩეტი საზღვარგარეთ მყოფ მტრებზეც გადავიდა. ჯერ იყო და, არგენტინაში მოკლეს ხუნტის ამბოხებული გენერალი, რომელიც არ დაემორჩილა სამხედრო რეჟიმს და ემიგრაცია ამჯობინა. 1976 წელს კი ვაშინგტონში, ქალაქის ცენტრში ბომბით მოკლეს ჩილეს ყოფილი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორლანდო ლეტელიერი საკუთარ თანაშემწესთან ერთად. ეს იყო ერთ-ერთი პირველი საგარეო ტერორისტული აქტი, რომელიც ამერიკის მიწაზე ჩაიდინეს. თვით ფორდის

რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამაც კი ვერ დაფარა აღშფოთება და გადაწყვიტა გამოძიებინა მკვლელობა და ამ აფეთქების ორგანიზატორები ამერიკული მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარიყვნენ. 1976 წელსვე დემოკრატი და შედარებით მემარცხენე ჯიმი კარტერი ამერიკის პრეზიდენტად აირჩიეს. კარტერის ადმინისტრაციამ და იუსტიციის სამინისტრომ გადაწყვიტეს, რომ პასუხი მოეთხოვათ ლეტელიერის მკვლელებისათვის. გამოძიებას გენერალური პროკურორის ოფისის ახალგაზრდა თანამშრომელი ლოურენს ბარსელა უძღვებოდა. მის წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა – ჰარი ტრუმენის ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, „საკუთარი ძალიშვილების“ (Our Son of a Bitches) ქვეყანაში უნდა მოეძებნა ტერორისტულ აქტში დამნაშავე ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ლიბერალები, ევროპელ კოლეგებთან შედარებით, ბევრად უფრო პროგრესულ პოზიციებზე დგანან სამოქალაქო უფლებებისა და სოციალური თავისუფლებების საკითხში, საგარეო პოლიტიკაში ძირფესვიანი ცვლილების გატარე-

ბა იშვიათად ხერხდება ხოლმე. აქედან გამომდინარე, კისინჯერის მიერ დატოვებული მემარჯვენე მემკვიდრეობა საკმაოდ რთული გადასალახი ზღუდე იყო იდეალისტი და პროგრესული კარტერის ადმინისტრაციისათვის. თუმცა, ლეტელიერის შემთხვევაში, მოულოდნელმა ფაქტებმა და, ამავე დროს, ახალგაზრდა გამომძიებლის სერიოზულმა ნამუშევარმა შედეგი გამოიღო. პირველ რიგში, სრულიად შემთხვევით, ბომბის აფეთქების ადგილას აღმოჩნდა იმ საკონტაქტო პირების ფოტოგრაფიები, რომელთაც ეს მკვლელობა შეუკვეთეს კუბელ ანტიკასტროელ ემიგრანტებს. ეს ფოტოები ჩილეში გადაგზავნეს და იქაც სრულიად შემთხვევით ისინი მეორე დღესვე რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნდა. ხუნტამ ველარ მოახერხა მკვლელობის დამკვეთების ვინაობის დაფარვა. ამერიკის გენერალური პროკურორის გუნდი მეორე დღესვე სანტიაგოში ჩაფრინდა და პინოჩეტს ამ პირთა ექსტრადიცია მოსთხოვა. ამას ისიც დაემატა, რომ ერთ-ერთი უშუალო დამკვეთთაგანი ამერიკის მოქალაქე აღმოჩნდა. ხუნტამ ზენოლას ველარ



გაუძლო და ეჭვმიტანილები ამერიკის მხარეს გადასცა. ამერიკელმა ეჭვმიტანილმა კი, საპროცესო გარიგების საფუძველზე, უკვე პირდაპირ დაასახელა მკვლელობის უშუალო დამკვეთი – ჩილეს უშიშროების სამსახურის უფროსი, გენერალი კონტრერასი. ამის შემდეგ უკვე ამერიკის გენერალურმა პროკურორმა კონტრერასის ექსტრადიციაც მოითხოვა. აი, ეს კი უკვე ზედმეტი იყო „მეგობარი ძალიანძვილების“ რეჟიმისათვის. ხუნტამ უარი განაცხადა ექსტრადირებაზე, რადგანაც აშკარა იყო, რომ მკვლელობის დაგეგმვის ძაფს თვით პინოჩეტამდე მივყავდით. საქმე გაიწვია. 1980 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში რეიგანის ადმინისტრაცია მოვიდა, რომლისთვისაც პინოჩეტი არა მხოლოდ მეგობარი, არამედ გმირიც კი იყო და თითქოს ამ საქმეში დამნაშავეების დასჯის პერსპექტივაც დაიხშო. ცნობილია, რომ პინოჩეტი თვითონ მეტად გაღიზიანებული იყო პროკურორი ბარსელას ქმედებებით და მას „კოლო“ უწოდა. „კოლოებმა უნდა იცოდნენ, რომ მართალია, მათი კბენა გვაღიზიანებს, მაგრამ მათი მოკვლა ერთი დარტყმით კაცს არ გაუჭირდება და იმედია, ამას არ გვაიძულებენო“,

– იმუქრებოდა „ნეოლიბერალების“ საყვარელი რკინის გენერალი.

1980-იანი წლების ბოლომდე ჩილეში არაფერი შეცვლილა. პინოჩეტის დიქტატურა აგრძელებდა „ლიბერალურ“ ეკონომიკურ რეფორმებს და შესაბამისად „ლიბერალურად“ ეპყრობოდა საკუთარ მონინალმდეგებს. ზოგს სტადიონზე ხვრეტდა, ზოგს წყნარ ოკეანეში აგდებდა, ზოგსაც მაგელანის სრუტეში გადაუძახებდა. სიკვდილის ესკადრონები უსწორდებოდნენ ყველას, ვინც მდიდრებისა და სამხედროების წინააღმდეგ ამოხვნეშასაც მოახერხებდა. ჯიმი კარტერის იდეალისტური ადმინისტრაცია რონალდ რეიგანის მილიტარისტულმა პოლიტიკამ შეცვალა, სადაც კომუნისტების აჩრდილი ისევ ნომერ პირველ მტრად გამოცხადდა. თითქოს პინოჩეტს „კოლოებმა“ ვერაფერი დააკლეს. ცივი ომიც საბჭოთა კავშირის დამარცხებით დამთავრდა. რეიგანის მიერ ნაქებმა „გლობალურმა კაპიტალიზმმაც“ გაიმარჯვა და ეკონომიკური ლიბერალიზმის ჩექმით დამამკვიდრებელ პინოჩეტსაც თითქოს მხოლოდ მაღლობა ეკუთვნოდა ისტორიისგან.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამერიკის გენერალური პროკურორის ასისტენტმა

„კოლომ“ საქმე არ შეწყვიტა, პირიქით პინოჩეტის საქმეს დამატა რამდენიმე სხვა ქვეყნის მოთხოვნაც და ბოლოს ის დიდ ბრიტანეთში ვიზიტისას დააკავეს ესპანეთის გენერალური პროკურორის მოთხოვნით. ჯერ ამერიკის გენერალური პროკურორის მოთხოვნას ესპანეთის მაგისტრატის ბალთაზარ გარსონის მოთხოვნა დამატა, რომლის გამოც პინოჩეტი წელიწადზე მეტ ხანს ინგლისში გახლდათ დაპატიმრებული; შემდეგ კი იგი გაასამართლეს ჩილეში მოსამართლე ხუან გუზმან ტაპიას თავმჯდომარეობით. საბოლოოდ პინოჩეტიც და კონტრერასიც ჩილეში გაასამართლეს და ისტორიამაც მათ განაჩენი გამოუტანა როგორც სისხლიანი დიქტატურის წარმომადგენლებს და არა როგორც „ლიბერალური ეკონომიკური ღირებულებების“ დამამკვიდრებელ გმირებს. ისტორია ბევრად უფრო სამართლიანად სჯის, ვიდრე ნებისმიერი იდეოლოგია. ის ყოველთვის თავის ადგილას აყენებს რობესპიერებს, ნაპოლეონებს, ტალეირანებს, ჰიტლერებს, სტალინებსა თუ სხვა მმართველებს, რომელთაც საკუთარ დროში პროპაგანდა ან მთლიანად განადიდებს, ანაც მიწასთან ასწორებს.



მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილმა იტალიელმა მოაზროვნემ ანტონიო გრამშიმ კარგად ჩამოაყალიბა „კულტურული ჰეგემონიის“ თეორია, სადაც იგი სხვადასხვა ტიპის დომინაციური სისტემების არსებობას არა მხოლოდ მატერიალურ-ემპირიულ ფაქტორებს მიანერს, არამედ სწორედ რომ კულტურული დისკურსის ქრილში განიხილავს თანამედროვე ბიურგერული, „ლიბერალური“ საზოგადოების ფუნქციონირების საფუძვლებს. მისი აზრით, ბიურგერული იდეოლოგიით „ტვინგარეცხილი“ სამოქალაქო საზოგადოების ინტერესთა ჯგუფებად დაყოფასთან და ჯგუფური კონკურენციის პარადიგმაში ჩაბმასთან ერთად ხდება კაპიტალისტური იდეოლოგიის მოძლიერება. გრამშიმ აზრით, კულტურული ჰეგემონიის შედეგად სულაც არ არის საჭირო აშკარად გამოხატული დიქტატორის არსებობა, სისტემა თვით ასრულებს ამ ფუნქციას, სადაც კონკურენციისა და სიკვდილის შიშს ავტომატურად აქვს დიქტატორის ფუნქციის შეთავსების განსაკუთრებული უნარი და ამის შედეგად პოლიციური ფუნქციების დიდი ნაწილის საკუთარ თავზე ალდება სწო-

რედაც რომ „სამოქალაქო საზოგადოების“ საშუალებით ხდება.

საინტერესოა, რომ ჰანა არენდტის გამოკვლევებით ხშირად ტოტალიტარიზმის საფუძველს სწორედ რომ „მოქალაქის“ (გერმანულად Burger) ინსტიტუტი წარმოადგენს. სწორედ ეს ბიურგერები იყვნენ ისინი, ვისაც ებრაელები საკუთარი ნებით მიჰყავდა საკონცენტრაციო ბანაკში, ვინც ფაშიზმსა თუ ანტისემიტიზმს ამართლებდა. ჰანა არენდტი ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ებრაელების ჩაგვრაზე ლაპარაკობს, არამედ პირველი მსოფლიო ომის შედეგად დარჩენილი ყველა სხვა უმცირესობისაც, რომელთაც მაშინდელი „ერი-სახელმწიფოები“ სრულყოფილებიან მოქალაქეობას არ აძლევდნენ, რამეთუ მათი „ერი-სახელმწიფოები“ ეთნიკური ნიშნით იყვნენ აგებული და მაშასადამე „ლიბერალურ დამოკიდებულებას“ მხოლოდ ამ ქვეყნების ეთნიკური მასპინძლები იმსახურებდნენ.

ჰერბერტ მარკუზე 1936 წელს დაწერილ „ძალაუფლების შესწავლაში“ შეგნებულად ურევს ტერმინებს „სამოქალაქო საზოგადოება“ და „ბურჟუაზიული საზოგადოება“, რადგანაც გერმანულ ენაში ეს ტერმინები ერთი

და იგივე სიგნიფიკანტით აღინიშნება. თანამედროვე იტალიელი ფილოსოფოსი ჯორჯო აგამბენი კი 1995 წელს უკვე ლაპარაკობს homo sacer-ზე, ანუ ქართულად რომ ვთქვათ, „სულიერ არსებაზე“, რომელსაც ადამიანის უფლებები არ აქვს, ეს ლათინური გამოთქმა ინგლისურად ითარგმნება როგორც Bare Life. ეს არის შიშველი სიცოცხლე, რომლის მოკვლაც ყველას შეუძლია და მის სიცოცხლეს არავინ იცავს. რამდენი ასეთი შიშველი სიცოცხლეა ჩვენს ირგვლივ? მათი რიცხვი სხვადასხვა გამოთვლით მილიარდებს აჭარბებს, მაგრამ ეს მილიარდები წამყვანი გაზეთების ჰედლაინებზე არასდროს ხვდება. არის თუ არა ეს სამართლიანი? ამ კითხვაზე პასუხი ალბათ უფრო შინაგანი მრწამსის საკითხია. ბევრი მემარცხენე პოლიტიკოსი თუ საზოგადო მოღვაწე, ბევრი რელიგიური ლიდერიც თვლის, რომ ეს მიუღებელია და რომ უნდა გამოინახოს გზა, რომ ადამიანების სიცოცხლე მეტად დაფასდეს. ნეოლიბერალიზმისა და ფისკალური კონსერვატიზმის იდეოლოგიის მომხრეები, რაღა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობენ.

>>> ბაბრძილა ბვ. 92





## რაზე ფიქრობს ურბან რეაქტორი

<<< ღასაწყისი გვ. 24

ამიტომ დელფტში, როდესაც მონიტორის ეკრანზე პირველი დავალება წაიკითხა, თვალს არ დაუჯერა. ამოცანა ისეთი ნაცნობი იყო: დააპროექტეთ სკოლის შენობა N ფართობზე, N რაოდენობის საკლასო ოთახით, კიდევ რამდენიმე ასეთი ტექნიკური დეტალი და მორჩა – არც გარემო და არც ხალხი. მაშინ მიხვდა, რომ ასეთი ფორმალისტური განათლების სისტემა არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ დასავლურ უნივერსიტეტში დღემდე არსებობს. ნელ-ნელა შეეგუა, რომ მოხვდა სუპერსტარების კონვენერში, სადაც „ბუნებრივი გადარჩევის“ მეთოდით საბაზრო არქიტექტორებს ზრდიდნენ, რომლებიც განათლების შემდეგ უბრალოდ ბიზნესმენებად იქცევიან. მათ, ვინც კომერციულ გარიგებებში ყველაზე სარფიანი ხელშეკრულებების მოპოვებას შეძლებენ, „სუპერსტარებად“ აღიარებენ. ეს იყო და ეს. ამიტომ ბევრი აღარ უფიქრია და პირველი სემესტრის ბოლოს საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა.

დელფტის უნივერსიტეტი ევროპულ სტუდენტებში ყოველთვის პოპულარული იყო. დღესაც ასეა. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ (განსაკუთრებით ბოლონის პროცესთან მიერთების

შემდეგ) სხვა უმაღლესი სასწავლებლების მსგავსად, მათი პოლიტიკაც შეიცვალა, ნეოლიბერალური კურსი აიღო და მთავარი აქცენტი იქაც კომერციაზე გაკეთდა. ამიტომ, სოციალური ფაქტორი ძალიან არაპოპულარული თემა გახდა.

ამ ახალი პოლიტიკის ვიზუალურ გამოხატულებად ლევანი თვითონ შენობის იერსახის ტრანსფორმაციას თვლის. ეს მის იქ ყოფნის დროს მოხდა. დელფტი ადრე მეოცე საუკუნის ჩვეულებრივი მოდერნისტული 13-სართულიან შენობაში იყო. სადა და უპრეტენზიო დიზაინით, ძალიან კომფორტული სასწავლო და სამუშაო გარემოთი. მაგრამ ერთ დღესაც შენობაში ხანძარი გაჩნდა და მთლიანად დაინვა. ახლა არქიტექტურის ფაკულტეტი სხვა „საექსპოზიციო დარბაზის“ (show room) ტიპის შენობაშია, ისეთ ბურჟუაზიულში და პრეტენზიულში, პირველად ლევანმა ფეხი რომ შედგა, თავი წითელ ხალიჩაზე ეგონა. დიზაინერების ექსკლუზიური ავეჯით და აქსესუარებით განწყობილი დერეფნები და აუდიტორიები, ძვირფასი ხალიჩებით, ყველა კუთხეში კამერით აღჭურვილი. „ისეთი გარემო შექმნეს, სადაც კრიტიკული აზროვნების ჭაჭანებაც კი გამორიცხულია, – ამბობს ლევანი, – წარმოდგენელია, სტუდენტმა მოირგოს სივრცე. პირი-

ქით ხდება, ეს პრეტენზიული სივრცე თვითონ ირგებს ადამიანებს. შენობამ ძალიან კარგად აჩვენა ახალი ადმინისტრაციის დამოკიდებულება განათლების მიმართ და ზოგადად მათი მსოფლმხედველობა – აბსოლუტური კომერცია“.

დელფტის უნივერსიტეტში, მეორე სემესტრიდან სწავლა დამოუკიდებელ სტუდენტებში გრძელდებოდა. მანამდე კი იმისთვის, რომ სტუდენტებს სპეციალობები საკუთარი ინტერესის მიხედვით აერჩიათ, ამ სტუდენტების ხელმძღვანელები პრეზენტაციებს მართავდნენ. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ლევანმა უნივერსიტეტის ერთი ექსპერიმენტული კურსის შესახებ შეიტყო: იქმნებოდა ორი რადიკალურად განსხვავებული მიმართულების კურსი – ერთი სუპერკომერციული და ტექნოლოგიური, რომელსაც ჰოლანდიელი ძალიან ცნობილი არქიტექტორი ვინი მასაი ხელმძღვანელობდა (ვისაც ლევანი არქიტექტურის ბრედ პიტს ეძახის) და მეორე კურსი – ურბანისტ მიგელ რობლეს-დურანის. ის ერთადერთი ლექტორი იყო, რომლის ლექციებსაც ლევანი ელოდებოდა, რადგან სხვა საგნების ლექტორებისგან მას აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა ჰქონდა. ამიტომ, როდესაც მისი ექსპერიმენტული, უფრო კი რადიკალურ-ალტერნატიული კურსის პრეზენტაციიდან გამოვიდა, თბილისში გამგზავრება უკვე გადაფიქრებული ჰქონდა.

დღესაც ახსოვს პირველი ლექცია, როდესაც მიგელმა სტუდენტებთან ერთად მოსკოვში, ნარკომფინის ცნობილი სახლის კონცეფცია განიხილა.

### ნარკომფინი

ნარკომფინის სახლის შესახებ ლევანმა და რუსომ პირველად აკადემიაში გაიგეს. მათ იცოდნენ, რომ ეს იყო რუსული ავანგარდის სტილი, იცოდნენ, რა ფორმალური ელემენტები იყო გამოყენებული, რა პროპორციების შენობა იყო. რომ ნარკომფინის (ნაროდნი კომიტეტ ფინანსოვ) სახლი ფინანსთა კომიტეტის დაკვეთით გინზბურგმა დააპროექტა და 1932 წელს

აშენდა. მაგრამ არ იცოდნენ მთავარი – პროექტის შექმნის სოციალური მიზანი და კონცეფცია.

ეს კომუნისტების ერთ-ერთი სოციალური ექსპერიმენტი იყო. მათ ბურჟუაზიული საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად გარდაქმნა უნდოდათ. ამისთვის კი პირველ რიგში (მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით) კაპიტალიზმის ბირთვის, ოჯახის სტრუქტურის რღვევა იყო საჭირო. კომუნისტები იდეის განსახორციელებლად სპეციალური სივრცის შექმნას ცდილობდნენ, სადაც ეს პროცესი ბუნებრივად უნდა დაწყებულიყო. კომპლექსში შედიოდა – საძილე ზონა, სადაც წველისთვის მხოლოდ საწოლი და საწერი მაგიდა იდგა, საერთო სასადილო, სამრეცხაო და ცალკე შენობა, სადაც ბავშვებისთვის 24-საათიანი ბალი უნდა ყოფილიყო, რომ მშობლებს საკუთარი დროის თავისუფლად გამოყენება შეძლებოდათ. სოციალური საცხოვრებელი ძველ უბანში, პარკთან ახლოს აშენდა. როდესაც გინზბურგი პროექტს ლე კორბუზიესთან განიხილავდა, მის ფრანგ კოლეგას პარკის მახლობლად საცხოვრებლის აშენება სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. „რა გგონიათ, მუშათა კლასს პარკში ბულბულის სტვენის მოსმენა სჭირდება?“ ამიტომ მშვიდად მიუგო, რომ კომუნისტებისთვის სოციალური კონდენსერი უტოპიური საზოგადოების შექმნის ექსპერიმენტი იყო – საზოგადოების, რომელსაც პროდუქტიულობის მაქსიმალური ხარისხი უნდა ეჩვენებინა – დილით მუშა უნდა ყოფილიყო, შუა დღეს სათევზაოდ წასვლა უნდა შეძლებოდა, საღამოს კი, პრივატულ სივრცეში, სადაც ბავშვების ხმაური არ შეანუხებდა, ინტელექტუალურ სამუშაოს მისცემოდა, და მაგალითად კრიტიკა ეწერა.

მაგრამ ექსპერიმენტი ჩავარდა. კრახის მიზეზი იდეის აბსურდულობა იყო, რაც თვითონ პროექტის შემქმნელებმა დაადასტურეს, როდესაც – მთავარმა არქიტექტორმა კომპლექსში ის ფართი აირჩია თავისთვის, რომელიც ისევ ბურჟუაზიული ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. ფინანსთა კომიტეტის თავმჯდომარემ კი სახურავზე სა-

ზოგადოებრივ სივრცედ ჩაფიქრებულ ფართზე პენტჰაუზი დადგა. და ნარკომფინის სახლი ერთ, ჩვეულებრივ „კომუნალკად“ გადაიქცა.

„აი, ასეთ თემებზე ვსაუბრობდით და ამიტომ მომწონდა მისი ლექციები. თან ჩვენ ჯგუფურად ვმუშაობდით. და ესეც ძალიან მომწონდა. უნივერსიტეტში ეს გამორიცხული იყო, რადგან ჯგუფში შეჯიბრი და კონკურენცია არ არსებობს, შესაბამისად სუპერსტარების გადარჩევა და შეფასება რთულია. ჯგუფში მუშაობა ძალიან პროდუქტიული და ეფექტური იყო, რადგან პასუხისმგებლობა კომპეტენციის მიხედვით ნაწილდებოდა და ყველა აკეთებდა იმას, რაც სხვებზე უკეთ იცოდა. შეიძლება მეტი დრო მიდიოდა კომუნიკაციაზე, მაგრამ ესეც მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რადგან ძალიან ბევრი სწორედ ამ განხილვების დროს ვისწავლეთ.“

ლევანი ამ ჯგუფთან ერთად თავის პირველ ურბანულ პროექტზე სამი სემესტრი მუშაობდა. მათ მეხიკოს ერთ-ერთი გარეუბანი ეკატეპეკი აირჩიეს (4-მილიონიანი მოსახლეობით), სადაც რამდენიმე წლის წინ დეველოპერების მიერ გაშენებული იზოლირებული საცხოვრებელი უბნის (14 ათასი სახლით) ქალაქის ბუნებრივ ქსოვილში ინტეგრაციისთვის უნდა შეენყოთ ხელი. იზოლირებულ საცხოვრებელ უბანს ქალაქის დანარჩენი ნაწილისგან ორმეტრიანი კედელი ჰყოფდა. ამ კედლის მიღმა არსებობდა ორი რადიკალურად განსხვავებული სამყარო – ერთ მხარეს ქალაქი, თვითგანვითარებული სივრცე, საოცრად დინამიური, ცოცხალი და ხალხმრავალი, მეორე მხარეს კი სტერილური, ერთსახოვანი გარემო, აბსოლუტურად ერთნაირი სახლებით. „დაკარგული იყო ქალაქის მთავარი ხიბლი – მისი მრავალფეროვნება. და კომუნიკაცია, როდესაც მეზობლად ცხოვრობენ ყველა სოციალური ფენის ადამიანები და ურთიერთობა მათ შორის ჩვეულებრივი ამბავია, – ამბობს ლევანი, – იზოლირებული საცხოვრებელი უბნები კი, ხშირ შემთხვევაში, უმნიშვნელო ქონებრივი სეგრეგაციის გამო, ამ სოციალურ ფენებს შორის ხელოვნურ

საზღვარს ქმნის და მათ შორის კომუნიკაცია ქრება“. მათ იმ კონკრეტული არეალის პრობლემების გადასაჭრელად ჯერ ზოგადად მექსიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური ისტორია იკვლიეს, მერე ფოკუსი დაავიწროვეს და ორ-ორ კაციანმა ჯგუფებმა ამ კონკრეტული არეალის დასახლების სოციალური პრობლემები შეისწავლეს. „ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ქალაქმშენებლობის მთელი პოლიტიკა დეველოპერების ხელში მოხვდა და ყველაფერი მტაცებლური მოგების რეჟიმში გადავიდა. ეს იზოლირებული საცხოვრებელი უბნებიც ამ პრობლემის სივრცითი გამოსახულება იყო“.

ლევანი ფიქრობს, რომ გაუმართლა, რადგან დელფტში ისტორიულ მომენტში მოხვდა. დღეს უკვე უნივერსიტეტში ბევრი რამეა შეცვლილი – „დიალექტიკური ექსპერიმენტიდანაც“ მხოლოდ მარის კურსი დარჩა, მიგელის ურბანული ასიმეტრიის კურსს კი გამოემშვიდობნენ. ერთი სიტყვით, დარჩა მთელი კონტექსტი და შინაარსით შეცვლილი „შოუ რუმ“ შენობა, სადაც აწი მხოლოდ „ვარსკვლავები გაიზრდებიან“.

„რაც იქიდან წამომყვა, არის მართლა ძალიან მაგარი გამოცდილება და მეგობრები, რომლებთანაც კონტაქტი დღემდე არ გამიწყვეტია“. მეტიც, მათთან ურთიერთობა ალბათ კიდევ უფრო ინტენსიური გახდება მას შემდეგ, რაც ლევანი და რუსო საქართველოში „ურბან რეაქტორის“ ფარგლებში ურბან აქტივობას დაიწყებენ.

## რაზე ფიქრობს ურბან რეაქტორი

რუსოს „პრაგმატული ექსპერიმენტი“ კრახით დასრულდა. ამბობს, რომ ძალიან ეცადა, მაგრამ მისგან კონფორმისტი გოგო მაინც ვერ დადგა. „დღესაც ისევ ვენთები იმ პრობლემებზე, როგორც ადრე. შევეგუე იმას, რომ ეს ცხოვრების წესია და არა უბრალოდ კარიერა“. თუმცა, დღესაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში იუნესკოსთან ურთიერთობის საკითხებზე მუშაობს. არ იცის, რამდენ ხანს დარჩება იქ.

რაც ნამდვილად იცის, ის არის, რომ ლევანთან ერთად ურბან რეაქტორს მიხედავს და იმის რეალიზებას ეცდება, რაც ვერც ერთმა ვერც საჯარო სამსახურში, ვერც კერძო კომპანიაში ვერ მოახერხა.

ურბან რეაქტორი ჯერ მხოლოდ ბლოგია. მას ჯერ მხოლოდ თერამეტი მიმდევარი და ათამდე აქტიური წევრი ჰყავს. ისინი ალტერნატიული ცოდნის ბაზის შექმნას აპირებენ, ისეთის, როგორზეც სტუდენტობის დროს თვითონ ოცნებობდნენ. გააკეთებენ მობილურ ბიბლიოთეკას, სადაც შეხვედრებს და სემინარებს მოაწყობენ. მერე უკვე თანამოაზრეებთან ერთად საზოგადოებაში ურბანიზმის მიმართ ინტერესის გაღვივებას და ზოგადად აქტივიზმის შესახებ მათი წარმოდგენების შეცვლას შეეცდებიან. „როდესაც ერთ-ერთ ორგანიზაციაში ჩვენი შეთავაზებით მივედით, ასე გვითხრეს, – ძალიან ამბიციურები ხართო, – და თავზაიანად დაგვემშვიდობნენ, – ამბობს რუსო. მაგრამ ჩვენ იმედგაცრუებებისთვისაც მზად ვართ. როდესაც სისტემური ცვლილებისთვის იბრძვი, მარცხი თითქმის გარანტირებული გაქვს. მაგრამ ყველას ასე რომ ეფიქრა, კაცობრიობის ისტორიაში არც არაფერი შეიცვლებოდა, ხომ? ამიტომ ჩვენც პატარა-პატარა წინააღმდეგობების გადალახვით ვინყებთ, რამაც გვინდა, საბოლოო მიზნამდე მიგვიყვანოს“.

ურბან რეაქტორი ფიქრობს, რომ, პირველ რიგში, შესაცვლელია მთლიანი ურბანული პოლიტიკა, რომელიც, მათი აზრით, ძალიან ზედაპირული და მყიფეა, და კიდევ შერჩევითი, რადგან რეალურად მხოლოდ მათი უფლებებია დაცული, ვისაც ფული აქვს.

რუსო ამბობს, რომ ასევე შესაცვლელია მიდგომა ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ. ადრე ძალიან ხისტად და სწორხაზოვნად უდგებოდა ძეგლების კონსერვაციას, როდესაც ძეგლების აბსოლუტურ აუთენტურობის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. დღეს ფიქრობს, რომ ესეც ფეტიშია. „ქალაქი ისტორიის განმავლობაში იცვლის სახეს. ეს პროცესია და ბევრი ცვლილება ძალიან კანონზომიერია.

ისტორიული უბნების შენარჩუნების პოლიტიკა ცოტა მოქნილი უნდა იყოს. მაგალითად მათ, ვისაც ქალაქში ტურალეტი ეზოში აქვს, უნდა აძლევდნენ უფლებას, შენობის უკანა ფასადზე პატარა ფართი მიაშენონ და ტუალეტი სახლში შეიტანონ. უნდა იყოს თავისუფლება იმისთვის, რომ ქალაქმა სუნთქვა შეძლოს, მაგრამ ასევე უნდა არსებობდეს ძალიან მოქნილი რეგულაციები, „სუნთქვა“ ბარბაროსობაში რომ არ გადაიზარდოს“.

ამ პრობლემების გადაჭრის გზებიც ძალიან კომპლექსურია. რთულია, შექმნა პროექტი, რომელშიც ყველას სოციალურ მოთხოვნას გაითვალისწინებ, ისე, რომ არ დაარღვევ ქალაქის ბუნებრივ ქსოვილს. პროექტს, რომელსაც ეფექტური ეკონომიკური მოდელი აქვს და სწორ იურიდიულ ჩარჩოში ზის.

როდესაც ქალაქის ისტორიულ უბნებში ბიზნეს ინტერესი ჩნდება, საცხოვრებელი ტერიტორია მოსახლეობისგან იცლება და შენობები მშრალ ტურისტულ ობიექტებად გადაიქცევა. რუსო ამ პროცესს „გაშარდებებს“ ეძახის.

საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში, ისტორიულ პროვინცია ბრეტონში ყოველ წელს ფერმერების ფესტივალი იმართება. ეს მხარე ძალიან სახასიათო დიალექტით და კიდევ უფრო სახასიათო ტრადიციებითაა ცნობილი. უცხოელებსაც ეს ლამაზი მხარე სწორედ ამ უჩვეულო ნიშნებით იზიდავს და წელიწადის ამ დროს ბრეტონში ათი ათასობით ტურისტი ჩადის. ყველა თავმოყვარე ბრეტონელი ნაციონალურ კოსტუმშია გამოწყობილი და ადგილობრივ დიალექტზე საუბრობს. „მოკლედ ტურისტები სანახაობით ბედნიერები არიან, – ამბობს რუსო, – მაგრამ როგორც კი ფესტივალი მთავრდება, უეცრად ქრება ტანსაცმელიც და მომენტალურად ყველა ფრანგულად იწყებს საუბარს. ეს ყველაფერი სპექტაკლია“.

„ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რამდენად ცოცხალია ჩვენი ქალაქი, – ამბობს ლევანი, – სადმე რომ მიდიხარ და ამ გაპიწკინებულ ქუჩებს და შენობებს უყურებ, სინამდვილეში მხოლოდ

ფასადს ხედავ, რა ხდება ფასადის უკან, იმას ვერ ამჩნევ. ეს ყველაფერი სამუზეუმო ექსპონატს ემსგავსება. თბილისის ისტორიულ უბანს ჯერ გამუზეუმების პროცესი არ შეხებია, ამიტომ ბევრად უფრო მეტი კულტურული მუხტი აქვს, ვიდრე იმ ქალაქებს, სადაც ცხოვრება მონესრიგებულია. ყველა პროცესი, რაც აქ ხდება, ძალიან აშკარად ჩანს ქუჩებში. ნებისმიერი ევროპული ქალაქი დროშია გაყინული. ჩვენთან, სადაც პროცესი კონტროლს ჯერ არ ექვემდებარება, სივრცე სოციალური კუთვნილებაა. ჩვენთან სივრცე პროცესია, ბრეტონში კი – ფორმა. მაგიტომ მიყვარს ეს თვითშექმნილი ნახალოვკა. იქ ჩვენ უახლეს ისტორიას ნაიკითხავ – როგორ აგებდნენ ადამიანები სახლებს, რა კომპონენტებს უმატებდნენ, რა მასალებს იყენებდნენ და როგორ დიზაინს ირჩევდნენ. იქ, კომუნიკაციაც მოგვარებულია და ჰიგიენაც. იგრძნობა თვითმყოფადი და დინამიური პროცესები, რომელზეც კონტროლი ნაკლებად ვრცელდება. და, ჩემი აზრით, ეს არის სწორედ ის კულტურული მუხტი, რომელიც კარგად იქ ჩანს, სადაც კონტროლი ნაკლებია და მეტია თავისუფლება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის გზები ყველა დონეზე უნდა ვეძებოთ. მგონი, მხოლოდ ასე შეიძლება შუალედის მოძებნა“.

– გავდივართ? – კითხულობს რუსო, როდესაც დავით მესხი თავის ფოტომონყობილობების ჩალაგებას იწყებს. ქალაქში გავდივართ. მე და მესხსაც გვინდა რუსოსთან და ლევანთან ერთად „უმისამართოდ გავისეირნოთ“, იქნებ ნახალოვკამიც, რომ ჩვენც დავინახოთ ის, რასაც ისინი, უკვე დიდი ხანია, ხედავენ – ჩვენი ქალაქი. ამ სეირნობის ამბავს კი აქ არ მოგიყვებით. რადგან „საკუთარი ქალაქის“ აღმოსაჩენად რუკები და სხვების რჩევები არაფერში გამოგადგებათ. ამ დროს უბრალოდ გაიხურავთ კარს და გადიხართ უმისამართო და უმიზნო მოგზაურობაში, სადაც რას იპოვით და რას აღმოაჩენთ, წინასწარ არავინ იცის.



# ბრძოლა თავისუფლებისთვის

<<< **ლასანისი** 32

ხალხის წინაშე აცხადებდნენ, რომ დემოკრატიის დასაცავად და შევარდნაძე-გამსახურდიას ალიანსის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ფარულად კი მოსკოვში დარბობდნენ და შევარდნაძეს საქართველოში დაბრუნებას სთხოვდნენ. შევარდნაძე დუმდა, და ერთადერთი რასაც ამბობდა, ესაა: გამსახურდია ქვეყანას ლუპავსო. გამსახურდია კი ნამდვილად ლუპავდა ქვეყანას, მაგრამ მასთან ერთად იგივეს აკეთებდა მთელი პოლიტიკური და კულტურული ელიტა.

## მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია ლუპავდა ქვეყანას, მაინც თვლით, რომ მისმა დამხობამ უარესი შედეგი მოიტანა?

რა თქმა უნდა, გამსახურდიას დამხობით ქვეყანა რამდენიმეწლიან სამოქალაქო ომში ჩაეფლო. ეს ყველაზე ცუდი გადაწყვეტილება იყო. პოლიტიკური კრიზისი რამდენიმე თვეში განიმუხტებოდა და თვითონ გადადგებოდა, ის ვერ გაუძლებდა ამდენ პრობლემას. მაგრამ გამსახურდია თავისი გარემოცვის, მათ შორის ოჯახის გარემოცვის ტყვე იყო. მას უნდოდა გადადგომა, მაგრამ არ მისცეს ამის საშუალება. პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად ის თანახმა იყო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე, მაშინ კი არჩევნები არ ყალბდებოდა. მაგრამ არც გამსახურდიას მომხრეები ნადიდნენ ამაზე და არც ოპოზიცია, რომლის

ერთადერთი მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომა იყო.

## რატომ ვერ დააყენეს ქართველმა პოლიტიკოსებმა სახელმწიფო ინტერესები პირადულზე მაღლა?

ქვეყნის ინტერესები ერთისთვის გამსახურდიასთან იგივედებოდა, სხვებისთვის მის ოპოზიციასთან, ქვეყნის ინტერესი რა იყო, მაშინ ვერავინ გეტყოდა.

## და იმარჯვებს ის, ვის მხარესაც მეტი ძალა და არა „მეტი სიმართლე“?

გამსახურდიას ბედი მაშინ 2-მა ფაქტორმა გადაწყვიტა. პირველი: თბილისის ომის დროს უშიშროების იზოლაციონიდან, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა, ჯაბა ოსელიანი გამოიყვანეს, და მეორე: რუსებმა სამხედრო არსენალი გახსნეს და ოპოზიციას ბევრი იარაღი მისცეს.

მთელ ოპოზიციას მაშინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, სამხედრო დაზვერვის, იგივე „გრუს“ განყოფილების შეფი, გენერალი სუფიან ბუბაევი მართავდა. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირადად დადიოდა ხოლმე ოპოზიციის მიტინგებზე. კიტოვანთან ძმაცავობდა, სიგუასთან მეგობრობდა. ერთად გეგმავდნენ, როგორ დაემხობთ გამსახურდიას ხელისუფლებას.

საქართველოს პრეზიდენტის დამხობის საკითხები, აგერ აქვე, ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე წყდებოდა. რუსები ამით კრემლშიც კი არ იწუხებდნენ თავს.

20 დეკემბერს რუსებმა გამსახურდიას 24 საათი მისცეს იმისთვის, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა, საქართველოს მთავრობამ ისევ უარი განაცხადა და, მეორე დღეს დასცხეს კიდევაც მთავრობის სასახლეს... რუსთაველზე ბრძოლები დაიწყო.

გამსახურდია ბუნკერში იყო, მას 2000 მომხრე ჰყავდა, ცოტა ძლიერი ხელისუფლება რომ ყოფილიყო, შეეძლო ეს ამბავი სწრაფად დაემთავრებინა, მაგრამ გამსახურდიამ ვერ გაბედა, შეეშინდა. 27 დეკემბერს ჯაბა ოსელიანის და გია ქანტურიას გამოსვლამ საბოლოოდ გადაწყვიტა მისი ბედი.

ელდარ შენგელიას ჩემთვის აქვს მოყოლილი, როგორ ყიდულობდნენ იარაღს რუსებისგან ვაზიანის სამხედრო ბაზიდან. რომ მივიდოდნენ, მანქანას მოშორებით აყენებდნენ, რომ დაენახათ გამსახურდიას მომხრეები ხომ არ იდგნენ. ისინიც იქვე ყიდულობდნენ იარაღს, თბილისის ომის დროს რუსების იარაღის საწყობთან ქართველების რიგი იდგა. ჯერ გამსახურდიას მომხრეები დატვირთავდნენ მანქანას, მერე ოპოზიცია მიაყენებდა. ოპოზიციას იარაღის ნაწილს ჩუქნიდნენ, გამსახურდია ყიდულობდა.

ზვიად გამსახურდიამ საგარეო საქმეთა მინისტრს მურმან ომანიძეს რუსების შტაბში მილიონი გაატანა, ერთადერთი მიზნით, რუსებს სთხოვდა, – ნეიტრალიტეტი დაიცავით, ოპოზიციას იარაღს ნუ მისცემთო. ეს ფული სანამ რუსთაველიდან ვაკე-საბურთალოს გადასასვლელამდე მივიდოდა, დაიკარგა. მურმან ომანიძეს ამის გამო ბუნკერში სასამართლო მოუწყვეს, ამის ვიდეოკადრები მაქვს, ომანიძე მაშინ კინაღამ დახვრიტეს.

როდესაც გამსახურდია მიხვდა, რომ საქმე ცუდად ჰქონდა, 28 დეკემბერს საქართველოს გენერალურ პროკურორს ვაჟა აბაკელიას დაავალა, დაერეკა მოსკოვში და ეთქვა, რომ საქართველო თანახმა იყო ხელი მოეწერა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. ვაჟა აბაკელიამ დარეკა რუსეთში თავის კოლეგასთან, – ხელს ვანერთო, – და იქიდან უთხრეს, რომ უკვე გვიანი იყო. გამსახურდიას ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ტრაგიკულია, რომ ეს იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ლიდერის ზვიად გამსახურ-

დიას ბოლო პოლიტიკური გადაწყვეტილება, სანამ ის დევნილი გახდებოდა.

1991 წლის დეკემბრის ბოლოს ელცინმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთი საბჭოთა კავშირიდან გავიდა. 31 დეკემბერს, მაშინ, როდესაც თბილისში ერთმანეთს ვხოცავდით, გორბაჩოვმა განაცხადა, – „მე ვწყვეტ ჩემ უფლებამოსილებას საბჭოთა კავშირს მეთაურის რანგში, ამ სახელმწიფოს დაშლის გამო“.

ამ დროს თბილისში საშინელი ომი იყო, ტყვიებით უზლოცავდით ერთმანეთს ახალ წელს. აი, ასე დასრულდა ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. საბჭოთა კავშირი ისე დაიშალა, რომ ვერც კი გავიგეთ. გავიღვიძეთ პირველ იანვარს და არც კი ვიცოდით, რომ უკვე დამოუკიდებლები ვიყავით. არც ტელევიზია არ მუშაობდა, და არც გაზეთები გამოდიოდა.

ასე დასრულდა ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, რომელიც მივიღეთ ჩვენგან დამოუკიდებლად. ასევე მიიღო დამოუკიდებლობა უზბეკეთმა, ტაჯიკეთმა, ყირგიზეთმა, თურქმენეთმა და ყაზახეთმა. გაერო-მ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მალევე ცნო 14-ის დამოუკიდებლობა, ერთის გარდა, და ეს ერთი საქართველო იყო. გაერო-მ არ იცოდა, ვისი დამოუკიდებლობა უნდა ეცნო, ქვეყანას ხელისუფლება არ ჰყავდა.

**ამ ეტაპზე მაინც რატომ არ ჩნდება არანაირი პასუხისმგებლობა იმაზე, რასაც პოლიტიკოსები აკეთებენ?**

ვის უნდა ჰქონოდა ეს პასუხისმგებლობა? არ მგონია, თენგიზ კიტოვანი ან მაშინ ან ახლა აცნობიერებდეს იმას, რაც ჩაიდინა. მისი „კლიჩკა“ იყო „ბანია“, უკრაინელი ანარქისტი „ბატია მანოს“ მიბაძვით, რომელიც ხან ბოლშევიკებს ებრძოდა 1919 წელს, ხან თეთრებს... იმის მიხედვით, როგორ აწყობდა. „კლიჩკა“ ჰქონდა ამ ადამიანის, და ეს მოსწონდა, სიამოვნებდა. აქედან ჩანს მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის სიღრმე.

ჯაბა იოსელიანი ყოფილი კანონიერი ქურდი იყო. თავისი მენტალიტეტით ეს ადამიანი მთელი ცხოვრება სახელმწიფოს ებრძოდა და როგორ შეძლებდა ის სახელმწიფოებრივ აზროვნებას. ერთია „ბანია“, მეორე კანონიერი ქურდი და მესამე სიგუა. აი, ეს ტრიუმვირატი – სამხედრო საბჭო მართავდა ქვეყანას.

**ვისი ინიციატივით ჩამოდის ელვარდ შევარდნაძე?**

შევარდნაძე საქართველოში 1992 წლის 7 მარტს, გამსახურდიას დამხობიდან მესამე თვეს ჩამოვიდა. მანამდე სამხედრო საბჭოს ძალაუფლება ისევ კალაშნიკოვებით ეჭირა. თბილისში 10 ათასობით ზვიადისტის მიტინგები იმართებოდა, ხალხს ქუჩაში ხვრეტდნენ და მაინც ვერ შლიდნენ.

ასე დიდხანს რომ ვეღარ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას, პირველი ჯაბა იოსელიანი მიხვდა.

პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ კიტოვანის და ჯაბას ხელით კი მოახერხა გამსახურდიას დამხობა, მაგრამ არა იმისთვის, რომ მერე მათთვის დაეთმო ძალაუფლება.

ამას კარგად ხვდებოდა ჯაბა იოსელიანი და დაიწყო კიდევაც მოლაპარაკებები შევარდნაძესთან. „სტალინის მერე ასეთი დიდი კაცი არ გვყოლია, მოსკოვში განძი გვყავს და რატომ უნდა გავუშვათ ხელიდან, ჩამოსვლაზე თუ დავითანხმეთ, მილიარი მოაქვსო“, – ლეგენდები დადიოდა შევარდნაძეზე.

„ყველა მაგის მეგობარი იყო, ბუშიდან დანყებული შულციტ დამთავრებული, რა უნდა გვექნა, მე და კიტოვანი ხომ არ ვიქნებოდით თბილისშიო?“ – ჯაბას სიტყვებს გეუბნები.

მთელი კომუნისტური ინტელიგენცია და ნომენკლატურა, ყველა, ვისაც არ უნდოდა გამსახურდია, შევარდნაძის ჩამოსვლას ელოდებოდა, სიგუას და კიტოვანის გარდა. მათ იცოდნენ, რომ შევარდნაძის ხელში ძალაუფლება აღარ ექნებოდათ, სიგუა იმდენად გაბრაზებული იყო, რომ აეროპორტში არ წავიდა მის დასახვედრად. კიტოვანს შევარდნაძისთვის მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ემეტებოდა, სხვათა შორის, თავის დროზე ზვიად გამსახურდიასაც. მოკლედ, შევარდნაძეს სამსახურს ყველა სთავაზობდა.

შევარდნაძის ჩამოყვანის გამო, ჯაბასა და კიტოვანს შორის ისე დაიძაბა ურთიერთობა, რომ კინაღამ მეორე ომი დაიწყო. მაშინ ჯაბამ მხედრობი ფეხზე დააყენა და პირდაპირ თქვა, ან დამთანხმდებით, ან სხვა ზომებს მივიღებო.

ჯაბას მხარს საზოგადოებრივი აზრიც უჭერდა და თავისი გაიტანა.

სხვათა შორის, მაშინ კიტოვანმა ჯაბას უთხრა, – ეგ კაცი რომ ჩამოგყავს, იცოდე, ჯერ მე დამიჭერს და მერე შენო...

**საზოგადოება რატომ არის ასეთი უსუსური, რატომ ვერ ახდენს ის გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე?**

საზოგადოება იმაზე ფიქრობდა, – ახლა ვის გავყვეთო. მაშინ ჯაბამ იხუმრა, – „ტრამევის გაყვითო“. „ცეკადან“ პირდაპირ ომზე გადავედით. ჩვენ ქვეყნის მართვის არაფერი ვიცოდით, ბნელ ოთახში აღმოვჩნდით და ხელების ცეცებით დავდიოდით. ეს გიჟური 90-იანები იყო. ეს ნამდვილი სიგიჟე იყო. დღე ისე თენდებოდა, რომ არავინ იცოდა, რა უნდა ეკეთებინა.

**შევარდნაძე მზად იყო ამ ნაბიჯისთვის?**

სანამ შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდოდა, ელცინს შეხვდა და აზრი ჰკითხა, ჭკვიანი კაცი იყო, განსხვავებით სხვებისგან, და ჩამოსვლაზე დაიწყო მხარდაჭერების მოპოვება. ელცინი დაითანხმა, მანამდე ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ, არ უყვარდათ და არ ენდობოდნენ ერთმანეთს, რალაც ძველი კომუნისტური ანგარიშები ჰქონდათ. შევარდნაძე საქართველოში მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერის მიღების შემდეგ ჩამოვიდა და ჩამოიტანა საკუთარი წიგნის ჰონორარი – 100 ათასი დოლარი. ეს იყო მისი ლეგენდარული მილიარდი. სხვათა შორის, მისი ჩამოსვლისთანავე გაერო-მ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა.

შევარდნაძემ კარგად იცოდა, სად მოდიოდა. მან თქვა „როდესაც მე თბილისში ჩამოვედი, მაშინ საქართველო არ არსებობდაო“. მიუხედავად იმისა, რომ ეს არაპოპულარული მოსაზრებაა, მე ვიზიარებ ამ შეფასებას.

საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდებოდა არც აფხაზეთში, არც სამეგრელოში, არც აჭარაში და არც ყოფილ სამხრეთ ოსეთში. სამტრედიიაში ხან ვრცელდებოდა, ხან არა. ქვეყანა თავიდან ბოლომდე სამოქალაქო ომში იყო ჩაფლული. ქუჩებში ბანდები დათარეშობდნენ, ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა იყო.

შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, ერთ-ერთი პირველი შეხვედრა უნივერსიტეტში ჰქონდა. გამოსვლისას მაჯის საათი მოიხსნა

და ტრიბუნაზე დადო. ეს საათი მოპარეს. აი, ასეთი იყო მაშინ საქართველო.

**გააზრების, შეფასების, შეჩერების, რაიმე ალტერნატივის მოძებნის სივრცე არ არსებობდა?**

არანაირი. ერთადერთი, რაც მოხდა ამ პერიოდში, სამოქალაქო ომის დაწყების წინ, ის იყო, რომ ექიმმა გია აბესაძემ ცოცხლად დაიწვა თავი. ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ რამენაირად შეეჩერებინა ის სიგიჟე, რასაც ქართველები აკეთებდნენ. ადამიანმა ნავთი გადაისხა და თავი მოიკლა შუა რუსთაველზე, ერთადერთი მიზნით, – ეგებ მიხვდეთ რას აკეთებთო.

2 სექტემბრიდან 4 თვე თბილისი ისტერიკაში ცხოვრობდა. არანაირი შეფასება, არავითარ ანალიზზე არ არის საუბარი. ან აქეთ უნდა ყოფილიყავი, ან იქით, სხვა არჩევანი არ არსებობდა. სამინელი რადიკალიზმი იყო. ქართველები ისეთი სისასტიკით იბრძოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, ჯერ თბილისში და მერე სამეგრელოში, რომ ასეთი სისასტიკით არსად უბრძოლიათ – არც აფხაზეთში და არც ოსეთში.

**რატომ ჩამოდის შევარდნაძე, რატომ არის ის თანახმა ჩაიბაროს ასეთი ქვეყანა?**

და რა არჩევანი ჰქონდა? რუსეთში ის სძულდათ. განსაკუთრებით გაცოფებულები იყვნენ სამხედროები. გორბაჩოვი რუსია და მას აპატიეს საბჭოთა კავშირის დაშლა, აი შევარდნაძე რუსი არ იყო და, ყველა უბედურება მას დააბრალეს.

ბოლოს დაცვაც მოუხსნეს და მის უსაფრთხოებას იცით, ვინ იცავდა? – იქაური ქართველი მაფიოზები, შავები...

ჯაბა იოსელიანი მომიყვა თვითონ, – დამირეკეს და მითხრეს, თუ მიგყავთ ეს კაცი აქედან, დროზე წაიყვანეთ, თორემ მის უსაფრთხოებაზე პასუხს ველარ ვაგებთო.

ჩამოვიდა და პირველი რაც გააკეთა, აზერბაიჯანში და სომხეთში ჩავიდა, უნდოდა რეგიონული ლიდერი გამხდარიყო. ასე ამბობს თენგიზ სიგუა, რომელიც თან ახლდა შევარდნაძეს მოლაპარაკებებზე. ის დღემდე ამტკიცებს, რომ ის ამერიკელებმა გამოუშვეს, რათა ეს რეგიონი რუსეთისათვის გამოეგლიჯათ ხელიდან. ამ შეხვედრებზე შევარდნაძე

ცდილობდა, დაერწმუნებინა ლიდერები, შეექმნათ რეგიონული კავშირი და მიზრუნებულნიყვნენ დასავლეთისკენ. მაგრამ ეს არ გამოვიდა, სომხეთში უარი უთხრეს ყარაბაღის გამო, მათ რუსეთის მხარდაჭერა სჭირდებოდათ. უარი უთხრეს აზერბაიჯანშიც.

**რა არის შევარდნაძის ნომერ პირველი ამოცანა?**

მან თავის მისიად ეროვნული კონსოლიდაცია გამოაცხადა. შექმნა სახელმწიფო საბჭო და შეიყვანა აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური ძალა. ეს საბჭო იმეღში იჯდა და მართალია, ლაქლაქის გარდა არაფერს არ აკეთებდა, მაგრამ საიდანაძეც ხომ უნდა დაეწყო.

რეალური ხელისუფლება ისევე ჯაბა იოსელიანის, კიტოვანისა და სიგუას ხელში იყო.

შევარდნაძე ცდილობდა, თანამდებობები ყველასთვის მიეცა, იმისთვის, რომ ყველა გამსახურდიასთან ბრძოლაში ჩაება. მისი ჩამოსვლის დღიდან სამოქალაქო ომი კიდევ უფრო გამწვავდა. ასე რომ, მისი მთავარი ამოცანა გამსახურდიას და ზვიადისტების დამარცხება იყო.

**ანუ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეა ამ ეტაპზე ზვიადისტების დამარცხებად ტრანსფორმირდა?**

92-ში ზვიად გამსახურდია გაიქცა საქართველოდან, თორემ სამოქალაქო ომი არ დამთავრდა, დაპირისპირება სამეგრელოში გადავიდა. და იმ წლებში ეს მხარე ძალიან უსამართლოდ და სასტიკად დაისაჯა. ნალენჯიხაში სამინელი შეტაკებები იყო, ხალხის დასანიოკებლად თბილისიდან რეიდები იგზავნებოდა.

თავისი სისასტიკითა და დაუნდობლობით სამეგრელო ამათ ორმაგად გააზვიადისტეს. მოთარეშე რაზმები ხალხმა ვერ მიიღო და ვერც მიიღებდა – ყაჩაღობა იყო, ქონება მოჰქონდათ, მდიდრდებოდნენ.

ამ ბანდებიდან ნაწილს კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი ხელმძღვანელობდა, ნაწილს – კიტოვანი მეტსახელად „ბანია“. გაგაჟდა იქ ხალხი. რადიკალიზმი გაორმაგდა და გაათამაგდა. ამ ანიოკებების გამო, ხალხმა მოკიდა ხელი კალაშნიკოს და შეუერთდა ქობალიას. პოლკოვნიკი ქობალია მეტსახელად „ლოთი“ გამსახურ-

დიას გვარდიის სარდალი იყო, რომელიც დარჩა საქართველოში და სამეგრელოში გაიქცა. იმის თქმა მინდა, რომ ერთ მხარეს „ბანია“, მეორე მხარეს „ლოთი“. ეს ხალხი იყოფს საქართველოს, ეს ხალხი იბრძვის ძალაუფლებისთვის. ორივე მხარეს რუსული იარაღი უჭირავს, რუსები ნყვეტენ, ვის რამდენი კალაშნიკოვი მისცენ. აი, ეს არის ჩვენი საქართველო.

ამერიკა გვიგზავნის ჰუმანიტარულ დახმარებას, რომ მშვიდობა არ დაეიწიოს. პური საფურაჟე ხორბლით ცხვება და დილის 5 საათზე უკვე რიგები დგას. ერთადერთი, რაც იყიდება, პურია. უკვე ყველაფერი მოშლილია, მთელი ქვეყანა მკვდარია.

ჩვენ, როგორც ერი, აღარ ვარსებობთ, არანაირი იმუნიტეტი აღარ გავაჩნია. აფხაზები სარგებლობენ ქართველების დაპირისპირებით, საკანონმდებლო ბაზას ქმნიან და დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ემზადებიან.

აფხაზეთი ამავე დროს ზვიადისტების ძალიან სერიოზული დასაყრდენია, ქართული მოსახლეობის 90 პროცენტი ზვიადისტია და 92-ის ზაფხულში, 14 აგვისტოს იწყება ომი აფხაზეთში. შევარდნაძეს ორი მთავარი ამოცანა აქვს: ბოლო მოუღოს აფხაზების სეპარატიზმს და მოსპოს ზვიადისტების დასაყრდენი. გარდა ამისა, რკინიგზა იძარცვება, სამინელი ყაჩაღობაა, განსაკუთრებით გუდაუთაში. ყველა ტვირთს, რომელიც რუსეთიდან მოდის, მათ შორის სომხეთისთვის, გუდაუთაში გაუძარცვავს არ ტოვებდნენ.

**ანუ აფხაზეთის ომი იმიტომაც დაიწყო, რომ ქართველებს შორის დაპირისპირება გრძელდებოდა?**

ეს ომი ყველას აწყობდა. ზვიადისტები ფიქრობენ, რომ შევარდნაძეს დაასამარებენ, შევარდნაძეს იმედი აქვს, რომ აფხაზეთის საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს, აფხაზებს კი რუსები აგულანებენ და იმედი აქვთ, რომ გამარჯვების შემთხვევაში, დამოუკიდებლობას მოიპოვებენ.

როდესაც შევარდნაძის კაბინეტში ამ ომის დაწყების შესახებ მსჯელობდნენ, მან თქვა, რომ ჯარის შეყვანა არძინბასთან უნდა შეთანხმდეს. მას თავად დაელაპარაკა და თანხმობასც მიიღო, რომ, რკინიგზის გაკონტროლების მიზნით, აფხაზეთში ჯარი შევიდოდა.

**არ ფიქრობ, რომ ამ ომის დაწყების პასუხისმგებლობა საბოლოოდ მაინც ქართველებზეა?**

მე ვფიქრობ, რომ აფხაზეზზე ისევეა, როგორც ქართველებზე. აფხაზეზს რომ მოენდომებინათ, ეს ომი არ იქნებოდა. საქართველოს ჯარი როდესაც სოხუმში შედის, ეს გადაღებულია, სიგუა არძინბას ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს. არძინბა ჯერ დაიშალა და მერე ომის დაწყების შესახებ გასცა ბრძანება.

**არძინბა რომ წინააღმდეგი ყოფილიყო, ფიქრობ, რომ შევარდნაძე ჯარს არ შეიყვანდა?**

შეიძლება არ შეეყვანა ან ჯარი რკინიგზას გაყვებოდა და ზვიადისტებს დაუპირისპირდებოდა. აფხაზეზი შეგნებულად წავიდნენ ქართველებთან ომზე, მაშინ გამსახურდიას და არძინბას ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. პირველი ტყვია როცა გავარდა და ქართველებმა და აფხაზეზმა ერთმანეთს ესროლეს, გამსახურდიას პირველი მოწოდება იყო: დავედეთ მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის გვერდით, გადავარჩინოთ აფხაზეზი გენოციდისგან. ეს არის იმ ადამიანის მოწოდება, რომელიც მანამდე ამბობდა, – აფხაზეზი როგორც ერთი არ არსებობსო. აი, ასე ტრანსფორმირდა მისი დამოკიდებულება, მხოლოდ იმიტომ, რომ გამსახურდიასთვის აფხაზეზში შევარდნაძის გამარჯვება მის დასამარებას ნიშნავდა.

პირველი, რაც გააკეთეს გამსახურდიას მომხრეებმა, ომის დაწყების შემდეგ გუდაუთაში ჩავიდნენ და მოლაპარაკებები დაიწყეს. უზენაესი საბჭოს წევრმა ჯემალ გამახარიამ აფხაზეთის ტელევიზიას ინტერვიუ მისცა და წამყვანის კითხვაზე – გაერთიანდებიან თუ არა ქართველები აფხაზეზის წინააღმდეგ – უპასუხა: „ჩვენ შევარდნაძესთან არასდროს გავერთიანდებით“. ქობალია დღესაც ირწმუნება, რომ აფხაზეზი თანახმა იყვნენ, გამსახურდიას მომხრეები აფხაზეთში შეეშვათ, როგორც სამშვიდობო ძალა. რამდენად დაუჯერებელი რამეები ხდებოდა, არა? ამ დაპირისპირებამ თავიდანვე გაგვჩინა დამარცხებისთვის.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის როლიც, ახლა უკვე ელცინი ითხოვს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისგან „ესენგემი“ შესვლას.

2 სექტემბერს, როცა დროებით შეწყდა აფხაზეთის ომი, შევარდნაძემ არძინბას ყველაფერზე, რაც უნდოდა, ხელი მონანიშნა, მათ შორის – განიარაღებაზე. მაშინ ეს შევარდნაძის სერიოზულ გამარჯვებად ჩაითვალა. შემდეგ ერთი თვე ელოდებოდნენ რუსები, რომ სანაცვლოდ ის „ესენგემი“ შესვლაზე ხელს მონანიშნა, მაგრამ ეს იმდენად არაპოპულარული ნაბიჯი იყო, რომ შევარდნაძემ ვერ გაბედა ამის გაკეთება. „ესენგემი“ თამაში საქართველოს ძალიან ძვირად, აფხაზეთის ფასად დაუჯდა.

**ჰქონდათ თუ არა შანსი ქართველებს, არ დაეწყათ ეს ომი?**

ჩემი აზრით, ჰქონდათ. შევარდნაძე ახლა ამბობს, რომ შეცდომა იყო ამ ომის დაწყება. „მე დავუშვი შეცდომა, როდესაც აფხაზეთში პირადად არ ჩავედი და არ შეეხვდი არძინბას“, – ამბობს ის.

ჯარი რომ შევიდა სოხუმში, აფხაზური დროშა ჩამოსხნეს. კიტოვანმა წამოიღო ეს დროშა და ფერხითი დაუგლო შევარდნაძეს, ვითომ დიდმა სარდალმა იმპერატორს ნადავლი მიართვა.

ჩვენ აფხაზეზს არ განვიხილავდით საქართველოს მოქალაქეებად, ჩვენ უბრალოდ უნდა შემოგვემტკიცებინა ეს კუთხე. ასეთი მიდგომა იყო და პოლიტიკოსებთან ერთად ამ განწყობას მოსახლეობაც იზიარებდა.

**როდის განყდა საბოლოოდ ქართველებსა და აფხაზეზს შორის დამაკავშირებელი ძაფი? როდის დადგა მომენტი, როცა უკან დასახვეი გზა აღარ დარჩა?**

ომის შემდეგაც იყო უკან დასახვეი გზა. არძინბა ხელს აწერდა საერთო სახელმწიფოს შექმნას საქართველოსთან და თანახმა იყო დევნილების დაბრუნებაზე. პრიმაკოვმა ის თბილისში ჩამოიყვანა, შევარდნაძესთან 10 თუ 12-საათიანი შეხვედრა ჰქონდათ. არ ვიცი, რამდენად შესრულდებოდა ეს შეთანხმება, მაგრამ ამაზე უკვე შევარდნაძემ თქვა უარი. მას ერთიანი სახელმწიფო უნდოდა, და არა აფხაზეზისა და ქართველების მიერ ერთად შექმნილი სახელმწიფო.

**რატომ აწერდა ამაზე ხელს არძინბა?**

მოლაპარაკებები გრძელდებოდა, როდესაც რუსეთს პრობლემები ექმნებოდა

ჩრდილო კავკასიაში, მაშინ ჩვენი ურთიერთობები თებუდა და ისინი აფხაზეზზე ზენოლას აძლიერებდნენ... ერთი სიტყვით, გვეთამაშებოდნენ...

რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დროს უკვე პრეზიდენტი პუტინი სთხოვდა შევარდნაძეს, რომ საქართველოს მხრიდან ჯარის შეყვანის საშუალება მიეცათ ქართველებს, ამის სანაცვლოდ, სოხუმამდე ტერიტორიას გვაძლევდნენ ერთ დღეში, ზუსტად ერთ დღეში მოგცემთო...

შევარდნაძე არ ენდო მაშინ რუსებს, იფიქრა, რომ კიდევ მოატყუებდნენ... ან კიდევ არ განიარაღებენ, არ ვიცი, რა მოხდა. ამაზე გაბრაზებულმა რუსებმა მაშინ დაიწყეს პირველად აფხაზეზისათვის პასპორტების დარიგება...

**რომ დაეუბრუნდეთ 90-იანი წლების დასაწყისს, მაშინ ჩვენ თბილისსა და სამეგრელოში ერთმანეთს ვხოცავდით და აფხაზეზისთვის რა უნდა შეგვეთავაზებინა, რატომ უნდა ვყოფილიყავით მათთვის მიმზიდველი და საინტერესო?**

ჩვენ შორის უთანხმოება შეიძლება დიდი ხნის მანძილზე ყოფილიყო დავის საგანი, მაგრამ ამაზე ომი არ მოჰყოლოდა. არც ჩვენ და არც აფხაზეზს არ აღმოგვაჩნდა იმუნიტეტი. ორივე მხარემ დაეუშვით დიდი შეცდომა და ყველაფერი გავაფუჭეთ. ეს როგორც ქართული, ისე აფხაზური პოლიტიკური ელიტის შეცდომის შედეგი იყო, როგორც დაინგრა დანარჩენი საქართველო, ისე დაინგრა აფხაზეთიც.

დასავლეთი ამ დროს გვარწმუნებდა, – მთავარი, რუსეთთან გამონახეთ საერთო ენაო. „ელცინი ხელით გვიჭირავს და მეორე ხელით თავში ვერ ჩავარტყამით“, – ეუბნებიან საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც დახმარებას ითხოვს. რუსეთი ამით კარგად სარგებლობდა და ჩვენც ჩვენი ბედოვლათობით ამის საშუალებას ვაძლევდით. დიდი ძალისხმევაც არ სჭირდებოდათ, იარაღს არიგებდნენ მხოლოდ.

აფხაზეთში ომის დაწყების წინ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალციხის დივიზია და დივიზიის მთელი შეიარაღება გადასცეს. ტანკები, ქვემეხები, ტყვია-წამალი იქიდან პირდაპირ აფხაზეთში წავიდა.

**აფხაზეთის ომის ტრაგედია რაში იყო? სახელმწიფოებრივი ტრაგეზიში რაში ჩანს?**

ამ ომმა დაამტკიცა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა, ეს იყო ბრძოლა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ბანაკებს შორის. აფხაზეთის ომში ვინც გაიმარჯვებდა, ის იქნებოდა ლეგიტიმური. ამ ომს ერთნაირად შეეწირენ ქართველებიც, აფხაზებიც და საქართველოს ტერიტორიებიც. სახელმწიფოებრივი აზროვნება და ქვეყნის მომავალი პოლიტიკოსების ამბიციებს გადაყვა.

**ამ ომს რაღაც რაუნდები ჰქონდა, არა? როგორ ექცევიან ქართველები ამ ომში ერთმანეთს?**

შევარდნაძე კარგავს სოხუმს იმიტომ, რომ მას ებრძვის გამსახურდია, ამის შემდეგ გამსახურდია კარგავს დანარჩენ აფხაზეთს იმიტომ, რომ მას მხარს არ უჭერს შევარდნაძე.

გამსახურდიას და შევარდნაძის მებრძოლებს ყველაზე მეტად ზურგში ერთმანეთის ტყვიის მოხვედრის ეშინოდათ. ამ დროს ყველა ვითომ სოხუმში მიდიოდა და სინამდვილეში იქ არავინ ჩასულა.

სოხუმის უკანასკნელი დღეები ლაკმუხის ქალაქია. კარგად ჩანს, რა ერი, რა საზოგადოება, რა სახელმწიფო ვიყავით. ჩვენ არ ვიყავით გამარჯვების ღირსი.

შევარდნაძეს რომ სოხუმი გადაერჩინა, ეს იყო გამსახურდიას პოლიტიკური სიკვდილი და თუ გამსახურდია გადაარჩენდა დანარჩენ აფხაზეთს, ეს იქნებოდა შევარდნაძის პოლიტიკური სიკვდილი. ერთის უკან ნახევარი საქართველო იდგა, მეორე ნახევარი კი მეორეს უკან. ჩვენ, გულბრყვილო ადამიანებს კი გვეგონა, რომ კრიტიკულ მომენტში გავერთიანდებოდით, აღმოჩნდა, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში შევარდნაძე და გამსახურდია, მათი მომხრეები კიდევ უფრო დიდი მტრები გახდნენ.

**სოხუმში დარჩენილების ბედი არავის ადარდებდა, აფხაზებს რომ მტრებად ვთვლიდით, გასაგებია, მაგრამ სოხუმის ქართველი მოსახლეობა, ეს ხალხი განირგეს?**

გაწირეს. 200 ათასი ადამიანი იყო ალყაში, როდესაც სოხუმის შტურმი დაიწყო. ეს ხალხი ფეხებზე ეკიდათ, იმ წუთში გამსახურდიას და შევარდნაძის

ბედი წყდებოდა. შევარდნაძემ თავისი ბოლო კოზირი, „სნგ“ არც სოხუმის, არც გაგრის, არც ოჩამჩირის გადარჩენისთვის არ გამოიყენა, არამედ გამოიყენა მაშინ, როდესაც მის ძალაუფლებას რეალური საფრთხე დაემუქრა და ზვიადისტიკები ქუთაისთან მივიდნენ. აი, მაშინ შევიდა საქართველო „სნგ“-ში. სანაცვლოდ, რუსების სამხედრო მხარდაჭერა მიიღო და ადმირალ ბალტინის ფლოტის დესანტი ფოთში.

**ეს ფაქტობრივად სამოქალაქო ომის დასასრულს ნიშნავდა?**

დიახ, ზვიადისტიკები მიხვდნენ, რომ რუსეთმა შევარდნაძე აირჩია და აღარც უბრძოლიათ. 1993 წლის 7 ნოემბერს სამთავრობო ჯარები ზუგდიდში შევიდნენ. პირველ „ბეტერში“ ვახტანგ გოგუაძე იჯდა, მეორეში – აეთო მარგიანი, ზედ საქართველოს დროშა ფრიალებდა. ქალაქი იყო მკვდარი, მაშინ ზუგდიდი კიდევ ერთხელ და საბოლოოდ გაიძარცვა.

გამსახურდია აფხაზეთში გაიქცა, აფხაზებმა ის თავისი მომხრეებით მიიღეს, თუმცა მოსთხოვეს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის მოეწერა ხელი. გამსახურდია მაშინ მიხვდა, რომ ძალიან ცუდად გამოიყენეს. მან ეს აღარ გააკეთა, რის გამოც გამოაგდეს აფხაზეთიდან და იძულებული გახდა, მაღალმთიან სამეგრელოს ტყეებში დამალულიყო, დიდხანს იხეტიალა და ბოლოს თავი მოიკლა. საშინელ აპათიაში იყო. ყველა შემოეცალა და მხოლოდ 3 ადამიანთან ერთად დარჩა. ოჯახები უკვე მის მიღებაზე უარს ამბობდნენ, ეშინოდათ...

მოკლედ, აფხაზეთის ომის განმავლობაში ყველა მანც იმაზე ფიქრობდა, ვისი სიკვდილით და დამარცხებით დამთავრდებოდა ეს ომი – გამსახურდიასი თუ შევარდნაძის. საბოლოო ჯამში აფხაზეთის ომი ორივეს დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ შევარდნაძემ ხელისუფლების შენარჩუნება მოახერხა. ცოტა ხნით ადრე ელცინი მას სთავაზობდა, – მოდი, გავყოთ საქართველო და დასავლეთში იყოს გამსახურდია, აღმოსავლეთში კი შენ იყავიო. საბედნიეროდ, მაშინ საქართველო ამას გადაურჩა.

**როგორ შევქვლით ცხოვრების გაგრძელება ამ დამანგრეველი ომების შემდეგ?**

საქართველო საშინელი დეპრესიული ხდება. აფხაზეთი დაკარგულია, ასიათასობით დევნილია, რომლებსაც ქვეყანა ვერ უფლის. არც საქმელია, არც სასმელი, არც საცხოვრებელი. საქართველო სრული ბანკროტია.

აი, ეს მიიღო საქართველომ შევარდნაძის ჩამოსვლით. არ გამართლდა არც ერთი იმედი, რასაც ქართველი ხალხი მასზე ამყარებდა.

ომის შემდეგ შევარდნაძეს ხელს აღარ აძლევს სამხედრო მმართველობა. გამსახურდია მოკლულია, აფხაზეთის ომი და სამოქალაქო ომიც დამთავრებული. და იწყებს პოლიტიკური დასაყრდენის მომზადებას. ომის დროს სიგუა და კიტოვანი გადააყენა. ჯაბა ისევ ძალიან ძლიერი ფიგურაა. სამოქალაქო ომში ყველაფერი მხედრობის კისერზე გადავიდა.

თუკი აფხაზეთის ომამდე რუსეთის მთავარი ამოცანა იყო, რომ საქართველო რუსეთზე უფრო სუსტი ქვეყანა ყოფილიყო, აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ ფაქტობრივად რუსები იწყებენ საქართველოს მთავრობის დანიშვნას. შევარდნაძეს იმ მომენტში არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ჩვენი ბედი ისევ ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე წყდება. უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირიაა, ამას მოჰყვა მოგვიანებით თავდაცვის მინისტრად ვარდიკო ნადიბაძის დანიშვნაც. ყველა ძალოვან მინისტრს თავიდან ბოლომდე რუსეთი აკონტროლებდა. პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე სულ მოსკოვში იჯდა, იმიტომ კი არა, რომ აგენტი იყო, მას გულწრფელად სჯეროდა, რომ საქართველოს ხსნა მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვზე გადიოდა.

ასე დაიწყო ახალი ცხოვრება. შევარდნაძე თავის პოლიტიკურ დასაყრდენს მოქალაქეთა კავშირში ხედავდა, თუმცა გიორგი ჭანტურია, რომელიც ოპოზიციაში იყო, შევარდნაძესთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა და მას არწმუნებდა, რომ დასაყრდენი მასში დაენახა. ჭანტურია ითხოვს, რომ შევარდნაძემ თავისი მინისტრები გაუშვას და მთავრობა ედგემ დააკომპლექტოს. ის ახალგაზრდა იყო, ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია ჰქონდა, არსად არ ექარებოდა, შევარდ-

ნადის პრეზიდენტობის ვადის ამონურვამდე დაცდაც შეეძლო.

მხედრონი, რუსების მიერ დანიშნული ძალოვანი მინისტრები, მოქალაქეთა კავშირი – შევარდნაძეს ყველა გვერდზე უნდა გაენია და გია ჭანტურიას იმედად ყოფილიყო. შევარდნაძე ამას არ და ვერ იზამდა, თუმცა ჭანტურიას თავი დაუქნია და დათანხმდა. მისი თანხმობა კი იმას ნიშნავდა, რომ ჭანტურია უნდა მომკვდარიყო. მას გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა, ჭანტურიამ ძალიან იჩქარა და ყველას ერთდროულად დაუპირისპირდა.

**ჰქონდა თუ არა ჭანტურიას იმის პოტენციალი, რომ ქვეყნის ბუღი სხვანაირად წაეყვანა, რა პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა?**

გია ჭანტურია, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდოდა, ყველას თავებს დააყრევინებდა. არ ვიცი, ქვეყნისთვის როგორი იქნებოდა, მაგრამ მისი მტრები ამას კარგად ხედავდნენ და, პირველი ვისაც თავი გააგდებინეს, ეს თავად გია ჭანტურია იყო.

ერთადერთი ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია მას ჰყავდა, თანაც კარგი შეიარაღებაც ჰქონდა. მაგრამ მაშინ პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს არავინ გაახარებდა. მაშინ ავტომატის და განგსტერების დრო იყო.

**ჭანტურიას მკვლელობას სხვა განმაურებული მკვლელობებიც მოჰყვა, როგორც შენ ამბობ, საქართველო განგსტერული ქვეყანა გახდა. ჰქონდა თუ არა ამ მკვლელობების უმრავლესობას პოლიტიკური საბაბი და კავშირშია თუ არა ისინი ერთმანეთთან?**

იმ დროს ჩვენ კანონები აღარ გვქონდა – არც საბჭოთა კავშირის და არც დამოუკიდებელი საქართველოსი, ეს იყო მგლური კანონების ხანა. ადამიანები კლავდნენ ერთმანეთს, და ეს იყო მარტივი და ერთადერთი გამოსავალი.

ამ მკვლელობების ფონზე კი შევარდნაძე ძალაუფლებას თანდათან იმყარებდა. მისი მთავარი მეტოქეები აბსოლუტური ძალაუფლების გზაზე მაინც იგორ გიორგაძე და ჯაბა იოსელიანი იყვნენ.

რუსები შევარდნაძეს არ ენდობოდნენ და ალტერნატივასაც ამზადებდნენ – ეს

ალტერნატივა იგორ გიორგაძე იყო. მას რუსებმა ყველაზე ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები შეუქმნეს. ავტორიტეტიც მზარდი ჰქონდა. ამას შევარდნაძე კარგად ხედავდა.

როდესაც გიორგაძე მოსკოვში ჩადის, ის საქართველოში ვეღარ ბრუნდება.

ვაჟა ლორთქიფანიძე, მაშინდელი საქართველოს ელჩი მოსკოვში, თავად ჰყვება, როგორ მივიდა იგორ გიორგაძე მასთან, და შევარდნაძეს შეუთვალა, რომ შემოდგომაზე თბილისში ჩავიდოდა და არჩევნებში დაეხმარებოდა. 95 წლის ზაფხულია, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომისთვისაა დანიშნული. ეს რომ ვაჟა ლორთქიფანიძემ შევარდნაძეს გადასცა, მან უპასუხა: ჯერ მანდ იყოს, არ ჩამოვიდესო. გიორგაძე მინისტრად ითვლება, მაგრამ შევარდნაძე თბილისში არ უშვებს... მოქალაქეთა კავშირი ძლიერდება და მხედრონი ნელ-ნელა სუსტდება. „ჯაბას ბიჭებზე“ უკვე ნადირობაა დაწყებული, მხედრონს შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირიაა ავიწროვებს. შევარდნაძემ ჯაბა იოსელიანსაც შეუთვალა, რომ პოლიტიკიდან წასულიყო. მათ შორის ყველა ხიდი საბოლოოდ ჩაინგრა, მტრები გახდნენ.

საპარლამენტო არჩევნებში შევარდნაძე მოქალაქეთა კავშირის გაყვანას აპირებს. ქვეყნის კონსტიტუცია თითქმის უკვე მზადაა ხელმოსაწერად. ანუ სახელმწიფომ რაღაც ელემენტარული ფუნქციები უნდა შეიძინოს. რა თქმა უნდა, ეს ბევრს ხელს არ აძლევს... მოკლედ, შევარდნაძე უნდა მოკვდეს.

გია ჭანტურიათი დაიწყეს და სახელმწიფოს მეთაურით დაასრულეს. როდესაც 29 აგვისტოს შევარდნაძე კონსტიტუციაზე ხელის მოსაწერად მიდის, მას მანქანაში აფეთქებენ. ეს უშიშროების და მხედრონის ოპერაცია იყო.

შევარდნაძემ თავისი სიცოცხლის ფასად რაღაცის გადარჩენა შეძლო. მას ესმოდა კონსტიტუციის მნიშვნელობა და ყველაფერზე წავიდა ამ დოკუმენტის მისაღებად. ჯაბა იოსელიანის დაჭერის შემდეგ შევარდნაძე ერთპიროვნული მმართველი ხდება.

პარლამენტში კი მოდის ახალგაზრდა თაობა, რომელიც სხვანაირად ფიქრობს, და რომელიც ავად თუ კარგად

დღესაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაშია.

საზოგადოებაში ოდნავი ოპტიმიზმი ჩნდება.

კონსტიტუცია, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი და დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოქცევა, ლარის შემოღება, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაზე ხელშეკრულების მოწერა, ეს შევარდნაძის პროექტებია. 96-97 წლებში შევარდნაძე აბსოლუტური მმართველია და მას რეფორმების დაწყება შეუძლია, თუმცა, ამის სანაცვლოდ, მან ისეთი ხალხი შემოიკრიბა, რომელიც ტოტალურ კორუფციაშია ჩართული, ქვეყანაც ისევე უკან-უკან იხეებს სვლას და ჭაობში ეფლობა.

**რატომ არ ფასდებოდა ქართველი პოლიტიკოსების გადარჩევილებები ვარდების რევოლუციამდე, ცხადია, მაგრამ რატომ არ მოხდა ეს 2003 წლის მერე, რატომ არავინ დაისაჯა ჩადენილი დანაშაულებებისთვის?**

პოლიტიკური კომპრომისია. ძველი თეთრეულის ქექვა აღარ მოინდომეს. წესით, შევარდნაძე უნდა გასამართლდეს, ისევე, როგორც უნდა შეფასდეს გამსახურდიას მიერ ჩადენილი დანაშაულიც.

რა შეგვეძლო შეგვექმნა ამ 20 წლის განმავლობაში და რა შეცდომები დაგვშვით ისეთი, რის გამოსწორების შანსიც შეიძლება აღარც არასდროს გვექონდეს?

ყველაფერი გამსახურდიას დამხობით, ან უფრო სწორად გამსახურდიას არჩევით დაიწყო. ჩვენ არ ვიცოდით, რას ვირჩევდით; მათ კი, ვინც ავირჩიეთ, არ იცოდნენ, საით უნდა წაეყვანათ ქვეყანა. მთელი ეს წლები ჩვენ მივდიოდით არსაით, საშინელი ნგრევით და პატარა გამონათებებით. უნდა ვალიაოთ, რომ დროის აბსოლუტური უმრავლესობა ფუჭად დაგვკარგეთ.

მთელი ჩვენი ეროვნული მოძრაობა და თავისუფლებისთვის ბრძოლა იმით სრულდება, რომ 1995 წელს დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის პოსტისთვის ერთმანეთს ორი კომუნისტი – ედუარდ შევარდნაძე და ჯუმბერ პატიაშვილი უპირისპირდება, და ორივე ლიდერი დამოუკიდებელი საქართველოს მომავალზე ლაპარაკობს.



## არსენი რობინსკი: რუსეთში არ არსებობს პოლიტიკური სივრცე

<<< **დასაწყისი** 33. 40

ჩვენ მაშინვე ინტერესით ვადევნებდით თვალს მათ საქმიანობას, ალექსანდრ დანიელი, ლარისა ბოგორაზი, სერგეი კავალიოვი, ლევ ორლოვი და კიდევ რამდენიმე ადამიანი, ისინი, ვინც გასული საუკუნის 70-იან წლებში „ქრონიკას“ ვუშვებდით. 70-იანი წლებიდან დისიდენტური მოძრაობა მთელ ქვეყანას მოიცავდა და საკმაოდ დიდი იყო. ბუნებრივია, დისიდენტები სხვადასხვა მიმართულებისანი იყვნენ. აქ შემოდოოდნენ ნაციონალური მოძრაობები, რელიგიური მოძრაობები და სხვ. ცენტრში კი იყვნენ ისინი, ვინც თავის თავს უფლებათა დამცველებს უწოდებდნენ. სწორედ მათ მოიფიქრეს, რომ ყველა თემა – ნაციონალურიც, რელიგიურიც ადამიანის უფლებათა ჩრლში უნდა განეხილათ და უფლებათა ენაზე უნდა ელაპარაკათ, ეს მათი ყველაზე დიდი დამსახურება ეს იყო. ამის გარდა, მათ მოიფიქრეს დისიდენტური ქცევის ფილოსოფია, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, ამ დისიდენტურ ქცევას შეიძლება არც ჰქონდა რაიმე რაციონალური და პრაგმატული შედეგები, ეს უფრო სიმბოლური საქციელი იყო, რომლის დაცვასაც ყველა მაშინდელი დისიდენტი ცდილობდა. ამას გარდა, მათ „ქრონიკის“ სახით ამ დიდი მოძრაობის საინფორმაციო ცენტრი შექმნეს, სადაც თავს იყრიდა ინფორმაცია, მუშავდებოდა და შემდეგ მთელ სსრკ-ში ვრცელდებოდა. 70-იანებიდან დავეუბეგო-

ბრდი ამ ადამიანებს. მაშინ მე ვამზადებდი ისტორიულ კრებულს „პამიატს“. „ქრონიკა“ – ადამიანის უფლებათა დღევანდელ დარღვევებს შეეხებოდა, „პამიატი“ კი, რომელსაც ნაწილობრივ ამ ადამიანებთან, ნაწილობრივ, სხვებთან ერთად გამოვცემდი, ადამიანის უფლებების გუშინდელ დარღვევებს იკვლევდა.

„მემორიალი“ მასობრივი ორგანიზაციაა და ბევრ რეგიონულ ორგანიზაციას აერთიანებს. ძირითადად ორი მიმართულება აქვს დღესაც: საბჭოთა ტერორის შესწავლა და ადამიანის უფლებათა დაცვა. 1988 წელს ახალგაზრდების ჯგუფის ერთ-ერთ შეხვედრაზე ოთხნი – ლარისა ბოგორაზი, სერგეი კოვალიოვი, ალექსანდრ დანიელი და მე მივედი. იქ გავიგეთ, რომ ისინი ანკეტის შედგენას აპირებდნენ, რომლის გავრცელებაც საბჭოთა რეჟიმის ყოფილ მსხვერპლთა შორის უნდოდათ, დახმარება შევთავაზებთ და შემდეგ ჩვენ ოთხივენი დავრჩით „მემორიალში“. ძალიან მალე, „მემორიალი“ საზოგადოებრივ ორგანიზაციად იქცა, ჩვენ დღემდე გამგეობის წევრები ვართ. ასე შევიკრიბეთ ერთად – ენერგიული, მოტივირებული ახალგაზრდები და წინა თაობა, ე.წ. დისიდენტები. პრინციპებზე უკვე ვითხარით, კიდევ ერთს დავუმატებ, ჩვენთვის უმთავრესი იყო, რომ ადამიანის უფლებათა ენაზე ვმეტყველებდით და არა პოლიტიკის ენაზე. რატომ მოხდა რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ დისიდენტურ წრეებში ურთიერთობები გაურთულდათ? იმიტომ,

რომ რესპუბლიკებში დისიდენტები პოლიტიკოსებად იქცნენ. სსრკ-ს დროს ისინი, ვინც „ქრონიკას“ გამოვცემდით და სხვადასხვა ეროვნების დისიდენტებიც, სწორედ უფლებათა ენაზე ურთიერთობდნენ. რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებისთვის, მართლმადიდებლებისთვის და ბაპტიტებისთვის, ან ებრაელებისა და უკრაინელი ან ლატვიელი ნაციონალისტებისთვის ეს უნივერსალური ენა გახლდათ. მნიშვნელოვანი იყო ლეგალურობის იდეაც. სწორედ ეს იდეები დაედო საფუძვლად „მემორიალის“ იდეოლოგიას, რაც ორ რამეს აერთიანებს: ისტორიულ ხსოვნას და ადამიანის უფლებების დაცვას. ისტორიასაც ადამიანის უფლებათა ჩრლში, უფრო ზუსტად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ჩრლში ვსწავლობთ, ეს დეკლარაცია ჩვენთვის ბიბლიაა. ცხადია, წლებთან ერთად „მემორიალი“ უფრო და უფრო პროფესიონალური ხდებოდა, ბევრი რეგიონული ორგანიზაცია, ბევრი ადამიანი შემოგვემატა.

მოსკოველი და პეტერბურგელი დისიდენტები ან არ არიან პოლიტიკური პარტიების წევრები, ან თუ არიან, როცა მიდიან პარტიებში, მაშინვე ცხადი ხდება, რომ მათი იდენტობა განსხვავებულია. რესპუბლიკებში პირიქით მოხდა, დისიდენტები პოლიტიკოსებად, მეტიც, ნაციონალურ გმირებად იქცნენ. ბალტიის ქვეყნებში, უკრაინაში, საქართველოში ასე მოხდა. რუსეთში ამგვარი რამ არ მომხდარა, ჩვენ ვერავინაც ვერ გავხდით. ერთადერთი, ვინც რუსეთში ასე თუ ისე მონაწილეობდა ხელისუფლებაში ძველი დისიდენტებიდან, სერგეი კოვალიოვი, თუმცა, მისი პოლიტიკაში ყოფნის ხელოვნურობა თავიდანვე აშკარა იყო. ისინი, ვინც „ქრონიკას“ გამოვცემდნენ, და ისინი, ვინც ერთად ისხდნენ ლაგერებში, საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ დაიფანტნენ, მხოლოდ „მემორიალშია“ დღეს გაერთიანებული რამდენიმე მათგანი.

ახლახან „მემორიალს“ ევროპარლამენტმა სახაროვის პრემია მოგვანიჭა. სამი წელია, ნობელის მშვიდობის პრემიაზე ვართ ნომინირებული, რაც გარკვეულწილად ხელისუფლების დარტყმებისგან გვიცავს. „მემორიალი“ თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე არ დაიღუპა, არ დაიშალა, და ის ადამიანები, რომლებმაც შე-

ქმნეს ორგანიზაცია, დღემდე ყველანი აქ აგრძელებენ მოღვაწეობას. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ეს იდეა: ისტორიული მესსიერებისა და ადამიანის უფლებების შერწყმა საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, და მეორე – ჩვენ შევეძლია სტრუქტურა შეგვექმნა. რუსი ინტელიგენციის ცხოვრება მანაც არაფორმალურია და ძირითადად პირად მეგობრობაზეა დამყარებული. ჩვენ კი შევექმნით ორგანიზაცია, რომელიც წესდებას ეფუძნება და მაგალითად მე, გამგეობის წევრს საკმაოდ მზულდავს ეს წესდება. ვთქვათ, როცა რაიმე განცხადების გაკეთება გვინდა, თუ არ გაიარა გამგეობაზე კენჭისყრა, ისე არ ვუშვებთ, ამასობაში კი ხშირად რამდენიმე დღე გვეკარგება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პროცედურაა, „მემორიალში“ არანაკლებ როლს თამაშობს მის წევრებს შორის პირადი მეგობრობა.

**როგორია პოლიტიკური ცხოვრება რუსეთში?**

რუსეთში, უბრალოდ, არ არსებობს პოლიტიკური ცხოვრება. ბოლო სოციოლოგიური კვლევებით, პუტინის რეიტინგი დაეცა და ის 75 პროცენტია, მედვედევისა კი – 68 პროცენტი. ასეა ერთწლიანი მძიმე კრიზისის შემდეგ. ამ რიცხვების მიხედვით ხომ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ხდება რუსეთში? ყველა ოპოზი-

ციური პარტია დამარცხდა ან გაუქმდა. მემარჯვენე ძალთა კავშირი დაიშალა. „იაბლოკომაც“ უნდა გადნეკოდა, რა ქნას, დაიშალოს თუ გააგრძელოს არსებობა. ალბათ არ დაიშლებიან, მაგრამ ცხადია, რომ ახლო პერსპექტივაში პოლიტიკური წარმატების რეალური შანსები მათ არ აქვთ. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: რუსეთში საშინლად დრაკონული საარჩევნო კანონებია, პარტიებს აკრძალული აქვთ დაფინანსება მიიღონ უცხოეთიდან. რუსეთში კი მთელი ბიზნესი ხელისუფლებასთანაა ასოცირებული და ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. თუკი რომელიმე ბიზნესმენი გაბედავს და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას დააფინანსებს, ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნება. ახლა არ დავასახელებ, მაგრამ რუსეთში არსებობენ ბიზნესმენები, რომლებსაც ნამდვილად უნდათ წინასწარჩენოდ დააფინანსონ პარტიები, მაგრამ ვერ ბედავენ. ამას გარდა, პრობლემებია თვით პარტიებშიც – მათ ცუდად აქვთ ფორმულირებული საკუთარი იდენტობა, სანამ პარლამენტში იყვნენ, ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს და პოპულარობა დაკარგეს. ვიცი, როგორც მუშაობენ ევროპელი პოლიტიკოსები, საკმაოდ ახლოს ვიცნობ რამდენიმე გერმანული პარტიის მუშაობის პრინციპს. გერმანიაში ახლახან დამთავრდა არჩევნები და ისინი უკვე მომავალი

არჩევნებისთვის ემზადებიან, სწავლობენ მოსახლეობის განწყობებს, მუდმივად მუშაობენ საკუთარ თავზე. თანაც, რუსული კანონმდებლობა ოპოზიციურ პარტიებს არ აძლევს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას. პარტიას, რომელსაც აქვს 3 პროცენტი, უნდა ჰყავდეს წარმომადგენლობა პარლამენტში, იმიტომ რომ რუსეთის მოსახლეობის 3 პროცენტი სამი მილიონი ადამიანია. რუსეთში პოლიტიკური ბრძოლისთვის სივრცე ნამდვილად არ არსებობს და ასეთ დროს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების როლს გარკვეულწილად საზოგადოებრივი ორგანიზაციები იღებენ საკუთარ თავზე, მათ შორის – „მემორიალიც“. ჩვენ ეს არც გვინდა, არც გვინტერესებს პოლიტიკა და არც ვიცით. ხშირად გვეკითხებიან, – რატომ არ აყალიბებთ პარტიასო. არადა, ჩვენ მაშინვე დავიღუპებით, იმიტომ რომ ეს ჩვენი საქმე ნამდვილად არ არის. თუმცა, მოსახლეობის რაღაც ნაწილი სწორედ ამ მხარეს, პოლიტიკის მხარეს ალგვიქვამს. დღევანდელი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ხვდება, რომ ჩვენ სუსტები ვართ, და ნამდვილად არ ვართ ძლიერები. მაგრამ იმის გამო, რომ მიმდინარე ამბებზე სულ ვრეფლექსირებთ, სულ ვფიქრობთ და ვმოქმედებთ, ბევრ პოლიტიკურ პარტიაზე უფრო ძლიერები ვჩანვართ. ეს კი ცოტა სასაცილოა.



**ინტერვიუ ჯეიმზ ქართოთან**

<<< დასაწყისი ბ. 44

**ბილი ჰოლიდეზე გამახსენდა, Present Tense-ზე მუშაობისას ის სიზმრად გესტუმრათ და Susa Nitta-ს საწყისი აკორდები წაგიმღერათ. ამ ბოლო დროს ისევე ხომ არ მობრუნებულა?**

სამწუხაროდ არა! ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა და ამ ბოლო დროს არ გამოჩენილა.

**ერთხელ უცნაური რამ თქვით, – საქსოფონი ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელი შრატიაო. რას გულისხმობდით?**

ეს მართლა მე ვთქვი? არ მახსოვს, ალბათ იმ კონტექსტს ვგულისხმობდი, რომ ინსტრუმენტი ყოველთვის სიმართლეს გეუბნება. ეს სიმართლე კი შეოძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ საჭირო იყოს მასთან დროის ხარისხიანი გატარება, ისე-

ვე, როგორც ხარისხიანად ხარჯავ დროს ოჯახის წევრებთან. ანუ, ერთს ჩაბერავ თუ არა, ის გეუბნება, – შენი დაბალი ტონები ფორმაში ვერაა, ამიტომაც მიდი, უფრო მეტი წაივარჯიშე. მე თუ ეს არ გავაკეთე, ადამიანებს იმ მუსიკას ვერ მოვასმენინებ, რაც ჩემგან მოდის. საქსოფონი აუცილებლად „გამცემს“, მოუმზადებელი რომ ვარ....

**„სანტა კლაუსი ტენორ საქსოფონზე და ბას კლარნეტზე!“ – ასე წარგადგინათ 1988 წელს, თქვენ პირველ კონცერტზე ლესთერ ბოუიმ. იმ დღეს თქვენ თავით ფეხებამდე ნითლებში იყავით გამოწყობილი. რა როლი ითამაშა ლესთერ ბოუიმ იმაში, რომ თქვენ უფრო ღრმად აღგვევით მუსიკა?**

ამაზე უბრალო პასუხი მაქვს – სწორედ მან ჩამიყვანა პირველად ნიუ იორკში. რა თქმა უნდა, ადრეც ვიყავი ნამყოფი იქ, ბიძაჩემთან, მაგრამ ბოუის მეშვეობით პირველად დავუკარი ნიუ იორკში. ის ისტორია, თქვენ რომ იხსენებთ, 31 მაისს მოხდა დეტროიტის ხელოვნების მუზეუმში. მე ბოლო მემენტში დამამატეს იმ კონცერტს. ლესთერს მოეწონა ჩემი ბგერა, მე კი წამდაუნუნე ვუმეორებდი, – რა მაგარი ხარ მეთქი! მან მითხრა, რომ ახალი ბენდის შექმნაზე ფიქრობდა და ჩემი კოორდინატები ჩაინერა. მომდევნო წლის ნოემბერში კი დამირეკა და ნიუ იორკში ჩასვლა მთხოვა. მშობლების დარწმუნება მომიწია, რომ გავეშვით; იმ დროს მხოლოდ 19 წლის ვიყავი. გამიშვეს. ლესთერი იმ დროს ბრუკლინში, უოშინგტონ ავენიუზე ცხოვრობდა და ერთი კვირით ნიუ-იორკში ჩასულმა დეტროიტელმა ბიჭმა პირველად ვიგემე ბრუკლინური ცხოვრების გემო. ბიძაჩემი იმ დროს მანჰეტენზე ცხოვრობდა. მისი ნახვაც მოვახერხებ. სწორედ მან მაყიდინა ჩემი პირველი ნამდვილი ინსტრუმენტი, *Salmer Mark IV*. მისი მეგობრისგან ვიყიდეთ. ბიძაჩემი ძალიან კმაყოფილი იყო იმით, რომ მუსიკას სერიოზულად ვუდგებოდი და ამიტომაც კიდევ ერთხელ დამაბრუნა ნიუ იორკში. სიამოვნებდა ჩემი სმენა. მოკლედ, ლესთერს რომ დაფუბრუნდეთ, მე მის ახალ ბენდში დავინწყე დაკვრა. საოცრად მრავალმხრივი მუსიკოსი და ადამიანი იყო, არა? მის ბენდებში სრულიად განსხვავებული მუსიკოსები უკრავდნენ. ჩვენ ბენდში ბასზე სისილ მაქბი უკრავდა,

დრამზე – ან გარდაცვლილი ფილიპ უილსონი, ფორტეპიანოზე – დონალდ სმიტი, მე და ლესთერი კი ჩასაბერებზე. ეს ბენდი შემდგომში *New York Organ Ensemble*-ის სახელწოდებით ცნობილი ბენდის ბირთვი იყო. იქ უკვე ამინა კლოდ მაიერსი უკრავდა ორღანზე, ჯან-პოლ ბორელი – გიტარაზე, დონ მოიე – დრამზე და, რაც მთავარია, სთივ ტურე, ფრენქ ლეისი და ჯულიან ფრისტერი – ჩასაბერებზე. სხვათა შორის, 1989 წელს ფილიპ უილსონთან ერთად სენტ-ლუისში ჰიტი გვაქვს ჩანერილი. სწორედ იმ დროს გავიცანი ჯულიუს ჰემფილი და მაშინ იყო კონცერტებზე ვილაც მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი რომ შევნიშნე. საქსოფონისტი რომ იყო, მხარზე გადაკიდებული ჩასადებით მივხვდი. უბრალოდ მოდიოდა და გვისმენდა. ხმა არ ამოუღია არც ერთხელ. ლესთერს ვკითხე, – ვინაა ეს კაცი მეთქი. მან კი მომიგო, – ფრენქ ლოუაო! კინაღამ გადავირიე! ფრენქ ლოუ! მივევარდი და ლამის სიყვარულის ახსნა დავუწყე. ასე დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა. მოკლედ, ყველაფერი ეს ჩემ ცხოვრებაში ლესთერის მეშვეობით მოხდა და სწორედ მასთან ერთად იაპონურ *DIW*-ზე ჩანერილმა ალბომებმა მიმიყვანა ჩემ სადებიუტო ალბომამდე *JC on the Set*. იცით, კიდევ რა ვისწავლე ლესთერისგან? მოქნილობა. მან წამახალისა სხვადასხვა ინსტრუმენტზე რომ დამეკრა და სხვადასხვა, განსხვავებული სახის ბენდებთან მემუშავა. ამ ტიპის მოქნილობა საშუალებას გაძლევს, განსხვავებულ მუსიკალურ სიტუაციებს მოერგო. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც მინდა, რომ უფრო ეკონომიური ვიყო და ამიტომაც ჩემ *Organ Trio*-სთან მივდივარ ტურნეში; ან, როდესაც საჭიროდ მივიჩნევ, მაშინ დღევანდელი ბენდის ფორმატით ვმოგზაურობ, რომელიც *Present Tense*-ზე მომუშავე ბენდის მომცრო ფორმატია, სუპტეტიდან კვინტეტზე. ან კიდევ, ე.წ. „ბოშურ ბენდთან“ ვმოგზაურობ ხოლმე; სხვათა შორის, ამ ბენდთან ჯანგო რეინჰარდტის 100 წლის-თავზე დავუკრავთ. ასეთი მოქნილობა გონებაგასწილს გტოვებს. *World Saxophone Quartet*-ის წევრებს (*World Saxophone Quartet*-ის ორიგინალური წევრები დაწყებული 1977 წლიდან იყვნენ დევიდ მარი, ოლივერ ლეიქი, ჰემიეთი ბლუეთი და ჯულიუს ჰემფილი. ჰემფილის ბენდიდან

წასვლის შემდეგ იქ ბევრი სხვა საქსოფონისტი უკრავდა. დღეს ბენდის მეოთხე წევრი თონი ქოფია კ.თ) საკუთარი დამოუკიდებელი პროექტებიდან ახალი ენერჯია და ვიბრაციები მოაქვთ ბენდში.

**სულ ერთი წუთით ნაკლებად თავმდაბალი თუ გახდებით, როგორ ფიქრობთ, რა ახალი არჩევანის შემატება მოახერხებთ იდიომისთვის?**

ვერ ვიტყვი, რომ ეს აუცილებლად ახალია, მაგრამ მგონია, რომ მთავარი მანც თავისუფლად დარჩენის შესაძლებლობაა.

**თქვენ ბევრი დიდი მუსიკოსისგან გსმენიათ კომპლიმენტი დაწყებული ლესთერ ბოუით და დასრულებული სისილ თეილორით. თავად თუ გაიმეტებდით კეთილ სიტყვებს იმ დამწყები მუსიკოსების მიმართ, ვისაც შეიძლება ჩვენ ჯერ არ ვიცნობდით?**

პირველი, ვინც თავში მომდის ჯეი-დი ალენია, დეტროიტელი საქსოფონისტი, რომელიც ახლა ნიუ იორკში ცხოვრობს. კიდევ ერთი დეტროიტელი მუსიკოსი მახსენდება, რაფაელი ჰქვია, გვარი არ მახსოვს. ალბათ მხოლოდ ამ ორზე შევჩერდები...

**და ბოლოს, ეს თქვენი პირველი კონცერტი იქნება თბილისში. რას ელით დღევანდელი სალამოსგან?**

მუსიკის კარგ სალამოს. დღევანდელი კონცერტი ორი ნაწილისგან შედგება – ჩემი და მარკუს მილერის ბენდი. იგივე იყო წლებიწინა „ფლეიბოს“ ჯავს კრუიზზე. მართლა მოუთმენლად ველი დღევანდელ სალამოს. და იცით კიდევ რაზე ვოცნებობ? – მარკუსი და მე, ჩვენ ორივე ბას კლარნეტზე ვუკრავთ და, უკვე რამდენიმე თვეა, ვსაუბრობთ შესაძლებლობაზე, რომ ერთად ჩავწეროთ ალბომი – მე, მარკუსმა და ბენი მოფინმა; სამივე ბას კლარნეტზე დავუკრავთ. ვნახთ... ჰო, საინტერესო მუსიკალური სალამო იქნება დღეს. ჩვენ დიდებული ადამიანები დავგვხდნენ აეროპორტში; სხვათა შორის, უკვე კარგა ხანია, აეროპორტებში ამდენი ფურნალისტი ერთად არ მინახავს, მიკროფონებს რომ გიმოვრენ და შეკითხვებს გისვამენ... მანქანაში, სასტუმროსკენ რომ მივდიოდით, საინტერესო ინტერვიუ მქონდა. მოკლედ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის!



## ქართული კინონდუსტრიის პრობლემები

<<< დასაწყისი გვ. 56

შარშან სახელმწიფო სექტორის მიერ შემუშავებული „აგრესიული და დინამიკური“ ფინანსური შედეგების სქემა ქართველი და საქართველოს, როგორც გადასახადები მოედნით, დაინტერესებული უცხოელი კინემატოგრაფისტებისთვის საგადასახადო შედეგების ამოქმედებას ითვალისწინებს. მას შემდეგ, რაც ფილმის ფინანსური დანახარჯები გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, პროდიუსერებს დახარჯული თანხის ნაწილი უკან დაუბრუნდება (კერძოდ კი 25%). ამ საკითხის აკვარგინობას უფრო დეტალურად ჟურნალ „ლიბერალისთვის“ დაწერილ თამარ ბაბუაძის სტატიაში გაცნობით (№6. 2009). სამინისტროს წინადადება უფრო უცხოელი კინემატოგრაფისტების წამონებზე იყო გათვლილი, ვიდრე ადგილობრივ მწარმოებლებზე ორიენტირებული. შედეგების სქემა ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა...

2009 წლის დასაწყისში ეროვნულმა კინოცენტრმა ბრიტანულ საკონსულტაციო კომპანიას BOP CONSULTING ქართული კინემატოგრაფიის ამჟამინდელი მდგომარეობის სტრატეგიული მიმოხილვა შეუკვეთა, ასევე მიიღო რეკომენდაციები სექტორის განსავითარებლად. BOP CONSULTING-ის საბოლოო ანგარიშში მითითებულია: „საგადასახადო შედეგების ძალიან მნიშვნელოვანია, რაც გადაწყვეტ როლს შეასრულებს შემოსავლების მოძიებაში პროგრამის განსახორციელებლად, მაგრამ მხოლოდ საგადასახადო შედეგები არ არის საკმარისი „ინტელექტუალური“ ინვესტიციების და თანამწარმოებლების მოსაზიდად. გლობალურ და კონკურენტულ ბაზარზე მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ასოცირდება „ღირებულების ჯაჭვთან“. ე.წ.

„ღირებულების ჯაჭვი“ ფილმის წარმოების მთელ პროცესს გულისხმობს. ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვა კი ემყარება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორცაა: საგანმანათლებლო და პროფესიული მზაობა, სადისტრიბუციო პოტენციალის განვითარება, ფილმის სანარმოო ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა, დაფინანსების სტრატეგიის შემუშავება და ა.შ. დღეს კინონდუსტრიას სერიოზულ პრობლემას კვალიფიციური კადრების არარსებობა უქმნის.

ფილმი, რომლის გადაღებაზე მუშაობა დასრულებულია, ადეკვატური ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, წარმოების შემდგომ ეტაპს საქართველოში ვერ გადის. პროდიუსერებს სამუშაოს გაგრძელება უცხოეთში უწევთ, რაც ფილმის წარმოების ხარჯებს საგრძობლად ზრდის. მოქმედი ინფრასტრუქტურა წარმოების პროცესსაც აფერხებს. რეგიონების ინფრასტრუქტურა (გზები, სასტუმროები) არასათანადოდ განვითარებულია. ეს განსაკუთრებით შემაფერხებელი შეიძლება აღმოჩნდეს უცხოელი კინემატოგრაფისტებისთვის, რომლებიც მუშაობის განსხვავებულ პირობებს არიან მიჩვეულნი. გარდა ამისა, არ არსებობს საკმარისად განვითარებული სანფორმაციო ბაზა, რომელიც გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებდა როგორც უცხოელი, ასევე ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის (მაგალითად, ვიზუალური და სხვა სახის ინფორმაცია პოტენციური გადასახადები მოედნების შესახებ). BOP CONSULTING: „ქართული ფილმების ინდუსტრიის განვითარებისთვის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია პროფესიონალების ნაკლებობა, მოქმედი ინფრასტრუქტურა, მონოპოლიზებული კინოთეატრების ქსელი და დისტრიბუციის სუსტი სისტემა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ფილმ-

ბის მწარმოებელი კომპანიებისთვის დაწესებული მაღალი გადასახადები“.

საგადასახადო კოდექსის ერთ-ერთი თავის „ქონების გადასახადი“, 273-ე მუხლის მიხედვით, სანარმოსა და ორგანიზაციის დასაბეგრი ქონება ყოველწლიურად 1%-ით იბეგრება. გამომდინარე იქიდან, რომ ხელოვნების ნიმუშს ცვეთა არ ერიცხება, მისი დაბეგრა მუდმივად ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ფილმისათვის, რომლის ბიუჯეტი 100 ათას ლარს შეადგენს, ფილმის მფლობელმა სახელმწიფოს ყოველ წელს 1000 ლარი უნდა გადაუხადოს. სანამ ფილმის ავტორები საგადასახადო კოდექსში რაიმე ცვლილებას დაელოდებიან, პრობლემის ხანმოკლე გადაჭრის საშუალება შესაძლებელია ფილმის არქივისთვის გადაცემა იყოს. თუმცა, ასეთი ქმედება მდგომარეობის აბსურდულობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

### დისტრიბუცია

კინოდისტრიბუცია ქართული კინონდუსტრიის ყველაზე გაუკვალავი სფეროა. საქართველოში დისტრიბუციის ქსელს ერთი კომპანია ფლობს – სააქციო საზოგადოება „რუსთაველი“ – რომელსაც სექტორში სრული მონოპოლია აქვს. არ არსებობს გაყიდვების სააგენტო. ჩვენს ქვეყანაში არ არიან პროფესიონალი კინოდისტრიბუტორები და გაყიდვების აგენტები, რომლებიც ევროპული სქემის მიხედვით მოქმედებენ. კინოდისტრიბუციის არც ერთი რგოლი – გაქირავება კინოთეატრებში, სატელევიზიო დისტრიბუცია და დედი დისტრიბუცია – სრულყოფილად არ მუშაობს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: კინოთეატრების რაოდენობა ძალიან მცირეა, ტელევიზიები არ იჩენენ საკმარის და სათანადო დაინტერესებას ლოკალური პროდუქციის მიმართ, მძლავრია მეკობრული ბაზარი, რომელიც მყურებელში ფილმების დედი მატარებლებზე ყიდვის თუ კინოთეატრში ნახვის სურვილს მინიმუმამდე ამცირებს (ამასთანავე ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფილმების ნახვის ყველაზე კარგ და ხშირ შემთხვევაში ერთადერთ შესაძლებლობას).

დღეს საქართველოს იმ რეგიონებში, რომელიც ქვეყნის მთავრობას ექვემდებარება, 28 მოქმედი კინოთეატრია. კინოკრანების რაოდენობაა: თბილისი – 10, ქუთაისი – 3, ბათუმი – 2, რუსთავში, ბორჯომში, სიღნაღში, ზუგდიდში, ჭიათურაში, საჩხერეში, აბაშაში, თელავში, გორში, ბაკურიანში, ზესტაფონში, ახალციხესა და ახალქალაქში კი თითო ეკრა-

ნია. ჩამოთვლილი კინოთეატრებიდან რეგულარულად მხოლოდ 10 ფუნქციონირებს. 1992 წელს თბილისის კინოთეატრები ქალაქის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნა, ხოლო 1994 წელს ქვეყანაში არსებული ყველა კინოთეატრი მფლობელობაში გადაეცა სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმს“. ამის შემდეგ სააქციო საზოგადოების მიერ ზოგი კინოთეატრი გაიყიდა (მათ შორის 1909 წელს აშენებული თბილისის „აპოლო“!), ზოგი აღარ არსებობს, ზოგიც გაქირავდა, ნაწილში დღეს რესტორნები და საბანკეტო დარბაზები გახსნილი, სხვაგან კიდევ რა...

კინოცენტრის კინოექსპორტის მიმართულების თანამშრომელი და დამოუკიდებელი კინოპროდიუსერი ანა ძიპაშვილი: „კინოთეატრები სალაროების შემოსავლებს საჯაროდ არ ხსნიან. შესაბამისად ძალიან რთული, თითქმის შეუძლებელია დაითვალოს თუ რა მოგებას იღებს გაქირავებაში მყოფი ფილმი. ამის გამო, უცხოელი პატრონორების ნდობაც, რომლებსაც თანა-პროდიუსერობის სახით ფილმში ფულის ჩადება სურთ, იკლებს. იმიტომ, რომ მაყურებლის დასწრების მონაცემები მისთვისაც ხელმოუწვდომელი იყო, რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი თავისი ფილმის სეანსზე („სვანი“) კინოთეატრში შესულ თითოეულ მაყურებელს ითვლიდა. ის ყოველდღე დადიოდა ან აგზავნიდა წარმომადგენელს მაყურებლის რაოდენობის შესამოწმებლად“. კინოთეატრებს არ აქვთ უფლება, არ გასცენ მსგავსი ტიპის ინფორმაცია.

ფილმის გაყიდვის კიდევ ერთი საშუალება ტელევიზიაა. საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთი სრულმეტრაჟიანი ფილმის ჩვენებისთვის ავტორებს 300 ლარს უხდის. ეს თანხა ცოტათი მეტია სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის საჭირო კასეტისთვის, რომელზეც ტელევიზიაში მიტანამდე ავტორმა ფილმი უნდა ჩაწეროს.

არც საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის და არც კერძო ტელეკომპანიებისთვის ფილმწარმოების პროცესში ჩართვა არ არის აქტუალური საკითხი. ბოლო წლებში ტელევიზიების საკუთარი პროდუქცია ტელეესპორტებით და იმ დოკუმენტური ფილმების წარმოებით შემოიფარგლებოდა, რომელთა ავტორები ამავე არხების ყურნალისტები არიან. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ტელეკომპანია „იმედის“ ჩართვა გია აგლაძის პროექტში „გოგონა სლაიდიდან“ (2009), „რუსთავი 2“-ის „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“ (პირველი ფილმი 2008, მეორე ფილმი 2009). „რუსთავი 2“ და

ტელეკომპანია „იმედი“ ასევე დაინტერესებულნი არიან დავით იმედაშვილის პროექტით „ოცნების ქალაქი“, რომელიც წარმოების პროცესში იმყოფება. ორივე კომპანია ფილმს ტექნიკური საშუალებებით ეხმარება და სატელევიზიო ეთერით ფილმის გავრცელებასაც უზრუნველყოფს. ფილმებს, რომლებსაც უჭირთ ფართო მაყურებლის მოპოვება, საქმე კიდევ უფრო რთულად აქვთ. ანა ძიპაშვილი თქვით, თუკი რაიმე სახის ინტერესი არაკომერციული ფილმების მიმართ ადრე ყოფილა, ეს იყო პირადი ნაცნობობის და კერძო ინიციატივის შედეგი. შესაბამისად, აქ არ გვაქვს რეგულირებული მექანიზმი. საქართველოში არ არსებობს წინასწარი გაყიდვების ცნებაც, რომელიც ევროპაში ასე დამკვიდრებულია. ტელეკომპანია ფილმწარმოებაში დაფინანსებით შედის და შემდეგ პროდუქტს საკუთარ საერთო ბაზარზე სვამს. ანა ძიპაშვილი: „ევროპაში თითქმის არც ერთი დოკუმენტური ფილმი არ სრულდება და არ რეალიზდება ტელევიზიების ჩარევის გარეშე. ქართული ტელეკომპანიები უნდა მიხვდნენ, რომ მხოლოდ რეჟისორებს და ფილმის ავტორებს არ სჭირდებათ მათი ამ პროცესში ჩართვა: რომ ეს ორმხრივი ინტერესის სფეროა. კარგი დოკუმენტური პროდუქცია ტელევიზიისთვისაც ძალიან მომგებიანი იქნება. უნდა მოხდეს ამ იდეის სწორი ფორმით ლობირება“. ლობირება კი საკმაოდ კომპლექსური მოვლენაა: თბილისის მეათე საერთაშორისო კინოფესტივალზე ანა ძიპაშვილმა მის მიერ ორგანიზებულ დოკუმენტური ფილმების წარდგენის ფორუმზე პირველი არხის დირექტორი გია ჭანტურია დააბრაშა. სტუმარი ფორუმს არ ეწვია, მაგრამ ანას მაინც სჯერა, რომ თუკი ტელევიზიები მსგავს მიპატივებებზე უარს არ იტყვიან, საკითხით აუცილებლად დაინტერესდებიან და მიხვდებიან, რომ საქმე ინტერესთა გაცვლას ეხება და არა ფულის მათხოვრობას ავტორების მიერ.

კინოწარმოება არ არსებობს კინოდისტრიბუციის გარეშე. საქართველოში პროდიუსერთა უმეტესობა ფულს იმ ბიზნესში დებს, რომელიც დღეს ნამგებიანია. თუმცა, ფინანსებს რომ თავი დავანებოთ, „რეალურად კინოს იმიტომ ვაკეთებთ, რომ მაყურებელამდე მივიდეს. დისტრიბუცია კინოთეატრებში, იგივე დივიდიზე ფილმის დაბეჭდვა ან სატელევიზიო ეთერში ჩვენება სწორედ იმ ადამიანებამდე ფილმის მიტანაა, ვისთვისაც ავტორები, წესით, კინოს უნდა იღებდნენ. პრობლემას წარმოადგენს ცალკეული პროდიუსერებისა და საპროდიუსერო კომპანიების ძალების შე-

თანხმებულად გამოყენების და კონსოლიდაციის არარსებობა. ისინი უნდა მიხვდნენ, რომ ერთნაირი პრობლემები ექმნებათ. არასდროს მინახავს მათი ერთიანი ინიციატივა და საქმის გამოსწორების მცდელობა. ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ძალის კონსოლიდაცია და იდეების ლობირება“, – ანა ძიპაშვილი.

**მუნიციპალური კინოთეატრი**

ჩვენ ქვეყანაში არ არსებობს სივრცე, სადაც ადამიანმა შეიძლება კინო შეიყვაროს, სადაც მაყურებელს, ამერიკული ბლოკბასტერების გარდა, სხვა ფილმების ნახვის საშუალება ექნება. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით მტკივნეულია სტუდენტებისა და მომავალი პროფესიონალებისთვის. ერთადერთი საშუალება, გაეცნო თანამედროვე კინოში მიმდინარე პროცესებს და ნახო კინოკლასიკა, ინტერნეტია. ამ მხრივ, ქართველი კინოს მოყვარულები ნამდვილი მემარცხენები არიან. როდესაც ფილმების ნახვის სხვა გზა არ გვაქვს, ფილმების ჩამონერა და სხვისთვის გაზიარება, მოდურ ენაზე რომ ვთქვათ, მოპარვის ცოდვაში გაყენებს. კინომოყვარული და კინოტურდი, გნებავთ, კინოყაჩაღი დღეს საქართველოში სინონიმებია. ეს ფაქტი ცალსახად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად საჭიროა ალტერნატიული კინოსივრცის არსებობა, ისეთისა, როგორიც მაგალითად, მუნიციპალური კინოთეატრია.

მუნიციპალური კინო არაკომერციული, კულტურული ინსტიტუტია. მუნიციპალური (იგივე კომუნალური) კინოთეატრებს ძირითადად ქალაქის მუნიციპალიტეტები აფინანსებენ. ევროპაში, უმეტეს შემთხვევაში, მუნიციპალური კინოებს აქვთ საკუთარი, დამოუკიდებელი კინოთეატრები. გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალური კინოს პოლიტიკა ძირითადად განსხვავდება კომერციულისგან, ის არ წარმოადგენს მის კონკურენტს. ევროპაში მუნიციპალური კინოების პოლიტიკა „სხვანაირი ფილმები ვაჩვენოთ სხვანაირად“. „სხვანაირი ფილმები“ იგულისხმება: ფილმები არა მხოლოდ დასავლური ქვეყნიებიდან, დოკუმენტური, ექსპერიმენტული და დამოუკიდებელი კინოპროდუქცია, უხმო და მოკლემეტრაჟიანი ფილმები, რომელთაც დისტრიბუციის პრობლემები აქვთ და კომერციულ კინოთეატრებში არ აჩვენებენ. „სხვანაირად ჩვენება“ კი ნიშნავს ფილმების ორიგინალურად ჩვენებას: ორიგინალის ენაზე, შესაბამის ფორმატში და უხმო ფილმების შემთხვევაში – შესაბამისი სიჩქარით და მუსიკალური

## ბაბრქილება

თანხლებით. არა ისე, როგორც კომერციულ კინოთეატრებსა და სატელევიზიო ეთერში აჩვენებენ: სინქრონიზირებული თარგმანითა და შეუსაბამო ფორმატით...

საქართველოში მუნიციპალური კინოთეატრის ფუნქციონირების გამოცდილება არ არსებობს. თუმცა, მისი საჭიროება აშკარაა, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ქვეყანაში საბჭოთა წარსულიდან შემორჩენილი კინოთეატრების უმეტესი ნაწილი არ ფუნქციონირებს, ხოლო ის, რაც მოქმედია, კომერციულ კინოზე არის ორიენტირებული. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ კომუნალური კინოები კარგად დაგეგმილი პროგრამირების შედეგად ფილმებს გარკვეულ კონტექსტში წარმოადგენენ: თემატური ან პერსონალური რეტროსპექტივები, კინოს ისტორიის პერიოდების ამსახველი რეტროსპექტივები და ა.შ. ფილმების პროგრამირება ერთგვარ საგანმანათლებლო ხასიათსაც ატარებს. ევროპულ სისტემაში ფილმების ჩვენებებს თან ახლავს მოხსენებები, დისკუსიები ან საღებავი კურსები.

ევროპაში მუნიციპალური კინო კინოფესტივალების ორგანიზების ინიციატორადაც გვევლინება ან ზოგჯერ თავადვე კინოფესტივალების ორგანიზატორი. მუნიციპალური კინოთეატრებისა და მათი ქსელის შექმნით საქართველოში გადამწყვეტი როლი და საერთაშორისო ფესტივალების ყოველწლიურად გამართვის პრობლემაც. ცნობილია, თუ როგორ უჭირთ საქართველოში კინოფესტივალებს არსებობა არაკომერციული დარბაზების არარსებობის გამო. სივრცის სათანადო მონაცემებით კომუნალურ კინოს შეუძლია მასპინძლობა გაუწიოს არა მხოლოდ კინოჩვენებებსა და ფესტივალებს, არამედ ვიდეოარტებისა და მუსიკალურ ფესტივალებს, ასევე ფოტოექსპოზიციებს. კომუნალური კინოდარბაზი შეიძლება იქცეს აუდიტორიად არა მხოლოდ კინემატოგრაფისტების, არამედ ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლებისთვის და, რაც მთავარია, მაცურებლებისთვის.

### კინოარქივი

ფილმის სიცოცხლისუნარიანობა მისი ფიზიკური მდგომარეობის განუყოფელი ნაწილია. ფილმი, პირველ რიგში, ძალიან სათუთი ფიზიკური ობიექტია, რომელიც მოვლას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სწრაფდგრადაციას ექვემდებარება. ქვეყანას მხოლოდ მაშინ აქვს მორალური უფლება, მდიდარ კინემატოგრაფიულ კულტურაზე ილაპარაკოს, თუკი საკუთარი კინომემკვიდრეობის

დაცვის გარანტია აქვს და ამ გარანტიის უზრუნველყოფას მაქსიმალურად ცდილობს.

თუ რა კრიტერიუმებით განისაზღვრება კულტურული მემკვიდრეობა, ხანგრძლივი საუბრის საგანია, თუმცა ცხადია, რომ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტად ფილმის და ხელოვნების ნებისმიერი სხვა ნაწარმოების გადაქცევა დროით ფაქტორს არ უკავშირდება. შესაბამისად, მოვლასა და პატრონობას ისევე საჭიროებს ფილმი, რომელიც საუკუნის დასაწყისში გადაიღეს, როგორც ფილმი, რომელიც ეკრანებზე გასულ თვეში გამოვიდა. მათი კონსერვაციის პირობები კი ერთმანეთისგან მხოლოდ ტექნოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდება.

ფერად ფირს აქვს უნარი, ორი თვის მანძილზე ისე დეგრადირდეს, რომ სრულიად გამოუსადეგარ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. გამოუსწორებლად სავალალო კი ის არის, რომ საქართველოში სახელმწიფოს დღემდე არ აქვს ან არასწორად აქვს გააზრებული, თუ რამდენად სათუთია კინოფირის ბუნება და რომ ქვეყნის არქივებში არსებული თუ რეჟისორების სანოქვეშ მოთავსებული აბსოლუტურად ყველა ფილმი ყოველდღე 24 საათის განმავლობაში გაუფუჭების პროცესშია.

ეროვნული კინემატოგრაფის განვითარება გულისხმობს მისი არსებობის შენარჩუნებას ყველა ეტაპზე. აქვს თუ არა ფილმის შექმნას აზრი მაშინ, როდესაც ის იმთავითვე გასანადგურებლად არის განწირული?

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საქართველოს კინემატოგრაფის ეროვნული ცენტრის მიერ „ქართული კინემატოგრაფის განვითარების სტრატეგია“ პრეზენტაციის გარდა, სამომავლო საქმიანობის პროექტით ასევე „ქართული ფილმი“ წარდგა. პროექტი კინოარქივის დაარსებასა და ფილმების შენახვის მეთოდებს მიმოიხილავდა. „ქართული ფილმი“ გეგმავს შექმნას დიგიტალური საცავი, რაც სტუდიის კინოკოლექციის ციფრულ ფორმატში გადატანას გულისხმობს. ბევრი ადამიანისთვის, რომელიც კონსერვაციის საკითხებში არ ერკვევა, პროექტი შეიძლება ძალიან მომხიბვლელი აღმოჩნდეს. რეალურად კი დიგიტალური საცავის შექმნა პირველ რიგში სათანადო ტექნიკური ბაზის მოწყობას უკავშირდება, რაც დიდ ფინანსებს მოითხოვს. თუმცა, ევროპასა და ამერიკაში არ არსებობს სახელმწიფო არქივი, რომელიც ფილმებს აციფრული სახით ინახავდეს. დიგიტალური საცავის არასტაბილურობის გამო, ის ფილმების

კონსერვაციის საშუალებას არ წარმოადგენს. არამდგრადობა შენახული მასალის მუდმივ მიგრაციას მოითხოვს. ფილმების შენახვის ყველაზე საიმედო გზაა კინოფირების მოვლა და გაფრთხილება. კარგად შენახულმა მასალამ შეიძლება 500 წელს გაუძლოს.

ქართულ კინოს უჭირს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელია, ვითარებას უკეთესი პირი უჩანს: წელიწადში მინიმუმ ორ ქართულ ფილმს იღებენ, გაჩნდნენ პროდიუსერები, რომელთაც იმაზე მეტი იციან, ვიდრე 90-იან წლებში გადაღებული ფილმების ტიტრებში მოხსენიებულმა ახალმა პროფესიონალმა ერთეულმა „პროდიუსერი“. ცოტა უცხოურ კინოფონდებთან თანამშრომლობის და კინოპროექტის განვითარების ევროპული სტანდარტების დაცვის მაგალითები. დისტრიბუციის სისტემის გაუმართაობის გამო, ქართველი პროდიუსერები ხშირად ფილანტროპების შთაბეჭდილებას ტოვებენ. თუკი ისინი კინოს ბიზნესად აღიქვამენ და მოგების ნახვის სურვილიც აქვთ, მაშინ გაუგებარია, რა ლოგიკით აწარმოებენ ფილმებს, როცა იციან, რომ ფილმების დისტრიბუციის სექტორი ჩვენ ქვეყანაში მოუწესრიგებელია. ასევე გაურკვეველია, რატომ არ შეიძლება მოხდეს ძალების კონსოლიდაცია ამ პრობლემის გადასაჭრელად. რეჟისორები უკმაყოფილონი არიან საგადასახადო სისტემით; თავიანთ ძველ ფილმებს სახლში კარადებში ან სანოქების ქვეშ ინახავენ, იმიტომ რომ სამართლიანად არ ანდობენ არქივს ან მათი ფიზიკური არსებობა საერთოდ არ ახსოვთ, სანამ რომელიმე ფესტივალი რეტროსპექტივაზე არ მიიპატიუებს. მაგრამ ისევ და ისევ, ისინი არ ერთიანდებიან და არ ერევიან პრობლემების ერთობლივად მოგვარების პროცესში. ქართველი კინემატოგრაფისტები დაქსაქსულად მოქმედებენ და ცალ-ცალკე აწყდებიან ერთსა და იმავე სირთულეებს.

დღეს არ არის პროფესიული მზადყოფნა იმისათვის, რომ ქართული კინოინდუსტრია ფეხზე დადგეს. შიშველი სიყვარულის ნაცვლად, ქართულ კინოს ყველაზე მეტად ფილმის შექმნის და გავრცელების ყველა ეტაპის მცოდნე პროფესიონალები სჭირდება, რომლებსაც მომავალში ეცოდინებათ, რა მეთოდებით უნდა იბრძოლონ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ეცოდინებათ, რომ გახვრეტილი ნავიდან წყლის პეშვით ამოღების და ნახვრეტზე ფეხის დადგმის ნაცვლად, ჯობია, ნავი შეკეთდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთდეს დიდ ნაოსნობას.



# სხვეზის ქვეყანა

<<< დასაწყისი გვ. 76

უცხად ჯიბმა მოულოდნელად დაამუხრუჭა და საჭესთან მჯდომი ელენას სასწაული რეაქცია რომ არა, შევაჯდებოდით ტრაკზე. ნიშოკმა ელენას გადახედა და თავი გაიქნია, ამ დროს კი ჯიბი უკანასკლით ისე დაგვეჯახა, ერთი-ათი მეტრი გვაგორავა. აღშფოთება ვერ მოვასწარი, რო ჯიბიდან თავგადაპარსული გრიზლი (ალბათ ამერიკელი) გადმოხტა, დაიხარა, ქვა აიღო და პირდაპირ წინა მინაში გვხია. ელენამ უკანსვლით კიდევ უფრო დაგვაშორა გამხეცებულ გრიზლის, რის შემდეგაც ის ჩაჯდა თავის ჯიბში და წავიდა. რა თქმა უნდა, აღშფოთებული კი არა, ბოდიში მომიტხოვია და, ჩაჯმული ვიჯექი უკანა სავარძელზე და კითხვასაც ვერ ვსვამდი – რატომ?

ქაბულში და მთელ ავღანეთში ერთი დაუნერელი კანონი მოქმედებს: ავღანეთის მოქალაქეს არ აქვს უფლება, თავისი დანჯღრეული მანქანით უცხოური ორგანიზაციის მანქანას დაშვებულ მანძილზე მეტად მიუახლოვდეს. არც ეს წერია კანონში და არც ის, თუ რამდენია „დაშვებული დისტანცია“. არც არავის უთქვამს, უბრალოდ, ერთხელ მოხდა პრეცედენტი, რომელიც ლეიტენანტს შეეშინდა უკნიდან მოახლოებულ მანქანაში ტერორისტი ან ვინმე მსგავსი არ მჯდარიყო, გაუჩერა ცხვირწინ მანქანა და უკანსვლით გადაუარა. ქვის სროლა და უბრალოდ მანქანით მანქანაზე, რბილად რომ ვთქვა დარტყმა კიდევ

არაფერია, თურმე ავტომატის ჯერიც მიუშვიათ, მანქანიდანაც გადმოუყვანით და უცემიათ ვილაც-ვილაცები. ასე მოქცევა პოლიციის თვალწინაც კი შეუძლიათ, რის შემდეგაც, შესაძლოა, პოლიციამ დაავლოს იმ საწყალ ავღანელს ხელი, და განყოფილებაში (პოლიციასთან მიმართებაში ამ ტერმინს ვერასოდეს გადავეჩვევი, ალბათ) დასაკითხად მიიყვანოს.

სანამ სასტუმრომდე მივედით, ელენამ და ნიშოკმა ყველაფერი ამისხნეს, მომცეს რჩევები, როგორ უნდა მოვექცეულიყავი, რა არ გამეკეთებინა არავითარ შემთხვევაში და რა შემთხვევებში წავსულიყავი კომპრომისზე. ჩემ სასტუმროს „სერენა“ ერქვა, როგორც ჩემმა მასპინძლებმა მითხრეს, ავღანეთის ყველაზე მაგარ სასტუმროში დამაბინავეს. სიმართლე ვთქვა, სხვა სასტუმროები არც მინახავს, „სერენა“ კი მართლაც უმაღლესი კლასის სასტუმრო იყო თავისი ხუთი ვარსკვლავით და საშინელ სიცხეში უმაგრესი აუზით. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ამ სასტუმროში იყო ეს შუქრია.

ელენა და ნიშოკი მეორე დღეს პაკისტანში წავიდნენ ერთი კვირით და, – არ მოიწყინო, – ისე მთხოვეს, რომ მივხვდი ძალიანაც მოვიწყენდი. ასეც იყო, ამას ხელი შეუწყო ჩემმა უჟმურმა ხასიათმა და, შეიძლება ითქვას, ძალიან მაგარი შანსი გავუშვი ხელიდან, საინტერესოდ გამეტარებინა დრო – ღმერთმა იცის, როდის მოვხვდები კიდევ ამ ქვეყანაში. მაგრამ მახარებს ის ამბავი, რომ შუქრიას ცოლათი მაინც

დავეხმარე, თავისი ცხოვრება უკეთესად მოიწყოს.

სანამ ნიშოკი და ელენა პაკისტანში იყვნენ, ერთადერთი, ვისთანაც ვუერთიერთობდი, შუქრია და ქათქათა თეთრი მამამისი იყო. შუქრია თავის გეგმებზე და ავღანეთზე მიყვებოდა, მამამისი – მთელ მსოფლიოს დედას აგინებდა და მიმტკიცებდა, რომ ავღანელები არიული რასის წარმომადგენლები არიან. ისე, ამ უკანასკნელს მთელი ავღანეთი ამტკიცებს, და თუ კარგად დააკვირდებით ავღანელებს, მართლაც დარწმუნდებით, რომ ისინი არიელები არიან. ყოველ შემთხვევაში, თუ არ დარწმუნდებით, დაიჯერებთ მაინც.

პაკისტანიდან დაბრუნებულ ცოლქმარს შუქრია გავაცანი, რამდენჯერმე ერთადაც დავლიეთ, თუმცა შუქრია არ სვამდა, – არ მიყვარს დაღვევაო. ელენას და ნიშოკს ძალიან მოეწონათ შუქრია და საზღვარგარეთ სასწაულეზად წასვლაში დახმარება აღუთქვეს და, მე რომ ვიცი ელენა და ნიშოკი, ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ, სწორედ ეს ამბავი მახარებს.

აეროპორტში შუქრიას მამაც წამოვიდა ჩემ გასაცილებლად. შუქრიამ ჩემი ცოლისთვის ბურკა გამომატანა, – ჩაიცვას ერთხელ მაინც და იგრძნოს, რას გრძნობენ ავღანელი ქალები, როდესაც სახის დამალვაც კი უნებეთ. შუქრიას ამ სიტყვებზე გამაჟრიალა. ცოტა ცრემლების და გულწრფელი სენტიმენტების შემდეგ ერთმანეთს დავპირდით, რომ ისე არ მოვკვდებოდით, ერთხელ კიდევ რომ არ გვენახა ერთმანეთი და თვითმფრინვაში ჩავჯექი.

სახლში თამარი (ცოლი) და ანდრია (შვილი) დამხვდნენ. თამარამ ბევრი მაკოცა, ანდრია – ვერაფერს ვერ მიხვდა და გაკვირებული უყურებდა დედამისს, რომელიც მკოცნიდა. ეტყობა, გაუკვირდა, – ამდენს რატომ კოცნისო. კოცნა-ხვევნის შემდეგ კი ჩემმა საყვარელმა ცოლმა საყვედური მითხრა, – წერილებს რატო არ მიგზავნიდიო.

ქაბულიდან გამოგზავნილი ჩემი წერილი თბილისში დაბრუნებიდან 12 დღეში მოვიდა, უფრო სწორად, ღია ბარათი. წერილი ჯერ არ მოსულა, მაგრამ შინაარსი ჩემმა ცოლმა უკვე იცის.



### ჰვარცხა. ტაქნიკური პერსონალი და ლეკორაცია

<<< ლასაწყისი გვ. 80

ჩვენ მაშინ ვიცოდით, რომ ქრისტიანები ვიყავით, და ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ, მიუხედავად ბერლინის კედლისა, მსოფლიოს იმ ნაწილთან, ვისაც იესოს აღდგომის სჯერა, ანუ დასავლეთთან ბევრად უფრო ახლოს გვეგრძნოთ თავი, ვიდრე დღეს, მიუხედავად ჩვენი ევროპაში ინტეგრაციისათვის დაულაღვად მოფუსფუსე ამდენი უცხოელი და ქართველი სახელოვანი მელურსმნე ფუნქციონერისა, „სამთავრობო და არასამთავრობო ლიბერალების“ ბევრითი შრომისა.

მე ერთნაირად მიჩუყდებოდა გული მართლმადიდებელი მღვდლებისა და თბილისში ერთადერთი კათოლიკე პასტორის დანახვაზე, და დღემდე ასე ვარ. მღვდლების დანახვაზე გამუდმებით პასკაში ჩარჭობილი, ბეზიარქმის ჩამოქნილი დაგრეხილი სანთლები მახსენდება. აგრეთვე ის, რომ ჩემი სახლიდან სკოლისკენ მიმავალ გზაზე ორი ეკლესია იყო თითქმის გვერდიგვერდ – რუსული და კათოლიკური. ამ უკანასკნელში ორდანი მოსასმენად და გასათბობად შევედიოდი ხოლმე მე და ჩემი ერთი მეგობარი, გაა მაღალაშვილი. რუსულში კი ოქროსფერი ხატების საყურებლად, რომლებიც მართლა ოქროსი გვეგონა. გარდა ამისა, ყოველ დღილას პირველი, რასაც ვხედავდი ჩემი ფანჯრიდან, მთანმინდის მამა დავითის ეკლესია იყო. სამივე ეკლესია ყოველთვის ცარიელი და რატომღაც სულ დათოვლილი მახსოვს (საერთოდ, რატომღაც ჩემი ბავშვობის თბილისი თითქოს სულ და-

თოვლილი იყო, მგონი ზაფხულშიც).

80-იანი წლების დასაწყისში სიონის ეზოში პირველი მელურსმნე თავშალიანი ქალები გამოჩნდნენ, ისინი მრევლის მომატებასთან ერთად თავიანთი შენიშვნებით თითქოს დღითი დღე უფრო აქტიურნი და აგრესიულნი ხდებოდნენ: განსაკუთრებით გოგონებს ერჩოდნენ, მათ ჩაცმის მანერას.

მერე თანდათან დატუქსვის დიაბაზონი გააფართოვეს: შექმლით ერთი ამბავი აეტეხათ სიცილის ან ეკლესიის ეზოში სიგარეტის მოკიდების გამო, საერთოდ ათასი რამის გამო – მოკლედ, წესრიგს ამყარებდნენ, თანაც გამუდმებით ფართო პირფარას იწერდნენ – თითქოს ვიღაცის ჯინაზე, რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ერთგვარი ეგზოზიონის-ტური აგრესიული გულმოდგინებით.

გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ, როდესაც მრევლის რაოდენობამ საოცარი სისწრაფით მოიმატა, ერთუზიასტებმა სულ აიწყვიტეს, თითქოს რაღაც ფუნქციაც კი დაეკისრათ, მხოლოდ ამ ფუნქციას სახელი სულ ახლახან მოვუძებნე, როდესაც ჩემმა შვილმა პირველი მელურსმნე დახატა.

„თავისუფლების დამთრგუნველთა“ ახალი ტიპის ჩანასახმა ნელ-ნელა ნაკვთები შეიძინა.

9 აპრილმა და ანთებული სანთლებით ხელში, მუშტმოლერებულმა „მამაო ჩვენოს“ სექტანტური, კოლექტიური ბლავილის ტრადიციამ, ქალების მიერ ყელმოლერებული ღვთისმშობლის ხატების თეატრალურმა ეროვნულმა „სუბკულტურამ“ პირველი „რეპეტიცია“ სწორედ იმ დღეებში გაიარა და სულ რამდენიმე კვირაში თბილისელები და მერე მთელი საქართველო ამ უნიჭო ტრაგიკომედიის პროფესიონალ ფიგურანტებად გადააქცია.

მელურსმნეების ეს პირველი სერიოზული გამარჯვება მოგვიანებით, სამოქალაქო ომის დროს მათ რენესანსად გადაიქცა.

ამ ომს მე თავად არ შევსწრებივარ, მაგრამ სამაგიეროდ ომამდე ორი თვით ადრე ტელევიზიისა და მთავრობის სასახლის წინ დაბანაკებული სიძულვილით კბილებამდე შეიარაღებული ადამიანები მყავს ნანახი, აგრეთვე – მათ გარშემო მოფუსფუსე მელურსმნეები, რომლებიც, პირველივე გასროლის შემდეგ სადღაც გაქრნენ, მერე ისევ მოიკრიბეს გაბედულება და სახლის კუთხეებიდან ცხვირები გამოყვეს: კიტოვანის რომელიმე ბრიყვის მიერ ყოჩაღად ნასროლ ყუმბარას აპლოდისმენტებს უმართავდნენ. ეს უკვე ტელევიზიით ვნახე.

მაშინ დაწყებულმა მძიმე არტილერიულმა და მსუბუქმა წყევლა-კრულვამ დღეს ბევრად უფრო გამძვინვარებული, მხოლოდ რაფინირებული ფორმა მიიღო. ნამდვილი კურიოზია: დღეს შეუდარებლად ბევრი მორწმუნეა საქართველოში ვიდრე სსრკ-ს აგონიისას, არასოდეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ასე ძლიერი არ ყოფილა, როგორც ჩვენ რევოლუციურ ეპოქაში, სიძულვილი კი გაცილებით მეტია ადამიანებს შორის, ვიდრე ჩემ წითელ წარსულში. სიძულვილი ყოველივე უცხოს, გარე სამყაროს მიმართ, ასევე მოყვასის, შინაურის მიმართ.

არ ვიცი, დაუსვამს თუ არა ეს კითხვა ქართულ ეკლესიას თავისი მოღვაწეობის გათვალისწინებით, თუ შეჰპარვია ეჭვი, რომ იქნებ ამ საყოველთაო სიძულვილში მას ისეთივე პასუხისმგებლობა აქვს ასაღები, როგორც სიყვარულში? როგორ ხდება, რომ ჩვენ, მართლმორწმუნე მართლმადიდებლები, სხვისი ღმერთის სიძულვილში უფრო ხალისით ვერთიანდებით, ვიდრე საკუთარი ღმერთის სიყვარულში და ამას ქრისტიანობას ვუნოდებთ?

ჩვენთვის მოყვასი, რომლის სიყვარულიც ასე გვთხოვა იესომ, რომლის გამოც ჯვარზე გაეკრა, მხოლოდ ქართველია, აუცილებლად მართლმადიდებელი, და ისიც მხოლოდ მარხვის დღეებში, წლის დანარჩენ „სიძულვილით ხსნილ დღეებში“ კი იესო და მისი სწავლება თავისი ათი მომაკვდინებელი ცოდვის შესახებ – კარგ ამინდში გამოუსადეგარი ძვირფასი „დუბლიონკასავით“ ნაფტალინში გვაქვს შენახული.

1972 წელს, 13 წლის ასაკში ჩემში, ისევე როგორც ჩემი თაობის ბევრ თბილისელში ერთდროულად თავისუფლების სიმბოლოდ შემოსული იესოც და როკიც ჩემთვის ისევ თავისუფლების სიმბოლოებად დარჩნენ დღემდე, სამწუხაროდ ისევ „ანდერგრანდში“, როგორც მაშინ გორკის კლუბის გაყინულ პარკში.

როკი საქართველოში ისევე არ შედგა, როგორც ახალი, ხელმეორედ გაქრისტიანება. პირველი ვარდისფერმა ახალგაზრდა მელურსმნეებმა ბრჭყვიალა სარკებიან ბურთში ჩატენეს და „ეროვნული დისკოთეკის“ ჭერში ჩამოკიდეს, მეორეს – იესოს, ფსევდომართლმადიდებელმა მელურსმნეებმა პროკურორის ფუნქცია მიანიჭეს, ზეცა რაღაც პენიტენციურ ზონად გამოაცხადეს, ცხოვრება კი ერთგვარ გამუდმებულ მორალური სასამართლო პროცესის სეველიან ფარ-

სად აქციეს, სადაც დაცვის უფლებააყრილი, გამუდმებით ბრალდებულის გალაში ხარ უადგოკატოდ გამოკეტილი. ამ პროცესიდან ერთადერთი გზა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, სადაც მიდის.

3.

საქართველო ტოტალურ ანარქიულ დაპირისპირებათა, კონფლიქტთა „მდიდარი“ გამის ქვეყნად ჩამოყალიბდა. ვერ ვიხსენებ სხვა ისეთ ქვეყანას, სადაც ერთდროულად ამდენი განსხვავებული კონფლიქტი მიმდინარეობდეს, მით უმეტეს ისეთი უკიდურესად ისტერიული ფორმით, რომელიც მხოლოდ ჩვენ გვანასიათებს: პოლიტიკური, სოციალური, აღმსარებლობითი, ინტელექტუალური, კულტურული, ეთნიკური, სეპარატისტული... აგრეთვე საგარეო-სამხედრო კონფლიქტი რუსეთთან. თვით ყველაზე ცხელი აღმოსავლეთის კონფლიქტური ქვეყნებშიც კი, თუ ერაყელ შიიტებსა და სუნიტებს არ ჩავთვლით, დაპირისპირებულ მხარეებს რაღაც მცირედი მაინც აერთიანებთ...

21-ე საუკუნის გონებისათვის ჩვეულებრივი ლოგიკით გასაგებ პრობლემურ ქვეყანაზე მეტად, ჩვენი სამშობლო რაღაც ბიბლიური ბაბილონის თანამედროვე კავკასიურ მიზანსცენას უფრო წააგავს, სადაც ღმერთმა, სხვადასხვა ენაზე მოყაყანე ბაბილონელებისაგან განსხვავებით, ადამიანები კიდევ უფრო მარტივი სისასტიკით დასაჯა – აქ დიდებულნიც და უბრალონიც, ღვთის მოშიშნიც და მისი სახელის მგმობელნიც – ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობს, და მაინც არაფერი ესმით ერთმანეთის, მათი „ქალაქი“ ღმერთმა ჯოჯოხეთის ცხრა გარსის მეათე დანამატად გადააქცია, სადაც მხოლოდ მილურსმნეები გრძნობენ თავს ბედნიერად, ისიც იმიტომ, რომ დროში და განწყობილებებში წანწალის შეუდარებელი უნარი აქვთ, აგრეთვე ქამელეონები არიან და, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, მათ ვერც სიკვდილი ამჩნევს და ვერც სიცოცხლე.

თუმცა, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ფოტოგრაფიის, მოგვიანებით კი კინემატოგრაფის წყალობით, მათი დოკუმენტურად დადასტურებული ვიზუალური კვალი მდიდარმა არქივებმა მაინც შემოგვინახა. ამ არქივების გამოყენება საზოგადოების ყველაზე მძიმედ დაავადებული ნაწილის, ახალი თაობის პოლიტიკოსების მკურნალობისათვის გარკვეული მეთოდის შემუშავების შემდეგ, ჩემი აზრით, საკვებით რეალურია. აუდიო-ვიზუალური თე-

რაპიის მეთოდი კი ძალიან მარტივად, თითქმის ბორჯეს-კუბრიკის „მექანიკური ფორთოხლის“ მიხედვით შეიძლება შეიქმნას, მხოლოდ ცხადია, „ალექსის“ ნაცვლად იძულებით კინოსენასზე გაკოჭილები ქართველი თანამედროვე პოლიტიკური და ინტელექტუალი პარანოები უნდა დავსვით, და ძალით ვაყურებინოთ სპეციალურად შერჩეული არქივები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, ძველი სატელევიზიო გადაცემები.უნდა ვაყურებინოთ საკუთარ „ვინტიჯ“ ვიდეო ანარეკლები, მოვასმენინოთ საკუთარი ხმა წარსულიდან, საკუთარი პრიმიტიული იდეები, ხუმრობები, პროპაგანდა... ვუჩვენოთ საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი წარმატებები 1917 წლის რევოლუციის 20 წლის თავზე: ისევე როგორც დღეს, სსრკ-ს დანგრევიდან ოცი წლის თავზე, მაშინაც დაახლოებით იგივე წარმატებებით იწონებდა ქვეყანა თავს: ქვეყნის ელექტროფიკაციით, პირველი საბჭოთა ტრაქტორებით, ბავშვთა სახლებით, ახალი სანატორიუმებით, პარკებით, კარუსელებით, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებით...

ეს ყველაფერი მართლაც არ არსებობდა რევოლუციამდე. თუმცა ავადმყოფებს გამუდმებით უნდა შევხსენოთ, რომ ეს 1937 წელია, დიდი რეპრესიების წელი... როდესაც ადამიანის უფლებებზე ფიქრიც კი სიკვდილით ისჯებოდა.მსოფლიოც, საყოველთაო ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე, ყველაზე ბარბაროსული ომისათვის ემზადებოდა.

1923 წელს ბენიტო მუსოლინიმ მსოფლიოში პირველი ჩქაროსნული ავტობანის მშენებლობა დაიწყო იტალიაში. მას ადოლფ ჰიტლერმაც მიბაძა 1938-ში...

ყველანი ერთნაირად საუბრობდნენ საკუთარ წარმატებებზე. გერმანელი და იტალიელი ფაშისტებიც და საბჭოთა კომუნისტებიც, ჩვენი გულუბრყვილო ახალგაზრდა პოლიტიკოსებისათვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა, მოესმინათ ამ ადამიანების მიერ წარმოთქმული დაახლოებით იგივე ფრაზები საკუთარ წარმატებებზე, რომლებითაც დღეს თვითონ 21-ე საუკუნის პროგრესისტები ქართველ მოსახლეობას ესაუბრებიან: ავტობანებზე, ბედნიერ ბავშვობაზე, მშენებარე ობიექტებზე, გარე და შიდა მტრებზე, ომის განუწყვეტელ რეალურ სამშრომლობაზე, სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაზე...

ტექნოლოგიური და გარკვეული სახის სოციალური პროგრესი ტირანიის დამახასიათებელი შემადგენელი დეტალები, თუ გნებავთ ლურსმნებია. მაშინ მსოფლიო მართლაც

ყველაზე საზარელი ომისაკენ მიექანებოდა დუჩესა და ჰიტლერის აშენებული ჩქაროსნული ავტობანებით, და მოგვხსენებათ, ძალიან სწრაფადაც მიაღწია კიდევ.

ტირანებს გულწრფელად უყვართ თავიანთი სამშობლო. ისინი ენერგიას, სახსრებს, და განსაკუთრებით ადამიანების სიცოცხლეს არ იშურებენ მისი „კეთილდღეობისათვის“, მსხვერპლშენიშნის იდეა მათ ეპოქის, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, აუცილებლად აერთიანებთ.

ისინი თვლიან, რომ მოსახლეობა იყოფა ორ ნაწილად: მშრომელ და მუყაით ადამიანებად, და ზარმაც პარაზიტებად. ზარმაცები უნდა გაისრისონ!

ზარმაცებისა და პარაზიტების კატეგორიას კი თავად ადგენენ: ბოლშევიკებისათვის ეს ბურჟუები და კულაკები იყვნენ, ნაცისტებისათვის ებრაელები, ხეობრები, ბოშები, შომოები... ეს ყველა კატეგორია თავისი არსით გაჭრილი ვაშლივით წაგავს ერთმანეთს. რადგან ყოველთვის მოიძებნება ისეთი სოციალური კატეგორია, რომელიც საზოგადოების მუყაით ნაწილს ტვირთად აწვება ზურგზე. საქართველოში დღეს არსებობს ასეთი კატეგორიები და ეს შემადრწუნებელია.

რომ შემეძლოს, საბჭოთა ქრონიკების იძულებითი ჩვენებითა და მოსმენით მე მათ ვაიძულებდი, საკუთარი თავის იდენტიფიკაცია მოეხდინათ მათივე წინაპრებთან, ვაიძულებდი თავიდან მოეშორებინათ ეს გულუბრყვილო იდეა, საკუთარი თავის იზოლირებისა ჩვენი საერთო სასტიკი წითელი ისტორიული წარსულიდან, შეეცდებოდი განმეკურნა სხვა დროსა და სივრცეში გადასახლების ინფანტილური ობსესიისაგან, რადგან საკუთარ წარსულში საკუთარი თავის იდენტიფიცირების უნარსმოკლებული თაობა, ვერასოდეს ვერ შეძლებს ახალ ეპოქასთან იდენტიფიცირებას. ის ყოველთვის აცდენილი იქნება რეალობას: რადგან წარსული ისეთივე დროა, როგორც აწმყო და მომავალი. მისი გამოცალკევება და მტვრიან თაროზე შემოდება მეტაფიზიკურად არღვევს სამყაროს, რომელშიც ცხოვრობ, და მას შეუძლებელს ხდის.

ამ თაობის სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი კი საქართველოა, რომელიც მათ არც მეტად ეკუთვნით და არც ნაკლებად, ისევე, როგორც ამ მიწაზე დაბადებულ ნებისმიერ სხვა ადამიანს: ნებისმიერი ეროვნებისა და რელიგიის, ნებისმიერ სექსუალური ორიენტაციის, თუ გნებავთ, უკვე კარგა

ხნის წინ მკვდარს, გამქრალს და ასევე ჯერ კიდევ არ დაბადებულ ადამიანს... მათ შორის, ჩაპაევის სინდრომით შეპყრობილ 30-იანი წლების კულტურის კომისრებსაც, მათ თანამედროვე სოზებსაც და ცოტათი – მეც.

სხვა ხელოვანი მელურსმნეებიც აქტიურად ფუსფუსებდნენ ამ დღეებში, განსაკუთრებით ამასწინდელი ქუთაისური Big Bang-ის, და თავიანთი კოლეგის, ბერძენიშვილის თავს სიურპრიზად დამტყდარი უბედურების გამო. უცებ აღმოაჩინეს, რომ „მემორიალი მაინც უშნო იყო და სალაპარაკოდ არც ღირს, რომ ჯობია დალუპულ დედა-შვილზე ვიტიროთ“.

საერთოდ, ძალიან ადამიანურები აღმოჩნდნენ, მხოლოდ თავიანთი თანამოძმე ბერძენიშვილისთვის მისამძიმრება არც უფიქრიათ, ეტყობა ემოციური შოკისაგან დაავინწყდათ, რომ შვილის სიკვდილი, ვიღაცის ვულგარული აზრით, „ხეივანისა და შეუხედავისაც“ კი, ტრაგედიაა.

ეს ყველაფერი ხანდახან გაცოცხლებულ ფანტასტიკას ემსგავსება და მეჩვენება. რომ ქართველი მელურსმნეები მალე „იდეოლოგიურ ესთეტიურ პოლიციას“ შექმნიან, რომელიც გამოავლენს „საექვო იდეოლოგიის“ კულტურის ძეგლებს, წიგნებს, ნახატებს და ადგილზე გაანადგურებს მათ.

მეჩვენება, რომ ფანტომი მელურსმნეები ბეჯითად ახორციელებენ ცხადში, რეი ბრედერის „ფარენგეიტი 451“-ს, ყოველ შემთხვევაში „საექვო იდეოლოგია-ესთეტიკის“ შემცველი ნამუშევრების გამოვლენისათვის დიდი ენთუზიაზმით მოღვაწეობენ, რომ მერე გვერდით გადაგნენ და პროფესიონალებს დაუთმონ ასპარეზი: პროფესიონალ პირობან მენახნდრებსა და ამფეთქებლებს კი რა დალევს საქართველოში.

წარმომიგდენია, რა სიამოვნებით ააფეთქებდნენ პიკასოს გერნიკას, მის მტრედებს მაკრატლით ფრთებს დააჭრიდნენ, დაწვადნენ ბუნუელის, ეიზენშტეინის ფირებს, სარტრს, მაიაკოვსკის, ანდრე ბრეტონს, ლუი არაგონს, მინასთან გაასწორებდნენ კორბუზიეს არქიტექტურას – ისინი ხომ ყველანი კომუნისტები, ანუ „საექვო იდეოლოგიის“ მატარებელნი იყვნენ.

მე პირადად საქართველოში და თბილისში აღმართული ცხენიანი მეფეები, საერთოდ ქანდაკებების და მით უმეტეს ბიუსტების უმეტესობა სულაც არ მომწონს, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის ძეგლების, ასევე ვაკის პარკში „სტევენ კინგის“ პერსონაჟების კომპლექსის ჩათვლით. მით

უმეტეს, თავად ახალი მოდერნ არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ისეთი „საექვო“ ნიმუშები, როგორც არის მაგალითად ოქროს მამალი მერიის წინ, ოქროს სან-მისიანი მედეა ბათუმში ან ოქროს პრომეთე. ალიევის მემორიალზეც არ ვგვიფიქრობს მაინცა და მაინც, ასე მგონია, დემოკრატიული მოძმე აზერბაიჯანის დიდ შვილს, გეიდარ ალიევიჩ ალიევს შავი ოქროს მემორიალი, „ბენზოკალონკა“ უფრო მოუხდებაო.

ჩვენი სახლების, ჩვენი მშობლების, სასაფლაოებზე ჩვენი ბებიების და ბაბუების ქანდაკებებიან და მარმარილოზე კალკირებულ ფოტოებიან „არაჩვეულებრივ გამოფენებზე“ აღარაფერს ვამბობ... ავაფეთქოთ, ტრაქტორები გადავატაროთ ვაკისა და საბურთალოს თვალუნდევნელ სასაფლაოებს. და იქ პრესტიჟული გამჭვირვალე საცხოვრებელი უბანი დავაპროექტებინოთ ნიდერლანდელ არქიტექტორებს. ბევრლი ჰილზე უფრო მაგარი. კუკია მოვაასფალტოთ და კავკაზ-დისნეი გავხსნათ, ხოლო მუხიანში ახალი ლას ვეგასი ავაშენოთ და ოფშორულ ზონად გამოვაცხადოთ...

საფრანგეთში, მეორე ფრონტის რეგიონებში, ნორმანდიის, კალეს ყველა სოფელში დგას მემორიალი, ზოგი ისეთი საშინელებაა, მასთან შედარებით ბერძენიშვილის აფეთქებული ნამუშევარი სიქსტის კაპელად მოგეჩვენებათ, მაგრამ გაბედეთ და თითი დააკარეთ რომელიმე მათგანს, მით უმეტეს ადმინისტრაციული შენობის აგების პრეტექსტით.

მერე რა, თუ ვიღაცისათვის ქუთაისის მემორიალი „საექვო ესთეტიკისა“ იყო... მერე რა... მემორიალი საფლავის ქვაა. საფლავის ქვები კი ყოველთვის უშნოა, და მათ ამის გამო არ აფეთქებენ. მასხოვრობას არ აფეთქებენ. ის თავისთავად ბუნებრივად უმტკივნეულოდ იხსნება, ზავდება დროში. (memoir, memoir, მახსოვრობა).

სულ რაღაც ორი თვის წინ საფრანგეთის საზოგადოებრივი არხის „ფრანს 2“-ის დაკვეთით ფრანგმა დოკუმენტალისტებმა, იზაბელ კლარკმა და დანიელ კოსტელმა გადაიღეს ყველაზე გრანდიოზული დოკუმენტური ფილმი მეორე მსოფლიო ომის შესახებ, სათაურით „აპოკალიფსი“. ეს არის ექვსი ფილმისაგან შემდგარი 52-წუთიანი დოკუმენტური ფილმების სერია, რომელიც ნამდვილ მოვლენად გადაიქცა დასავლურ არხებზე. რამდენიმე დღის წინ ერთმა ჩემმა რუსმა მეგობარმა დამიდასტურა, რომ ამ

ფილმის ნახვით მეორე მსოფლიო ომის შესახებ მთელი მისი წარმოდგენა შეიცვალა, რომ ყველაფერი რაც ლენინგრადში სკოლაში ასწავლეს, თავდაყირა დადგა, რომ ამ ომში ყველას თანაბრად აქვს მონაწილეობა მიღებული. რომ იყო კეთილი მხარე და ბოროტი, ანუ გერმანია თავისი მოკავშირეებით. და რომ საამაყოა, როდესაც კეთილი მხარის სიაში უდავოდ ხარ, რადგან ეს უტყუარი დასტურია შენი ეროვნული ისტორიული მორალისა.

ამ კეთილ მხარეში საკუთარი როლის უნიკალურობის გაზვიადებას დღემდე ყველა ქვეყანა ცდილობს, ისინიც კი, ვისაც პრინციპში სატრაბახო ბეგრი არაფერი აქვთ.

მაგალითად საფრანგეთი ექვსწლიანი კოლაბორაციის შემდეგ საქართველოზე ნაკლები ადამიანური დანაკარგით დღეს როგორც გამარჯვებული ქვეყანა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრია. გამარჯვებულთა ამ აბსოლუტურად უსამართლო კლუბის მეორე წევრი ასევე გამარჯვებული რუსეთია, რომელსაც ჩვენი ტერიტორიების 25 პროცენტი აქვს ოკუპირებული, აგრეთვე ჩვენი მფარველი ამერიკა, ბრიტანეთი... ისინი რუსეთს ვერაფერს ეუბნებიან, როდესაც ის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დამკვირვებლებს პანჭურის კვრით ადგებს. არც არის გასაკვირი, რა თქმა უნდა, ყოფილი თანამებრძოლები არიან, ერთმანეთის სოლიდარულნი... მათ ხომ ომი მოიგეს!...

ჩვენ კი, რატომღაც, საკუთარი სურვილით გამოვდივართ ამ „კეთილთა“ კლუბიდან და რაღაც გაუგებარ პასიურ მდგომარებაში ვიყენებთ თავს ბალტიის ქვეყნებით, რომლებსაც თავისი სრულიად განსხვავებული ისტორიული პოზიცია და მორალი აქვთ ამ ომთან დაკავშირებით.

მე მემამყება, რომ ქართველებს, ჩემ უახლოეს ოჯახის წევრებს იმდენივე ინვესტიცია აქვთ ჩადებული ევროპის განთავისუფლებაში, რამდენიც ბრიტანელებს, ამერიკელებს, რუსებს. თუმცა არ ვთვლი, რომ მაგალითად ფრანგებს, ან ბრიტანელებს ჩემი რაიმე მართებთ, პირიქით, მათ ისევე დაიცვეს საქართველო, როგორც ქართველებმა ისინი. ქართველი პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალებს დიდი ნაწილის მოსმენის შედეგად ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ საბჭოთა სკოლაში ან უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ ისტორიის წიგნი აღარ გადაუშლიათ. რომ ახალ თაობას ან საერთოდ არ ასწავლიან ისტორიას, ან სა-

ბჭოთა წიგნებით ასწავლიან, რადგან ჩვენი საკუთარი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი აბსოლუტურად განითლებული დავტოვეთ, და დავივიწყეთ.

ჩვენ კი უბრალოდ განზე ვდგებით ამ საერთო ისტორიიდან, და ჩვენ დამსახურებას სხვებს ვჩუქნით. თავად კი, სტალინის ეთნიკური წარმომავლობის გამო, მხოლოდ ბოდიშებს ვუხდით მსოფლიოს.

გაეროს უშიშროების საბჭოს იმდენივე სისხლი მართებს ქართველებისა, რამდენიც რუსების. ჩვენ კი თითქოს გვრცხვინია ამ ომში მონაწილეობის.

ვინ იცის, ბერძენიშვილის მონუმენტის ადგილზე, პარლამენტის ნაცვლად, იქნებ

მსოფლიოში ყველაზე დიდი, ხეოფსზე დიდი შუშის ან სულაც ბროლის პირამიდა აუგონ საქართველოს მზეს, ორმოცს გადაცილებულ უკვე არც ისე ნორჩ ფარონს.

დარწმუნებული ვარ კულტურის სამინისტროს, რომელმაც სიტყვა კულტურას თავისი საბჭოთა (კულტი + ურა!) მნიშვნელობა დაუბრუნა – ღმერთის, ბიუჯეტისა და ამ ურა ხელოვნებაზე „გაგიჟებული“ ქართველი ძუნწი ბიზნესმენების წყალობით, საჭირო თანხის მოპოვება არ გაუჭირდება.

ამასობაში სამთავრობო და არასამთავრობო ლიბერალი ქურუმები და მელურსმენები პატრიარქის საიდუმლო „წმინდა ქსელსაც“ ახდიან ფარდას, ჩვენი ეროვნული აგენტურა

სამშობლოს ყველა მოლაღატეს, რომელთა რიცხვი დღითი დღე საოცარი სისწრაფით მატულობს, აუცილებლად დაიჭერს, ისეთ დღეს დააყრის, მკვდარსაც კი აატირებს. ამასობაში პუტინი და მედვედევი ერთმანეთს დაჭამენ. ავღანეთის „ზბორებიდან“ დაბრუნებული ქართველი გმირები „ვერაგი მონღოლების მემკვიდრე ურდოს“ კუდით ქვას ასროლინებენ, და ეს გასამხედროებულ-გაპატრიოტებული მოწყენილი საქართველოც ბოლოს და ბოლოს გაბრწყინდება, აბა, რა ჯანდაბა დაემართება...

3 იანვარი 2009



# რაფიკა

<<< ლასანყისი 88

– შეიძლება იყავით კიდეც, სანამ განხეთქილება არ მოხდა ჩვენ ეკლესიებს შორის, – არ გადაუხვია კორექტულ საზღვრებს რაფიკამ.

– კარგი, ვთქვათ, განხეთქილება მოხდა და მოამაგე მესროპი დავივიწყეთ. ჯაგამ რალა დააშავა? – არ დავივიწყე ახლად აღმოჩენილი გენიალური თანამემამულე მე.

– მოდი მე გკითხავ. თქვენი ლეონტი

მროველი რომ ამბობს, – ანბანი ფარნავაზმა შექმნაო, – გჯერა? – ეშმაკურად მკითხა რაფიკამ.

– ჩვენი მრგლოვანი ანბანი ბერძნულის მიხედვითაა შექმნილი და ქრისტიანობის პროდუქტია, ლეონტი მროველი შეიძლება სხვა ანბანს გულისხმობს ან სხვა პრინციპს (ის ხომ „მნიგნობობაზე“ ლაპარაკობს და არა რომელიმე კონკრეტულ ანბანზე), მაგალითად, ალოგლოტოგრაფიას.

– თუ ფარნავაზმა სხვა ანბანი შექმნა ან სხვა, ვთქვათ, ალოგლოტოგრაფიულ პრინციპს დაუდო საფუძველი, ვინ შექმნა მრგლოვანი ანბანი, შეგიძლიათ თქვათ? – ჩემი და მთელი საქართველოს კედელთან მიყენება დააპირა რაფიკამ.

– არ გვაქვს ცნობები, – ფრთხილად შევთავაზე მე.

– თქვენი გამკვირვებია, ბატონო ქართველებო, – განაცხადა კმაყოფილმა რაფიკამ. – უმადურები არ ვართო და რა დაგიშავათ ანბანის შემოქმედმა, რა უყავით მისი სახელი? ცოტა უცნაურად არ გეჩვენება, რომ ანბანის შემოქმედის სახელი არ იცით, რუსთაველის ბიოგრაფია არ იცით, თამარ მეფე სად დამარხეთ, დაგავინყდათ; რუსთაველი, გურამიშვილი, ბესიკი, ბარათაშვილი რომ უცხოეთში დაიხოცნენ, ეს ნორმალურია? – გლობალურად შემოგვითია ისტორიულმა მეზობელმა, არ შეარჩინა ვარსკენს, თესლ-ტომს რომ აგინებდა დიდი მესროპ მამტოციის მეგობრის, ვარდან მამიკონიანის ასულს.

– კომიტას ვარდაპეტი რომ პარიზის ვილჟიფის ფსიქიატრიულ კლინიკაში ინვა ოცი წელი და უპატრონოდ გარდაიცვალა, ნორმალურია? სომხეთის ნამდვილი დედაქალაქი რომ უცხოეთში გქონდათ და თქვენი სულიერების ცენტრი რომ ჩვენი თბილისი იყო, ნორმალურია? სახელმწიფო რომ არ გქონდათ და დედაქალაქი გქონდათ, თანაც უცხოეთში, ნორმალურია? – არ შევარჩინე მე. კომიტასის სულიერი დაავადების ხსენებაზე ფერი ეცვალა რაფიკას, არ ეგონა, თუ ვიცოდი. ის აღარ ვაკადრე, შიზოფრენია და ვენერიული დაავადება რომ კლავდა და არა გენოციდით გამოწვეული სულიერი შოკი, რადგან არავინ იცის, რა უფრო კლავს ადამიანს.

– ვინ თქვა, რომ თბილისი სომხეთის დედაქალაქი იყო? – ისე იკითხა რაფიკამ, თითქოს ასეთი რამეები მართლაც არასოდეს გაეგონა.

– თუნდაც აგასი აივაზიანმა, შესანიშნავი ნოველის, „ავღაბრის სახარების“ ავტორმა, სხვათა შორის, თბილისელმა.

– ესე იგი, არ აღიარებთ, რომ მესროპმა შეგიქმნათ ანბანი? – პირველ სიტყვას დაუბრუნდა რაფიკა, რადგან საუბარი აშკარად მისთვის არახელსაყრელი მიმართულებით ვითარდებოდა.

– რა თქმა უნდა, არა, – ვუპასუხე მე და მეხუთე საუკუნის შემდეგ დაბადებული და მომავალში დასაბადებელი ყველა ქართველის სუნთქვა ვიგრძენი.

– მაშინ ბოლო არგუმენტს გეტყვი, – მომახსენა რაფიკამ.

– ვიცოდი, რამე რომ გექნებოდა შენახული, – კიდევ ერთხელ არ ვაპატიე საფოსტო მარკის ამბავი.

– ბერძნული ანბანი როგორ შეიქმნა, პატარა და დიდი ასოები ერთად ჩამოყალიბდა? – ჩემი ავტორიტეტის აღიარებით დაიწყო რაფიკამ.

– არა, რა თქმა უნდა. შეიქმნა ერთი ბერძნული ანბანი და ეს იყო ის, რასაც ახლა მთავრულ ანუ დიდ ასოებს ვეძახით. ლათინურიც ასე იყო, კირილიცაც, ქართულიც და სომხურიც. მხოლოდ საუკუნეების შემდეგ სწრაფი წერისას ჩამოყალიბდა პატარა ასოები, – აკადემიურად და კომპუტერულად ჩამოვყალიბებ ფონეტიკური ანბანური სისტემის განვითარების საყოველთაოდ აღიარებული ქვემარტივება მე.

– ქართულის შემთხვევაში ეს ნუსხურია ანუ ხუცური? – ცბიერად იკითხა რაფიკამ.

– კი ბატონო, – ვაღიარე საკითხში მისი ჩახედულობა მე.

– ბერძნებმა, რომაელებმა, სლავებმა, სომხებმა ეს დიდი და პატარა, მთავრული და ნუსხური ასოები იკმარეს და თქვენ რატომ არ გაჩერდით, ახალი მხედრული რატომ შექმენით? – როგორც იქნა „დამაჯახა“ თავისი მთავარი შეკითხვა-არგუმენტი რაფიკამ.

– ასეთი დაუოკებელი ხალხი ვართ და იმიტომ, – არც ისე დამაჯერებლად ვუპასუხე მე.

– არა, ლევანჯან. არა ახბერჯან. მხედრული იმიტომ შექმენით, რომ მთავრული მესროპის ნაჩუქარი იყო და ნუსხური მისგან განვითარებული, მხედრული კი საკუთრივ თქვენი შემოქმედებაა, ის უკვე არავის და არაფერს არ ჰგავს, რა თქმა უნდა კუთხოვანი ნუსხურიდან მომდინარეობს, მაგრამ თაღოვან-რკალოვანია, მას სულ სხვა გრაფიკული ფილოსოფია უდევს საფუძვლად, მოკლედ, სომხურს აღარ ჰგავს: თქვენ თქვენი ახალი მხედრული ანბანით მოკალით მესროპ მაშტოცი თქვენში, თქვენ უარი თქვით მის ნაჩუქარზე. ის ამბავი, რომ თქვენ ახალი ანბანი შექმენით, ჩემთვის საკმარისი არგუმენტია მესროპის მიერ ქართული მთავრული ანბანის შექმნის ჰიპოთეზის დასამტკიცებლად.

– შენთან დიდი ბოდიში, ახპერ რაფიკაჯან, მაგრამ თქვენ თუ ასეთი უტყუარ

რი არგუმენტებით ამტკიცებთ ხოლმე სამეცნიერო თეზებს, მოსე ხორენაცისა და კორიუნს ღირსეული ცვლა გაჩენიათ, ვერაფერს ვერ იტყვი, – დავუნუნე ფინალური არგუმენტი მე.

– მე ჩვენი ისტორიკოსების მჯერა, – უყოყმანოდ განაცხადა რაფიკამ.

– მე ჩვენი ისტორიკოსების მჯერა, – არ მოვიცვალე ფეხი მეც.

– სად გყავთ ისტორიკოსები, თქვენ ხომ პოეტების ქვეყანა ხართ? – ბებიჩემის, ივლიტა ბერაის ტერმინით რომ ვთქვა, „ირონია გამიკეთა“ რაფიკამ.

– პოეტი კაცისგან პოეტების ირონიულად მოხსენიება გამკვირვებია. ქართველი პოეტები თუ არ მოგწონთ, რუსთაველს რას გადაეკიდეთ? ხელები შორს რუსთაველისგან! – ვისროლე, როგორც იქნა, დღის ლოზუნგი.

– მე რუსთაველის სომხობაზე არასოდეს მილაპარაკია, ეგეც ქართველების მოფიქრებული პროვოკაციაა და სომხების მიერ სულელურად ატაცებული. ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეში, სულ ცოტა, დედით ქართველი ნიკო მარის ხელი ურევია. ისე რუსთაველისგან თქვენც კარგა შორს ხართ, როგორც სამართლიანად გამხილათ ასტაფიევმა.

– აპაპაპა, ასტაფიევი და რუსები არ გვინდა, – შეიცხადა მიმა პოლიაკოვმა, – ვიქტორ ასტაფიევის რაც რუსებზე და სომხებზე აქვს ნათქვამი, არ გამახსენებინოთ, კარგი არაფერი იქნება.

– *აჲ ოი ἄ ἄ ἰ ὄν ἄ ὄν* „*Ек орос і о аѳоіо* , *Так погребали они конеборного Гектора тело* „, „ასე დაკრძალეს ცხენების მომთვინიერებელი ჰექტორის გვამი“, – განაცხადა ვადიმ იანკოვმა და „ილიადას“ დასასრულით ხაზი გაუსვა კავკასიური დებატების პირველი რაუნდის ფინალს. მე კი გამახსენდა რომან მიმინოშვილისეული თარგმანი, „ასე დაკრძალეს იმ დღეს ჰექტორ, გმირი მხედარი“, არადა, რამდენიმე დისერტაცია მაინც არსებობს, რომლებშიც ხაზგასმულია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ილიადას“ უკანასკნელ სტრიქონში ჰექტორის მოხსენიებას (ამ პოემის პირველი სტრიქონი აქილევისით და მისი რისხვით იწყება), თანაც სწორედ „ცხენების მომთვინიერებლად“ მოხსენიებას.

1986 წლის ნოემბერში რაფიკამ ბანაკის სასაჯელი მოიხადა და გადასახლე-

ბაში წაიყვანეს. ბანაკის წესების მიხედვით, პატიმარი გათავისუფლებამდე ორი თვით ადრე თმებს მოუშვებდა ხოლმე, „მოშვება“ ძალიან „ხმამალალი“ სიტყვაა ამ შემთხვევაში, სრული „ბოქსიდან“ ორ თვეში დიდი თმა არავის ამოსდიოდა, არავის, რაფიკას გარდა. ერთი თვის თავზე რაფიკას ძალიან დიდი თმა ამოუვიდა, იმდენად დიდი, რომ ისეთი ერთი პატარა სცენა გათამაშდა კლუბ-სასადილოში, არკადი რაიკინს შემურდებოდა. სწორედ რაფიკას თმებზე და, ზოგადად, კავკასიური თმის საფარზე ვლადპარაკობდით სადილის დროს, როდესაც სასადილოში ნასვამი კონტროლიორი ტრიფონოვი შემოიჭრა და მთელი ხმით დაიღრიალა:

– *Снять головные уборы!* – ნოემბერი იდგა და ბევრს ეხურა ქული, მაგრამ ყველამ მოიხადა, მათ შორის, რა თქმა უნდა, რაფიკამაც: გათავისუფლების წინ, თუნდაც გადასახლებაში გამგზავრების წინ პატიმარი განსაკუთრებით ფრთხილი ხდება და რაფიკა ხომ მანამდეც არ იყო თავზეხელაღებული.

– *Сними папаху, Папаян!* – შესძახა ტრიფონოვმა და როცა მთელი ბანაკი სიცილით დაიხოცა, თვითონაც სიცილი აუტყდა და საბოლოო დასკვნაც გამოაცხო:

– *Вот х... ё... твою мать, у этих армян-демократов даже волосы по-другому растут.*

– სწორედ ამაზე უნდა დავწერო სადოქტორო დისერტაცია, „დემოკრატიის როლი თმის ზრდის დაჩქარების საქმეში“, – განაცხადა რაფიკამ („დაჩქარება“ – *ускорение* გორბაჩოვის ეპოქის ერთ-ერთი მთავარი სიტყვა იყო „გლასნოსტთან“ და „პერესტროიკასთან“ ერთად).

– „სომხურ თავზე დემოკრატიის როლი თმის ზრდის დაჩქარების საქმეში“, – თავზიანად შეუსწორა ჯონი ლაშქარაშვილმა და ჩემზე მიუთითა, – ქართულ თავს, როგორც ხედავ, ვერც დემოკრატია შევლის, – და მხოლოდ ქართველებისთვის გასაგები ფრაზაც დაამატა, – ჩვენი ხომ ჭიანჭველაც არ ვარგა.

რაფაელ პაპაიანი სომხეთის პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ამჟამად სომხეთის საკონსტიტუციო სასა-

# כסחטע fm 101.9 חנהטנחחטנהא



חנהטנחחטנהא



მართლოს მოსამართლეა. ტრადიციულ ხშირ თმას წვერ-ულვაშიც მიუმატა და ძალიან სოლიდური იერი მიიღო. როგორც ავტორმა დაწერა დიდი წიგნი „თანამედროვე სამართლის ქრისტიანული ფესვები“ (Христианские корни современного права), გამოაქვეყნა სტატია ლოტმანის კრებულში; მოსკოვში გამომცემლობა „ოუნიპრეს სკ“ გამოსცა მისი თარგმანების კრებული „XX საუკუნის სომხური პოეზია. რჩეული გვერდები“, მასში 16 პოეტის თარგმანი შევიდა ოვანეს თუმანიანით დაწყებული აკობ მოვსესით დამთავრებული. პაპაიანის შესავალში წერია, – ამ პოეტების თარგმნა მათმა სიყვარულმა გადამანყვეტინაო. სხვათა შორის, რაფაელ პაპაიანი მთარგმნელთა საკმაოდ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც ორმხრივად თარგმნა შეუძლია:

რუსულიდან სომხურად და სომხურიდან რუსულად. თუმანიანი, ისაკიანი, ჩარენცი, შირაზი, პარუიერ სევაკი, მენარენცი – ამ პოეტებზე საათობით ულაპარაკია.

რამდენიმე წლის წინ რაფიკასა და ჟორას ხანგრძლივი მეგობრობა სერიოზული კონფლიქტით დასრულდა. რაფიკამ ჟორას სანინალმდეგო უსამართლო სტატიაც კი გამოაქვეყნა რამდენიმე გაზეთში. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლა სერიოზულ მსხვერპლშენიშნავს მოთხოვს და ის სამკაპიკიანი საფოსტო მარკა არსად არ დაიკარგა, იმ მარკამ რაფიკას წერილი ცუდ მისამართზე გააგზავნა. ეს კაცი ჩემთვის ერთ დღეში დამთავრდა და ჩვენი დიდი მეგობრობა მტკივნეულად გაქრა.

ამჟამად სიცრუით და ბინძური მინიშნებებით საესე, მაგრამ დახვეწილი

რუსულით დაწერილი საგაზეთო ოპუსის კითხვას რომ მოვრჩი, იმავნამს გამახსენდა რაფიკას ნათქვამი, – ქართველებმა რელიგიური განხეთქილების შემდეგ დაივიწყეს მესროპის ღვანლიო. რაფიკამ და მისმა მეგობრებმა ძალიან სწრაფად დაივიწყეს გიორგი ხომიზურის ღვანლი, რომელიც სომხეთის ისტორიისა და სიმართლის გადასარჩენად იბრძოდა მრავალი წლის განმავლობაში. მე კიდევ ამ ახალი და ფუნდამენტური იდეოლოგიური განხეთქილების შემდეგაც არ მავიწყებდა ის ძველი რაფიკა, ნამდვილი ოსტატი, რომელსაც გრძელი თმა და წვერ-ულვაში ჯერ კიდევ არ ჰქონია მოშვებული, თავის „ტუმბორკასთან“ იჯდა და დაუსრულებელი მოთმინებით აღჭურვილი ნეკოს 12 სიგარეტის ერთდროულად დამამზადებელ მანქანას აუჩქარებლად ქმნიდა.



## ნეოლიბერალიზმის კრიტიკა ოსტაბეერთი საუკუნეში

<<< **ლასანისი ბპ. 118**

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერო-მ მიიღო ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ჯერ კიდევ დიდი დრო გვაშორებს იმ პერიოდს, როდესაც ეს დეკლარაცია მართლაც საყოველთაო იქნება. დღევანდელ მსოფლიოში, ისევ გრამის ტერ-

მინი რომ გამოიყენოთ, მილიარდობით ადამიანია, რომელნიც ეგრეთ წოდებულ „სუბალტერნის“ მდგომარეობაშია და რომელთაც არაფრის უფლება არ აქვთ. ეს ადამიანები ნომინალურად შეიძლება რომელიმე ქვეყნის მოქალაქეები არიან, მაგრამ რეალურად მათი სიცოცხლე არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს და მათი ხმის გაგონება, მიუხედავად ასეთი

განვითარებული მედიისა, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს, პრაქტიკულად შეუძლებელია.

დღევანდელი ნეოლიბერალიზმის არაჩვეულებრივი კრიტიკაა ცნობილი სლოვენელი ფილოსოფოსის სლავოი ჟიჟეკის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში „ძალმომრეობა“. აქ ჟიჟეკი საკმაოდ სამართლიანადაც აკრიტიკებს თანამედროვე ნეოლიბერალურ ღირებულებებს სწორედ იმიტომ რომ იმ პოზიციებიდან, რომ უგულვებლყოფილია სუბალტერნული უმრავლესობის ხმა. ჟიჟეკი აქ არც „პროგრესული“ კაპიტალისტების კრიტიკას ერიდება – ჯორჯ სოროსსა და ბილ გეთის იგი „ლიბერალ კომუნისტებს“ უწოდებს და ამტკიცებს, რომ ეს ადამიანები პირველ რიგში მძარცველები არიან და მხოლოდ ამ ძარცვის შემდეგ ისინი ნაძარცვის მცირე ნაწილს შერჩევითი წესით უბრუნებენ საზოგადოებას. თუმცა, მემარჯვენე კაპიტალისტებთან შედარებით, გეთისი და სოროსი ბევრს აკეთებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, მათ ახლა უკვე უორენ ბაფეტიც შეუერთდათ, მაგრამ ეს მაინც ძალიან პატარა წვეთია იმ სერიოზულ პრობლემებთან შეჭიდებისას, რომლებიც დღევანდელი მსოფლიოს წინაშე დგას. არსებულ უთანასწორობებს, ჩავვრას, ექსპლუატაციას ჟიჟეკი „სისტემურ ძალმომრეობას“ უწოდებს – ეს გარკვეულნი-

13/335  
**MARJANOFF EXPRESS**

იტალიური რესტორანი



სუპერმარკეტი  
სადაც ყველაფერი  
არის ხელმისაწვდომი  
სადაც ყველაფერი  
აქვთ ხელმისაწვდომი  
სადაც ყველაფერი  
აქვთ ხელმისაწვდომი  
ფინანსები 21.35

36 95 16  
95 03 23



Georgia Tbilisi Marjanishvili Str. #8  
თბილისი მარჯანიშვილის ქ. №8  
Italian Restaurant MARJANOFF EXPRESS

**დეგაპრინტი**  
**DEGAPRINT**

**სივრცული ოფსეტური ბეჭდვა**  
ტელ.: +995 32 995007 / 998843  
ფაქსი: +995 32 995681

[degaprint@caucasus.net](mailto:degaprint@caucasus.net)



## ბაბრქილება

ლად იოჰან ვალტუნგის ცნობილ ტერმინს – „სტრუქტურულ ძალადობას“ წააგავს.

ბევრი თანამედროვე სოციალური მეცნიერის აზრით, ძალადობის მთავარი მიზეზი საზოგადოებაში არსებული უთანასწორობაა; უთანასწორობა – ეროვნულ, ეთნიკურ, სქესობრივ, რასობრივ, სექსუალურ, რელიგიურ თუ სხვა ნიადაგზეა. არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც პრაქტიკულად აღარავინ ახსენებს – ეს არის კლასი. 21-ე საუკუნეში, მიენსტრიმ მედიის თანახმად, თითქოს კლასობრივი პრობლემა აღარ არის და თითქოს ღარიბი და ლატაკი ადამიანები არ არსებობენ. ამას არა მხოლოდ ულტრამემარჯვენე კონსერვატიული პრესა წერს, არამედ ზომიერად პროგრესული, ლიბერალური გამოცემებიც. ჟიჟეკის, ბადიოს, რანსიერის, აგამბენის და ბევრი მათი თანამედროვეს კრიტიკას ვერც ლიბერალური *New York Times*, *Washington Post* უძღვებენ.

ლიბერალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში უმცირესობათა უფლებების დაცვის საქმეში მომხდარი პოზიტიური ცვლილებები. მაგრამ, უმცირესობების უფლებების დაცვისას ნეოლიბერალურ ელიტას თითქოს უმრავლესობა დაავიწყდა. ყველაზე დიდი ჩაგრული მასა, ეს არის კლასობრივი იერარქიის ყველაზე ქვედა საფეხურზე მდგომი ადამიანები. სწორედაც რომ ეს „ხელშეუხებელთა“ კასტაა დღეს მთავარი პრობლემა – მაგრამ მათ შესახებ ლიბერალურ პრესაში ბევრად ნაკლებს გაიგებთ, ვიდრე სხვადასხვა უმ-

ცირესობის შესახებ. ანუ 21-ე საუკუნეში, ლიბერალურ დისკურსში „იდენტობის პოლიტიკამ“ კლასობრივი საკითხი პრაქტიკულად მთლიანად გამოაძევა სასაუბრო ენიდან. ცხადია, იდენტობის პოლიტიკას მეტად ლეგიტიმური ადგილი აქვს სოციალურ მეცნიერებებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ კლასობრივი საკითხის ამგვარი უგულვებლყოფა დღევანდელი ნეო-ლიბერალების სასარგებლოდ არ მუტყველებს.

თანამედროვე ნეოლიბერალური მოდელი დღევანდლობის უდიდესი მოაზროვნეების მხრიდან უდიდესი კრიტიკის ცეცხლქვეშაა. მილიარდობით ლატაკი ადამიანის სიცოცხლე დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ნეოლიბერალური ინსტიტუტები ამ გამოწვევას ადეკვატურად ვერ პასუხობენ.

ამერიკის სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა 60-იან წლებში, მალკოლმ X-მა თავის დროზე ასეთ რამ თქვა: რასიზმის სისტემასთან ბრძოლაში ხანდახან ლიბერალ მელას კონსერვატორი მგელი მირჩენიაო.

თანამედროვე ტრანსნაციონალურ კორპორატიულ სამყაროში ორივე, კონსერვატორიცა და ლიბერალიც იმ სისტემას ემსახურება, რომელსაც ჟიჟეკი „სისტემურ ძალმომრეობას“ უწოდებს. თუმცა 21-ე საუკუნეში ჯერჯერობით კარგად გამოკვეთილი ალტერნატივა არ ჩანს. ამ ალტერნატივაზე ფიქრი და ლაპარაკი საკმაო მარგინალიზაციის რისკთანაც არის დაკავშირებული. თუმცა, ამ ბოლო ხანე-

ბში გამოიკვეთა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც უსიტყვოდ არ იღებს სოციალური დარღვინიზმის დოგმებს. ეს გარკვეული პროგრესის ნიშანია ჩვენ საზოგადოებაში. თუმცა ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი ჭეშმარიტი მემარცხენე აზროვნების დამკვიდრებამდე იმ გარემოში, სადაც ჯერ კიდევ შეჯიბრია, ვინ უფრო რეაქციულ და მემარჯვენე პლატფორმას აირჩევს.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ქართველი ნეოლიბერალების მხრიდან ხშირად გამიგია მოსაზრება პინოჩეტის შესახებ, რომელიც მას „გმირად“ და „ალმშენებლად“ აცხადებდა. გენერალი პინოჩეტი არაერთი ქართველი ნეოლიბერალი პოლიტიკოსისა თუ პოლიტოლოგისათვის ნათელი წერტილი იყო; ჩემთვის კი პირიქით, გირი ის ხალხი იყო, ვინც მას ებრძოდა და ის პროკურორი, ვინც მას პასუხი აგებინა.

ლიბერალურ აზროვნებას, რა თქმა უნდა, ღირსებებიც აქვს. ერთ-ერთი ასეთი ღირსება სწორედაც რომ დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემაა, ის სისტემა, რომელმაც ნეოლიბერალური ოლიგარქიის ინტერესების დამცველი პინოჩეტი საბოლოოდ მაინც მართლმსაჯულების წინაშე დააყენა. იგივე დაემართა პერუს არჩეულ „ნეოლიბერალ“ დიქტატორს ალბერტო ფუხიმორის, რომელიც საკუთარ უშიშროების მინისტრთან ერთად ახლა სასჯელს იხდის. ლიბერალური სისტემის პირობებში თემიდა მაინც საკუთარ ადგილას დგას და მხოლოდ „კოლოს“ როლში არ არის.

ეს უთუოდ ლიბერალიზმის ღირსებაა.



ლიტერატურული კავა „ქარავანი“  
წარმოგიღებთ:

1 თებერვალი, ორშაბათი, 19 საათი  
პოეტ ზვიად რატიანის ლექსების  
ახალი კრებულის „ნეგატივის“ პრეზენტაცია

8 თებერვალი, ორშაბათი, 19 საათი  
შეხვედრა პოეტ დიანა ანფიმიადისთან

22 თებერვალი, ორშაბათი, 19 საათი  
შეხვედრა ზურაბ ქარუმბიძესთან  
ლიტერატურა და მუსიკა






**რადიო „ნაცნობი“ გეკატეხებათ  
კლუბში „ნაცნობი“**

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- სოცხალი მუსიკა







**VONG**  
asian fusion  
29 Abashidze st.  
T: (+995 32) 292 570  
(special lunch menu)




*café* **BELLE DE JOUR**  
29 Abashidze st.  
T: (+995 32) 23 09 23  
(special lunch menu)



**BUFFET**  
31 Abashidze st.  
T: (+995 32) 224 961



*'SAKURA 桜 さくら'*  
29 Abashidze st.  
T: (+995 32) 293 108



**BRASSERIE L'EXPRESS**  
14 Chardin st.  
T: (+995 32) 439 349  
(special lunch menu)

**Upgrade Your Life**

**BEST PLACES FOR : Breakfast, Lunch, Dinner, Supper  
All kinds of meetings, Relax.**

[www.mon.ge](http://www.mon.ge)



**WWW.LIBERALI.GE**

